

675-ე

1982

ISSN-0132-6066

საქართველოს
სსრ მეცნიერებათა
აკადემიის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

(17)

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

3.1982

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

3.1982

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სა რედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. ვეჯარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. შეტრეველი,
ხ. ცაიშვილი, შ. ძიძიგურა (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტა

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ვენისა და ლიტერატურის სერია
1982, № 3.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19 ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 21.V.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.VIII.82; უე 05684;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 14.0; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 14.0; ტირაჟი 1750; შეკვ. 1931; ფასი 1 მან. 20 კაპ.

*
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси. 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ა. ჩიძიგური, ქართული საბჭოთა ნარკვევი სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცების პერიოდში	5
ბ. დარჩია, ვახტანგ მეექვსე — ქართული ლექსთწყობის განმახლებელი	20
გ. რატიშვილი, ზურაბ რატიშვილის ანდერძის წერილი	42
ვ. ზუხბაია, ძვირფასი ქვები «ვეფხისტყაოსნის» რუსულ თარგმანებში	47
ლ. ახობაძე, ეფრემ ასურის თხზულებები ქართულ მრავალთავებში	53
მ. ივანიშვილი, «ამირ არსლანის» პოეტიკის ზოგი საკითხისათვის	66
ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა ქართველური ანთროპონიმისა და ტოპონიმის შესწავლისათვის	73
ქ. ლომთათიძე, იო დაბოლოებიანი სოკოს სახელები ქართულში	81
შ. მარგველაშვილი, მონაცვლე ზმნები მეგრულში	88
ო. ზედგენიძე, ეგრეთ წოდებული პიროვანი ბრუნების შესახებ ბასკურ ენაში ქართულთან შეპირისპირებით	102
პუბლიკაცია	
აკაკი შანიძის წერილები ნიკო მარს (პუბლიკაცია და შენიშვნები ი. მეგრელიძისა)	108
მეცნიერის იუბილე	
ა. ბარამიძე, მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი	127
ქრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
ნ. ლომოური, ც. აბულაძე, ვ. ჯანგიძე, ვ. გუკასიანის ერთი სტატიის გამო	137
თ. შარაძენიძე, მნიშვნელოვანი ნაშრომი ზოგად ენათმეცნიერებაში	147
ქრონიკა და ინფორმაცია	
ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში ახალი წიგნები	151

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

К. Ш. Дзидзигури, Грузинский советский очерк периода развития и укрепления социалистического общества	5
Б. Ш. Дарчия, Вахтанг VI — новатор грузинского стиха	20
Г. Ратишвили, Завещание Зураба Ратишвили	42
В. А. Зухбая, Драгоценные камни в поэме Ш. Руставели	47
Л. Т. Ахобадзе, Произведения Ефрема Сирина в грузинских многоглавах	53
З. А. Сарджвеладзе, Некоторые вопросы поэтики дастана «Амир Арслан» для изучения картвельской антропонимии и топонимии	66
К. В. Ломтатидзе, Название грибов с окончанием ю в грузинском языке	73
М. Г. Маргвелашвили, Супплетивные глаголы в мегрельском	81
О. Г. Зедгенидзе, О так называемом личном склонении в баскском языке в сопоставлении с грузинским	88
	102

Публикации

Письма А. Г. Шанидзе Н. Я. Марру (Публикация и примечания И. В. Мегрелидзе)	108
---	-----

Юбилей ученых

А. Г. Барамидзе, Мари Броссе — исследователь грузинской литературы	127
--	-----

Критика и библиография

Н. Ю. Ломоури, Ц. А. Абуладзе, В. Т. Джагидзе, По поводу одной статьи В. Л. Гукасяна	137
Т. С. Шарадзенидзе, Значительный труд по общему языкознанию	147

Хроника и информация

В Комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	151
Новые книги	



წ ე რ ი ლ ე ბ ი

კახა ძიმიჯური

ქართული საბჭოთა ნარკვევი სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცების კერიოლში

მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ მტკიცე საფუძვლები შექმნა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის. მეორე ხუთწლიანმა გეგმამ ძირითადად განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პირველი ფაზის — სოციალიზმის აშენების პროცესი: მომდევნო პერიოდი მიზნად ისახავდა ჩვენში სოციალისტური მშენებლობის შემდგომ განვითარებას და სოციალიზმიდან კომუნისტურ მზე თანდათანობით გადასვლას. ამასთან დაკავშირებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ამოცანები და მიზანი დაისახა მესამე ხუთწლიან გეგმაში, რომელიც მიღებულ იქნა სკკ(ბ) XVIII ყრილობაზე, 1939 წლის თებერვალში. მანამდე, 1938 წელს, სკკ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რამდენიმე დადგენილება პრესის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, საიდანაც საჭირო მითითებების მიღება შეეძლო პუბლიცისტიკის, კერძოდ ნარკვევის, ჟანრში მომუშავე მწერლებს.

17.347

ქართული მხატვრული ნარკვევი კვლავ მოწოდებული იყო, აქტიური მონაწილეობა მიეღო საბჭოთა ქვეყნის აღმავლობისათვის გაცხოველებულ შრომასა და ბრძოლაში. ქართველი მენარკვევის კალამი ისევ სისხლბორცეული ინტერესითა და ცხოველმყოფელი აქტიურობით უნდა გამოხმაურებოდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და მორალური ძვრებისა და ცვლილებების ყოველ გამოვლინებას.

ასეც მოხდა, ქართული მხატვრული ნარკვევი ღირსეული მხატვრული მატთანე ხდება რესპუბლიკის ახალი სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

სანდრო შანშიაშვილმა გამოაქვეყნა ნარკვევი „მილიონერი ორსანტია“, რომელიც ეძღვნება ახალი ქართული სოფლის ცხოვრებასა და მიღწევებს („კომუნისტი“, 1936, 16 ნომერი).

ავტორი „მიემგზავრება მისაბაძ და სამაგალითო კოლმეურნეობა ორსანტიაში და ბევრ რაიმეს ნახულობს საგულისხმოს“.

შთამბეჭდავდა აღწერილი კოლმეურნეობის წარმატებები, მოცემულია დიალოგები, კამათი, საუბარი კოლმეურნეობთან; ვეცნობით გურია საჭაიას, ძლიერ, მომხიბლავ თავმჯდომარეს; საგულისხმოა დიალოგი გლეხებთან: „ამ მოგზაურობის დროს გავეცან ერთს საინტერესო კოლმეურნეს, რომელიც კარგად ერკვეოდა დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში და ქართულ მწერლობასაც კარგად იცნობდა... თითქოს თანამედროვე ცხოვრებაზე სწერთ მწერლები, დასახელებულია კოლმეურნეობაც, ქარხანაც, სტახანოველებიც და სხვა მრავალი, მაგრამ ყველაფერი ეს ცივია და გულს არ ათბობს...“

1 იხ. პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, დოკუმენტების კრებული, 1956, თბილისი, გვ. 608—609, 611—612, 614.

ს. პარტიის სახ. სამ. სსრ
სახელმწიფო არქივალ.
3 0 8 ლ ი მ თ ე

...აქ ბევრი თავდადებული და გმირი ხალხი იყო და დღესაც უამრავია, აი თქვენ აქებთ ორსანტიას, სხვაგანაც არის მაგისტანა კოლმეურნეობა და იქაც არიან ისეთი გლეხები, რომ განცვიფრებენ. მაგრამ არავის აუწერია... რატომ ჩვენი მწერლები მათზე არ სწერენ?... განა კოლმეურნი არ არის გმირი, რომელიც ებრძვის მიწას, წყალს, ცეცხლს და კლასობრივ მტერს? მე რე რომ დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და გამარჯვებული გამოდის, ეს გმირობა არ არის? მაშ, რატომ არ სწერთ თანამედროვე გმირებზე?*

მწერალი დასძენს: „მე თავჩაღუნული ვუსმენდი ამ ადამიანს და ვსდუმდით გაწითლებული. ჩემი მოსაუბრე მართალი იყო, ჩემ წინ ლაპარაკობდა ახალი ადამიანი და მე მას ვერ ვხედავდი.“

...მწერალს გაუსწრო მკითხველმა, წინათ მწერალს მიჰყავდა მკითხველი. ახლა მკითხველი უკანახებს მწერალს: ამაღლდი და მომეც, რაც დღეს ჩემს გულს და გონებას გაიტაცებსო. თვითეული მწერალი უნდა ჩაუფიქრდეს ამ ამბავსო, — ასკენის მენარკვევი.

კლ. გოგიავას ნარკვევში „მილიონერი“ („კომუნისტი“, 1937, 14 ოქტომბერი) მოთხრობილია ლავოდების რაიონის სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის შესახებ. ნარკვევი ძირითადად დიალოგის ხასიათს ატარებს. ვეცნობით მოწინავე კოლმეურნეებს — ალექსანდრე ტოლოლიკაშვილს, სტახანოველ ალადაშვილს და სხვა. ავტორს უხვად მოჰყავს ციფრობრივი მონაცემები, შედარებებს ახდენს წარსულთან, ანალიზებს მიღწევებს. „შარშან კოლმეურნეობის შემოსავალი 686 172 მან. შეადგენდა, წელს 1 მილიონ მანეთზე მეტს მივიღებთ. შარშან 1 ჰექტარზე 14 ცენტ. თამბაქო მოვიყვანეთ, წელს კი 16,5 ც. ... ჩვენი კოლმეურნეობა თამბაქომ წელს მილიონერი გახადა, ჯილდო წანამატმა დიდად დაინტერესა კოლმეურნეები“.

ავტორი გვიჩვენებს სოფლების სახეცვალებას, დიალოგებში მოხერხებულად ურთავს დიაგრამებსა და ციფრებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, ალექსანდრე გელაშვილთან, დიალოგში ჩანს ის გრანდიოზული ცვლილებანი, რაც სოფელმა განიცადა.

„ამ უკანასკნელ წლებში ძალიან გალამაზდა სოფელი შრომა, შრომას ტყუილად კი არ უძახიან ლავოდების თვალს. შრომაში ახლა მართლა შრომა დულს, რომელსაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაედო ფასი. საკოლმეურნეო მშენებლობამ სოფელს არაფერი შეუცვალა. აქ სამი მთავარი ქუჩაა, სადაც ერთი და ორ სართულიანი სახლებია წამოჭიმული, აქაური მშრომელი გლეხობა დიდხანა გამოემშვიდობა მამაპაპურ ჭრატებს და გამკვარტლულ ქოხებს... ჩვენი არტელის წევრები დიდად დაინტერესა მთავრობის მიერ თამბაქოს გეგმაზე ზევით ჩაბარებისათვის დაწესებულმა ჯილდო წანამატმა და განსაკუთრებით გაუმჯობესდა ხარისხი. ერთითად გაიზარდა კოლმეურნის შემოსავალი. სიტყვა „ლარის“ სოფელში ეხლა აღარაინ ხმარობს, მის მაგიერ სოფელში შემოვიდა ახალი სიტყვა „შეუძლებელი“. განახლებული სოფლის ახალი ადამიანები ახალახალ რეკორდებს ამყარებენ. საკოლმეურნეო მინდვრებზე აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ტალღა. მზიური ცხოვრებით დამტკბარი ადამიანები უდიდესი გამარჯვებებით ხედეზიან დიდი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს.“

ახლი ადამიანს მხატვრულ ნარკვევში „კოლხიდის ქრონიკები“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1937, 29 ოქტომბერი) აღწერილია კოლხიდის ამოშრობის

პრობლემები. ვხედვით პირველი სტახანოვური ბრიგადების ხელმძღვანელებს, კომკავშირლებს — ზიუბასა და დიმიტროვს. მათი შრომადღე ხვავრიელია უხვი მოსავლით, ესენი ეხმარებიან ჩამორჩენილებს და სწევენ წინ. „მრავალადა კოლხიდაში ამათი ტოლი. ასეთი ჯანღონით საესე და საქმისათვის გულშემატკეავარი ჭაუუკები; დიდა კოლხიდის მესამე ხუთწლუდი“.

ნარკვევში გაანალიზებულია ციფრობრივი მონაცემები, დაყენებულია ახალი პრობლემები ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიის წარმატებით დასამთავრებლად.

მეორე ნაწილში აღწერილია იქვე მდებარე გრეიბფრუტის საბჭოთა მეურნეობის ჭრონიკები. დახასიათებული არიან აგროტექნიკოსი ვაჟა მენაბდე, მყნობელი ანტონ მხეიძე, აგროტექნიკოსი ლიუდმილა მურმანიძე. ნაწევნებია მათი სამუშაო დღეები, ხაზგასმულია, რომ „კოლხიდამ, ბოლშევიკების მიერ წყალში აღმოჩენილმა ხმელეთმა, მისცა ასეთი უნაპირო გასაქანი ახალგაზრდა აგრონომებსა და მყნობლებს, მიწის მთხრელებსა და დურავლებს, კალატოხებს, გულითადი და ბეჯითი შრომის ყველა მოსურნეს“.

ნარკვევის მეორე და მეოთხე ნაწილში ასახულია ახალი დასახლებების ე. წ. პატარა ფართის, მცხოვრებთა შრომითი საქმიანობა; ვხედვით 88 წლის კოლმეურნე ილარიონ ხურცილავას, 100 წლის სტეფანე მირცხულავას, კომკავშირელ სერაპიონ თოდუას და ჯერ უწვერულავაშო შოთა კოკაიას: „ყველა ამათ ერთნაირი ხალისი და აღტაცება ამუშავებთ და ამის გამო მღერიან სტეფანე და ილარიონი კომკავშირელ გოგო-ბიჭებთან ერთად ახალ სიმღერებს, ნათელი ცხოვრებისა და ჩვენი ქვეყნის უძლეველობის ამსახველს“.

ელიზბარ პოლემპორდინოვის ნარკვევი — „ახალგაზრდა მალაროელები“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1937, 29 ოქტომბერი) იწყება ნადირობის ეპიზოდით, გალიზგის ხეობაში ერთმანეთს ხედებიან მონადირეები და უცნობი ხალხი — გეოლოგები. განცვიფრებული მონადირისა და გეოლოგების დიალოგში ისახება აკარმარას მთის გეოლოგ-პიონერთა დიდი სამუშაო გეგმები.

ნარკვევის მეორე ნაწილში აღწერილია აქ მომხდარი დიდი ცვლილებები: აღიმართნენ შენობები, გაიკაფა გზები და გალიზგის ტყიან ხეობაში კლანილი და ლამაზი შარავზა გადაიჭიმა. „თხუთმეტ-ოც კილომეტრზე გადაჭიმული ტყვარჩელის მიდამოები ახმაურდა ადამიანთა სიცოცხლით, მარჯვენით, სუნთქვით, მოეწყო კლუბი, კინო, კოოპერაციული მაღაზია, ლიტერატურისა და საგაზეთო კიოსკები; თუ ათი წლის წინათ ამ გზაზე მიმავალი მეცხვარე განცვიფრდა გეოლოგების შეხვედრაზე, დღეს უკვე მოსახლეობა სუნთქავს, მუშაობს, ებრძვის ბუნებას, ბედნიერ ცხოვრებას იქმნის“. ნარკვევში ვხედვით მოწინავე კომკავშირელ სტახანოველებს, ნიკოლოზ გუგუშვილს, გრიშა სერედენკოს, ადლებას; გადმოცემულია დამაბული შრომითი დღეებისა და გამარჯვებების სიხარული.

ნარკვევი მთავრდება კომკავშირის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებით, სადაც მალაროელები ახალ, გადიდებული ვალდებულებების შესრულებას პირიდებიან სამშობლოს.

ვლ. თორდუას ნარკვევი — „ღამე, მწყემსი და ფარა“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1937, 28 ოქტომბერი), მოგვითხრობს სოფელ ნუკრიანის კოლმეურნე მწყემსების რთული, მაგრამ შრომითი სიხარულით აღსავსე დღეებზე. სიკო ზახტურიძის, ვანო შარშიაშვილის, გოგია ხმალაძის სახეებში ჩანს „მწყემსის რომანტიკული პროფესიის ჩრდილი და ნათელი“. „ცხვრისადმი სიყვარუ-

ლის, კომპიუტერების საკუთრებისადმი სიყვარულის დიდი და კეთილმოძილი გრძობა სდულს მწყემსის გულში. შვიდი ათასი ცხვარი შეჰყვანია ბორცვებს, როგორც ნისლი, მწყემსის გულშიც ღვივის შვიდი ათასი სიყვარული“.

ავტორი მწყემსებთან ერთად სერავს საძოვრებს, მათს ჭირსა და ღონის იზიარებს, აღწერილია შემთხვევები მგლების მოვარდნისა და მწყემსების თავდადებული შრომისა.

განსაკუთრებით აღფრთოვანებით ემზადებიან მწყემსები 12 დეკემბრის არჩევნებისათვის, ისტორიული და სასიხარულო თარიღისათვის, „სულ მალე შევისწავლით არჩევნების დებულებას, მზად შევხვდებით არჩევნებს, ხმას მივცემთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს“, — ამბობენ მწყემსები.

„გუგუნი ისპოდა, კვლავ ჟღერდა ჩონგური. შემოდგომის მთვარის ქვეშ სამნი იყვნენ: ღამე, მწყემსი და ფარა. ღამე იყო, მაგრამ სად იყო ძილი და სიჩუმე!“

ელ. თორდუასვე ეკუთვნის ნარკვევი — „იმ ადგილას“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1937, 29 ოქტომბერი). მასში მოთხრობილია ლეგენდარული დივიზიის ერთ-ერთი ლეგიონის, ყუბანელი ახალგაზრდა მამაცი მებრძოლების ლეგიონის შესახებ, დივიზიის „ახალგაზრდა, მხნე, უშიშარი“ მეთაურის — პეტრე ვასილის ძე კურაშკოს შესახებ. „პარტიზანულ ბრძოლებში გამოიბრძმედა მისი ნებისყოფა და ძალა, როგორი დულაბისებური სიმტკიცით იყო შეკრული მისი დივიზია, ახალგაზრდა მებრძოლთა ერთსულოვნება და გაკაყებული ნებისყოფა სუფევდა იქ“.

შთამბეჭდავადაა ასახული გმირი მეთაურის სიკვდილი ბრძოლის ველზე: „იგი დაეცა მეთვრამეტე ჭრილობით, ბრძოლა მაინც არ შენელებულა, წინ, დაუხრებლად ფრიალებდა ბოლშევიკური დროშა... შორს სადღაც, ცის დასალიერში, ჰქუხდა ხმა შორეული, დაეღაყებდა სივრცე ცეცხლისა და დროშებისაგან, მეორე დილას ცის კარი გაიხსნა თითქოს, ზეცას ოქროსფრად შემოერტყა 25 თებერვალი“.

ახალი ცხოვრება დულს შირაქის ველის ცენტრში — წითელ წყაროში. ნარკვევის ავტორი ესაუბრება 318-ე დივიზიის პოლიტგანყოფილების კლუბის ყოფილ გამგეს, პარტიის წევრსა და ძველ პარტიზანს ივან კატიხს, ისინი „აცოცხლებენ წარსულის სურათებს“.

ძეგლის მშენებელთა ბედნიერ ბავშვებს თამაშობა გაუმართავთ. შემოდგომის მზის ქვეშ ისინი ერთობიან ოქტომბრის ყვავილებით. ძეგლზე წარწერაა: „ჩვენს მეგობარს და გმირს, სიღნაღის მაზრის მშრომელთა და კავდივიზიის ბრიგადის მებრძოლთაგან“.

იმავე ავტორის პორტრეტულ ნარკვევში — „მე ამომჩვენევი ვარ“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1937, 28 ნოემბერი). ასახული მუშაკი, ინჟინერი, აგრონომი. საუბარია მათ უსიხარულო წარსულზე, „ჩადრის იქით მიბნედილ სახეებზე“. მზეს წაუშლია მათ სახეზე ბნელი ჩადრების კვალი. ისინი სწავლობენ, იზრდებიან და გაბედულად გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე. სად არ ნახავთ მათ: დაზვასთან, სოციალისტურ მინდვრებზე, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ავიაციში...

ვინ ჩამოთვლის კულტურისა და განათლების ფრონტზე მომუშავე ახალგაზრდა აჭარელ ქალებს. ესენი არიან: აიშე გურგენიძე, ფედიკო გოგიტიძე, ნახიკო კანცელიძე, უმიანე ფაღავა, ფატია დოლიძე, ხაჭე გორგილაძე, ხურიე მინელიშვილი, გული ჭინჭარაძე, ნარგული ბასილიძე. მრავალი ასეთი ახალგაზრ-

და, მრავალი ღირსეული შვილი ჰყავს დღეს აყვავებულ აჭარას. აჭარის ახალგაზრდები, ჩვენი ქვეყნის მილიონიან ახალგაზრდობასთან ერთად, სიხარულით მოელიან 12 დეკემბერს.

„იგი საარჩევნო უბანში მივიდა. დღეადა 18 წლის გოგონა, ასე იცის სიხარულმა, ახალი ბედნიერების მოლოდინმა. სიებში ამოიკითხა: „ხაჯე მამედის ასული გორგილაძე“, სიხარულით ანთებული კარში გავიდა და აღტაცებით წარმოსთქვა: — მე ამომრჩეველი ვარ!“

ი. მჭედლიშვილი ნარკვევში „შირაქში“ (გაზ „კომუნისტი“, 1938, 31 დეკემბერი) ეხება კოლმეურნეთა ცხოვრებას, მეღორეობისა და მეკამეჩეობის განვითარების პერსპექტივებს, კულტურული ცხოვრების აღმავლობას, შრომით წარმატებებს.

მ. აფხაზავას ნარკვევი „ნავსადგური“ (კომუნისტი, 1938, 17 დეკემბერი) ეხება ოჩამჩირის ნავსადგურის მშენებლობას, რომელიც უშუალო კავშირშია ტყვარჩელიდან ქვანახშირის ექსპორტირებასთან, ნაჩვენებია გმირული შრომა, სტახანოველები: ჩემია, იურჩენკო. „სოციალიზმის ქვეყნის ადამიანებმა ჭაობთან ბრძოლაში ველურ კონცხზე სოციალისტური წარმოების მნიშვნელოვანი კერა შექმნეს“, — ასვენის ავტორი.

პეტრე სამსონიძეს ნარკვევში — „ხონი-წულუკიძე“ („კომუნისტი“, 1938, 9 იანვარი) ავტორი გვიჩვენებს ხონის ფერისცვალებას. „სიღარიბით წულგატეხილი, უციცობის და უკულტურობის წუმპეში ჩაფლულ ხონელთა“ ცხოვრება შედარებულია დღევანდლობასთან. „დასავსებული, მოდუნებული დაბის ნაცვალად დღეს ის ინდუსტრიულ ქალაქადა გადაქცეული“. ავტორი აღწერს აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის, ჩაის ფაბრიკის, ხე-ტყის ქარხნების სისხლსავსე, ნაყოფიერ ცხოვრებას, ცხენისწყლის რკინა-ბეტონის კალაპოტსა თუ მშენებარე სასტუმროს, ჩაის პლანტაციებსა თუ სკოლებს, პედაგოგიურ თუ ინდუსტრიულ ტექნიკუმებს, თუ რევოლუციამდელი ხონის სასწავლებლებში მეტწილად ვაჟრისა და კულაკების შვილები სწავლობდნენ. ახლა ისინი საესეა გუშინდელი ბოგანო, მაგრამ დღეს შეძლებულ კოლმეურნეთა შვილებით. ავტორი გვაცნობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, აბრეშუმის ძაფსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველ მუშა ქალს ნადია ჭელიძეს, მის შრომითს ბიოგრაფიას. გადმოცემულია ამომრჩეველთა საზეიმო შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატთან.

„რამდენიმე წუთის შემდეგ წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ვართ. ახალგაზრდა მუშებსა და მუშა-ქალებს გაუმართავთ ცეკვა-თამაში. ისინი ხარობენ, რომ ისეთ უდაბურ ადგილზე, როგორც წინათ ეს უზარმაზარი ეწერი იყო, ახლა ასეთი შესანიშნავი ჩაის პლანტაციებია გაშენებული“.

ისინი ხარობენ, რომ ჩაის კრევის გეგმას წელს გადაჭარბებით ასრულებენ და ყოველმხრივი შესაძლებლობანი აქვთ, რომ „გეგმა მუდამ გადაჭარბებით შეასრულონ; ისინი ხარობენ, რომ დაფასდა მათი შრომა და ამ შრომით უზიარნენ საამურ და ბედნიერ ცხოვრებას; ისინი ხარობენ, რომ დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანდიდატად აყენებენ მათი წრიდან გამოსულ სტახანოველ მუშა-ქალს ამხ. ნ. ჭელიძეს“.

დ. ლომთაძე ნარკვევში — „ლაგოდნელი მილიონერები“ („კომუნისტი“, 1938, 12 იანვარი) ლაგოდნის სოფელ შრომის მილიონერ კოლმეურნეობაზე

მოგვიტხოვრობს. აღწერილია მისი უსიხარულო გუშინდელი დღე, მეფის მთავრობის რეპრესიები, სილატაკე, გაჭირვება.

ავტორი ესაუბრება კოლმეურნეებს, ეცნობა შრომით მიღწევებს, ანალიზებს. ფაქტებს.

კოლმეურნეობამ გაიმარჯვა სოციალისტურ შევიბრებაში. 48 გამოჩენილი წევრი ჰყავს „შრომას“, 48 სტახანოველი. მათ შორის არიან ლადო ჭუჭულაშვილი, რომელსაც გამომუშავებულ შრომადღეზე 8 940 მან. ეკუთვნის, ხოლო ალექსი მაძარაშვილს — 7 740 მან. კოლმეურნეობის 400 წევრმა წელს მილიონიან შემოსავალს მიაღწია. მემამულეთა, კულაკთა და თავადთა ნასახლარზე, ძველი ცხოვრების ნანგრევებზე მათ ააგეს ახალი ხალისით საესე ცხოვრება.

მშრომელი კოლმეურნეები ემზადებიან უფრო უხვი მოსავლის მიღებისათვის, საგაზაფხულო თესვისათვის. 12 იანვარს, უზენაესი საბჭოს პირველი ისტორიული სესიის აღსანიშნავად, ისინი ხელს მოაწერენ სოციალისტური შევიბრების ხელშეკრულებას ტელმანის სახელობის მეზობელ კოლმეურნეობასთან.

აკაკი ჭყონიას ნარკვევი, — „გზა! ბოლშევიკური სოფელი მოდის“. (გაზ. „კომუნისტი“, 1937, 10 ივნისი) ეძღვნება ზედა გეგუთის არტელ „წინსვლის“ ცხოვრებას. თავდაპირველად ავტორი აღნიშნავს, რომ არ ვიცნობთ ახალ ცხოვრებას, კოლექტივების პრაქტიკულ ცხოვრებას, «რამდენ კომუნისტს, რამდენ კომკავშირელს. რამდენ აქტივისტ საბჭოთა მოქალაქეს არა აქვს წარმოდგენა იმაზე, რომ სახეს ლეზულობს პრაქტიკულად კოლექტივებში შრომის ორგანიზაცია, როგორ ტარდება კონტრაქტაცია, რა არის სილოსი..., რანაირია კოლექტივის ყოფაცხოვრება..., როგორია კულაკი „კონკრეტულ მოხაზულობაში“» და ა. შ.

ავტორი მოუწოდებს თავის თანამოკალმეებს, „ერთი-ორი დღით მიინც დასხდნენ“ კოლექტივში, რათა აიხადოს ის „სტუმრული ოფიციალობის ფარდა, რომელიც პირმანდილივით ფარავს ყოველივე გარეშე თვალისთვის კოლექტივის ნამდვილ სახეს“.

მენარკვევს ხიბლავს ზედა გეგუთის კოლექტივის მიღწევანი, შრომითი ერთუზიანში, რომელიც აღაფრთოვანებს ყოველ პატროსან პატრიოტ მოქალაქეს.

ნარკვევში უხვად არის წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობები, მაჩვენებელი კოლექტივის არაჩვეულებრივი წინსვლისა და ახალი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნებისა. მენარკვევე გვარწმუნებს, რომ წლელს კოლექტივის არც ერთ წევრს სიმიინდი და ლობიო არ დააკლდება, — „შარშან კი, მისი სიტყვით, „სანამ დღევანდელი კოლმეურნეობები ცალკე იყვნენ, მათგან ორ მესამედს შუა ზამთრიდან ზურგზე ტომარა ჰქონდა დაკიდებული და სიმიინდს დაეჭებდა..., ფულსა და სხვა გაჭირვებას ცალკე სტიროდნენ“.

ხაზგასმულია, რომ მშრომელებმა დაინახეს — რას ნიშნავს რთული მანქანა აღმინის დამმონავებელ, დროისა და ენერგიის დაუზოგავად მფლანგველ კავ-სახსისთან შედარებით.

მოცემულია ცნობები, თუ კოლექტივმა მტკიცე ფასებში რამდენი კარტოფილი, ხახვი, ნესვი და კიტრი ჩააბარა სახელმწიფოს.

საგანგებოდ მსჯელობს მენარკვევე არტელში შრომის ორგანიზაციის საკითხზე.

ავტორი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ კოლექტივიზაციის „თავბრუნდამხვევი“ ტემპებით გატაცების დროს სხვადასხვა ადგილას კულაკების ანკეხვს პირველ რიგში წამოეგო ქალთა ჩამორჩენილი ნაწილი. ამჟამად სულ შეცვლილია სურათი: ქალების გარჯა და ენთუზიაზმი განსაკუთრებით თვალში საცემია.

აღსანიშნავია ნარკვევის ერთი საგანგებო ასპექტი: ეს არის ყოფილი კულაკების — ამაღლობელისა და ქორქაშვილის ანტისაზოგადოებრივი მოქმედება, რასაც ხალხის გულისწყრომა გამოუწვევია. ხალხს ისინი გაურთიყავს, მაგრამ ვერ გაუგიათ, თუ რატომ არიან ეს ხორცმეტი ადამიანები მოკალათებული საბჭოთა დაწესებულებებში; „ჩანს, ერთობ გულკეთილი ხალხნი ყოფილან ჩვენ კოლპრეციაში და ტრანსპორტზეო“, — ირონიულად ამბობენ განაწყენებული გლეხები.

მენარკვევე ასე ასრულებს თავის ნაწარმოებს: „რა ბედნიერია ჩვენი დროის, ლენინის ეპოქის ადამიანი, ჩვენი შვილები და შვილიშვილები. შურით შოიგონებენ იმ ხანას, როცა მათი წინაპრები, ბრძოლით, დაბრკოლებით აღსავსე გზით არავითარ მსხვერპლის წინაშე არ იხევდნენ უკან და აშენებდნენ ლამაზ, ადამიანის ყოველის სახის მხაგრელობისაგან განთავისუფლებულ ქვეყანას“.

იმავე ავტორის ნარკვევის „ახალი გურია“ (ვაზ. „კომუნისტი“, 1938, 20 ივნისი) მთავარი თემაა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

შესავალ ნაწილში ნათქვამია: „გურიას ვერ იცნობ“ — დღეს ის იგი აღარ არის, რაც გუშინ იყო, ეს შესანიშნავი კუთხე არაჩვეულებრივი სისწრაფით „ფერს იცვლის თვალდათვალ...“

მენარკვევე აღფრთოვანებულია იმით, რომ „ეს ქედები თავგადაპარსული დგანან თვალუწვდენელ სიერცეზე და იჭორებიან ჩაის ახალშენი ბუჩქნარით“. აქ თვალს იტაცებს ვეებერთელა ჩაის პლანტაციები. ნასაკიარაღში მოწყობილია ანასუელის ჩაის ინსტიტუტი თავისი 5 ათასი ჰექტარი ჩაით და ა. შ.

„ჩაი — ის მთავარი ღერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს სოციალისტური აღმშენებლობის ყველა საკითხი ამ მხარეში.“

ეს კი მოხდა სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში“.

ჩაის წინათაც თესავდნენ გურიაში შეძლებულნი, თესავდნენ „უფრო თავმოწონებისათვის, უფრო სადესერტო მიზნით: ჩაი და სიმინდი ერთმანეთს ტკბილად ემეზობლებოდნენ“.

სულ სხვა მდგომარეობაა დღეს: ჩაი და სიმინდი ორი ანტიპოდი, ორი მოსისხლე ბანაკია. მენარკვევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „სიმინდი არ სთმობს ნებაყოფლობით თავის პოზიციას, თვითიული ჰექტარი წართმეული ჩაის სასარგებლოდ ლაპარაკობს, ბრძოლის ფასად ღირს“. ამ დაპირისპირებაში ავტორი ხედავს კლასობრივი ბრძოლის გამოვლინებას: სიმინდის მოკავშირეა „მთელი ანტისაბჭოთა ხროვა“. ღარიბი და საშუალო გლეხკაცობის დიდი უმრავლესობა მხარდამხარ მიჰყვება პარტიის, გურიის მშრომელმა გლეხმა შეიგნო ტექნიკური კულტურების მთელი უპირატესობა სიმინდის მეურნეობასთან შედარებით.

ავტორი ერთმანეთს უდარებს ძველ და ახალ ლაითურს და ამ შედარების ფონზე აშკარაებს ახალი ლაითურის არნახულ წინსვლას და აღორძინებას. თუ წინათ ეს მხარე წარმოადგენდა ტყეებით დაფარულ მიდამოს და თავზე

ხელაღებული ყაჩაღების საბუღარს, დღეს „რკინის კაცებმა, ლენინის პარტი-ის რაზმებმა გურული გლეხის საუკუნო სანუკვარი რეალობად აქციეს“.

მენარკვევე გულდაგულ ეცნობა ლაითურის საბჭოთა მეურნეობას, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში მუშაობის მასშტაბით და ხედრითი წონით ჩაის მეურნეობაში. იგი ხედავს, რომ „მთელი გურია დაძაბულ კუნთებს წარმოადგენს, მუშაობაში ჩაბმულია დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მამაკაცების ბრიგადების გვერდით არის ქალთა ბრიგადებიც“. დასახელებულია მოწინავე გლეხი ანა კვაჭანტირაძე, როგორც დამკვრელი და სოციალისტური შრომის საუკეთესო ენთუზიასტი, რომელიც ლენინის ორდენზეა წარდგენილი...

აღსანიშნავია, რომ ლაითურის მეურნეობა ჩამორჩა უკანასკნელ თვეებში გეგმის შესრულებას მხრივ.

ნარკვევეში ლაპარაკია ამ ჩამორჩენის მიზეზებზე. ეს არის მუშახელის ნაკლებობა.

ამ გარემოებაზე ავტორის ყურადღებაა გამახვილებული და მოცემულია არა მარტო ამ მეურნეობის საინტერესო მონაცემები, არამედ გურიის სხვა საბჭოთა მეურნეობებისაც.

მენარკვევე აყენებს კითხვას: რა კეთდება იმისათვის, რომ გამოქვეყნებულ იქნეს ყველა საშუალება მეურნეობების უზრუნველსაყოფად მუშახელით? არის თუ არა გაკეთებულნი ყოველივე, რომ უფლება გვაქონდეს ვიწუწუნოთ მუშახელის სიმცირეზე და გურიის გარეთ ვეძებოთ ის? ავტორის დასმულ კითხვას ასე უპასუხებს: მუშახელი თვით კოლმეურნეობებშია, ოღონდ საჭიროა მისი მოძებნა, ამისათვის კი უნდა იქნეს შესრულებული შემდეგი პირობა: გადავიღეთ სანარჩად სისტემაზე კოლმეურნეობებში!

ეს საკითხი ვრცლად არის განხილული ნარკვევში.

მენარკვევე ეხება გურიის საბჭოთა მეურნეობისათვის „ჭირვეულ საკითხს“ — გზების საკითხს — და აღნიშნავს, რომ საქართველოს საგზაო-სატრანსპორტო სამმართველო „ამაზე ყურებსაც არ აფარებუნიებს“. ავტორი მკვეთრად აკრიტიკებს სამმართველოს მუშაობას.

ასევე გაკრიტიკებულია „ზაკესტროი“, რომელიც დაპირებებს ბევრს აძლევს მეურნეობებს, მაგრამ საქმეს არ აკეთებს. დამოწმებულია ამის საფულისხმო მაგალითები.

ლევ. მეტრეველი ნარკვევში — „ჩაი, გურია“ (გაზ. „კომუნისტი“, 1938, 15 მაისი) მოგვითხრობს, რომ იგი ეწვია ჩაის მეურნეობებს (აცანა, მაღალი ეწერი, ბზეანი, ლაითური, ნასაკირალი, ანასელი და სხვ.) და გაეცნო მათ მუშაობას. მას მოჰყავს სტატისტიკური ცნობები; ესაუბრება გლეხებს; ხარობს; მიღწევებით და გადმოგვემს იმ ენთუზიაზმს, რომელსაც მოუტაცეს „ჩაის გმირები“, ახალი ადამიანები. ავტორის სიტყვით, მალე გურიის ხსენებაზე „მარტო რევოლუცია კი არ დაგვიდგება თვალწინ, არამედ ჩაის პლანტაციებით სავანგებოდ დამშვენებული კუთხეც საქართველოსი“. დაწერილებით არის აღწერილი ჩაის ფაბრიკა, მისი მიღწევები და ნაკლოვანებები.

წითელი ზოლივით გასდევს მთელ ნარკვევს იმის აღიარება, რომ აქ კოლექტიურ მამულებს უფრო უვლიან, ვიდრე კერძო ნაკვეთებს. დამოწმებულია დიალოგები გლეხებთან, რომლებიც ამ გარემოებას გახაზავენ და ამით კოლექტივის უპირატესობას აღიარებენ. აღნიშნულია საპირისპირო სურათიც: აჭარაში, ავტორის სიტყვით, „კერძო მეურნეობას უფრო ეტყობა პატრონის ხელი, ვიდრე კოლექტიურს“. მენარკვევე აყენებს კითხვას: „ეს ძალიან სასიამოვნოა,

რომ კოლმეურნეობის პლანტაციებს ასე საუცხოვოთ უვლიან, მაგრამ ვანა ამიტომ კერძო მეურნეობა უნდა დაზარალდეს?“ დამოწმებულია კოლმეურნეობის თავმჯდომარის ახსნა-განმარტება: „რა უყოთ, ჯერ კოლექტიურს უნდა მოვეუაროთ პირველ რიგში, მერე კი დრო აღარა გვრჩება, რომ ჩვენსასაც მივხედოთ“. ამასობაში მენარკვევე ეცნობა თვით თავმჯდომარის მოუვლელ ნაკვეთს და იგი ემუქრება მას, რომ ამ გარემოებას შექველად აღნიშნავს გაზეთში! ავტორის მიაჩნია, რომ კერძო ნარგავის მოუვლელობით ზარალი ადგება სახელმწიფოს... ისიც აღნიშნულია, რომ „ჩაის კულტურისათვის კოლექტიური მეურნეობა უფრო შესაფერისია, ვიდრე კერძო. აქნობამდის თუ კუსტარული ხასიათი ჰქონდა ჩვენში ჩაის გაშენებას, ეხლა ის ვადაიქცა სახალხო მეურნეობის ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად“.

ნარკვევში მოყვანილია ცხრილები, მაჩვენებელი თითოეულ მეურნეობაში კოლექტიურ და კერძო მეურნეობისათვის განკუთვნილი ფართობების პროცენტული შეფარდებისა.

გამახვილებულია ყურადღება ჩაის წარმოების მეთოდების გაუმჯობესებაზე და სხვათა გამოცდილების გამოყენებაზე. „ჩაის ასე ფართო მასშტაბით გავრცელება, — ამბობს ავტორი, — სულ ახალი საქმეა ჩვენში. საამისოდ ჯერ ჩვენ არავითარი საკუთარი გამოცდილება არ გვაქვს. ჩვენ ძალუენებურად ვსარგებლობთ მხოლოდ სხვებისგან მიღებული მეთოდებით და საშუალებებით. მაგრამ ბევრი რამ მაინც ჯერ კიდევ სხვისგანაც არ ვიცით, რაც აუცილებელია ჩაის საუკეთესოდ წარმოებისათვის“.

ავტორი მსჯელობს ჩაის დამზადების პროცესის გაუმჯობესებაზე. დასკვნა ასეთია: „აქ საჭიროა არა შაბლონური თუთიყუშობა, არამედ ერთგვარი წარმოებითი შემოქმედება, გამოცდილება, დაკვირვება, ძიება და აღმოჩენა“.

სიკო ფაშალიშვილი ნარკვევს — „წუნარი“ (გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ. 11 მარტი) იწყებს ბატონყმობის დროინდელი „ხიზნობის“ დახასიათებით. ბატონყმობის ეს ბიროტი ფორმა ფეოდალიზმიდან ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის ხანაშიც ვადმოვიდა. ხიზნობის ფორმით დასახლებული ყოფილა სოფელი წუნარი, სამხრეთ ოსეთში. ეს სოფელი სოციალისტურმა ეპოქამ იხსნა მანამდელი სილატაკისა და სიბეჩავისაგან. „სადღაა ძველი ქოხმახები და მიწაში ჩარგული ბოსლები, სადაც საქონელი და ადამიანები ერთად ბინადრობდნენ? ახლა ამ სოფელს გაბმული ქვეთკირის აივნისანი შენობების მწკრივები აღამაზებს. მოაჯირიან სახლებს ელექტრონის სანათები ამშვენებს, ხოლო ეზოებში ახალი ნაყენებია ჩამწკრივებული. წუნარი ისე დაწინაურდა, რომ იგი სპეციალისტების თვალსაჩინო კადრსაც კი აწვდის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს“.

შემდეგ მენარკვევე ახასიათებს წუნარის საკოლმეურნეო გაერთიანებას — „ზიონს“, მის შრომისმოყვარე ადამიანებს, სიუხვითა და სიმდიდრით დაწინაურებულ ახალ სოციალისტურ სოფელს.

გ. გიორგაძის ნარკვევი „სოციალისტური სამშობლოსათვის“ (გაზ. „კომუნისტი“, 1939 წლის 29 აპრილი). ეძღვნება თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ცხოვრებას.

მენარკვევე თხრობას იწყებს ამ ქარხნის რევოლუციური წარსულით, აქ მომუშავე პროლეტარიატის რევოლუციური თავგადასავლით, გორკის, კალინინის და ახალგაზრდა სტალინის ღვაწლით ამავე ქარხანაში. ისტორიას მოსდევს დღევანდელი და მენარკვევეც დაწვრილებით ხატავს ქარხნის, როგორც

საბჭოთა კავშირში მოწინავე საწარმოს, დღევანდელ ცხოვრებას. აქ ლაპარაკია ბელადისადმი მიცემული პირობის განაღდების, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისა და სტახანოვური მოძრაობის გაფართოების შესახებ; დახასიათებული არიან წარმოების მოწინავენი, სტახანოველები, შრომის ენთუზიასტები.

იმავე წელს გ. გიორგაძემ კიდევ გამოაქვეყნა ორი ნარკვევი — „ძმათა შეხვედრა“ (გაზ. „კომუნისტი“, 1939, 26 მაისი) და „დებუტატი-აკადემიკოსი“ („კომუნისტი“, 1939, 12 ივნისი).

პირველი ნარკვევი გვაცნობს უკრაინელი და ქართველი მეშახტეების მეგობრულ ურთიერთობას, შეჯიბრებას და კავშირს.

ჭერ დახასიათებულია ცარიზმის დროინდელი დონბასის მუშათა აუტანელი მდგომარეობა, მათი რევოლუციური წარსული. ამის შემდგომ მენარკვევე ხატავს თანამედროვე, სოციალისტურ დონბასს, ჩვენი ქვეყნის „სამაყო ცეცხლფარეშს“. ავტორი გატაცებით წერს: „ეს ის კუთხეა, სადაც ღირბი გლახის შვილმა ალექსი სტახანოვმა დაანთო სოციალისტური შრომის ჩაუქრობელი კოცონი, რომელშიც ფერფლად იქცა დამყაყებული მეცნიერების ქურუმთა დროშოქმული დოგმები და ფორმულები.“

...დღეს აქ მოსულან მზიანი საქართველოს შვილები — სახელოვანი მღაბროელები, რომელთაც სურთ ნახონ დონბასელთა საამური ცხოვრება, გადმოიღონ მათი მუშაობის სახელოვანი ტრადიციები. დონბასელები უნახავ, მონატრებულ მშენებელთა გარს ეხვევიან მათ და განუზომელი სიხარულით უამბობენ ბედნიერ აწმყოზე და ბრწყინვალე მომავალზე“.

1940 წელს, 3 მარტის გაზ. „კომუნისტიში“ მთელი გვერდი დაეთმო ილო მოსაშვილის ვრცელ ნარკვევს — „ბელლები სავსე, მარნები სავსე, გულიც სავსე“.

ნარკვევი ასახავს სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობების ცხოვრებას.

„ჩვენი ბელლები და მარნები სავსეა, კეთილი იყოს შენი მობრძანება!“ — ამ სიტყვებით ხვდებიან ქიზიყის ბედნიერი მშრომელები მწერალს, რომელიც ჩასულა მათთან, რათა გაეცნოს ახალი ცხოვრების მშენებლებს, განახლებული და აღორძინებული ქვეყნის მშენებლებს.

ავტორი იგონებს ამ მხარის შავბნელ წარსულს, „რამდენ ცეცხლს და ნაცარს წაუღევავს ეს მწვანე ველი, გომბორის ეს კალთები ზვრებითა და ბალებით დაფენილი; რამდენ ურდოსა და დამპყრობელს ჩაუყრია თავისი დაჩეხილი ძალები ყარაღაჩისა და ხირსა-ხორნაბუჯის ძველისძველ ნასახლარებში! იმ არემარეში სოფლები წაიშალა, ტყეები გახმა, ქები და წყაროები ამოშრა, დარჩა მარტო უზარმაზარი კურგანები — თეფები, უსახელო გმირთა — ჟამთა მანძილზე ეს დავიწყებული საძმო საფლავებია“. ახლა კი სხვა სურათია: „დგანან მდუმარე ბურჯები, საქმე გამოლეულნი, მათს საისრე-სათოფურებში მყუდროებაა, თოფის საწამლეებზე ხავსს გადაუვლია. საკოცონოები ჩამქრალა. სოფელში, გაზაფხულის ყუდროზე ძველ ამბებს იგონებენ. მათი დრო წასულა. წყალს ძველი ნაგუბარი მოუნახავს და საუკუნეების იქით აყრილი ხალხი თავის ძველ მიწა-წყალს დაბრუნებია“.

ავტორი იგონებს იმ დროს, როდესაც სიღნაღის მიდამოებში წყალი არ იყო: „წყურვილი ახმობდა დედამიწას, წყურვილი ჰკლავდა გუთნისდენდას და დილაბნელზე ნამიან ბალახს ლოკავდა. წყურვილით ფერდებდამწვარი ხარკამეჩი უღელში საბრალოდ ზმოდა“.

დღეს კი ახალმა ეპოქამ „ბუნების მრისხანე სტიქიონსაც ამოსდო ლაგამი და საუკუნეების მანძილზე მწყურვალე ალაზნის ველმა დიდი ალაზნის არხის ძაღლიანი წყალი დალია“. ამან კი გამოიწვია, ნახნავ-ნათესის გამარავლება, ბაღ-კენახების გადიდება... მენარკვევეს მოჰყავს ციფრობრივი მოწაცემები, თუ 1939 წლისათვის რამდენ ჰექტარს შეადგენდა ხორბლის, ქერის, შერის, ფეტვის, ვენახის, ხეხილისა და საძოვრების ფართობები.

ამასთანავე მოცემულია ცნობები, თუ რამდენი პროცენტით გადიდდა ცხვრის ფარა, რაოდენ იმატა ნახირმა და ჯოგმა, რაიონის კოლმეურნეებს პირად სარგებლობაში რამდენი მსხვილფეხა საქონელი, თხა, ცხვარი, ღორი, ცხენი, სახედარი ჰყავთ... დახასიათებულია მესაქონლეობის ფერმები, მწყემსების ყოფა.

მენარკვევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ დოვლათს, ამდენ ნახირსა და ფარას, გუთნეულსა და ხარ-კამეჩს ვერაფერი მოერეოდა და შექმნიდა, თუ არა მთელი მშრომელი გლეხობის გაერთიანება, საკოლმეურნეო შრომა...

აქ პირველი კოლმეურნეობა 1927 წ. ჩასახულა. მოთხრობილია, თუ თხუთმეტობედ უღარიბესმა გლეხმა სოფელ წნორში როგორ „გადაწყვიტა — საერთო ძალით შემოდნენ ქედმოუხრელ დედამიწას“.

ნარკვევში მოზრდილი ადგილი უჭირავს ძველი კოლმეურნის ნაამბობს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიქმნა აქ კოლმეურნეობა. ავტორი დასკვნის: ამ გლეხკაცის ნაამბობი „მთელი ჩვენი საკოლმეურნეო ცხოვრების მოკლე ისტორიაა. ეს არის ისტორია ჩვენი განახლებული, სოციალისტური სოფლის, მისი უდიდესი გამარჯვებების და მიღწევების, ჩვენი ახალი, საბჭოთა გლეხობის შექმნილი, ბედნიერი და საამური ცხოვრების ისტორია“.

14 კომლი დღეს 237 კომლად ქცეულა, ასი ჰექტარი მიწა — 1470 ჰექტარად. წინათ არც ერთი სული ცხვარი, ძროხა და ცხენი არ ჰყოლიათ; დღეს კი მათს მოწყობილ ფერმებში ორიათასსამასიანი ცხვრის ფარა, 327 ძროხა და ხარ-კამეჩი, 70 ცხენია.

ნარკვევში დაწვრილებით არის აღწერილი ბიბლიოთეკა, კლუბი, საბავშვო ბავა, დიდი საკოლმეურნეო მარანი, კეთილმოწყობილი ფერმები.

დახასიათებულია საკოლმეურნეო საქმის ერთუზისატები, მოწინავენი, ახალი ადამიანები, მათი თავდადება და ერთგული მუშაობა.

ნარკვევში ვეცნობით ტიბაანის სტეფანესუბნის შედარებით ახალგაზრდა კოლმეურნეობას. მოცემულია ვრცელი დიალოგი კოლმეურნეობის თავმჯდომარე დოლოზაშვილთან, საუბრიდან გვებულობთ, თუ რა გეგმები აქვთ დასახული ამ პატარა კოლმეურნეობის სულისჩამდგმელთ, როგორაა გაჩაღებული სტახანოვური შრომა, რა მოჰყავთ და რა რაოდენობით. ეს პატარა კოლმეურნეობა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია არა აქვს, დღეს ღონიერია. ვეცნობით სტახანოველ კოლმეურნეებს და მათს ჭეშმარიტად ისტორიულ საქმეებს.

ნარკვევი გვაცნობს აგრეთვე ქვემო მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის“, რომელიც ძირითადად მემინდვრეობას მისდევს. ეს ადგილებიც წინათ ხროკი და უდაბური იყო, დღეს კი სამასორმოცდათხუთმეტ კომლიანმა კოლმეურნეობამ 785 „მუშახელი დასჭიდა მიწას და ორივე ბეჭე დააწვინა“. ვეცნობით ახალ ადამიანებს: მიხეილ ნავროზაშვილის გამოცდილებას, მის შემართებასა და ავტორიტეტს.

ასევე საინტერესოაა დახატული სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის თურმან ტარყაშვილის სახე. ბოდბელებს

სოცშეგვირბებაში ჰყოლიათ გამოწვეული უკრაინის ზოლოტაევის ოლქის ჩაპაევის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობა.

ნარკვევში ჭეროვანი ადგილი ეთმობა მექანიზაციის პრობლემას: „მანქანა და ადამიანი ხამულდამოდ დამეგობრდნენ. მარტო მანქანას შეეძლო მიშველებოდა ადამიანს, მხოლოდ ადამიანისა და მანქანის შეერთებულ ძალას შეეძლო უჭიათ მიწასთან ბრძოლა და ჭიდილი“. „გუთნისდედა ტრაქტორზე გადაჯდა, ყახის მომკალი — კომბაინზე, მოთხნელ-მზარველი კულტივატორზე, მეურმე — ავტომანქანაზე, მანქანები ავგუგუნდნენ უძრავ და ხელუხლებელ ყამირებში, ახოვებში, ყანებში და ბალ-ვენახებში“, — მოხდენილად ამბობს მწერალი.

ნარკვევში სიღნაღი დახასიათებულია როგორც მექანიზაციის მხრივ რესპუბლიკაში ყველაზე მოწინავე.

მდიდარი ციფრობრივი მასალა მოხმობილი იმის დასახასიათებლად, თუ რა მიღწევები გაჩნდა ალაზნის სამანქანო-სატრაქტორო სადგურს ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში. ავტორს მასალა საფუძვლიანად შეუსწავლია.

ნახევნებია, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ტრაქტორისტებმა და კომბაინერებმა, შტურვალებმა, მექანიკოსებმა და მთელმა საინჟინრო-ტექნიკურმა პერსონალმა მანქანა-იარაღებზე ყოველდღიური ზრუნვით, საწვავისა და საცხები მასალის რაციონალური მოხმარებით.

„ჭერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინ ჭიზიყელი ქალი ცხენზე შეჯდომასაც კი თაკილობდა. ეხლა მინდორში თავის ვაეიშვილს, თავის ქმარს შესჯობრებია ტრაქტორის მართვაში და სჯობნის კიდევ. ცოლ-ქმარს ვინღა სჩივის, ნინო და მიტო გიგოლაშვილების თხუთმეტი წლის ვაეი ვანოც უკვე ტრაქტორისტია. მთელი მათი ოჯახი ტრაქტორზე შემჯდარა“.

ნარკვევში აღწერილია ჭიზიყის კოლმეურნეობებში კულტურული ცხოვრების წინსვლა: „საუტუნების მანძილზე სიბნელეში და უმეცრებაში ქედწახრილმა ხალხმა სინათლისკენ იბრუნა პირი. შინ თუ გარეთ, ურემზე თუ ტრაქტორზე, მინდორში თუ იალაღზე თავის საყვარელ ჩონგურთან და სალამურთან ერთად. მას დღეს წიგნი და გაზეთიც თან აქვს. ყურს უგდებს ქვეყნის ცხოვრებას, უნდა გაიგოს — რას ამბობს პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი“.

დემნა შენგელიას ნარკვევი „გურიანთა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 15 ივნისი) ასახავს მწერლის შთაბეჭდილებებს, რომლებიც მას შეუმუშავდა გურიანთის თემის ნახვით, თემისა, რომელიც ეწეო მიწებითა და სილაკაკით განთქმული იყო მთელ გურიაში. „გაჯავრებული გურული თავის გასათხოვარ ციკას ასე აშინებდა: — ჭკუთი იყავი, ცავე, თვარა გურიანთაში გაჯათხოვებო!“ ახლა კი გურიანთის კოლმეურნეობა, მწერლის სიტყვით, ერთი უმდიდრესი კოლმეურნეობათაგანია მთელ კავშირში და „გასათხოვარ ციკებს კი არ ეშინიათ, პირიქით, ნატრობენ გურიანთაში გათხოვებას“.

გურიანთის კოლმეურნეობას 1930 წელს ჩაჰყარა საფუძველი. ნარკვევში მოთხრობილია, თუ თანდათან როგორ გაიზარდა და გამდიდრდა აქაური კოლმეურნეობა, როდის რა მოსავალი მოიწია და როგორ გაიმართნენ წელში ღატაკი გლეხები. ყოველივე ეს განაპირობა ჩაის მოსავალმა.

მწერალი გურიანთას ეწვია თებერვლის თვეში, როცა „ოც-ოცდახუთ გრადუსიანი სითბოთი გაბრძელებულმა ტყემლებმა და ალუჩებმა კვირტი საყვავილედ გაბერეს, უეცრად ტაროსი შეიცვალა და ერთ დამეში წელამდე თოვლი დაჰყარა“.

„სახურავეებზე გასული ხალხი ხრილავს ოდებს, ბერტყავს ჭოკებით სა-
ტელეფონო ქსელს“. ავტორის ხატოვანი თქმით, „გუშინ ზღვასავით გალურ-
ჩებული და დღეს დათოვლილი ჩაის პლანტაციები სჩანან ლამაზად დალიანდა-
გებულ უზარმაზარ ლეიბებივით“.

მენარკვევე აქაურ სასახელო კოლმეურნესთან — მელენტი ქუტიძესთან
მიეშურება.

მენარკვევის მასპინძელი მელენტი 83 წლის მოხუცია, ბატონყმობა გუ-
შინდელ დღესავით ახსოვს, მაგრამ მაინც ჭარმაგად არის, ოდნავ წელში მოხ-
რილია.

იმართება დიალოგი სტუმარსა და მასპინძელს შორის, მელენტი ჰყვება
თავის ძველ ცხოვრებაზე, როცა სარჩო წლიდან წლამდის არ ყოფნიდა, ახ-
სოვს — ბატონყმობის დროს როგორ იტაცებდნენ „ქალბატონებს თათარი გა-
სასყიდად“. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ სიხარულით მღეროდნენ:

„ვარალალი — თარალალი,
ბატონყმობა აღარ არი.
სამოვარი რომ დაადგეს,
ჩამბერველი აღარ არი“.

მოხუცი კაცი არც შემდგომ ხანას იგონებს კეთილად: „არც მერე დაგვ-
დგომია უკეთესი დღე. ზეკუციები, ნადელები და ათასი გაჭირვება მაინც არ
მოგვიცოდა გლეხებს“.

მელენტი დღეს ბედნიერია, ახალმა დრომ მისი ოჯახი გააბედნიერა.

შალვა დადინი, „გასამართლება“, (გაზ. „კომუნისტი“, 1936, 8 მაისი).

ორიგინალური მხატვრული ნარკვევი იწყება „უცნაური სასამართლოს“
გაცნობით: თამეჯდომარეობს ჩ ვ ე ნ ი ე პ ო ქ ა, ასამართლებენ მ ე ც ნ ი ე რ ი-
კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი, ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი ა კ ო ლ ხ ი დ მ შ ე ნ ი.

ბრალდებულთა სკამზე სხედან: კოლხიდის ჭაობიანი დაბლობი, რიონი,
ცხენისწყალი, მალთაყვა და სუფსა, ცია და ციეი, პიჩორი და კაპარჭინა, ნაბა-
და და ჭურია, ხობი და ტეხური, პალიასტომის ტბა, კოლო, ქალაქი ფოთი.

დამცველი მხოლოდ ქალაქ ფოთს აუყვანია — ცნობილი მწერალი და
პუბლიცისტი იაკობ ფანცხავა, ერთ დროს ფოთის ქალაქისთავად ნამყოფი.
აქვეა შალვა დადინი, ვაზეთის კორესპონდენტი.

„თავს გრძნობს თუ არა დამნაშავეებად?! — ეკითხებიან ბრალდებულებს.
„ეტყობა, დამნაშავეებს, უმეტესობას მაინც, არც კი შეუგნიათ თავიანთი და-
ნაშაული. განსაკუთრებით კოლხიდის დაბლობს, რომელიც თითქოს გამოლენ-
ჩებულაო, ნესტოებიდან გადმოდენილი „ლეყვი“ მწვანე-ყვითლად ჩამდინა-
რებს გულმკერდზე, სურდო სჭირს ქრონიკული და რაღაცას თითქო ბუყბუ-
ყებს“. ასევე „ტეხურს ძალზე ჩაუყდნია თავი, გრძნობს, რომ დამნაშავეა,
ფოთი მარად წამოხტება და თავს ნაწილობრივ თელის დამნაშავედ: რიონმა
თავი დამნაშავედ რცნო, ცხენისწყალი აცხადებს, რომ იგი არაფერ შუაშია“...

ამ ალეგორიულ სიტუაციებში მონაწილეობენ რეალური პიროვნებები —
ფოთის აღმასკომის თამეჯდომარე ვანო ფაჩულია, დამსახურებული ექიმი კო-
წია მიქაბერიძე, ფოთის ქალაქკომის მდივანი გრიგოლ მალანია, ინჟინერი ივ-
ლიანე ნოდია, კოლხიდმშენის მთავარი ინჟინერი გრიგოლ გეგეჭკორი და სხე-
ბი. იაკობ ფანცხავა სასამართლოს აცნობს ფოთის ისტორიას.

ნარკვევში დამოწმებულია ანტიკური ავტორები — ქსენოფონტი, სტრაბო-
ნი, პეროდოტე, სტეფანე ბიზანტიელი, არიანე, პიპოკრატე და სხე.

ჩხვ. 14.8.71

პარპინის საბ. საბ. სერია
საბიბლიოთეკო
ბ ი ბ ლ ი ო ტ ო რ ი ა

დახასიათებული ძველი კოლხიდა, როგორც ნესტიანი, ჭაობიანი ცხოვრებლად უვარგისი ქვეყანა.

ამრიგად, დღის წესრიგში დგას კოლხიდის ჭაობის დამშრობის პრობლემა. საუბარია იმაზე, რომ ჭაობების დასაშრობი არხები წინათაც იყო, გაიხსენეს ნიკო ნიკოლაძის დროინდელი სიტუაციებიც..., მაგრამ მდგომარეობას მაინც არაფერი ეშველა.

ქალაქკომის მდივანი აცხადებს, რომ ფოთი იღვიძებს საუკუნეობრივი ძილისაგან, ბოლშევიკებმა „ხერხემალი გადაუტეხეს“ მაღარიას, უქმურს... ბრალმდებელი ინჟინერი ნოდია ამომწურავად ახასიათებს კოლხიდის ჭაობიან დაბლობს, მის სიგრძე-სიგანეს, მდინარეთა სისწრაფეს და მოდუნებას, წვიმებისა და ქარების ტემპებს, დაჭაობების მიზეზებს — ბუნებრივსა და ხელოვნურს, „მდინარეების და ზღვის ნაეშმაკვეს, რკინის გზიდან გადნაყარ მიწისაგან უადვილო ადგილს შექმნილ დამბებს, გაუვალ ტყეთა ხასიათს და სხვ., იშველიებს ტოპოგრაფიას, გეოლოგიას, კლიმატურ პირობებს“...

ნარკვევში ლაპარაკია ციტრუსების, ევკალიპტის და სხვ. კულტურების გაშენიანების პერსპექტივებზე.

სასამართლოს შესვენების შემდეგ მენარკვევე ხედება აქ ჩამოსულ მწერლებს, რომლებიც აცხადებენ, რომ კოლხეთის პრობლემას სერიოზული შესწავლა სჭირდება; აუცილებლად ჩათვალეს კოლხიდის მშრომელი ადამიანების გაცნობა, ყოფა-ცხოვრებაში ჩახედვა, „კოლხიდის სტიქიონის“ გაგება და ა. შ. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა კოლხიდის შესახებ მონუმენტური ნაწარმოებების შექმნა და ა. შ.

საინტერესოა სასამართლოს განაჩენი: „მ დ ი ნ ა რ ე ბ ს — მიესაჯათ სასტიკი იზოლირება დამბებისა და არხების საშუალებით და ამის შესრულება დაევალა ამაში დახელოვნებულს ინჟ. პანტე გაბუნიას.

პირადად რ ი ო ნ ს კ ი — სამუდამო გადასახლება ნაბადაში.

კოლოს — სოციალური თავდაცვის უმაღლესი ზომა.

კოლხიდის ჭაობს — საბოლოოდ გამოსასწორებლად მოთაესება კოლხიდ-მშენის საკონცენტრაციო ბანაკში.

განაჩენი საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება“.

მენარკვევე დასძენს: „ქარგად ვიცი, რა აღტაცებელიც არის მშრომელი მოსახლეობა ამ განაჩენით და ამას აღარ ავწერ“.

მწერალი გამოდის სასამართლოდან და მას იპყრობს ოცნება: „უკვე ეხედავ ახალ კოლხეთს. ამ 217 ათას ჰექტარზე გაშენებულ ახალ დაბა-სოფლებს“.

ყურადღებას იპყრობს ნარკვევის ენა: ლექსიკურად მდიდარი, იდიომური გამოთქმებით დატვირთული, ხატოვანი, მეტაფორული მიმოქცევებით აღსავსე.

როგორც ვხედავთ, ქართული საბჭოთა ნარკვევი სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცების პერიოდში ხელს უწყობდა ადამიანთა მრავალმხრივ განვითარებას, მათში მაღალ მორალურ-პოლიტიკურ თვისებათა ჩამოყალიბებას, მუშების, კოლმეურნე გლეხების, ინტელიგენციის იდეურობისა და პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებას.

ქართულ საბჭოთა ნარკვევებში ასახული იყო ჩვენი ქვეყნის მშრომელების ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის.

კ. შ. დზიძიგური

ГРУЗИНСКИЙ СОВЕТСКИЙ ОЧЕРК ПЕРИОДА РАЗВИТИЯ И УКРЕПЛЕНИЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА

Резюме

Грузинский советский очерк в период развития и укрепления социалистического общества способствовал всестороннему развитию людей, формированию высоких морально-политических свойств, повышению идейности и политической сознательности рабочих, крестьян и интеллигенции.

В грузинском советском очерке была отражена борьба тружеников нашей страны для выполнения пятилетнего плана, развертывания всенародного социалистического соревнования и стахановского движения и поднятия сельскохозяйственного производства.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეურნა-
ლისტიკის ფაკულტეტის მასობრივი ინფორმაციისა და
პროპაგანდის საშუალებათა ფუნქციონირებისა და
ეფექტურობის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატო-
რია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა

ზორის ღარისა

ვახტანგ მიქაძე — ქართული ლექსთაწარმოის განმარტებელი⁴⁷

ნაშრომის წინა ნაწილში განხილული მასალებიდან არ ჩანს და ვერ ვიტყვი, როცა სხვადასხვა რაოდენობის სტრიქონიან ლექს-სტროფებს ქმნიდა ვახტანგი, მიზნად ჰქონდა თუ არა მას ახალი სალექსო ფორმების შემოტანა ქართულში. თუ ვახტანგს ამ შემთხვევაში ამგვარი განსაზღვრული მიზანდასახულება არ ჰქონდა, როგორც წერილის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, ამ საქმეში ქვეცნობიერად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მის ნოვატორულ-შემოქმედებით ბუჩუბას.

ქართული ლექსის განახლებისათვის ვახტანგის დაუცხრომელ და მიზანსწრაფულ ზრუნვას თვალნათლივ ავლენს მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკი“ და მასზე დართული ვახტანგის ლექსები. ამ უნიკალურ პოეტიკურ ნაწარმოებში ბოლოს, ე. წ. ქრესტომათიულ ნაწილში, გადამწერის ხელით შეტანილია ვახტანგის სამი ლექსი⁴⁸: „მეფისვე ნათქვამი უწყვეტელი“ (გვ. 136), „მეფისვე ნათქვამი ბოლოერთი“ (გვ. 136—137) და „მეფისვე ნათქვამი“ (გვ. 137). სამივე ლექსი ფორმის მხრივ გარკვეული სიახლეების შემცველია.

„უწყვეტელი“ 20-მარცვლიანი, შიდა-რითმიანი, მრავალსტრიქონიანი ლექს-სტროფია, სადაც სტრიქონის მეორე ნახევარში ბოლომდე უცვლელად მეორდება ერთი და იგივე რეფრენი:

„რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
 მეგონა რამე, სოფლ[ისა] რამე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
 მოყვე სოფელსა, ავის მყოფელსა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
 განცხებო, ვიშვებდი, ვერ გავიშვებდი, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
 მატებო, მაგემა არად სარგემა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!...“ და სხვა.

ჩანს, ამ უწყვეტი რეფრენის გამო ეწოდება მას უწყვეტელი.

ეს ლექსი, თანახმად ალ. ბარამიძის მითითებისა, ჩაბრუნხულის ტიპისაა, ოღონდ „ვახტანგს არსებითად შეუცვლია ჩაბრუნხულის ლექსის კილოც და კონსტრუქციაც. ჩაბრუნხული ჩვეულებრივად იხმარებოდა სასობტო-საზეიკო ლექსებისათვის. ვახტანგს კი ოცმარცვლიანი საზომით გადმოუცია მძაფრი პესიმისტური განწყობილება. კონსტრუქციის მხრივ ვახტანგს დაურღვევია ჩაბრუნხული ტაევის მეორე ნახევრის სქემა... ჩაბრუნხულის კლასიკური ფორმიდან ვახტანგს შენარჩუნებული აქვს მარცვალთა რაოდენობა და პირველნახევარ ტაეპთა შინაგანი რითმა“⁴⁹. ნათქვამს უნდა დაემატოს ისიც, რომ ვახტან-

⁴⁷ გავრცელება. დასაწყისი — „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 2.

⁴⁸ მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1969. ტექსტი აქ და ქვემოთ მოვეყვას ავტორიზებული, — ვახტანგის ხელში ნამყოფი, ლენინგრადის სალტოკო-შჩედრინის სახელობის საქარო ბიბლიოთეკის ითანე ბატონიშვილის კოლექციამი დაცული № 36 ხელნაწერის მიხედვით.

⁴⁹ ნარკვევები...II, გვ. 451.

გის „უწყვეტელი“ ჩახრუხაულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება აგრეთვე სტროფული სტრუქტურითაც: ჩახრუხაული 4-სტრიქონიანი სტროფია, რომელიც ერთი საერთო ბოლორიტით არის შეკრული. „უწყვეტელი“ კი, მსგავსად ზემოთ აღნიშნული სტროფთა სახეობებისა, მრავალსტრიქონიანი ლექს-სტროფია, რომელსაც, ნაცვლად ერთი საერთო სიტყვისა, ერთი, მთლიანი, რეფრენული ფრაზა აერთიანებს.

მაშასადამე, ვახტანგის „უწყვეტელი“ ჩახრუხაულისაგან განსხვავდება როგორც სტროფის აგებულებით, სტროფში ტაქთა რაოდენობით, ისე სტრიქონთა მეორე ნახევრის თავისებურებით.

თვით ჩახრუხაულისათვის ვახტანგს მხოლოდ ერთხელ მიუძღრათავს. ეს არის ერთი სტროფი, რომელიც ერთვის მის გრძელ „ანბანთქებას“, სადაც ბოლო რითმები ომონიმურია:

„ყოფთ არს არა ვის, ეთქვა არავის, თუ ვინ აწ ბრძანებს, ვეჭვ არს შემდგომი;
ვმონე ჭრისტესა, მას ჩემსა მწესა, უნდო, არ კეთილთ ფრიად შემდგომი,
ამას ლექსეაში ვიყავ მწვე ვაში, ნუ ეკეთ მყოლოდეს შემწე შემდგომი,
და ბრძენთ დავაზრლო, უცებთ ვერ მრავლო, რომ ზარ რიტორთა გზაზე შემდგომი“⁵⁰.

„მეფისვე ნათქვამი ბოლოერთი“ 16-მარცვლოვანი შაირით დაწერილი 5-სტროფიანი ლექსია, მაგრამ, როგორც ამავე ტიპის მომდევნო ლექსის („მეფისვე ნათქვამი“) შესახებ ალ. ბარამიძე შენიშნავს, „ბოლოერთი“ „რუსთველური შაირის სტროფის გადახალისების მაუწყებელია“⁵¹. კლასიკური შაირისაგან იგი ორი ნიშნით განსხვავდება: ყოველი მეოთხე სტრიქონი წარმოადგენს რეფრენს — „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა // წყალობითა აღმიმართეს საკვლად ჭვარი!“ მეორე ნიშანია—ერთი, საერთო რითმის გამოყენება; ხუთივე სტროფში ერთი რითმაა — „...არი“:

„მე შევაგე ცა, ქვეყანა, ზღვა, მთა, ველი, ნყოფთ გვარი,
აბრამს უხმე საყვარელად, ძეთ აღვითქვი თმთა მზღვარი,
განვაამიდრე, განვაბრავდე, ზეცით მოვეც ნყოფთ ცვარი,
ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვლად ჭვარი.
შევაძრწუნე მეგვიტელნი, რისხვით მივეც დანამწვარი...“ და სხვა.

შემდეგი საერთო სიტყვებია: „მყვარი“, „განავარი“, „გვარი“, „მოარი“, „ღვარი“ და ა. შ.

ეყრდნობა რა „ქაშნიკის“ ტერმინოლოგიას, ა. ხინთიბიძე წერს: „მეფის თქმული ბოლოერთი“ მონორითმიანი ლექსია. ხუთივე სტროფი ერთი საერთო რითმით არის შეკრული. სახელწოდება ბოლოერთი სწორედ ამის მაუწყებელია“⁵².

ამ ტიპის ლექსების გაცნობა გვიჩვენებს, რომ ერთრიტმიანობასთან ერთად მათთვის დამახასიათებელია მეოთხე სტრიქონად რეფრენის გამოყენება, რომელიც სტროფთან გართიმულია. ამიტომ ვფიქრობთ, ვახტანგის „ბოლოერთში“ არა მარტო რითმთა ერთიანობა⁵³, არამედ მასთან ერთად ბოლო. მე-

⁵⁰ ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 67.

⁵¹ ნარკვევები..., II, გვ. 451.

⁵² ა. ხინთიბიძე, ქაშნიკი ქართული ლექსმცოდნეობისა, წიგნში: მამულკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, თბ., 1981, გვ. 61.

⁵³ მონორითმიანია ვახტანგის ზემოთ მოთხრობული 5-, 6-, 7-, 8-, 9-, 10-, 11-, 12-, და მეტ-

ოთხე სტრიქონის ერთიანობაც იგულისხმება. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს დავით გურამიშვილის ლექსი „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, სადაც რეფრენულია როგორც ბოლო, მეოთხე სტრიქონი, ისე თავი — პირველი სტრიქონი. აქ 11 სტროფში პირველ სტრიქონად მეორდება „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მივიჩინესო!“ 12 თუ 13 სტროფში ბოლო სტრიქონად მეორდება „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“⁵⁴.

ერთი საერთო რითმა „მეფისვე ნათქვამ ბოლოერთს“ ერთ გამბეულ მრავალსტრიქონიან ლექს-სტროფად წარმოგვიდგენს. სწორედ ამ სახით იკითხება იგი „ქაშნიკის“ ავტორიზებულ, ლენინგრადულ ხელნაწერში. აქ ეს ნაწარმოები სტროფებად დაყოფილი არ არის. სტროფგამყოფი „და“-ც მხოლოდ ერთხელ, სულ ბოლოს, თხზულების დასასრულს არის გამოყენებული. აქედან, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ერთხელ კიდევ ჩანს ვახტანგის მიდრეკილება მრავალსტრიქონიანი ლექს-სტროფების შექმნისაკენ, რომელიც ერთი და იმავე ელვრადობის უხვ სარითმოდ სიტყვების დაძებნის ხელოვნებას მოითხოვს. მეოთხე სტრიქონად რეფრენის გამოყენება კი აზრობრივად, — ემოციურად და ფორმის მხრივაც სტროფებად კრავს ლექსს.

„ბოლოერთს“ საყურადღებო მსგავსება აქვს სულხან-საბა ორბელიანის ეულ „ქილილა და დამანაში“ არსებულ ლექსთან „ჩაბრუნაული ძაგნაკორულად“⁵⁵. ეს ლექსიც, მსგავსად „ბოლოერთისა“, შედგება ხუთი 4-სტრიქონიანი სტროფისაგან, რომელსაც ბოლორიტმები ერთი აქვს და ყოველი სტროფის შემდეგ მეორდება ლექსთან ბოლორიტმით დაკავშირებული რეფრენი — „ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა გასაქრომელად“. „ბოლოერთსა“ და ამ ნაწარმოებს შორის განსხვავება მხოლოდ საზომშია. სულხანის ლექსი ჩაბრუნაულითაა დაწერილი, „ბოლოერთი“ კი შაირია.

როგორი ლექსია ძაგნაკორული, მით უფრო, როგორი იყო მისი თავდაპირველი სახე, — სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი არ არის⁵⁶. თუ სულხან-საბა ორბელიანმა იცოდა ლექსის ეს სახეობა, უნდა ვიგულისხმობთ, არც ვახტანგისათვის იქნებოდა იგი უცნობი, ყოველ შემთხვევაში სულხან-საბას ლექსის შემდეგ მაინც, რომელიც მამუკა ბარათაშვილის თავის „ქაშნიკში“ საინიშნოდ აქვს შეტანილი. რადგან ვახტანგი თავის ნაწარმოებს სხვა სახელით ნათლავს, შესაძლებელია ვიფიქროთ, „ბოლოერთსა“ და ძაგნაკორულს იგი სხვადასხვა სახეობის ლექსებად თვლის. გამორიცხული არ არის, მას მხედველობაში ჰქონდეს საზომი, მაგრამ ჩვენ ეს გვეუკუება. საქმე ის არის, რომ ვახტანგი თავის ლექსს სწორედ ბოლო ერთს უწოდებს, ხოლო მისი ფორმა, — რითმებისა და მეოთხე სტრიქონთა ერთიანობა, — იმასვე გამოხატავს, რითაც სულხანის ლექსი ჩაბრუნაულიაგან განსხვავდება და რაც ზოგიერთი მკვლევრის მიერ ძაგნაკორულის თავისებურებად არის მიჩნეული. თუ მართლაც ძაგნაკორულისათვის 20-მარცვლიანობა და აღნიშნული ერთიანობაა

სტრიქონიანი ლექს-სტროფები, აგრეთვე „ქილილა და დამანაში“ ჩართული სულხან-საბა ორბელიანის ლექსები „შეწყობილი“ და სხვა.

⁵⁴ დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1955, გვ. 43.

⁵⁵ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, 1962, გვ. 400; ქილილა და დამანა, თბ., 1975, გვ. 596.

⁵⁶ ვ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 74—82; მ. თოდუა, ტექსტიკისათვის, ქილილა და დამანა, 1975, გვ. 128—129.

სპეციფიკური, მაშინ, სულხანის ლექსის ანალოგიით, მოსალოდნელი იყო, ვახტანგს თავისი ნაწარმოებისათვის ეწოდებინა „შირი ძანაკორულად“. რადგან ამგვარი რამ არა გვაქვს, ექვს ბადებს, ძანაკორულსა და ბოლოერთს შორის, გარდა ზომისა, კიდევ სხვაც ზომ არ არის სხვაობა? კერძოდ, შეიძლება დავსვათ საკითხი: იქნებ თავიდან ძანაკორულისათვის რითმათა ერთიანობა სავალდებულო არ იყო და სულხანის ლექსში მას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს, ხოლო მომდევნო ხანის ამგვარი ლექსები სულხანის ლექსიდან იღებდეს სათავეს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სულხანის ლექსში სტროფები გამოყოფილია „და“ კავშირით, ვახტანგის „ბოლოერთი“ კი, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანი ლექს-სტროფი.

შესაძლებელია სხვა ყარაულების დაშვებაც. ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ ვახტანგი იმდენ მნიშვნელობას არ ანიჭებდა თავის თხზულების ორიგინალობას, რამდენადაც ჩვენ, მკვლევრები ვეძებთ და ყურადღებას ვაქცევთ მას.

ასეა თუ ისე, ვახტანგის „ბოლოერთი“ თავისი ფორმით ახალი და გამორჩეული ლექსია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ის რითმითა და რეფრენის ერთიანობით ენათესავება სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებს „ჩახრუხაული ძანაკორულად“, მაგრამ მისგან განსხვავდება ზომით.

„ბოლოერთი“ რეფრენის ხმარების მხრივ ენათესავება აგრეთვე „ქილილა და დამანაში“ ჩართულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსს „უცხო“⁵⁷. ესეც ხუთი 4-სტრიქონიანი სტროფისაგან შედგება და მეოთხე სტრიქონად აქაც ვაშოკენებულია რეფრენი — „ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხენილია“. მაგრამ ვახტანგისა და სულხანის ამ ნაწარმოებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებანია. პრინციპული განსხვავება არის სწორედ რეფრენის ხმარებაში. „ბოლოერთში“ რეფრენი ორგანულად ერწყმის სტროფს — იმავე ზომის არის, რაც ლექსია და შერთმულია სტროფთან. „უცხოში“ პირიქითაა: თითოეული სტროფის წინა სამი სტრიქონი 10-მარცვლოვანია, მეოთხე, რეფრენი — 13-მარცვლოვანი და რითმის მხრივ განყენებულია, არავითარი კავშირი არა აქვს არც სტროფთან და არც, საერთოდ, ლექსთან.

სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ სხვა განსხვავებათა შესახებ, რადგან მათ ჩვენს საკითხთან პირდაპირი კავშირი არა აქვს („უცხოში“ არ არის მონორითმიანობა, სამაგიეროდ პირველი სტრიქონები შიდარითმიანებია და სხვა).

„ბოლოერთის“ ანალოგიურია „ქაშნიკში“ მოთავსებული ვახტანგის მომდევნო ლექსი „მეფის ნათქვამი“, რომელიც ორი სტროფისაგან შედგება:

„შურით აღვსნენ უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა,
 სიკვდილს ზრახედენ უწესოდ, თუ ღრო დაიციენ ეამისა,
 უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირავს ამისა,
 და ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გეამისა,
 მღვდელთ-მომღერისას[ა] მივიდენ გასატანველად ეამისა,
 ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდენ წამ-და-წამისად,
 და ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!“.

⁵⁷ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II₂, 1962, გვ. 46—47; ქილილა და დამანა, 1975, გვ. 130—134; 704; გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, 1937, 71—74.

როგორც ვხედავთ, აქაც იგივე აღნაგობა გვაქვს, რაც „ბოლოერთშია“ — ერთი საერთო რითმა და სტროფთან ორგანულად, რითმით დაკავშირებული რეფრენი. ამ ლექსებს შორის განსხვავება არის მხოლოდ სტროფთა რაოდენობასა და შაირის სახეობაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „მეფისე“ ნათქვამი ბოლოერთი“ ხუთსტროფიანია და მაღალი შაირით არის დაწერილი, „მეფისე ნათქვამი“ ორსტროფიანია და დაბალ შაირს წარმოადგენს. ეს სხვაობა დღეს, რა თქმა უნდა, მათ, როგორც ლექსის განსხვავებულ სახეობათა, განმსაზღვრელად არ გამოდგება.

აქაც დაახლოებით იგივე საკითხები დგება, რაც „ბოლოერთსა“ და ქაგანკორულის ურთიერთმიმართებაში გვქონდა. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ „მეფისე ნათქვამს“ არ ახლავს მითითება, რომ ესეც ბოლოერთია, მაშინ როდესაც იმის აღნიშვნა არ დაიწყინათ, რომ იგი „მეფისე ნათქვამია“. ეს ფაქტი და ის გარემოება, რომ „ჰაშნიკზე“ დაბოლოებული ვახტანგის ლექსები სახეობრივად ყველა განსხვავდება ერთმანეთისაგან და, ჩანს, ყველანი სწორედ სიახლის მიზნით არის შეთხზული და ამ კრებულში შეტანილი, — ყოველივე ეს ექვს ბადებს, იქნებ ავტორს აღნიშნული ლექსები სრული იდენტური სახეობის თხზულებებად არ მიაჩნდა, ან თავიდან ასეთებად გათვალისწინებული არ ჰქონდა. მაგალითად, თუ ბოლოერთი ლექსისათვის მართლაც ერთი საერთო რითმა და მეოთხე სტრიქონად სტროფთან შერთმული რეფრენია სპეციფიკური, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, შესაძლებელია „მეფისე ნათქვამში“ მონოროთმიანობა შემთხვევითი ხასიათისა იყოს; ავტორს ორივე სტროფი ერთობიანი უნებურად გამოუვიდა. ამგვარ ექვს რამდენადმე ისიც აძლიერებს, რომ „ჰაშნიკის“ ავტორიზებულ, ლენინგრადულ ხელნაწერში, „ბოლოერთისაგან“ განსხვავებით, ორივე სტროფს ახლავს სტროფგამყოფი „და“; თანაც, პირველ სტროფში სარიტმო სიტყვებიდან მინდორზე გამოტანილია ბოლო ორი ასო — „სა“, მეორე სტროფში — მხოლოდ ერთი ასო „ა“, როგორც ჩვეულებრივ არის დამახასიათებელი ამ ხელნაწერისათვის. შეიძლება კიდევ სხვა მოსაზრებათა გამოთქმაც, მაგრამ, როგორც ვთქვით, ყოველივე ეს მხოლოდ ეჭვებისა და შორეული ვარაუდების სფეროს განეკუთვნება. სინამდვილეში, „მეფისე ნათქვამი ბოლოერთი“ და „მეფისე ნათქვამი“, ორივე, ერთი სახეობის ლექსია, ერთი მაღალი და მეორე დაბალი შაირით დაწერილი და, თუ ამ უკანასკნელსაც არ აწერია „ბოლოერთი“, ეს უფრო შემთხვევითი უნდა იყოს.

დასასრულ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოერთის სახეობის ლექსებს ქმნის დავით გურამიშვილი. ასეთია მისი „ვედრება ლეთის-შშობლისა დავითისაგან, ოდეს იმ ზეით თქმულს ლოდ-გამოკვეთილს კლდეს შეაფარა ავისდროს მიზეზით, ბოლოერთი“⁵⁸. როგორც ვთქვით, ძირითადად ასეთივეა მისი „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“.

„ჰაშნიკის“ ბოლოს ვახტანგის ხელით ჩაწერილია მისი ლექსი „მეფის ნათქვამი ლექს-ამბავი“⁵⁹. ეს არის 16-მარცვლოვანი შაირით შეთხზული მრავალსტრიქონიანი ლექსი, რომელშიაც ტაქტოლოგიურ რითმად გამოირჩეულია ერთი და იგივე მიმართვის სიტყვა „მეფეო“:

⁵⁸ დასახ. გამოცემა, გვ. 86. იხ. აგრეთვე „სიმღერა დავით გურამიშვილისა, ტყვეობიდან გამოსვლის დროს დავითის შესხმა“, გვ. 111, სტროფი. 2, 2.

⁵⁹ მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 137—138.

„საწუთროს ბალი რა ჭონდა, სკან, ალექსანდრეს, მეფეო, იდგა ყვაელი მრავალი, სახელის სუნი, მეფეო, მის ფშვას ალესო ქვეყანა სხვადასხვა რივთა, მეფეო, შება ვარდისა მრავალფრად გაშლილი შოვა, მეფეო, სხვათ ღინისა შროშანი ვია ფერადნი, მეფეო...“ და სხვა.

თავისი შინაარსითა და ფორმით ეს ნაწარმოები მართლაც სასაუბრო კილოზე დაწერილი ამბის თხრობაა და ერთგვარი თავისუფალი ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამგვარი სახეობის თხზულება ძველ ქართულ პოეზიაში მანამდე არსად დასტურდება.

„ქაშნიკში“ ვახტანგის ლექსებში მოთაქსებულია „ვახტანგური“⁶⁰. სამეცნიერო ლიტერატურაში მისი ავტორი გარკვეული არ არის. სათაურის გამო იგი მიჩნეული იყო ვახტანგის რომელიღაც უცნობი ლექსის წაბაძვით. მისი მეტრის კვალობაზე შეთხზულ ნაწარმოებად. აქედან მსკვლობდნენ ვახტანგის იმ „დაკარგული“ ლექსის თავისებურებებზე⁶¹.

„ვახტანგური“, ვახტანგის ხელით შესრულებული, რედაქციული და ვარიანტული სახესხვაობით აღმოჩნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების E—106 ხელნაწერში (ფურცელი 6, ფრაგმენტი XII). აქ ფიქსირებულია ამ ნაწარმოების შექმნის პროცესი. ამ მასალითა და ლექსის თემატიკურ-შინაარსობრივი და სტილისტური ანალიზით ირკვევა, რომ „ვახტანგური“ ვახტანგ მეექვსის ორიგინალური ნაწარმოებია⁶².

„ვახტანგური“ 5-სტრიქონიანი, არათანაბარმარცვლიანი, ჰეტერომეტრული ლექსია. პირველი სამი სტრიქონი 16-მარცვლოვანია, მეოთხე — 13-მარცვლოვანი, მეხუთე, ბოლო სტრიქონი კი — 19-მარცვლოვანი (პირველ ვარიანტში — 17-მარცვლოვანი):

„ორი მისი თვალი, — ორი ჯვრანი, ბოლოს შვრელი,
 კელუცობის ძალით ვაის მწვენელი, გულზე მწერელი,
 ნახეთ, მოყვანო, საყვარელი ჩემი, თვალის მყერელი,
 იმას უცხოთ ვავს ის ტურფა დაუჯერელი,
 არა, არა, ის არ არი, მე საყვარელს ვეცნობ მისი შვრელი“.

ვახტანგის 5-სტრიქონიანი ლექსების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება არათანაბარმარცვლოვან სტრიქონიან სტოფებს, სამეცნიერო ლიტერატურაში მის პირველ შემომტანად ჩვენში დ. გურამიშვილია მიჩნეული⁶³. დ. გურამიშვილზე ადრინდელი „ვახ-

⁶⁰ იქვე, გვ. 137.

⁶¹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 452; ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1947, გვ. XVI, 174; 1975, გვ. 164; გ. შიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 54.

⁶² ამ საკითხზე ვრცლად ცალკე ნარკვევში გვექნება მსკვლობა.

⁶³ ა. ვაწერელია, რჩეული ნაწერები, III, (1), გვ. 215 და შემდგომი.

ჰეტერომეტრულ ლექსად თვლის ა. ხინთიბიძე მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკში“ დამოწმებულ მის ლექსს „გრძელდი შაირი სამკვეთი“ (ა. ხინთიბიძე, ლექსმცოდნეობის საკითხები, თბ., 1965, გვ. 75, 109; მისივე, პოეტიკური ძიებანი, თბ., 1981, გვ. 170). მართლაც შესაძლებელია, ეს ლექსი, ისე როგორც მ. ლარაძის „ყარბული“ და სხვები, არათანაბარმარცვლოვან სტრიქონიან სტოფებად დალაგდეს, მაგრამ ერთი ამჟამად, რასაც თვით ა. ხინთიბიძე აღნიშნავს, მათ ავტორებს ისინი ჰეტერომეტრულ ლექსებად ჩაფიქრებული არ ჰქონდათ.

ტანგურია“, ხოლო კიდევ უფრო ადრინდელი „ქილილა და დამანაში“ ჩართულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსები „უცხო“ და მეორე „იამბიკო“ ჩანს. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ „უცხო“ 10-მარცვლიანი საზომით შესრულებული 4-სტრიქონიანი ლექსია, სადაც მეოთხე, ბოლო სტრიქონი, რომელიც ლექსს რეფრენად გასდევს, 13-მარცვლოვანია. სულხანის „იამბიკოში“ („მრავალთა ეამთა მოგებად...“) პირველი ოთხი სტრიქონი 13-მარცვლოვანია, მეხუთე — 16 მარცვლოვანი⁶⁴. როგორც ვხედავთ, „ვახტანგური“ „უცხოსა“ და ამ „იამბიკოსაგან“ განსხვავდება როგორც სტროფის აგებულებით, ისე რიტმული წყობითაც.

მაშასადამე, ვახტანგ მიქქვეს ქართულ მწერლობაში ჰეტერომეტრული ლექსების პირველ შემოშენებას რიცხვშია და ავტორია ამ სახის ორიგინალური მეტრული წყობის ლექსისა.

„ქაშნიკის“ ლენინგრაძულ ხელნაწერში ვახტანგის ლექსების რიგში, „მეფის ნათქვამსა“ და „ვახტანგურს“ შორის⁶⁵, ვახტანგის ხელით ჩაწერილია „მუხრანული“ (გვ. 15)⁶⁶. თუ ვინ არის მისი ავტორი, ამის შესახებ არსად არაერთი ცნობა არ მოიპოვება. იმის გამო, რომ „მუხრანული“ ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი და ჩაწერილია ვახტანგის ლექსებს შორის, აგრეთვე, მისი შინაარსობრივ-სტილისტური მონაცემებით, ვთვლით, რომ „მუხრანულიც“ ვახტანგის ორიგინალური ნაწარმოებია⁶⁷.

ლენინგრაძულ ხელნაწერში „მუხრანული“ ვახტანგს შუაზე გაყოფილად, ორ სვეტად ჩაუწერია, ისე, რომ, ერთი შეხედვით, გვერდი-გვერდ დაწერილი ორი სტროფი გვეგონებათ:

სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო,
 მოიმკე და შეიკრიბე, ძალო,
 მტერი რომ მზერს დასაწველად, ძალო,
 რა მას დასცემ, მოისვენებ, ძალო,

თუ მოიმკე, კეთილსა იქ, ძალო,
 საუკუნოდ არ წახდების, ძალო,
 მას შეები გულმესისხლედ, ძალო,
 ორსავე სოფელს სახელს პოეებ, ძალო!⁶⁸

„ქაშნიკის“ გ. ავალიშვილის გადაწერილ ხელნაწერში და აქედან გამოცემებში იგი გაერთიანებულია ერთ 20-მარცვლიან სტროფად:

„სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო, თუ მოიმკე, კეთილსა იქ, ძალო,
 მოიმკე და შეიკრიბე, ძალო, საუკუნოდ არ წახდების, ძალო...“ და ა. შ.

ამ ლექსის ფორმის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. გ. მიქაძე მას 20-მარცვლიან, 4-სტრიქონიან, შინაგან-გარეგან რით-

⁶⁴ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, 1962, გვ. 223; ქილილა და დამანა, 1975, გვ. 130, 401.

⁶⁵ „ქაშნიკის“ გ. ავალიშვილის გადაწერილ ხელნაწერში სულ ბოლოს არის გადატანილი
⁶⁶ მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 137.

⁶⁷ ამ საკითხზეც ცალკე, სავანებო ნაშრომში გვაქვს მსჯელობა. გამოქვეყნებული გვაქვს თეზისები: უცნობი მასალები ვახტანგ VI პოეტური მემკვიდრეობიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს XIV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1979, გვ. 13—15; „მუხრანული“ თავისებურებანი, შობა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XL სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1980, გვ. 7—8.

შიან ლექსად თვლის⁶⁸, როგორცა იგი გ. ავალიშვილის ხელნაწერში. ა. ხინთიბიძე კი 10-მარცვლიან და, ამდენად, 2-სტროფიან ლექსად მიიჩნევს. ოღონდ იგი ეყრდნობა გამოცემებს და ამიტომ არ მიჰყვება ვახტანგისეულ გრაფიკულ სქემას. მისი დალაგებით, მეორე სტრიქონია მეორე სვეტის პირველი სტრიქონი; მესამე სტრიქონია პირველი სვეტის მეორე სტრიქონი; მეოთხე სტრიქონია მეორე სვეტის მეორე სტრიქონი და ა. შ.

„სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო,
 თუ მოიძი, კეთილსა იქ, ძალო,
 მოიმკე და შეიკრიბე, ძალო,
 საუკუნოდ არ წახდების, ძალო...“ და სხვ⁶⁹.

„მუხრანულსი“, როგორც ლექსის სახეობის, განსაზღვრისათვის საყურადღებოა მისი შინაარსი და დედნისეული გრაფიკული გამოსახულება. არა გვგონია შემთხვევითი იყოს, რომ დედანში ლექსი შუაზე გაყოფილად არის წარმოდგენილი. ვინაიდან ეს დაშორება დიდ ცეზურაზე მოდის, შეიძლება გვეფიქრა, რომ ავტორმა ცეზურა გამოყო, მაგრამ ანალოგიური შემთხვევა აქ სხვაგან არსად გვაქვს. ავტორს რომ მიზნად ჰქონოდა შიდა რითმების წარმოჩენა, რითმებს გამოჰყოფდა, არც ამგვარი რამ შეიმჩნევა ხელნაწერში. პოეტს თითოეული სვეტი რომ ცალკე სტროფებად ჰქონოდა გამიზნული, მოსალოდნელი იყო, მას იგი დაეწერა არა გვერდი-გვერდ, არამედ — ზემოდან ქვევით, როგორცა აქ ყველა სხვა ლექსი. ადგილის უკმარისობის საკითხი მოხსნილია, რადგან „მუხრანულსა“ და „ვახტანგურს“ შორის ადგილი თავისუფალია.

ლექსის ეს გრაფიკული ფორმა აზრიანი ხდება, თუ მას შინაარსობრივად გავისწავთ. ირკვევა, რომ იგი იკითხება როგორც ჰორიზონტალურად, ერთიან 20-მარცვლიან სტროფად, ისე ვერტიკალურად, ცალკე სვეტებად. ერთი და იგივე აზრი გამოდის, როცა ეკითხულობთ:

„სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო, თუ მოიძი, კეთილსა იქ, ძალო,
 მოიმკე და შეიკრიბე, ძალო, საუკუნოდ არ წახდების, ძალო...“ და ა. შ.

მეორე მხრივ:

„სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო,
 მოიმკე და შეიკრიბე, ძალო...“ და . შ.

ან კიდევ:

„თუ მოიძი, კეთილსა იქ, ძალო,
 საუკუნოდ არ წახდების, ძალო...“ და ა. შ.

ამ სახის ლექსები, რომლებიც ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად იკითხება, მწერლობაში კარგად არის ცნობილი და პოეტიკაში მას კვალი რატული ლექსი ეწოდება. ადგილი შესაძლებელია, სწორედ ამგვარ კვადრატულ ლექსს წარმოადგენდეს „მუხრანული“.

კვადრატული ლექსები მრავალი ხალხის პოეზიაში მოიპოვება. მათ შორის

⁶⁸ გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 56—57.

⁶⁹ ა. ხინთიბიძე, ძველქართული ლექსი, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 11 აპრილი, 1969 წ., № 15, გვ. 2. შდრ. მისივე, პოეტიკური ძიებანი, გვ. 169.

სპარსულსა⁷⁰ და რუსულშია⁷¹, რომელთაც ვახტანგი უშუალოდ შეიძლება გაეცნობოდა. განსაკუთრებით ეს ითქმის სპარსულის შესახებ, სადაც ფორმალისტური პოეზია, ფიგურული ლექსები ძლიერ იყო გავრცელებული და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

კვადრატული ტიპის ლექსები ქართულ ლიტერატურაში შენიშნული არ არის⁷². „მუხრანულს“ ძალიან ჰგავს და არსებითად ამ სახის ნაწარმოებია მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩვენში გავრცელებული, თითო სტროფად დაწერილი, 4-სტრიქონიანი, შიდა- და გარეითიანი ლექსი — რეკული. არსებობს ორსტროფიანი რეკულებიც, რომლებიც სქემით პრინციპულად განსხვავდება ერთსტროფიანებისაგან, — მათ არ გააჩნიათ შინაგანი რითმა. ჩვენს მწერლობაში ლექსის ეს სახეობანი და სახელწოდება სათავეს იღებს სულხან-საბა ორბელიანის გალექსილი „ქილილა და დამანადან“.

რეკულის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დავაა, — რვაჯერადი რითმის გამო ჰქვია მას ეს სახელწოდება, თუ რვაჯერადი რითმასთან ერთად რვა-სტრიქონიანობის გამო⁷³.

დედაწში, სულხან-საბა ორბელიანის მიერ დამუშავებულ და მისი ხელით ნაწერ „ქილილა და დამანადან“, ისე როგორც სხვა ავტორებთანაც, ჩვენთვის საინტერესო რეკულები ისეთივე ინტერვალით არის წარმოდგენილი⁷⁴ და ისევე იკითხება ორივე მხრიდან, როგორც „მუხრანული“. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „მუხრანული“ ტეტოლოგიურ, რეფრენის მსგავს რითმაზე აგებული, რეკულებში კი ჩვეულებრივი, განსხვავებული მნიშვნელობის სარიტმო სიტყვებია გამოყენებული.

გვაქვს თუ არა საქმე რეკულებშიაც კვადრატულ ლექსთან, ამის დაბეჯითებით თქმა ძნელია. არსებობს ამის როგორც დამადასტურებელი, ასევე დამაეჭვებელი მონაცემები, რომელთა განხილვა ახლა შორს წაგვიყვანს⁷⁵. ვიტყვი მხოლოდ, რომ, რადგან სულხან-საბა ქმნის ორსტროფიან რეკულებსაც, რომელთაც შინაგანი რითმა არ მოეპოვებათ და, ამდენად, მათი ორმხრივი წაკითხვა გამორიცხვადია, მაგრამ სახელი მაინც ერთი აქვთ, ხოლო, მეორე მხრივ, ვახტანგი თავის ლექსს სხვა სათაურს აძლევს და არ აღნიშნავს, რომ იგი რეკული, — ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, სულხან-საბა ორბელიანსა და ვახტანგს აღნიშნული თხზულებანი სხვადასხვა სახეობის ლექსებად ჰქონდათ ჩაფიქრებული.

⁷⁰ Е. Э. Бертельс, Избранные труды, Навой и Джами, Москва, 1965, გვ. 26—46; დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 270—272.

⁷¹ Дмитрий Чижевский, К проблемам литературы барокко у славян, Litteraria, XIII, Litterary barok, ბრატისლავა, 1971, გვ. 27—38.

⁷² ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში ივ. ლოლაშვილი ამგვარ ნაწარმოებად თვლის გიორგი მაკაშვილისადმი მიძღვნილ ფერმეციანის შესხმას („მწაობი“, № 4, 1982).

⁷³ გ. შიშვესე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 65—68, 152—156; ა. ხინთიბიძე, ძველქართული ლექსი, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969, № 15; მისივე, პოეტიკური ძიებანი, გვ. 164—169.

⁷⁴ „ქილილა და დამანადან“ ბოლოდროინდელ და ზოგიერთ ადრინდელ გამოცემაში ინტერვალ-დაცული არ არის. უფრო მეტიც, როგორც ეს გ. შიშვესე შენიშნა საიუბილეო გამოცემის მიმართ, ზოგიერთი რეკული, ნაცვლად დედნისცული ოთხსტრიქონიანი ფორმისა, გამოცემაში ორ სტროფად არის წარმოდგენილი (გ. შიშვესე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 66, 153). ოლონდ, მსგავსად „მუხრანულის“ პუბლიკაციებისა, სტროფები არც აქ ემთხვევა მათ სვეტებად დაწერილობას.

⁷⁵ ამ საკითხზე ვრცლად საუბარს ცალკე ნაშრომში ვაპირებ.

„ქაშნიკზე“ დართული ვახტანგის ამ ლექსთაგან არც ერთი არ მის ხელნაწერ კრებულებში, არც ადრინდელ და არც გვიანდელ გადაწერილებში. როგორც ვნახეთ, ისინი, ყველანი, ლექსთწყობის თვალსაზრისით, რაღაც გარკვეული სიახლის შემომტანია ჩვენს პოეზიაში. ის ფაქტი, რომ ეს ლექსები თავისი ფორმით თავისებურია, რაც სათაურებშიაც არის ასახული, და შეტანილია სწორედ პოეტურ ნაშრომში და სხვაგან არადა, უძველეს ხდის, რომ ვახტანგს ისინი საგანგებოდ ვერსიფიკაციული მიზნით აქვს შეთხზული.

ვახტანგი არა მარტო თვითონ ეძიებდა და ქმნიდა სხვადასხვა სახეობის პოეტურ ნიმუშებს, არამედ სხვებსაც ავალებდა ამ საქმეს. ამისი ერთი პირდაპირი ცნობა „ქაშნიკში“ მოიპოვება. მამუკას ქართული ხალხური ლექს-სიმღერების „ხმებზე“, მათი მიბაძვით რამდენიმე ლექსი შეუქმნია და „ქაშნიკში“ მოუთავსებია. ასეთია „ვანო, ვანო, ცოლი მოიყვანო“-ს ხმაზე დაწერილი „შეწყობილი“, „პატარა ქალი თინაო, რას გარდამიდევ წინაო“-ს მიხედვით შექმნილი „მდინარა“, „ახ, იესო, იესო, საყდარი დაგეციეისო“-ს მსგავსი „წყობილი მრავალ-მუხლი“ და „პატარასა, სუფთას ქალსა გარე ცეცხლი ედებოდა, მავსებელი ჰყავს არენა“-ს კვლობაზე შეთხზული „გრძლელი შაირი სამკვეთი“⁷⁵. მამუკა აქვე, წინ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს ლექსები მას ვახტანგის დავალებით დაუწერია: „ეს თვითო სტრიქონი ძველი იყო და ეს მთელი ლექსები მე ფისავე ბრძანებით მე, მამუკა ბარათაშვილმან, ვთქვი“ (გვ. 129).

ვახტანგს ამ საქმეში თვითონაც უცდია კალამი და შეუთხზავს ისეთი ორიგინალური რიტმის ლექსი, როგორცაა „რანი და მოვკანი...“⁷⁶. პოეტი ხელნაწერში შენიშნავს: „ერთი ლექსის ხმა ესეც არი“⁷⁷.

მამუკა ბარათაშვილს რუსული ხალხური და სხვათა ლექს-სიმღერების ხმებზე დაწერილი ლექსებიც აქვს, რომლებიც უნდა ვიგულისხმოთ, ქართული ხალხური ლექს-სიმღერების ხმებზე შექმნილ ნაწარმოებთა, ამ პრაქტიკის, შემდეგაა შეთხზული.

მამუკა ავტორია აგრეთვე სხვადასხვა სახეობის პოეტური ნაწარმოებებისა, რომლებიც აშკარად ვერსიფიკაციული მიზნით არის შექმნილი. ე. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მამუკა ბარათაშვილმა „პირველმა შემოიტანა ლიტერატურაში ხალხური სიმღერების კილო... და პირველმა გამოიყენა რუსული ხალხური სიმღერები ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად. შემდეგ ამ მხრივ და არა მარტო ამ მხრივ, ის მისაბაძი მაგალითი გახდა დავით გურამიშვილისათვის“⁷⁸. უფრო მეტიც, მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ამ მეთოდით ლექსების წერა ფართოდ გავრცელდა ჩვენში.

როგორც ვხედავთ, რომ არაფერი ვთქვათ მამუკას სხვა სახეობის ნაწარმოებთა შესახებ, მისი და აქედან სხვათა ე. წ. ხმებზე დაწერილი თხზულებანი სათავეს სწორედ ვახტანგისაგან იღებს.

⁷⁵ მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 129—132.

⁷⁶ ვახტანგ მამუკას, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 16.

⁷⁷ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ნუსხა E — 15, გვ. 1r.

⁷⁸ ე. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 637.

დ. გურამიშვილისა და მ. ბარათაშვილის დამოკიდებულება ქართულ, რუსულ და უკრაინულ ფოლკლორთან განხილული აქვს მ. ჩიქოვანს (მ. ჩიქოვანი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, თბ., 1955).



ეს ერთი ისეთი შემთხვევაა, რომლის შესახებ ცნობამ ჩვენამდე მოაღწივინ იცის, კიდევ რა წვლილი მიუძღვის ვახტანგს მამუკა ბარათაშვილისა და სხვათა, მის ირგვლივ შემოკრებილ პოეტთა მიერ ნახბარ სალექსო ფორმების შექმნაში.

„ჰაშნიკის“ ზემოთ განხილული მონაცემები თვალნათლივ გვიხატავს ვახტანგის, როგორც პოეტისა და ორგანიზატორის, მიზანსწრაფულ ძიებას ქართული ლექსის მდიდრული ბუნების, მისი ვერსიფიკაციული შესაძლებლობის გამოვლენისა და დამკვიდრების საქმეში.

ვახტანგი თავისი დროის პოეტია და როგორც იდეურ-თემატიკურად, ასევე ვერსიფიკაციის მხრივაც ბევრ რამეში მიჰყვება მას. როგორც ცნობილია, XVII—XVIII საუკუნეებში ჩვენში ძლიერ გატაცებული იყვნენ ანბანთქებით. ვახტანგიც დაინტერესებულია ლექსის ამ სახეობით და რამდენიმე „ანბანთქება“ შეუთხზავს. ვახტანგამდე ჩვენში ანბანთქებები უწყრაოდ ისეთ გამოჩენილ პოეტებს, როგორც იყვნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვა. გ. მიქაძე, რომელმაც მონოგრაფიული სისრულით შეისწავლა ანბანთქება ძველ ქართულ ლიტერატურაში⁷⁹, შენიშნავს: „აღორძინების პერიოდის მწერლები ანბანთქების შეთხზვისას ერთმანეთს იწვევდნენ პოეტურ შეჯიბრში, არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პოეტი, რომ არ შეეთხზა ახალი ტიპის ანბანთქება“, რომ „მათი ყურადღება მიმართული იყო ნაწარმოების ტექნიკური მხარის გასაუმჯობესებლად“ (გვ. 91. დაყოფა ჩვენია).

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ვახტანგის ორი ანბანთქება. ერთი ვრცელია, თითო ასოს თითო სტროფი აქვს დათმობილი და ყველა სიტყვა იმ ასოზე იწყება, რომლისადმი სტროფა მიძღვნილი (გამოცემა, 1975, გვ. 63—67). მაგალითად, პირველი სტროფი ასოს ეთმობა და ყველა სიტყვა ანით იწყება:

„ასრე არის აგებული, ამგებელსა აქ აქებდეს,
ამკობდესა, აღიდებდეს, ამისთვისვე აქ აქებდეს,
ამზრუნელსა, აღმშფოთველსა ანაცრებდეს, აქ აქებდეს,
და არმურისკენ ამწველსა აღმას აფთსა აქ აქებდეს“.

მეორე სტროფი ბ ასოსადმი მიძღვნილი და მასში შემავალი ყველა სიტყვა ბანით იწყება. მესამე სტროფი განს ეკუთვნის და ა. შ.

ამ ნაწარმოებს ახლავს სათაური, სადაც ნათქვამია, რომ ეს ანბანთქება ორიგინალურია, ქართულ მწერლობაში პირველად არის შემოღებული: „ესე ანბანთ ქება უცხო და ახლად შემოღებული და არა აღვილად სათარგმანებელი, თქმული მეფის ვახტანგის მიერ ტფილისს. უფალმან მრავალყამიერ ყოს!“

გვევ აზრი გამეორებულია ბოლო სტროფში, ეპილოგში, რომელიც წინა სტროფებისაგან განსხვავდება ზომითაც და ფორმითაც:

„აჟუთ არს არა ვის, ეთქვა არავის, თუ ვინ აწ ბრძანებს, ევჭე, არს შემდგომი...
ამის ლექსაში ვიყავ მწვე ვაში, ნუ ეჭვთ მყოლოდეს შემწე, შემდგომი...“
(სტროფი მთლიანად ზემოთ არის მოყვანილი).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვახტანგი არ არის მარ-

⁷⁹ გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 89—119.

თალი, როცა ამ ტიპის ანბანთქების „გამოგონებას თავის თავს მიაკუთვნებდა“⁸⁰ და მიუთითებენ არჩილის ანბანთქებაზე „არ აღვილია აღკრძალვა ამოებისა ამისა“⁸⁰.

მართლაც, ვახტანგის „ანბანთქება“ არსებითად ემსგავსება არჩილის მიუთითებულ „ანბანთქებას“⁸¹. ორივეგან ქართული ანბანი ერთნაირი სისტემით არის გამოყენებული. კომპოზიციურადაც ისინი ერთნაირია. არჩილის თხზულებასაც მოეპოვება ეპილოგი (კოტათი უფრო ვრცელი) და აქაც საუბარია იმაზე, რომ ეს ანბანთქება ახალია:

„ანბანთქებასა ახალსა ნუ შეურაცხოთ სიტყვითა...“

„ოლოდ უწინ ვთქვი, თორე-და აწყა თქვენ უკეთ იტყვითა...“

არჩილის „ანბანთქების“ სათაურშიაც მითითებულია, რომ იგი „ახალ შემოღებულა“⁸².

მიუხედავად ამდენი მსგავსებისა, მათ შორის არის ერთი ისეთი განსხვავება, რომლის გამო, ვფიქრობთ, ვახტანგს შეეძლო თავისი თხზულება გამოეყო და ორიგინალური სახეობის ლექსად ჩაეთვალა: ვახტანგის „ანბანთქება“ მაჯამურია, თავიდან ბოლომდე, ყველა სტროფი, ეპილოგის ჩათვლით, ომონიმური (ზოგიერთ შემთხვევაში, მგონი, ტავტოლოგიური) რითმებით არის დაწერილი; მხოლოდ ეგ არის, ზოგიერთი მაჯამა კოჭლია. არჩილის „ანბანთქებაში“ კი მხოლოდ რამდენიმე სტროფია მაჯამური, 37 სტროფიდან — ოთხი თუ ხუთი და ისიც აქა-იქ ჩართული. როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნეში საქართველოში და მთელ აღმოსავლეთში დიდი ყურადღება ექცეოდა მაჯამურ ლექსებს. იგი პოეტური ხელოვნების ერთ-ერთ უმაღლეს სახეობად და, ამდენად, პოეტური ოსტატობისა და შესაძლებლობის საზომად ითვლებოდა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ, როდესაც იოანე ბაგრატიონი თავის „კალმასობაში“ ჩამოთვლის ანბანთქებათა სახეობებს, საგანგებოდ გამოყოფს მაჯამურ ანბანთქებას და ნიმუშისათვის ასახელებს ვახტანგის ამ ნაწარმოებს⁸³.

აღბათ უპირველესად ამ თხზულების მაჯამური ხასიათის გამოა, რომ სათაურში „უცხო და ახლად შემოღებულის“ გვერდით⁸⁴ აღნიშნულია „არა აღვილად სათარგმანებელი“.

⁸⁰ ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 603; გ. შიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტის ისტორიიდან, გვ. 103, 107—108.

⁸¹ არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, არჩილიანი, I, თბ., 1936, გვ. 257—261.

⁸² ყოველივე ამის გამო ჩვენ სარწმუნოდ არ გვეჩვენება ვარაუდი, რომ ვახტანგი არ იცნობდა არჩილის „ანბანთქებას“ (გ. შიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტის ისტორიიდან, გვ. 108).

⁸³ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, ქ. ქეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1936, გვ. 291, გ. შიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტის ისტორიიდან, გვ. 113.

⁸⁴ სხვათაშორის, ვფიქრობთ, სათაური შეიძლება ისეც იქნეს გაგებული, რომ „უცხო და ახლად შემოღებული“ უშუალოდ თვით ვახტანგის ნაწარმოებს კი არ ეხებოდეს და მხოლოდ მის თავისებურებას აღნიშნავდეს, არამედ შეგნებულად იმეორებდეს არჩილის „ანბანთქების“ ცნობას და ამით მიუთითებდეს, საზოგადოდ, ამ ტიპის ანბანთქების სიახლეზე ქართულ მწერლობაში. სათაურის ამგვარი გაგება, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს იმას, რომ ვახტანგი თავის „ანბანთქებას“ ორიგინალური ტიპის ნაწარმოებად თვლის, რაც საკმაოდ გარკვევით არის აღნიშნული ეპილოგში.



ამრიგად, ვახტანგის განხილული „ანბანთქება“ სისტემით, კომპოზიციურად ემსგავსება და იმეორებს არჩილის „ანბანთქებას“, მაგრამ მარჯამური ხასიათით განსხვავდება მისგან.

ვახტანგის მეორე ანბანთქება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული, ერთსტროფიანია (გვ. 68). მასში სიტყვები დალაგებულია ანბანის რიგზე და თითოეული სიტყვა იწყება და მთავრდება ერთსა და იმავე ასოზე (გარდა სარიტმო სიტყვების დაბოლოებისა):

„არა ბძანებ გიორგ დედად, ესე ვიყავ ზეზ მთერძად,
თითი იკარი, კჳჳ, ლალ, მოძემ, ნებვენ ოსო, პროკოპ, ვერადა,
როგორ საამს ტახტ უკეთუ, ფეფ, ქექ, ლორღ, ყუთ, შიმ, ჩამქერადა,
ცივიც, ძეძ, წეწ, ქმუქ, ხეხ, კოკ, ჯორჯ, შაიმიკ შერადა“.

როგორც გ. მიქაძე აღნიშნავს, ვახტანგის ეს ანბანთქება ორიგინალურია, მანამდე ამგვარი სახეობის ანბანთქება ქართულ მწერლობაში არ ჩანს⁸⁵. ამ ნაწარმოების მიხედვით გ. მიქაძე ვახტანგს ქართულ მწერლობაში ანბანთქების ფორმის ნოვატორად თვლის⁸⁶.

ვახტანგს კიდევ შეუთხზავს ერთსტროფიანი ანბანთქება, უფრო მარტივი სახისა. მასში სიტყვები დალაგებულია ანბანის რიგზე, ოღონდ ზემორე ანბანთქებისაგან განსხვავებით, აქ ანგარიში აღარ ეწევა სიტყვების დაბოლოებას⁸⁷.

„აჲ, ბრძენთ გეშმასთ და ესე ვინა ხართ, ზოგთ, მე, თქმულია,
იმ კარგის ლუკას მორჩილი ნუშეც ორ პირ ჯრეოლა რთულია,
სიკვდილით ტანჯვად უფლისთვის ფრად ქმნეს ღირსთ ყრმათ შთულია,
და ჩანს ცოდვილთ ძნიად წრწოლა ჭირს ხელ ჭუნდ ჯვრით შა მარგულია“.

ამ ტიპის ანბანთქებები გ. მიქაძეს მრავალი აქვს აღრიცხული. ყველაზე ადრინდელი სულხან-საბა ორბელიანისა არის, რომელიც ავტორს არჩილისათვის მიუწერია და ამ უკანასკნელს ამგვარივე ანბანთქებით უპასუხნია⁸⁸.

ვახტანგის ეს ანბანთქება გვიანდელი უნდა იყოს. იგი არ შესულა ვახტანგის ადრინდელ ხელნაწერ კრებულებში და არც შემდგომ უპოვნია გავრცელება.

დასასრულ, ვახტანგის ერთი ნაწერის შესახებ, რომელიც ანბანთქება უნდა იყოს. „სატრფილონში“ 140—141 სტროფებს შორის ერთ სტრიქონად მოთავსებულია ქართული ანბანი თავისებური რიგით, რომელსაც ბოლოს ახლავს ერთი სიტყვა „სიავესა“⁸⁹:

⁸⁵ ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 103.

⁸⁶ იქვე, გვ. 112.

⁸⁷ კ. კვეციანის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხები: Q—548, გვ. 5; S—390, გვ. 144. ამ უკანასკნელში სტროფი ჩაწერილია ზედა არშიაზე განსხვავებული ხელით. სათურად აქვს: „მედის ვახტანგის ნაბძანები“.

ვახტანგ მეექვსის ანბანთქებათა გარჩევისას ამ თხზულებაზე უთითებს კ. კვეციანი (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 603). S—390 ხელნაწერის აღწერისას იგი აღწერს აქვს ე. თაყაიშვილსაც (Описание..., I, გვ. 411).

⁸⁸ გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 102—103; არჩილიანი, I, გვ. 271.

⁸⁹ ზუსტად ამ სახით ეს ტექსტი იკითხება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების M—1 ხელნაწერში მოთავსებულ ვახტანგის ჩანაწერებში (გვ. 2r.), რომელიც თ. ქუნიანი გამოაქვეყნა („ლიტერატურული ძეგანი“, VI, 1950,

„ძოწ ტურფათ ხჩმ გჯვენ ქმლლს ეამჰც კი შჰყვ სიავესა“.

(გამოცემა, გვ. 68).

„სატრფიალონის“ ტექსტში ეს სრულიად მოულოდნელად წერია და არაფერი აქვს საერთო კონტექსტთან. ძველ, ავტორიზებულ ნუსხებში⁹⁰ წინ უძღვის ცნობა: „ცუდად ვიყავ, მომაგონდა; მთელი ანბანია, «სიავეს» გარდა“. აქ „ცუდად ვიყავ, მომაგონდა“ არ ნიშნავს იმას, რომ იგი ავადმყოფობის დროს არის დაწერილი და რაღაც ავადმყოფურ გამოვლინებას წარმოადგენს. ვახტანგს არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ თავის მწუხარებას იგი პოეტური შემოქმედებით იჩარებდა. „ქილილა და დამანას“ შესავალში უწერია: „ცუდათ ყოფნა სულისაც მაზიანებლად ენახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოვევიდე“ (გამოცემა, 1975, გვ. 58). „კეშანის“ სათაურში იკითხება: „მოცალეობასა შინა მყოფსა კმუნენანა ველისა მაქარეველად იწერების“ (გვ. 174). აი, სწორედ ამ გავებით არის ნახმარი ვახტანგის ზემოთ მოყვანილი სიტყვები „ცუდად ვიყავ, მომაგონდა...“, რაც უფრო გასაგებად არის ნათქვამი „სატრფიალონის“ ბოლო სტროფში: „ცუდად ვიყავ სოფლისაგან, ესე რამე გავაუბენ“ (სტრ. 146,1).

მოყვანილი მასალებიდანაც ჩანს, რომ მოცემული ანბანი პოეტს ლექსად უნდა ჰქონოდა ჩაფიქრებული. ამაზე მიგვანიშნებს ბოლოს დამატებული სიტყვა „სიავესა“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რითმისათვის შეიძლება იყოს მოხმობილი.

ამ მოსაზრებას უეჭველს ხდის ზემოთ მითითებულ ლენინგრადის M—1 ხელნაწერში საძიებელ ანბანზე დათული, ვახტანგის ხელით ჩაწერილი განმარტება: „ეს ანბანია მთლად, სხვა არ ურევია თითოს ასოს მეტი, ოღონდ ლექსის გაწყობისათვის ბოლოს «ს[ი]ავე» მეტი არის, რომ სხვაში გათავდა ანბანი (გვ. 2r)⁹¹. ამასვე ადასტურებს ვახტანგის თხზულებათა ზოგიერთი გვიანდელი ხელნაწერი კრებული, რომლებშიაც იკითხება: „ეს ტეპი ანბანია, წინა უკმო სხედს, ბოლოს ლექსის გაწყობისათვის «სიავესა» მეტი არის“⁹².

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ამ გვიანდელ ხელნაწერ კრებულებში, რომელთა ავტორგრაფული ან ავტორიზებული არქეტიპი არ ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ანბანი კიდევ განსხვავებული რიგითა და დამაბოლოებელი სიტყვით იკითხება ზემორე აღნიშნულ მეორე ანბანთქების („არა ბრძანებ...“) შემდეგ:

„ეს ქვეითი ტაპი ანბანია, თუ ამოარჩევ:

ქალალს კი გჯვენ ეამჰც შჰყვც ხჩმ ტურფათ წ ძოწ ვიშრება“⁹³.

გვ. 273, № 34). ძველ, ავტორიზებულ ნუსხებში არის „ხჩმ“ და „სჰყვ“, მაგრამ ამ ვარიანტებს გამოვრიცხავთ, რადგან „ს“ მეორდება.

⁹⁰ S — 4500, გვ. 290; ლენინგრადული M — 3, გვ. 40 v; S—171, გვ. 33.

⁹¹ „ლიტერატურული ძიებანი“, VI, გვ. 273.

⁹² ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხები: A—1776, გვ. 82 v; H—21, გვ. 88 v; საქართველოს ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი № 138, გვ. 32 r.

⁹³ A—1776, გვ. 53 r., H—21, გვ. 53 v., H—957, გვ. 104r.; დასახელებული არქივი: № 138, გვ. 5 r., № 297, გვ. 98 v და სხვა.



ეს არის და ეს ხელნაწერთა მონაცემები. სხვა არავითარი მითითებები გვაქვს, როგორ ლაგდება ან როგორ უნდა გავიგოთ ანბანთა მოცემული რიგი.

ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს თავისებურ ამოცანას ანბანთქებასთან, რომლის გაშიფრვა საგანგებო კვლევას მოითხოვს. კერძოდ, დასაძებნი და შესასწავლია ანალოგიური ტიპის ანბანთქებები სხვა ერების, განსაკუთრებით კი სპარსულ და რუსულ პოეზიაში.

ამრიგად, ქართულ მწერლობაში ვახტანგ VI ანბანთქებაშიც გვევლინება ნოვატორ პოეტად. გარდა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ერთი თავისებური ანბანთქებისა, მას შეუქმნია რამდენადმე განსხვავებული ვარიაცია არჩილის მიერ შემოღებული ანბანთქებისა და ერთი კიდევ ჩვენი მწერლობისათვის სრულიად უცნობი სახეობა ამ ტიპის თხზულებისა.

ვახტანგის ანბანთქებებს, გარდა უკანასკნელისა, იცნობენ, ეხმაურებიან და მაღალ შეფასებას აძლევენ ანტონ, იოანე, პაატა ბაგრატიონები და სხვები⁹⁴.

ანბანთქებები ძირითადად ფორმალისტურ პოეზიას განეკუთვნება და ვახტანგის ანბანთქებებიც ამავე ხასიათისაა. მათში ყურადღება ექცევა არა იმდენად აზრს, შინაარსს, რამდენადაც გარეგნულ მონაცემებს, ლექსის აგებულებას.

ვახტანგს კალამი უცდია ისეთი ფორმალისტური სახეობის თხზულებათ: შექმნილი, როგორცაა პალინდრომი, წალმა-უკვლმა საკითხავი ლექსი:

„აბანა ერსა მოშიშთა, ათშიშომ ასრე ანაბა,
აბანა დარად იღება, აბელი დარად ანაბა,
აბანა იშიშ რამეთუ, უთემარ შიში ანაბა,
აბანა არად ახუდა, აღუზა დარა ანაბა“. (ვახოტყვა, 1975, გვ. 72).

ვახტანგის ეს ლექსი, ისე როგორც საზოგადოდ ამ ტიპის ნაწარმოებები, ერთნაირად იკითხება როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ისე პირუკუ. ჩვეულებრივ, ისინი შინაარსისაგან დაცლილია და მხოლოდ სიტყვათა რიტმულ თამაშს ქმნიან. ასეთია ვახტანგის ლექსიც. ამ ფორმის შინაარსიანი ნაწარმოებები, თავისი რთული აღნაგობის გამო, იშვიათია.

წალმა-უკვლმა საკითხავი ლექსები მრავალი ხალხის ლიტერატურაში მოიპოვება. შუა საუკუნეებში განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული სპარსულ პოეზიაში. გვხვდება რუსულ პოეზიაშიც.

ძველ ქართულ პოეზიაში, რომელიც ამ თვალსაზრისით შეისწავლა გ. მიქაძემ, ამგვარი რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული⁹⁵, სახელდობრ: 1646 წელს მამუკა თევაქარაშვილის გადაწერილ ვეფხისტყაოსნის ნუსხაზე მინაწერი ერთი სტროფი; თითო სტროფები იაკობ შემოქმედელის, ონანა მდივნის, სვიმონ კობაძისა; ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეულ ხელნაწერზე მინაწერი ერთი სტროქონი და სხვა.

როგორც ვხედავთ, ვახტანგამდე ამგვარი თხზულება ჩვენში არსებულა. ასეთია თუნდაც იაკობ შემოქმედელის ლექსი, რომ არაფერი ვთქვათ ვეფხისტყაოსნს თავაქარაშვილისეულ ხელნაწერის მინაწერსა და ონანა მდივნის სტროფების შესახებ, რადგან მათი შექმნის დრო, ისე როგორც ვახტანგის ლექსისა, არ ვიცით.

⁹⁴ გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 103—104, 113.

⁹⁵ იქვე, გვ. 85—88.

გამოცემაში ვახტანგის ლექსს სათაურად აქვს „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, რაც ხელნაწერებში, ყოველ შემთხვევაში ავტორიზებულ ხელნაწერებში, არ დასტურდება. ალბათ გამოცემის გამო იყო, რომ დ. კობიძემ ვახტანგის ეს ნაწარმოები არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსს“ დაუკავშირა. მკვლევარი წერს: „არჩილის მიბაძვით უნდა იყოს შეთხზული ვახტანგის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსიცა“⁹⁶. სინამდვილეში, არჩილისა და ვახტანგის ლექსები განსხვავებული სისტემების თხზულებანია და ერთი მეორის მიბაძვად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ხელნაწერებში ვახტანგის ლექსს წინ უწერია: „ცუდად ვიყავ“. შემდეგ იმავე სტრიქონზე გრძელდება: „იმატა ასვთ ასეთი, ითესა თაესა ატამი“⁹⁷.

„ცუდად ვიყავ“ აქაც იმავე უნდა აღნიშნავდეს და ისეთივე მოზოდიშება უნდა იყოს პოეტისა, რაც არის ვახტანგის ზემოთ მითითებულ თხზულებებში — „ანბანთქებაში“, „კაეშანში“, „სატრფიალონსა“ და სხვებში.

რაც შეეხება წინა-უქმო საკითხავ სტრიქონს „იმატა ასვთ ასეთი...“, აშკარაა, ვახტანგის ლექსის ორგანული ნაწილი არ არის. ჩვენი აზრით, იგი ვახტანგისა არ უნდა იყოს და პოეტს სანიმუშოდ უნდა ჰქონდეს მოყვანილი⁹⁸. თუ ეს მართლაც ასეა, გამოდის, ვახტანგის ეს ნაწარმოებიც მიბაძვით, ე. წ. ხ მ ა - ზ ე დაწერილი თხზულება არის.

ვახტანგი თავის დროს უსწორებს მხარს ივანური, ამოსაცნობი ფორმისა და შინაარსის თხზულებათა შექმნაშიც. მის შემოქმედებაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს მაცამური, ომონიმური რითმებით გაწყობილ ლექსებს. ავტორი ლექსის მუსიკალური მხარის გასაძლიერებლად იყენებს გრძელ 4- და 5-მარცვლიან რითმებს, რომლებიც ზოგჯერ იმდენად ძნელი ამოსაცნობია, რომ გვე-ეშვება, პოეტს ისინი ყველგან განსხვავებული მნიშვნელობით ჰქონდეს ნახმარი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ვახტანგი წინ აყენებს ლექსის მუსიკალურ-ემოციურ მხარეს და შეგნებულად უშვებს ტავტოლოგიურ რითმებს, რომლებიც რეფერენის მსგავსად მეორდება სტროფში. მოვიყვანოთ ამგვარი, გრძელი რითმიანი სტროფის ორიოდე ნიმუში „სატრფიალონიდან“:

„სურვილისა ზღვათა შიგან მან მომიღვა მ ა ს ე, მ ა ს ე,
 ესე მიყავ, შემომზღუდე, ვარეშემო მ ა ს ე, მ ა ს ე,
 საბრხეები მისიან ჩემზე, რომ ვახეთქო მ ა ს ე, მ ა ს ე,
 და შაქრისაგან უფრო ტბილი მისი ეშვი მ ა ს ე, მ ა ს ე“.

(სტრ. 33).

5-მარცვლოვანი რითმები:

„გული სევდისა სალხენად ვანსა ვეარ ა ქ ა რ ხ ა ლ ი თ ა,
 ვაველურდე და ვაიჭრე, ვაერჩე ვით ა ქ ა რ ხ ა ლ ი თ ა,
 მზევ, გული ჩემი ტყვექმნილი მისწიე, ა ქ ა რ ხ ა ლ ი თ ა,
 და სახლოდ ვიგმიო სიცოცხლე, ვატარო ა ქ ა რ ხ ა ლ ი თ ა“.

(სტრ. 40).

ერთი მხრივ, ლექსის მუსიკალური, ხოლო, მეორე მხრივ, გასაშიფრავი, ამოსაცნობი მხარის გასაძლიერებლად ვახტანგი უფრო შორს მიდის „სატრფია-

⁹⁶ დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, გვ. 274—277.

⁹⁷ S — 4500, გვ. 265, S — 171, გვ. 15.

⁹⁸ დასაძებნია, ეს სტრიქონი სად და რომელ ნაწარმოებთა კავშირში იმყოფება. შეიძლება შემთხვევითი არ იყოს ის ფაქტი, რომ ერთ გვიანდელ, XIX საუკუნის 40-იან წლებში თეიმურაზ აგიაშვილის მიერ გადაწერილ ხელნაწერ კრებულში „მრავალმეტყველი“, ჩვენთვის საინტერესო



ლონის“ 27-ე სტროფში, სადაც ერთი და იგივე სარიტმო სიტყვები მეორდება სტრიქონების დასასრულს. ასევე თავსა და შუაშიც:

„ამით უბრა წამწამითა შესამსვავსი შესხმანია,
ამით ფერით წამწამითა ესვის გულში შესხმანია,
ამით შექმნა წამწამითა თვალ-მარვალიტო შესხმანია,
და ამით მოვრჩეთ წამწამითა მაღლი წყულუბრ შესხმანია“

საინტერესოა, რომ ეს სტროფი ვახტანგს „სატრფიალონის“ ბოლო რედაქციაში არ გადაუტანია (M—3, გვ. 26r—v; S—171, გვ. 20).

ამგვარი ლექსები ქართულ ლიტერატურაში ვახტანგამდე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ხოლმე. მავალითად, ერთისა და მეორის ნიმუშები მოიპოვება იაკობ შემოქმედელის გალექსილ „უსჯულის მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“⁹⁹:

„ვეი არ ყვანდა მოამადს, ესხნეს ი ქალი ასულად,
ერთი მას შერთო, ვინ შემწედ ახლდა იქ ალი ასულად,
უფკრულთა შინა შთაცვიოდენ, ნახეს იქ ალი ასულად,
და ვედარ იტყვიან გმობასა ხორციც იქ არი ასულად“.

(გვ. 297 რ.)

კიდევ უფრო ვრცელი რითმებია:

„ნუ უცხოლ გინს სატანასგან, ბელიარსით მოაბასრა,
ბრანგვად განრქენს საძოვარი, ბელი არსით მოაბას რა,
მართლის სისხლი რომ დაღვარა, ბელიარსით მოაბასრა,
და ლეთით მოაკლდა მტერთ მახვილსა, ბელი არსით მოაბასრა“.

(გვ. 296 რ.)

მეორის ნიმუშები:

„აბარ აბის მოვისმინოთ, იგავს ბრძანებს ავარაკად,
აბარ აბის წილ მიცემით თვით დაფელვის ავარაკად
აბარაბის მეძის მსგავსათ, თუ გვესს რისხვით ავარაკად,
და აბარაბის ცოდვით მოხრებლში სვიმონ პოვეს ვინ პარაკად“.

(გვ. 292 V.)

„დავით მგალობელთ შთავარი ქნარსა სცემს ებან, ებანსა,
დავით სიმდაბლის მუშაკი ღირსებით ებან ებანსა,
დავით ბერსაბეს ტრფიალობს, სარკმლით სჭერეტს ებან, ებანსა,
და დავით ფსალმუნთ თქმით ტიროდა, მისთვის არ ებან ებანსა“.

(გვ. 294 რ.)

ანალოგიური კონსტრუქციის სტროფია „ელი ელისეს მის წილად საღენს მოს ელი ელისეს“, სადაც სტრიქონების თავსა და ბოლოში მეორდება „ელი ელისეს“ (გვ. 281r). და სხვა.

ვიმეორებთ, ამგვარი კონსტრუქციის ლექსები ძველ ქართულ პოეზიაში

სტრიქონი ცალკე, ვახტანგის ლექსის გარეშე იკითხება (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, II, თბ., 1964, გვ. 210). ეს სტრიქონი ცალკეა მიწერილი ვეფხისტყაოსნის მზებათუნისეულ ხელნაწერში. პოემის ეს ნუსხა კი გარკვეულ უკაფ-შირდება თეიმურაზ ავაშვილის ოჯახს (ც. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის მზებათუნისეული ვეფხისტყაოსნისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, თბ., 1974, გვ. 136—141).

⁹⁹ კ. ძიქელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა S — 342.

შეფთვლთან და არჩილთან ანალოგიური სტროფების შესახებ იხ. ივ. ლოლაშვილის ნაშრომი წიგნში: ძველი ქართველი მეხოტბენი, II იოანე შავეთელი, აბდულმესიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილი, თბ., 1964, გვ. 183—184.

იშვითი მოვლენა იყო და ვახტანგის მით დაინტერესება სიახლეებისაკენ მისი სწრაფვის ბუნებრივი მიდრეკილების ერთ-ერთი გამოხატულება უნდა იყოს.

სულ ბოლოს, ერთი ფრაგმენტის შესახებ.

ზემოთ რამდენჯერმე ნახსენებ ლენინგრადულ E—106 ხელნაწერში, რომელიც ვახტანგ მეექვსის ხელით შესრულებული სხვადასხვაგვარი ჩანაწერებისაგან შედგება, ერთ, პატარა ფურცლის ნაჭერზე მოთავსებულია ასევე ვახტანგის ხელით ნაწერი თავისებური შინაარსის ერთსტროფიანი ლექსი:

„ქ. ორ: ოცდა: ორობს: ათ: ოცდათ: ათ: რვა: მეტ: შუა: მდარობსა
 შვიდ: ოცდაშვიდათ: ათხუთმეტ: ოთხ: ოცდა: ოთხად: მდარობსა
 ათორმეტ: ერთი: ოცდა: ერთ: ცხრა: ოცდა: ცხრობით: მწვდარობსა
 და ათშვიდმეტ: ხუთი: ოცდა: ხუთ: ათ: სქამეტ: არ: დამდარობსა“
 (ფურცელი 6, ფრაგმენტი XI).

ჩვენი აზრით, ეს სტროფიც ვახტანგ მეექვსეს უნდა ეკუთვნოდეს. ამ აზრს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ის ფაქტი, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქვე, ვახტანგის ხელით შესრულებული, რედაქციული და ვარიანტული სახესხვაობით, დაცულია „ვახტანგურის“ შავად ნამუშევარი, რაც ამ ლექსის შექმნის პროცესის გამომხატველია და ვახტანგის კუთვნილებას ამტკიცებს (ფ. 6, ფრაგმენტი XII v).

მოყვანილი სტროფი არ უნდა წარმოადგენდეს გასართობ, რიცხვების თამაშის შემცველ, უშინაარსო, ფორმალისტური ხასიათის თხზულებას. იგი უნდა იყოს სასწავლო დანიშნულების მქონე ამოსაცნობი, გასაშიფრავი ნაწარმოები. თუ რისი გამომხატველია ეს ციფრები, ახლა ამისი თქმა ძნელია, მას რაიმე განმარტება არ ახლავს. მისი შინაარსის დასადგენად საგანგებო კვლევაძიებაა საჭირო. ვინაიდან ხელნაწერი, რომელშიაც ჩვენი ლექსია მოთავსებული, ასტრონომიული თუ ასტროლოგიური ხასიათის ჩანაწერებსა და ცხრილებს შეიცავს, შესაძლებელია, ლექსიც მას უკავშირდებოდეს და მასში ამგვარი მოვლენების რიცხვითი მონაცემები იყოს გამოხატული. დასაშვებია ისიც, რომ საკრალურ ციფრებთან გვქონდეს საქმე. მაგრამ უფრო, ვფიქრობთ, საძიებელი ლექსი უნდა ეხმაურებოდეს ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში მიღებულ ლექსთა ისეთ სახეობებს, რომლებიც ბიბლიური წიგნების ციფრობრივ მაჩვენებლებს წარმოსახავენ.

ამგვარია, მაგალითად, XI საუკუნის ხელნაწერზე, პ. ინგოროყვას დათარიღებით, იმავე საუკუნეში მინაწერი ერთსტროფიანი ლექსი „კანონთათვის“¹⁰⁰:

„უთქვამს პირველი კანონი ოთხთა ბრძნად გამოკლეული;
 სამი სამსამთა ორგან პრთავს, ძედ ქალწულისად წვეული;
 ხუთთაგან ცხრამდე ორ-ორსა, ვითა ვინ იყო ჩვეული;
 მეათისათვის თვის-თვსად მეტყველებს თვითოელი“.

როგორც ამ სტროფის გამოცემელს პ. ინგოროყვას აქვს აღნიშნული, ლექსს წინ უძღვის განმარტება, ოთხთავის კანონთა განრიგება. მოცემულია ათი კანონი. პირველ კანონში შედის ოთხივე მახარებელი — მათე, მარკოზი, ლუკა და იოვანე, რაც ნათქვამია ლექსის პირველ სტრიქონში. მეორე-მეოთხე კანონებში შედის სამ-სამი მახარებელი: მეორე კანონს აკლია იოვანე, მესამეს—

მარკოზი და მეოთხეს — ლუკა. ეს აზრი მოკლედ გადმოცემულია ლექსის მეორე სტრიქონში. მეხუთე-მეცხრე კანონებში ორ-ორი მახარებელია: მეხუთეშია მათე და ლუკა, მეექვსეში — მათე და მარკოზი, მეშვიდეში — მათე და იოვანე, მერვეში — მარკოზი და ლუკა, მეცხრეში — ლუკა და იოვანე. ეს აზრი კი გამოხატულია ლექსის მესამე სტრიქონში. მეათე კანონი ასეა ჩამოყალიბებული: „თუთუღმან მათგანმან რომლისათვისე“, რაც გამეორებულია ლექსის ბოლო სტრიქონში.

კანონთა ეს განრიგება, კიდევ უფრო გაძლიერებული ციფრების ენით, მოცემულია პეტრიწის იამბიკოში¹⁰¹:

„ერთ ოთხნი, ორ აკლს იოანე, სამ მარკოზ,
ოთხ ულუკოდ, ხუთ მათე-ლუკა ზოლო,
მათე-მარკოზ ექუს, შუკლ მათე-იოანე,
მარკოზ-ლუკა რვა, ცხრა ლუკა-იოანე,
ათ ოთხთა ათეს-თეს აღწერილი კანონი“.

ეს თხზულებანი ჩვენთვის საინტერესო სტროფისაგან იმით განსხვავდება, რომ მათში არის მინიშნებები, რას ეხება მოცემული ციფრები. მაგრამ ჩვენს ვერაუდს ეს ხელს არ უშლის, რადგან შესაძლებელია, განსახილველი ნაწარმოები ფრაგმენტის სახით იყოს ჩვენამდე მოღწეული და ამგვარი მითითება მას თავის დროზე ჰქონდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს იმავე E—106 ხელნაწერში დაცული, ზემოთ აღნიშნული, მეორე ერთსტროფიანი ლექსი:

„თუ კი ვინდა სულის კარგი, წაიკითხე ესე წიგნი:
შესაქმე და იგ გამოსვლა, ლეიტელთა, რიცხეთა წიგნი,
მეორე სჯულ, ისო ნავე, მსაქულ, რუთი, მეფეთ წიგნი,
ოთხი მეფეთ, ორი ნემტთა, ოთხი ნემქეს, ეხრას წიგნი,
ტობით, იეღით, ესთერისა, იობის და ფსალმუნთ წიგნი“.

ესეც, ისე როგორც განსახილველი ლექსი, მოთავსებულია პატარა ქალაქის ნაპერზე და ნაწერია ვახტანგის ხელით (ფურცელი 6, ფრაგმენტი VII). ჩვენი აზრით, ეს ლექსიც ვახტანგისა უნდა იყოს. როგორც ვხედავთ, მასში აღწესებულია ძველი აღთქმის წიგნების ნაწილი. ამ ლექსსაც პედაგოგიურ-შემეცნებითი დანიშნულება აქვს: პროპაგანდა გაუწიოს ბიბლიურ წიგნებს.

ამგვარი სახისა და დანიშნულების თხზულებანიც ძველ ქართულ მწერლობაში არაერთია. ასეთია, მაგალითად, არსენ იყალთოელის ნათარგმნი გრიგოლ ღმრთისმეტყველის „განზომილთაგან სიტყუათა“ და ამფილოქე იკონიელის „იამბიკონი სელევკოს მიმართ“, რომლებშიც ჩამოთვლილია ბიბლიის კანონიკური წიგნები¹⁰².

ამავე ტიპის არის პეტრიწის ზემოთ მოყვანილი იამბიკოს მეორე სტროფი¹⁰³:

¹⁰¹ ქ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 290; ივ. ლოლაშვილი, იოანე პეტრიწი-ჰომიქიელი, წიგნში: იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1968, გვ. 128.

¹⁰² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 377—379.

¹⁰³ ქ. კეკელიძისა და ივ. ლოლაშვილის მითითებული ნაშრომები. როგორც ქ. კეკელიძე შენიშნავს, სხვა ცნობით, ეს სტროფი დიმიტრი მეფეს ეკუთვნის.

„პრომ, კორი, კორი, ვალატ, ეფეს, ფილიპელ,
 კოლას, თესალო, თესალონიკ, ტიმოთე,
 ტიმოთე, ტიტე, ფილიმ, ებრაელ — ა თ თ ხ მ ე ტ,
 იაკობ, პეტრე ორ და სამ იოანის,
 ხოლო იუდა შ ე დ, შემდგომად „საქმეთა“.

აქ ჩამოთვლილია ახალ აღთქმაში შემავალი პავლეს (დასაწყისი ასოებით), იაკობის, იოანეს და იუდას ყველა ეპისტოლე.

შესაძლებელია, ვახტანგის საძიებელი სტროფები ორგანულადაც უკავშირდებოდეს ერთმანეთს: პოეტს ისინი ერთ მთლიან თხზულებად ჰქონდა ჩაფიქრებული და მისი გასრულება ვერ შესძლო, ან სულაც დაწერილი ჰქონდა, რომელიც ჭრეჭრობით მიუგნებელი ან დაკარგულია, და ესენი მის ნაშთს წარმოადგენენ.

ასეა თუ ისე, ერთ შემთხვევაში ძველ ქართულ მწერლობასთან ანალოგია აშკარაა და მეორე შემთხვევაშიაც საგულევებელია. ყოველ შემთხვევაში, მის გასაშიფრავად უპირველესად, ვეფიქრობთ, ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს კვლევა-ძიება.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ერთი მაგალითი კიდევ გვაქვს იმ დებულების საილუსტრაციოდ, რომ ვახტანგს მტკიცე კავშირი აქვს ძველ ქართულ მწერლობასთან, დაინტერესებულია მისი ნიუანსური თავისებურებებით და, როგორც პოეტი და შემოქმედი, არა მარტო თემატიკურად, ფორმების მხრივაც იყენებს, იმეორებს და ანახლებს მას.

თუ ყოველივე ზემოთ თქმულს თავს მოვეყრით, შემდეგ დასკვნებს მივიღებთ:

ვახტანგ მეექვსეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლექსის ვერსიფიკაციული განახლების საქმეში.

ვახტანგი ლექსთწილობაში ძირითადად მიჰყვება ქართული ლექსის მაგისტრალურ ხაზს. მის შემოქმედებაში გაბატონებული ადგილი უჭირავს იმ დროისათვის ქართულ მწერლობაში კანონიკურ ნორმად ქცეულ 16-მარცვლოვან რუსთველურ შაირს. გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, ყურადღების გარეშე ტოვებს ჩახრუხაულს. ვახტანგი, როგორც პოეტი-შემოქმედი და ხელმძღვანელ-ორგანიზატორი, დაუცხრომლად და მიზანსწრაფულად იღვწის ქართული ლექსის მდიდრული ბუნების, მისი ვერსიფიკაციული შესაძლებლობის გამოვლენისა და დამკვიდრებისათვის. საამისოდ იგი ეყრდნობა და იყენებს ძველ ქართულ მწერლობას, ქართულ ხალხურ შემოქმედებას და უცხოურ, სახელდობრ, სპარსულ პოეზიას.

ვახტანგის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ ლიტერატურაში მთელი რიგი სალექსო ფორმების გამოყენება. პირველად მასთან დასტურდება 16-მარცვლოვანი შაირის ერთ-, 6-, 8-, 9-, 11-, 12- და მეტსტრიქონიანი ლექს-სტროფები. ჩანს, ქართულ პოეზიაში ვახტანგისაგან იღებს სათავეს აგრეთვე 7- და 10-სტრიქონიანი ლექს-სტროფებიც.

ვახტანგი ქმნის ქართული პოეზიისათვის უცხო, განსხვავებული სტროფული აღნაგობის, თავისებური მეტრისა და რიტმის შემცველ ახალი სახეობის ლექსებს: „უწყვეტელს“, „ბოლოერთს“, „ვახტანგურს“, „ლექს-ამბავს“. შეიძლება ამავე რიგისა იყოს „მუხრანულიც“.

ვახტანგი, თავის დროის შესაბამისად, წერს სხვადასხვა ტიპის ანბანთქე-

ბებს. მათგან ერთი ქართული მწერლობისათვის ახალია, ერთი კიდევ გარკვეულ ვარიაციას იძლევა არჩილის მიერ ახალშემოღებული ანბანთქებისა.

გასაშიფრავი, ამოსაცნობი ანბანთქების სახეობას უნდა წარმოადგენდეს ვახტანგის თავისებური რიგით დალაგებული ქართული ანბანი, რომლის მსგავსი ქართულ ლიტერატურაში არსად გვხვდება.

ვახტანგი ეხმაურება ფორმალისტურ პოეზიას და, გარდა შინაარსისაგან დაცლილი ანბანთქებებისა, ქმნის ქართულში ნაკლებად გავრცელებულ წაღმა-უკლმა საკითხავ ლექსს. ფორმალისტური მიმართულებით ავითარებს მაჯამურ, ომონიმურ რითმიან ლექსებს.

ვახტანგი იყენებს მანამდე არსებულ, ახალშემოღებულ და ნაკლებად გავრცელებულ ლექსის სახეობებს და თავისი, როგორც მეფისა და აღიარებული პოეტის, ზეგავლენით ხელს უწყობს ამგვარი სალექსო ფორმების გავრცელებასა და ქართულ მწერლობაში დანერგვას. ამგვარია, მაგალითად, 2-, 5- და ზოგიერთი მეტეტრიქონიანი ლექს-სტროფები, ანბანთქებები, წაღმა-უკლმა საკითხავი ლექსი, რეფრენიანი ლექსები, „მუხრანული“ როგორც ოთხსტრიქონიანი „რეულის“ ფაქტიური სახეობა და სხვა.

შესაძლებელია, შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად ყველაფერი ისე არ დალაგდეს, როგორც ამჟამად გვაქვს წარმოდგენილი. კერძოდ, მოსალოდნელია, ლექსის ესა თუ ის სახეობა, რომლის შემომღებდაც ვახტანგს მივიჩნევთ, ქართულში უფრო ადრინდელი აღმოჩნდეს, ან ვახტანგი ისე არ უპირისპირდებოდა ადრინდელ სალექსო ფორმებს და ისეთ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა თავის თხზულებათა ორიგინალობას, როგორც ჩვენ კვლევისას ვაკეთებთ, ან კიდევ ვახტანგის ამა თუ იმ ნაწარმოებს ის ზეგავლენა არ მოუხდენია მომდევნო ხანის პოეტებზე, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, და ა. შ. მიუხედავად ყოველივე ამისა, უმთავრესი მაინც ცხადია: ვახტანგ მეექვსე ქართული ლექსის ვერსიფიკაციული განახლების სათავეებთან დგას. ეს დიდი ლიტერატურული, ეროვნულ-კულტურული პროცესი მიმდინარეობდა და ყალიბდებოდა ვახტანგის თვალწინ, მისი სამეფო კარის ირგვლივ შემოკრებილ და მისი მფარველობის ქვეშ მყოფ მწერალთა წრეში — სულხან-საბა ორბელიანის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, — ვახტანგის ყოველმხრივი, მიზანსწრაფული და აქტიური მონაწილეობით.

ბ. შ. დარჩია

ВАХТАНГ VI — НОВАТОР ГРУЗИНСКОГО СТИХА

Резюме

Версификационная деятельность Вахтанга VI впервые была рассмотрена А. Г. Барамидзе. Он же определил место поэта в истории грузинской художественной литературы и, в частности, поэтики.

В данной работе расширен круг вопросов, привлечены некоторые новые материалы; показано, что в истории грузинской поэзии впервые в произведениях Вахтанга VI встречаются стихотворения, которые состоят из 1-, 6-, 8-, 9-, 11-, 12- и более строк. Вахтанг VI внес

также вклад в развитие и распространение других стихотворных композиций.

Автор проанализировал метрические особенности поэтических сочинений Вахтанга VI, представленных в «Чашники» Мамуки Бараташвили, и указал, что эти стихи созданы с определенной версификаторской целью.

В очерке исследованы «Анбанткеба» (славословие алфавиту) Вахтанга VI и те новшества, которые вносит поэт в стихи подобного рода; выделены его формалистические стихи, рассмотрены и те произведения, которые, по мнению автора, должны принадлежать Вахтангу VI и привлекают внимание с точки зрения версификации.

Автор приходит к выводу, что Вахтанг VI, как творец-поэт и руководитель-организатор, целеустремленно и неутомимо боролся за выявление и реализацию версификационных возможностей грузинского стиха.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის განყოფილება
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

გაბრიელ რატიშვილი

ზურაბ რატიშვილის ანდერძის წიგნილი

1937 წლის დეკემბერს, რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო სტომაზე პოეტმა მიკოლა ბაენამ განაცხადა, რომ უკრაინელი მწერლები შეუდგნენ დავით გურამიშვილის უკრაინაში ცხოვრების შესახებ მასალების ძებნას და რომ ახლო მომავალში შესძლებენ მიაწოდონ ქართველ საზოგადოებას ის ცნობები, რომლებიც აკლია მის ბიოგრაფიას. მართლაც, 1940 წლის ივლისის 26-ს გაზეთ „Заря Востока“-ში უკრაინელმა მწერალმა დმიტრო კოსარიკმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც გვაცნობდა, რომ მან აღმოაჩინა მეტრიკული ჩანაწერი დავით გურამიშვილის სიკვდილის თარიღისა და დასაფლავების ადგილის შესახებ. ამასთან, ქ. მიროგოროდში მან დააზუსტა გურამიშვილის საფლავის ადგილმდებარეობა — პოლოვნიკ დავით რატიშვილის საფლავის გვერდით, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ქვა და წარწერა. მეტრიკული ჩანაწერის მიხედვით იგი გარდაცვლილა იმავე წელს და თვეს, როდესაც დავით გურამიშვილი.

შემდეგ წეროლში („Заря Востока“, 1948. 6. XIII) დ. კოსარიკი წერდა: «в Миргороде Д. Гурамишвили имел своим соседом подполк. Ратиева, с которым он поддерживал общение, как с земляком и односельчанином.

В биографии Гурамишвили Давид Ратиев занимает определенное место. Гурамишвили и Ратиев принимали участие в одних и тех же походах, в лице Ратиева Гурамишвили имел и друга, и собеседника, и первого слушателя своих произведений».

დავით რატიშვილის მამის, ზურაბ რატიშვილის ანდერძის პირი დაცულია საქართველოს ცენტრარქივის ფონდებში (ფ. 1450, დავთ. 28, საბ. 183). ანდერძი დაწერილია ასტრახანში 1726 წელს, მარიამობის თვის დამდეგს.

ზურაბ რატიშვილის ანდერძი ყურადღებას იპყრობს როგორც ცნობებით, რომლებშიც ასახულია იმდროინდელი ფეოდალური ურთიერთობა, აგრეთვე იმ სულისკვეთებით, რომლითაც შეპყრობილნი იყვნენ რუსეთში გადასულნი: მათ ვერ წარმოედგინათ, რომ სამუდამოდ დაშორდნენ სამშობლო მიწა-წყალს.

ანდერძი იწყება შემდეგი სიტყვებით: „ნებთა და შეწვენითა ღთისათა, ესე უკუნისამდე შეილთა და მო[მ]ავალთა ჩემთა გამოსადეგი და სახსოვარი, მართალი და კუშმარიტი წიგნი დადევით ჩვენის ოჯახისათვის ჩვენ, რატიშვილმა, მეჩინებეთუხუცესმან ზურაბ, ჟამსა ამას, ოდეს საქართველო თურქთა აღიოსმალთ დაიპყრეს და ჩვენი კელმწიფე მეფეთმეფე ვახტანგ დიდმა რუსეთის კელმწიფემან მოიხზო მათს დიდებულსა და ბედნიერს კარზედ, მობრძანდა შეილთა და სახლელეთთა თვისითა და ჩვენ, მათი მონა და მოსამსახურე, თან ვახლდით, ერთის ჩვენის პატარას შეილით დავითითა და თუ რამ საქართველოში ჩვენს სამკვიდროზედ ჰირნახული გვექნა და მამულები გვეყიდნა, იმისი წიგნები, თუ სხვა წიგნების ნასყიდობისა, სრულ იქ დაგვრჩა — საქართველოში და ვინ იცის, ჟამთა ვითარებისაგან ის წიგნები დაიკარგოს და კელში

ველარ ჩავიგდოთ, ან ჩვენ სიკვდილმა გვისწრას, რომ ჩვენი ჭირნახული ჩვენს შვილს არ დაეკარგოს, და რაც გვიყვია მამული, ვენახი თუ მიწა-წყალი, კვამლის კაცი, თუ საკვამლო, ყველაყა ამ ერთს წიგნში დაგვიწერია“.

შემდეგ ჩამოთვლილია ვისგან რა უყვია: ვიდრე ყველაფერს ჩამოთვლიდეს, ისევე უბრუნდება ანდერძს და განაგრძობს: „ახლა ეს წიგნი ამისთვის დავსწერე, რომ ჯერ სახლისკაცი არა მყვანდა და ერთი პატარა შვილი მყვანდა. იმან არა იცოდა რა, მერმე, რუსეთს ვიყვინთ გარდმოვარდნილი ბატონყმინად და ამ ჩემის ჭირნახულის წიგნები საქართველოში დამრჩა; ვინ იცის, ეამთა შლილობისაგან ან ის წიგნები დაიკარგოს და ან მე სიკვდილმა მისწრა, რომ ეს ჩემი მონაგარი ჩემს შვილს არ დაეკარგოს. თუ ამ წიგნში ან ერთი ტყუილი დამეწეროს, მას მეორეთ მოსვლას — შვილისაც მე ვიყო პასუხის ვამყენი და ამ სხვის კაცებისაც. ლ(მერ)თ(მა)ნ იცის, მართალი და ჭეშმარიტი დამიწერია — ამაში ყალბი და ტყუილი არ არის“.

ანდერძში მოიპოვება ცნობები მიწების შესყიდვის, ფულის გასესხებისა და მამულის დაგირავების შესახებ.

შესყიდვის საგნად დასახელებულია მამული, ვენახი, მიწა-წყალი, კვამლის კაცი თუ საკვამლო. უმეტეს შემთხვევაში ნაყილია კვამლი, კვამლის კაცი „თავისის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა, მითა და ბართა, საჯნავითა, სასახლავითა, რისაც მქონებელი იყო“. ორ შემთხვევაში მამულზეა მხოლოდ ლაპარაკი: 1. „ღურგალი რომ ესახლა, ღურგალი მამულიდამ გარდაყენეს და მისი მამული, რისაც მქონებელი იყო, პატარაშვილს დარჩა“. 2. „იასე ოსი ზედ ესახლა, იასე ოსი ამ თავის მამულს გამოჰყვა, ისე არ მიყილია და მე დამრჩა მამული და სახლკარი“.

როგორც ირკვევა, შესაძლო ყოფილა გლეხის მამულიდან დაშორებაც, მაგ. — ბებიაჩემის „წერეთლისაგან ნაზიითვი გლეხები“ ბაზუა, მახარა და გოჩია — ყანჩიეთს დაუსახლებიათ, ბერი სუბიტაშვილი, ესევე შოშიტაშვილი ბესარიონ და ციციძე გიორგი — თელოვანს.

დაგირავებისა და ფულის გასესხების შესახებ ანდერძში შემდეგი ცნობები მოიპოვება:

1. ჯავახისშვილი გომფარისაგან „ტყაბუნაშვილი... გირაოდ მქონდა, ხანი გამოჰკდა, თეთრი გამრავლდა, ვიანგარიშეთ და მოცემა ვერ შეიძლო, ვადით მამცა (წერილი — გ. რ.)... თუ ამა და ამ დროს შენი თეთრი მოგეცე, ის არის, თუ არა და კაცზედ ხელი ამილია და ნასყიდობით მამიყია. ვადაზედ თეთრი ველარ მამცა და კაცი ნასყიდობით დამრჩა“.

2. სოლოდაშვილს ყარაბუღაღისშვილისთვის ასურეთი გირაოდ მიეცა ოცდაათ თუმნად, რის „სარგებელში სოფელი უნდა ექამა და ამას გარდა იმე ყარაბუღახისშვილისა ოცი თუმანი სხვა ემართა, თუმანი თვეში აბაზათ, მოვიდა ეს სოლოდაშვილი და მე გარდამაწყვეტინა, მე ოცი თუმანი თვეში ორ შაურად მივეც“.

3. „თარხნისშვილს ზაალს თეთრი მივეც ვალად და კაცები დამაჩემებინა (თავი მამულით) ორის წლის ვადა დამიდვა თუ ორ წელში დამიბრუნდება თავისი სარგებლითა, კაცებთან ხელი არ მექნებოდა“.

4. ესენი (ჩამოთვლილია გვარები) ჯავახისშვილებმა „გირაოდ მამცეს და თეთრი ვასესხე, მას უკან წავიდნენ და ჩემის მალვით ეს ჩემი გირაო კაცები მალაშვილს ამიღბარს სახლთხუცეს მიჰყიდეს. ლაპარაკი შეგვექნა, ეს ჯავა-

შორის შაჰნავაზ მეფე ვახტანგ V-ის კრებულის მიერ დავის გარჩევამი (ერეკლესული ცენტრის წიგნების კატალოგი № 107, გვ. 132—134). ზურაბის მამა — სახლთუხუცესი ქაიხოსრო — სპარსეთში გაყოლია შაჰნავაზის ძმისწულს ბაგრატს და ამ უკანასკნელის ბიძებს ლევანსა და ლუარსაბს ერთგული სამსახურისათვის მიუციით მისთვის მამულები შულავერსა და თეთრ უბანში 1638 წელს (Hd—8415 ა).

ზურაბის ბიძა ევდემოზი ცნობილია როგორც ეპისკოპოსი — ჯერ ურბნელი, მერე მანგლელი, შემდეგ მთავარეპისკოპოსი ქართლისა, რომლის ბრძანებითა აღიწერა 1674 წელს ჟამგულანი, ლიტერატურაში ცნობილი როგორც „ყანჩათის ჟამგულანი“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექციის აღწერილობა, ტ. III, 1948; H — 1452, გვ. 390).

თვით ზურაბ რატიშვილზეც გვხვდება ცნობები როგორც საბუთებში, აგრეთვე ლიტერატურაშიც. მ. ბროსეს ცნობით, ზურაბს და მის მეუღლეს ანა სოლოლაშვილს აუშენებიათ ეკლესია სოფ. ქსოვრისში 1712 წელს (M Brosset, Rapports sur un voyage archéologique... livr. 3, sixieme rapport, St. Petersburg. 1851, გვ. 85). ეს შენობა აქამდე დაცულია და დაწერილებით აღწერილია პ. ზაქარაიას მიერ (საქართველოს აკად. მოამბე, ტ. X, № 10, 1949, გვ. 635). ზურაბ რატიშვილი ვახტანგ VI ამაღის 1724 წლის ნუსხაში მოხსენიებულია მეჯინბეთუხუცესად. იქვე აღნიშნულია მისი შვილი დავითი და რვა მსახური. მეუღლე ნახსენები არ არის. ის არც ანდერძში იხსენიება, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროისათვის აღარ ჰყოლია. 1737 წლის ნუსხის მიხედვით ზურაბი გარდაცვლილია 1736 წელს. ამავე ნუსხაში მოხსენიებულია, დავითის გარდა, კიდევ სამი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი, რომლებიც რუსეთში შეეძინა, შესაძლებელია, მეორე ცოლთან, რადგან ამ ნუსხაში მეუღლეც არის აღნიშნული — княгиня Хазуя. ქსოვრისის ეკლესიის წარწერიდან ირკვევა, რომ ზურაბის პირველი მეუღლე ყოფილა ანა სოლოლაშვილი (ნუსხები ციტირებულია: ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბილისი, 1955).

ამგვარად, ზურაბ რატიშვილი გარდაცვლილი ვიდრე მამულებს მიიღებდა რუსეთში. მისმა შვილებმა მამული მიიღეს უკრაინაში. ნათი შთამომავლობა გარუსდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, არ დაიწყებიათ, რომ ქართველები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, ქალაქ კურსკის მცხოვრები — ნიკოლოზ ივანეს ძე რატიევი 1866 წლის ნოემბრის 22-ს შემდეგ სწერდა თავის თანამოგვარე მიხეილ რატიშვილს (წერილი ჩემთან ინახება):

«В книге, доставшейся нам по преданию, рукой моего отца написано так: Прапрадед мой, Юрий Юрьевич или Георгий Георгиевич Зураб Ратиев в царствование ... Анны Иоановны выехал из Грузии с тремя своими сыновьями, одним совершеннолетним Давидом и двумя малолетними Юрьем или Георгием (родным прадедом моим) и Николаем».

ზურაბ რატიშვილის საქართველოდან წასვლის თარიღი წერილში სწორად არ არის მოცემული (ანა იოანეს ასული მეფობდა 1730—40 წლებში, ანდერძი კი დაწერილია 1726 წელს, საქართველოდან წასვლის შემდეგ). წერილი მაინც საინტერესოა იმ მხრივ, რომ ზურაბს მისი შთამომავლები იცნობენ როგორც იური იურის ძე რატიშვილს, რადგან რუსების საეკლესიო კალენდარში არ მოიპოვება ისეთი სახელები, როგორიცაა ზურაბი და ქაიხოსრო.



ისინი შეუცვლიათ იურით, ანუ გიორგით, რომლის მაგივრად ხალხი იეგორის (იეგორის) ამბობს. ამიტომ ზურაბის შვილები შემდეგში იწოდებოდნენ იეგორის შვილებად (მაგ., ნიკოლაი იეგორიჩ).

როგორც ირკვევა ზურაბს, გარდა ვაჟებისა, ქალიც ჰყოლია. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთ-ერთ საბუთში (Hd 8586), რომელიც დათარიღებულია 1765 წლით და ეკუთვნის არაგვის ერისთავის შვილს სარიდან მდღევანდებს, ვკითხულობთ: „დაგვირდა და მოგყიდეთ ჩემი სიმამრის ზურაბ რატიშვილის, თავის შვილის, ჩემის მეუღლის — როდამისთვის მზითვეში გამოტანილი...“.

ინტერესს მოკლებული არაა ის გარემოებაც, რომ, როგორც ჩანს, ზურაბის ანდერძი იმავე საუკუნეში საქართველოში ჩამოუტანიათ. ერთ-ერთ საბუთში, რომელიც დათარიღებულია 1787 წლით და შეეხება ბეჟან და შალვა რატიშვილების დავას (ფ. 1450, დავთ. 28, საბ. 137), ნათქვამია: „ბეჟან (რატიშვილმა) საბუთი მოიტანა, რომ რუსეთს ამის ბიძას ანდერძი დაუწერია დიდის ფიცით... ეს ანდერძის წიგნი მეფის ვახტანგისაგან, მეფის ბაქარისაგან, ბატონიშვილის სვიმონისაგან და ბატონიშვილის ვახუშტისაგან დამტკიცებული არის“.

საკითხავია, როგორ მოხდა ეს საბუთი საქართველოში? დასაშვებია, რომ დავით გურამიშვილთან ერთად, რომელმაც გადასცა კრემენჩუგში მყოფ მეფის წულს — მირიანს თავისი ნაწერები, მისმა ახლო მეგობარმა დავით რატიშვილმაც გამოატანა მას თავისი მამის — ზურაბ რატიშვილის ანდერძი.

Г. РАТИШВИЛИ

ЗАВЕЩАНИЕ ЗУРАБА РАТИШВИЛИ

Резюме

В статье рассматривается завещание Зураба Ратишвили, который в числе приближенных царя Вахтанга VI выехал из Грузии и последние годы жизни провел на Украине в Миргороде вместе с поэтом Давидом Гурамишвили.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ელ. მეტრეველმა

ბალზინან ზუზუბია

ძმირფასი ძმები „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებში

შოთა რუსთაველის გენიალურ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ გეხედება შემდეგი ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები: ალმასი, ამარტა, აყიყი, ბალახში, ბროლი, გიშერი, ზურმუხტი, წითელი იაგუნდი, ყვითელი იაგუნდი, ლალი, ლაყვარდი, მარგალიტი, სათი, სადაფი, ფაზარი, ფეროზი, ქარვა, ძონი. ძვირფასი ქვები პოემაში მოხსენებულია 200-ჯერ, ყველაზე მეტად ბროლი — 50-ჯერ, მარგალიტი — 33-ჯერ, ლალი — 27-ჯერ, გიშერი — 25-ჯერ, ბალახში — 17-ჯერ, იაგუნდი — 10-ჯერ და ა. შ. ამარტა, აყიყი, ფაზარი და ფეროზი — თითოჯერ.

ძვირფასი ქვები ამკობს პოემის გმირთა ტანისამოსს, სამეფო რეგალიებს, იარაღს, გამოყენებულია საჩუქრებისათვის, ჭურჭლეულობის შესამკობად, ძვირფასი ქვები მნიშვნელოვანია როგორც განძი, მაგრამ შ. რუსთაველს ძვირფასი ქვები გამოყენებული აქვს პირველ რიგში პოეტური შედარებებისათვის, მეტაფორებისათვის, როგორც გ. ნალირაძე აღნიშნავს, მოზაიკური ფერწერისათვის.

შ. რუსთაველი ძვირფასი ქვების უბადლო მცოდნეა. მისთვის მთავარია ძვირფასი ქვების ფერთა სასურველი სიკაშკაშე, გამჭვირვალობა, ელვარება, ძვირფასი ქვების ფერებით ხატავს პოემის გმირთა სახეებს, მათს სულიერ განწყობილებას.

ჩვენ დავეინტერესა ერთმა საკითხმა: როგორაა თარგმნილი „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებული ძვირფასი ქვების აღმნიშვნელი სიტყვები რუსულად, მიიღო თუ არა რუსმა მკითხველმა ძვირფასი ქვების სახელწოდებათა სრული შესატყვისები პოემის თარგმანებში.

ამ მიზნით „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი წლების, კერძოდ, 1966 წლის; საიუბილეო გამოცემებს შევეუდარეთ „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანები: კ. ბალმონტისა (1937), პ. პეტრენკოსი (1939), გ. ცაგარლისა (1953), ნ. ზაბოლოცკისა (1966) და შ. ნუცუბიძისა (1966).

ბ ა ლ ა ხ შ ი. ბალახში „ვეფხისტყაოსანში“ 17-ჯერ არის მოხსენებული. შ. რუსთაველი ხშირად იყენებს მას მეტაფორად, წითელი ფერის აღმნიშვნელად. რიგ გამოცემაში ამ სიტყვის სხვა ფორმაა დამკვიდრებული: ბადახში¹.

ამ სახელწოდების ძვირფას ქვას დღეს არ იცნობს არც მინერალოგიური მეცნიერება და არც საიუველირო ხელოვნება. მაგრამ შუა საუკუნეებში ბადახშანის წითელი ფერის ძვირფასი ქვა დიდად იყო გავრცელებული ბადახშის, ბალახშის სახელწოდებით. ეს ქვა ცნობილი იყო შუა აზიის პროვინცია ბადახშანში (ამჟამად ამ ტერიტორიის მეტი ნაწილი ტაჯიკეთის სსრ-ში შედის მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის სახით, ნაწილი — ავღანეთში).

¹ მსსი 1602—1744 სტროფები თარგმნილია პოეტ. ბ. ბრიცის მიერ.

რა არის ბალახში? რაფ. ერისთავი ასე განსაზღვრავს ამ მინერალს: „ბალახში, ბალახში, ლალი ბალახში — спинель-лалა». ვ. ნოზაძე მთელ რიგ მკვლევრებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ბალახში არის მინერალი სპინელ რუბის ან უბრალოდ სპინელი - შპინელი. ქართულად მას ბალახში, ბალახში, ბალახში, ბალახშიანის ლალი ეწოდება. ამჟამად მინერალოგები ამ ძვირფას ქვას შპინელს უწოდებენ. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანში ბალახშის შესატყვისად უნდა იყოს шпинель ან бадахшанский лал. „ვეფხისტყაოსანში“ ბალახში წითელი ფერის აღმნიშვნელია. მართლაც, კეთილშობილი შპინელი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში ბალახშიანის ლალის სახელწოდებით არის ცნობილი, პირველი კლასის ძვირფასი ქვაა და ძირითადად წითელი ფერისა (არის ვარდისფერი, იისფერი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე ფერის სახესხვაობანიც). „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებში ბალახშის შესატყვისად მეტწილად лал გამოდის, იშვიათად — агат; გვხვდება აგრეთვე бадахшанский, лал, бешло - розовый рубин; ზოგჯერ კი ბალახში გამოტოვებულია, სულ არ არის თარგმნილი.

იაგუნდი. პოემამი წითელი, აგრეთვე ყვითელი იაგუნდი 10-ჯერ არის მოხსენებული. ვ. ნოზაძე „ვეფხისტყაოსნის ფერთა მეტყველებაში“ (1953 წ.) სხვა ძვირფას ქვებთან ერთად განმარტავს იაგუნდაც, მაგრამ არასწორად მიუთითებს, იაგუნდის ჭკუფს ჩვენი დროის მეცნიერების ენაზე კორინდონ ანუ კორუნდი ეწოდებაო. ვ. ნოზაძე აკრიტიკებს შარაფედდინის რუსულ-სპარსული ლექსიკონის განმარტებას, სადაც წითელი იაგუნდი რუსულად ნათარგმნია როგორც პიროპი, გრანატის ჭკუფის მინერალი. იგი აღნიშნავს, რომ ლექსიკონის ავტორი ცდება, „რადგან იაგუნდი არა გრანატის, არამედ კორუნდის ჭკუფს ეკუთვნის“. ამ დებულების დასამტკიცებლად მოყვანილი აქვს ციტატა „ვეფხისტყაოსნიდან“. მელიქ სურხავმა „ნესტან-დარეჯანს ყაბაჩა უძღვნა, შემკული თვალითა, იაგუნდითა წითლითა, ბალახშითა და ლალითა“.

დღეს საბოლოოდ დადგენილად ითვლება, რომ კორუნდის წითელი ფერის გამკვირვალე სახესხვაობას ლალი ანუ რუბინი ეწოდება. თუ იაგუნდიც კორუნდის ჭკუფის მინერალია, მაშინ როგორ მოხდა, რომ ძვირფასი ქვების დიდ მცოდნეს შოთა რუსთაველს ერთი სტრიქონში ერთი და იგივე ქვა ორი სახელწოდებით აქვს მოხსენებული? საქმე ის არის, რომ იაგუნდი ლალი არ არის. რუსთაველს ამ სტროფში (1425) სამი ძვირფასი ქვა აქვს დასახელებული: იაგუნდი, ბალახში და ლალი. ეს ორი უკანასკნელი, ჩვეულებრივ, წითელი ფერის ქვებია (სხვადასხვა ნიუანსებით), იაგუნდი კი წითელს გარდა სხვა ფერიც შეიძლება იყოს (ლურჯი, ყვითელი). ამით აიხსნება, რომ ფერის აღმნიშვნელი მსაზღვრელი სიტყვა (წითელი) ტაეპში მხოლოდ იაგუნდს ახლავს.

ცნობილია, რომ ძველ ქართულ წყაროებში მოხსენებული ძვირფასი ქვები — ანთრაქი, იაკინთი, წითელი იაგუნდი — არის გრანატების ჭკუფის მინერალი პიროპი, ან ალმანდინი. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H—406 ხელნაწერში გვითხულობთ: „იაკინთი არის ქვა სპეკალი თუალი პატოსანი ბრწყინვალე და ელუარედ მნათობიერი, რომელსაცა საზოგადოებანი მდამბითანი უწოდებენ მას იაგუნდად. აქუს უკუე ამას სამ სახეობა. ერთი იგი არს ცისფერ ანუ მოლურჯო, რომელსაცა თათარნი უწოდებენ

² ამ ფორმითა ურთიერთმიმართებისათვის დაწერილებით იხ. გ. წერეთელი, ბალახში და ბალახში ვეფხისტყაოსანში: აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბ., 1972, გვ. 35—40.

ლურჯ იაგუნდად, ხოლო მეორე არს ჩალის ანუ ოქროს ფეროვან... რომელსა... მე უწოდებენ ამას იაინთსა ოქროს ქვად ანუ ოქროანთრაქად... ოქროანთრაქისებრ თქმის ხრისოლითოს და ამას თათარნი უწოდებენ ყვითელ იაგუნდად, ხოლო მესამე იქმნების წითელ სახოვან ანუ ვარდისფერ, თათარნი უწოდებენ ამას წითელ იაგუნდად. „კალმასობის“ ავტორი ი. ბაგრატიონი ანთრაქის შესახებ მიუთითებს, რომ „ეს თუალი უფროვე ბუნებით მიეწერება წითელსა იაგუნდას... საპვირონი არს ბერძულეზ ლურჯი იაგუნდი“.

ამგვარად, წითელი იაგუნდი არის ანთრაქი ანუ გრანატი (პიროპი, ალმანდინი), ლურჯი იაგუნდი არის საფირონი, ყვითელი იაგუნდი არის ქრიზოლითი.

როგორ აქვთ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს ძვირფასი ქვა იაგუნდი? შ. ნუცუბიძის მიხედვით, იაგუნდი არის ხან რუბინ, ე. ი. ლალი (სტრ. 279), ხან — бриюза, ე. ი. ფირუზი (სტრ. 295), ხან — изумруд (ზურმუხტი) (სტრ. 1537). კ. ბალონტი იაგუნდს 279-ე სტროფში რუბინ-ად თარგმნის, სხვაგან (სტროფები 322, 659, 1424, 1425, 1537) — гиаинт - ად. ეს უკანასკნელი მიწერაღ ცირკონის გამჭვირვალე სახესხვაობაა და არაფერი აქვს საერთო იაგუნდთან. ნ. ზაბოლოცკით იაგუნდი яхонт - იცაა, кристалл - იც, лал - იც, гиаинт - იც. აქედან მხოლოდ ერთია სწორი — яхонт. პ. პეტრენკოს იაგუნდი თარგმნილი აქვს რუბინ - ად, гиаинт - ად, яхонт - ად. ცაგარელთან იაგუნდის შესატყვისად გამოდის: гиаинт, бадахшанский рубин, самоцвет, яхонт.

წითელი იაგუნდი უნდა ითარგმნოს როგორც гранат (პიროპ ან альмандин). შეიძლება დარჩეს яхонт - იც, მაგრამ უფრო სწორია პირველი. ყვითელი იაგუნდის შესატყვისია хризолит.

ამარტა. ეს ქვა შ. რუსთაველს მხოლოდ ერთხელ აქვს ნახსენები: „ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამა“ (სტრ. 263).

კ. ბალონტს ამარტა თარგმნილი არა აქვს, შ. ნუცუბიძისთან მისი შესატყვისია шафран (ზაფრანი), პ. პეტრენკოს და ნ. ზაბოლოცკის თარგმნილი აქვთ როგორც янтарь (ქარვა). გ. ცაგარლის шафрановый цвет-იც ყვითელ ფერზე მიგვიითებს. მთარგმნელთათვის ცხადია, რომ ტირილმა სახის კანის თეთრი ფერი გააყვითლა, რომ ამარტა ნახშირია შედარებისათვის (მწუხარე ადამიანის სახის ფერის აღმნიშვნელად), მაგრამ მას მაინც სწორად ვერ თარგმნიან. რა არის ამარტა? ვახტანგ მეექვსეს შენიშვნებში „ვეფხისტყაოსანზე“ გარკვევით აქვს აღნიშნული: „ამარტა ეშმასა კქვიან“. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „ამარტა ეშმის ქუა, яшма камень. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამარტა ახსნილია როგორც „ევარცის ნაირსახეობა, ყვითელი ეშმი“. ეს განმარტება სწორია, იმ შესწორებით, რომ ამარტა მიწერაღ ქალცედონის სახესხვაობაა და არა ევარცისა. ძველ ქართულში მიწერაღ იასპის—ეშმას მესამე სახელწოდება იყო ამარტა. იგი მოყვითალო ფერის ნახევრად ძვირფასი ქვაა. ამარტა яшма - დ უნდა ითარგმნოს.

ზურმუხტი. ზურმუხტი „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები. ზურმუხტი მწვანე ფერის ძვირფასი ქვაა და ამიტომ შეუძლებელია რუსთაველს იგი ეხმარა პირისახის სილამაზის აღსაწერად. 1356 სტროფში ვკითხულობთ:

„ქაქვი, ხრმალი, მუზარაღი, საბარკული მათი მგავნი, —
 ზურმუხტისა ბუდებთა იყვენს ვითა ლუსკემანი“.

ალმას შემდეგ ზურმუხტი ყველაზე ძვირფასი ქვაა, ამიტომ აქვს აღწერა ნუმიზმატიკის ავტორის „ზურმუხტის ბუდე“. მთარგმნელები კი მას უფრო ნაკლები ღირებულების ქვად იცვლიან: შ. ნუტუბიძე — бирюза (ფირუზი), პ. პეტრენკო — яхонт (იაგუნდი), ნ. ზაბოლოცკი — ал. ცაგარელს ზურმუხტი სულ არა აქვს ნახმარი, მხოლოდ კ. ბაღმონტს აქვს ეს სიტყვა სწორად გადართარგმნილი: ИЗУМРУД.

ბ რ ო ლ ი. „ვეფხისტყაოსანში“ ქვებიდან ყველაზე მეტად (50-ჯერ) ბროლია მოხსენებული. ბროლი მეტწილად თარგმნილია როგორც хрусталь, მაგრამ ძ. ბაღმონტი და ნ. ზაბოლოცკი ხშირად кристалл-ად თარგმნიან. მართალია, ამ ძველმა ბერძნებმა „კრისტალოს“ უწოდეს, რაც ყინულის ნიშნავს, რადგან ბროლი გაქვავებულ ყინულად მიიჩნედათ, მაგრამ „კრისტალი“ ამჟამად არის არა ბროლი, არამედ მყარი სხეული, რომელსაც აქვს წესიერი მრავალწახნაგის ბუნებრივი ფორმა. ძვირფასი ქვები, იშვიათ გამოჩაყლის გარდა (მარგალიტი, თხაღი და სხვ.), კრისტალების სახით გვხვდება, ასე რომ, ბროლის რუსული შესატყვისია хрусталь და არა кристалл. მით უმეტეს ბროლი არ არის эмаль, жемчуг, перл ან блеск, როგორც ზოგან აქვთ ნათარგმნი ცალკეულ მთარგმნელებს.

გ ი შ ი რ ი. გიშერი „ვეფხისტყაოსანში“ 25-ჯერ არის მოხსენებული. გიშერი ნამარხი ნახშირის შავი ფერის ძლიერ ელვარი სახისხვაობა და რუსთაველი მას იყენებს თვალის, წარბების, წამწამებისა და თმის მეტაფორად. „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანებში გიშერს სხვადასხვა შესატყვისი აქვს: янтарь, алмаз, хрусталь, смола, მეტწილად კი — агат. Агат აქატია. თეთრი, ნაცრისფერი ან მოყვითალო, ყვითელი ფერის მინერალი, როგორ უნდა წარმოიდგინოს მკითხველმა ნაცრისფერი ან მოყვითალო წარბები და წამწამები?!

გიშერს агат ეწოდება და სწორედ ეს სიტყვა უნდა დამკვიდრდეს თარგმანებში, ან შეიძლება დარჩეს მისი ქართული სახელწოდება — гишер.

ს ა თ ი. ქართულ ენაზე გიშერს აქვს მეორე სახელწოდება — სათი. შდრ. ს.-ს. ორბელიანი და ნ. ჩუბინაშვილი: „სათი გიშერი“. „ვეფხისტყაოსანში“ სათი რვაჯერ არის მოხსენიებული და ეს სიტყვა მხოლოდ ერთ შემთხვევაში (1134 სტროფი) აქვს სწორად თარგმნილი გ. ცაგარელს: гишер. დანარჩენ შემთხვევებში არც ერთ მთარგმნელს სათი სწორად არა აქვს თარგმნილი: მეტწილად агат უწერიან. გვხვდება აგრეთვე янтарь, эмаль, жемчуг. ისევე როგორც გიშერის, სათის შესატყვისიდაც რუსულში უნდა იყოს агат ან гишер.

ა ლ მ ა ს ი. ალმასი (ანდამატი) ტექსტში ექვსჯერ გვხვდება. იგი ყველას სწორად აქვს თარგმნილი: алмаз, аламант. თუმცა, პ. პეტრენკოსთან ერთგან гранит-ადაც არის გადმოღებული (სტრ. 705).

ძ ო წ ი. ძოწი, რომელიც შოთა რუსთაველს პოემაში ცხრაჯერ აქვს მოხსენებული, წითელი ფერის ქვა — კეთილშობილი მარჯანი. შდრ. ს.-ს. ორბელიანი: „კორალიონ ფრანგულად კ ო რ ა ლ ო ძ ი წ ა ჰქვიან“, ნ. ჩუბინაშვილი: „ძოწი წითელი მარჯანი, ბროწყულის ყუაველის ფერი, коралл“. დ. ჩუბინაშვილი: „ძოწი“ — коралл. ოსე გაბაშვილი (H—2955): „ძოწი-კორალი-მარჯანი“ — ძოწი რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსანის“ მთარგმნელებს სწორად აქვთ თარგმნილი: коралл, თუმცა ხშირად გამოტოვებული აქვთ ან ал-ად აქვთ გადმოღებული (ნუტუბიძე, ცაგარელი).

ა ყ ი ყ ი. აყიყი „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ არის დასახილბული. პოეტი მას ქალის ტუჩის მეტაფორად იყენებს: „შუა ძოწისა და აყიყის სკვირს მარგალიტი ტყუბები“ (სტროფი 1134), ე. ი. ზედა და ქვედა ტუჩებს შორის მოჩანდა ლამაზი კბილებით. აყიყი მხოლოდ ბაღმონტს აქვს სწორად თარგმნილი: сердолик. და-

ნარჩენ ავტორებს ეს სიტყვა არა აქვთ თარგმნილი. სერდოლიკი ანუ სარდიონი მინერალ ქალკედონის წითელ ფერის სახესხვაობაა, ქართულად მას აყიყსა და იამანსაც უწოდებენ. რუსულში сердолик-ს შეიძლება კარნეოლ შეენაცვლოს.

ლ ა ლ ი. ლალი „ვეფხისტყაოსანში“ 27-ჯერ არის მოხსენიებული, პირველ რიგში გმირების პირისახის სილამაზის დასახატავად, პოემის გმირების განცდები ხშირად ქვების ფერების ცვლებადობითაა გამოხატული, შედარებისათვის ხშირად ლალია გამოყენებული. ტარიელის ლაწვი ზან ლალისფერი ხდება, ზან კი ყვითლდება, ლალი ქარვად გადაიქცევა. ლალითაა შემკული ტანისამოსი და სხვა ნივთები. ვახტანგმა გვირგვინიც „ერთობილისა ლალისა“.

სახელწოდება ლალი (ლალ) არაბულ-სპარსულია და წითელს ნიშნავს. იგი მინერალ კორუნდის წითელი ფერის გამჭვირვალე სახესხვაობაა. რუსულად მას рубин უწოდება (ლათინურად რუბელუს — წითელი), შეიძლება ვისმართოთ ლალ, მაგრამ უმჯობესია рубин. მთარგმნელებს рубин-ადაც აქვთ თარგმნილი და დატოვებულია ლალ - იც. არის შემთხვევები, როდესაც ლალი ალმას - აღ გადაითარგმნება (პ. პეტრენკო, სტროფი 204), თარგმნილია баялханский ლალ-ადაც, ე. ი. ბადახშანად. 1425-ი სტროფში გ. ცაგარელს იაგუნდი და ლალი თარგმნილი აქვს бирюза - დ (ფირუზი) და гнацинт - აღ (პიაცინტი). ხშირად ლალი სულ არ არის თარგმნილი.

ფ ე რ ო ზ ი (ფირუზი). „ვეფხისტყაოსანში“ ფეროზი მხოლოდ ერთხელაა მოხსენიებული (ჯამი და ჭიჭა — ყველაი ფეროზისა და ლალისა. 476). იგი ყველას სწორად აქვს бирюза - აღ გადმოღებული. მხოლოდ გ. ცაგარელი თარგმნის არასწორად: изумруд „ზურმუხტი“.

მ ა რ გ ა ლ ი ტ ი. მარგალიტი „ვეფხისტყაოსანში“ 33-ჯერ არის მოხსენიებული. ეს სიტყვა ყველა მთარგმნელს სწორად აქვს თარგმნილი. жемчуг, жемчужина, перл. რიგ შემთხვევაში მარგალიტი алмаз — აღ (კ. ბალმონტი), ან ლალ - აღ (ნ. ზაბოლოცი) არის თარგმნილი ან საერთოდ, გამოტოვებულია.

ს ა დ ა ფ ი. სადაფი მოლუსკთა და ზღვის ზოგიერთ სხვა ცხოველთა ნახშირ-მკვავა კალციუმიანი ნივარაა. სადაფის ფერთა თამაში დამოკიდებულია ნივარის აგებულებაზე. ეს უკანასკნელი თხელი ფირფიტებისაგან შედგება და იწვევს სინათლის სხივების გარდატეხას. ნივარის, სადაფის შიგნით მოთავსებულია მარგალიტწარმოქმნელი მოლუსკი. ამიტომ უწოდებენ ვერმანელები სადაფს პერლამუტრს ანუ მარგალიტის მშობელს, დედას. სადაფს რუსულადც перламутр ეწოდება. ამიტომ რუსულ თარგმანში სადაფი ყველგან перламутრ უნდა ყოფილიყო. 846-ე სტროფში („ბროლ - სადაფი მარგალიტსა ლალის - ფერსა სცვენ და პბურვენი“) перламутრ მხოლოდ პ. პეტრენკოსთან გვხვდება, კ. ბალმონტს, შ. ნუცუბიძეს, ნ. ზაბოლოცის და გ. ცაგარელს სადაფი თარგმნილი არა აქვთ. 1431-ე სტროფში („პილინი ბროლი და ბაგენი სადაფთა მოსადაფენი“) კ. ბალმონტს, შ. ნუცუბიძეს, გ. ცაგარელს სადაფი თარგმნილი არა აქვთ. ნ. ზაბოლოცისთან მისი შესატყვისია жемчужные уста, პ. პეტრენკოსთან — раковина. ეს უკანასკნელი უბრალო ნივარაა და არა ძვირფასი სადაფი.

ფ ა ზ ა რ ი. რუსთაველს მოხსენიებული აქვს იშვიათი ქვა ფაზარი. კ. ბალმონტს, პ. პეტრენკოს, ნ. ზაბოლოცის, გ. ცაგარელს ეს სიტყვა სწორად აქვთ თარგმნილი: нефзари. მხოლოდ შ. ნუცუბიძეს აქვს არასწორად: базальт.

პოემაში რამდენჯერმე მოხსენიებული ქარვა და ლაქვარდი მთარგმნელებს სწორად აქვთ თარგმნილი: ქარვა — янтари, ლაქვარდი — лазурь.

ხშირია შემთხვევები, როცა ესა თუ ის ძვირფასი ქვა პოემაში არ არის დასახელებული, მთარგმნელებს კი დამატებით აქვთ შეტანილი.

მაგ., ნ. ზაბოლოცკის მე-5 სტროფში ტექსტში დასახელებული ბროლისა და ბალახშის ნაცვლად თარგმანში სამი სულ სხვა ქვა აქვს მოხსენებული: агат, жемчуг და рубинი. 42-ე სტროფში ლალი არ არის, თარგმანში მოხსენებულია рубинი; 1412 სტროფში ტექსტს გარეშეა изумруд, 1500-ე სტროფში — рубинი; 476-ე სტროფში დამატებულია ძვირფასი ქვა сапфир.

კ. ბალმონტთან 327 - ე სტროფის თარგმანში არის агат, ტექსტში შესატყვისი სიტყვა არ არის. 1134-ე სტროფში ტექსტის გარეშე მოხსენებულია гранат. ამავე სტროფში შ. ნუცუბიძეს ტექსტის გარეშე მოხსენებული აქვს лал, პ. პეტრენკოს — алмаз.

ბ. პეტრენკო 1011 სტროფში ტექსტის გარეშე უმატებს жемчуг - ს და гишер - ს.

გ. ცაგარელს 227 - ე სტროფში დამატებული აქვს лал, 1412 - ე სტროფში — сапфир, изумруд, 1419 სტროფში — сапфир და ა. შ.

ამგვარად, მთარგმნელების მიერ რუსთაველის პოემის თარგმნისას ძვირფასი ქვების სახელწოდებათა გადათარგმნაში დაშვებულია უზუსტობანი: ხშირად ეს სახელწოდებანი თარგმნილია არასწორად, მიუღ რიგ შემთხვევებში კი სულაც არ არის თარგმნილი, ეს კი ცვლის ცალკეული სტროფების დედააზრს და ნაკლებ სრულფასოვანს ხდის პოემის თარგმანს.

ჯერ კიდევ 1966 წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებში, ჩვენ ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ტექსტს შევეუდარეთ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მიერ თარგმნილი ტექსტი, შევამჩნიეთ მთელი რიგი უზუსტობანი ძვირფასი ქვების სახელთა თარგმანში, კერძოდ, ის, რომ ცალკეული ქვები არასწორად ან ხშირად სულ არ იყო თარგმნილი. ყოველივე ეს მოკრძალებული წერილით ვაცნობთ პატივცემულ მეცნიერს, მეცნიერმა-მთარგმნელმა პასუხი არ დააყოვნა.

საპასუხო წერილში იგი გვწერდა: „თქვენი წერილი ძალიან საინტერესოა. უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი სიზუსტე ძვირფასი ქვების სახელებში რუსულად თარგმნისას არ გამოიჩინა, რადგან ქართული სახელებიც ხშირად ჩემთვის გაუგებარი იყო. ამიტომაც თქვენს შენიშვნებში საინტერესოა და მათ უსათუოდ გამოვიყენებ. მაღლობას მოგახსენებ დამხარებისათვის, რადგან, რაც სწორი აღმოჩნდება, მათი შენაცვლება ტექსტში ძნელი არ უნდა იყოს“.

ღიახ, ნამდვილად ძნელი არ არის რუსულ ტექსტში ძვირფასი ქვების არასწორად თარგმნის სახელწოდებათა სწორი სახელწოდებებით შეცვლა. ეს კი აუცილებელია, რათა რუს მკითხველს მივაწოდოთ შოთა რუსთაველის გენიალური პოემის სრულყოფილი თარგმანი.

В. А. ЗУХБАЯ

ДРАГОЦЕННЫЕ КАМНИ В ПОЭМЕ Ш. РУСТАВЕЛИ

Резюме

Статья содержит критические замечания и рекомендации по вопросу передачи на русский язык названий драгоценных камней, упоминаемых в поэме Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре».

ფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრა
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ

ლიანა ახვაჯამი

ეფრემ ასურის თხზულებები ქართულ მრავალთავებში

ქართულ მრავალთავთან დაკავშირებულ საკითხებს დიდი ხანია სწავლობენ ქართველი და ევროპელი მეცნიერები. ძალიან დაწვრილებით და ყოველმხრივ არის განხილული მრავალთავებში შემავალი ცალკეული თხზულებები, მაგრამ არ არის ერთი აზრი მრავალთავის თავდაპირველი სახისა და შედგენილობის შესახებ.

მრავალთავი წარმოადგენს საკითხავების კრებულს. თითოეული საკითხავი განეკუთვნება გარკვეულ დღეს. ყოველ დღესასწაულს ან რომელიმე მოღვაწის ხსენების დღეს ეძღვნება უმეტეს შემთხვევაში არა ერთი, არამედ რამდენიმე საკითხავი. საკითხავი წარმოადგენს ჰომილიას ან მოღვაწის ცხოვრება-მოწამეობის აღწერას. მასსადაამე, მრავალთავი წარმოადგენს ჰომილეტიკურ და ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულს. საკითხავები დალაგებული არიან გარკვეული რიგით, რომელსაც განსაზღვრავს ის საეკლესიო წელიწადი, რომელიც ჩვენში არსებობდა უძველესი ქრისტიანობის ხანაში¹.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „მრავალთავი წმინდათა მარტვილობა-ცხოვრებას ეწოდება“². ივარაუდება, რომ შემდეგ ასეთი სახის ჰაგიოგრაფიულ კრებულებში შეჰქონდათ წმინდანთა ხსენებისა და საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ქადაგებანი და შესხმანი, ზნეობრივი შინაარსის ქადაგებანი.

ყველაზე ვრცელი გამოკვლევა ქართული მრავალთავების შესახებ ეკუთვნის ბელგიელ ორიენტალისტსა და ქართველოლოგს მ. ვან ესბროკს³. მკვლევარი არ იზიარებს აზრს, რომ მრავალთავი თავდაპირველად ჰაგიოგრაფიულ მასალას შეიცავდა. „მ. ვან ესბროკის მტკიცებით, რაც საესებით დასაბუთებული და დამაჯერებელია, მრავალთავი თავდაპირველად შეიცავდა მხოლოდ ჰომილეტიკურ მასალას, ხოლო ჰაგიოგრაფიული მასალა მისი გვიანდელი დანამატია“⁴. მ. ვან ესბროკი მრავალთავის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ ის საკითხავები, რომლებიც მეორდებიან სხვადასხვა მრავალთავში, წარმოადგენენ მრავალთავის უძველეს ფენას და მიეკუთვნებიან ქართული მრავალთავის არქეტიპს.

ჩვენ განვიხილავთ ეფრემ ასურის თხზულებებს მრავალთავებში: A19, A95, A144, A1109, sin. 32—57—33, Ath. II. ექვსი ქართული მრავალთავიდან

¹ ი. აბულაძე, მრავალთავი, ენიქის მოამბე, XVI, თბ., 1944, გვ. 241.

² კ. კეკელიძე, კიმენი, I, თბ., 1918, გვ. XI.

³ Les plus anciens homéliaires géorgiens, étude descriptive et historique par Michel van Esbroeck. publication de l'Institut orientaliste de Louvain, 10 Louvain-la-Neuve, 1975.

⁴ ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 4, გვ. 69.

ცალკე უნდა გამოიყოს სამი: A19 (ტბეთის ანუ სვანური მრავალთავი), A95 (პარხლის მრავალთავი), A1109 (უღაბნოს მრავალთავი). გამოვეყოფთ იმ ნიშნით, რომ ეს მრავალთავები შეიცავენ ეფრემ ასურის ერთსა და იმავე თხზულებებს. ეს თხზულებებია: „მამათათს მძოვართა“, „მამათათს შესუენებულთა“, „სულთათს“. A19 და A95 მრავალთავებში ორ-ორი თხზულებაა, A1109-ში — სამი. სამივე თხზულება წარმოდგენილია Sin. 97 კრებულში (Sin. 97₁₂, Sin. 97₁₈, Sin. 97₁₉). მაშასადამე, ეს მრავალთავები ეყრდნობიან ერთსა და იმავე მასალას, იმ მასალას, რომელიც Sin. 97 კრებულშია წარმოდგენილი. ამ მხრივ ისინი განსხვავდებიან სხვა მრავალთავებისაგან. მაგ., სინური მრავალთავი (Sin. 32—57—33) შეიცავს დამატებით ისეთ მასალას, რომელიც არც ერთ სხვა კრებულში არ გვხვდება. იგივე ითქმის ათონის მრავალთავზე (Ath. 11), ხოლო კლარჯული მრავალთავი (A 144) ემყარება „მამათა სწავლათა“ ტიპის კრებულს. მრავალთავებსა და Sin. 97 კრებულში წარმოდგენილი თხზულებანი რედაქციულ განსხვავებებს არ გვიჩვენებენ. არ არის არც მექანიკური შემოკლებისა და არც გამოკრების შემთხვევები, რაც მოსალოდნელი იყო მრავალთავის სპეციფიკის გამო.

ამოსავლად მრავალთავთა ერთი ჯგუფისათვის (A 19, A 95, A 1109) ვვარაუდობთ Sin. 97 ტიპის კრებულს. უშუალო დედნად Sin. 97 ხელნაწერი არ ივარაუდება თუნდაც იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მრავალთავებთან შედარებით განსხვავებულ, ზოგჯერ არასწორ, იკითხვისებზე გვიჩვენებს, აქვს ნაკლები ადგილებიც. პირველ რიგში განვიხილავთ თხზულებას „მამათათს შესუენებულთა“ (A 19, A 1109)⁵.

„თქუენცა ჩემ თანა გეგნებოდენ, ძმანო, მონანო კურთხეულნო“.
(A 1109, 36კ).

„თქუენცა ჩემ თანა გეგნებოდენ, ძმანო, მამანო კურთხეულნო“.
(Sin. 97, 111რ).

„Συμπαιζει ძελφοι δεηλοι: εσλαγγμενο:“, (172 A).

სვანური მრავალთავი (A—19) მეტ სიახლოვეს იჩენს Sin. 97 კრებულთან, ვიდრე სხვა მრავალთავები.

„სადა-იგი არა არს ყოავილი და დამაბრკოლებელი ცრემლთაჲ, არცაღა კუალად სიმრავლმ და მამაბრკოლებელი ცრემლთაჲ“
(A 1109, 36v).

„სადა-იგი არა არს ეღავილი დამაბრკოლებელი ცრემლთაჲ, არცაღა კუალად სიმრავლმ და მამაყდუნებელი ტირილისაჲ“, (Sin. 97, 111 v; A 19, 477r).

„Ὁπου οὐκ ἔνι θύραρυς ἐκατήπτων τῆ Ζάκρυα, οὕτε πᾶλιν σὺγγχυσε ἐμπροσθεισα κλαυθμῶν“ (172 B).

ამ შემთხვევაში A 19 მრავალთავი და Sin. 97 კრებული ერთნაირად სწორ იკითხვისს გვაჩვენებენ, (ეღავილი ბერძნული ბ მარაყვ-ის შესატყვისია), ერთნაირად აკლიათ და კავშირი, ორივე ნუსხაში გვაქვს ტირილი (ბერძნული ბ კლავთმῶς) საპირისპიროდ A 1109 მრავალთავის ცრემლისა.

შესაძლებელია ორივე შემთხვევაში ერთნაირად დასაშვები იყოს რომელიმე ფორმა ან ლექსიკური ერთეული, მაგრამ A 19 და Sin. 97 ყველა შემთხვევაში ერთად დგანან:

⁵ Assemani, g. 1, 172—175.

- „განათლდეს მცირედ დაბნელებული გონება ჩემი“ (A 1109, 38 r).
 „განათლდეს მცირედ დაბნელებული გული ჩემი“ (Sin. 97, 118 r; A 19, 482 r).
- A 19 და Sin. 97 ზოგჯერ ერთნაირად აკლებენ სიტყვებს:
 „ზეცისა იგი საყკრი მზა არს... აღდგინებად ყოველთა, რომელნი საუქუნითგან დაძინებულ არიან“ (A 1.09, 37 v).
 „ზეცისა იგი საყკრი მზა არს... აღდგინებად, რომელნი საუქუნითგან დაძინებულ არიან“ (Sin. 97, 116 r; A 19, 480 v).
 ერთნაირად არის გადანაცვლებული სიტყვები:
 „რომელთა ბოროტთა წელთა და ხენეშთა მოგუცალდა“ (A 1109, 37 r).
 „რომელთა ხენეშთა და ბოროტთა წელთა მოგუცალდა“ (Sin. 97, 115 v; A 19, 479 v) (174 B).
- ორივე კრებული რიგ შემთხვევებში ერთნაირად ამატებს რაიმე სიტყვას:
 „წარვდგეთ წინაშე ქრისტჲსა“ (A 1109, 37 v).
 „წარვდგეთ მუნ წინაშე ქრისტჲსა“ (Sin. 97, 116 v; A 19, 480 v). G. 174 E).
- ასეთივე სურათია მეორე თხზულების „მამათათჳს მძოვართა“ მონაცემების მიხედვითაც. ამ შემთხვევაშიც ერთად დგანან Sin. 97 კრებული და A 19 მრავალთავეი:
- „ლოცეთა მათითა მარადის განწმდებიან“ (A 95, 169 r).
 „ლოცეთა მათითა მარადის განწმიდნებიან“ (A 19, 240 r; Sin. 97, 176 v).
 „მეყსეულად მოიქცის ავაზაკობრივისაგან სახისა“ (A 95, 169 v).
 „მეყსეულად მოაქციის ავაზაკობრივისაგან სახისა“ (A 19, 240 r; Sin. 97, 117 r).
- „სურვილითა სავსე არიან“ (A 95, 169 v; A 1109, 36 r).
 „სურვილითა სავსე არიედ“ (A 19, 240 v; Sin. 97, 117 v).
 „სიმდიდრჲ თუ უჩუენის მათ, არად შეპრაცხიან მათ იგი“ (A 95, 169v) (A 1109-ს აკლია).
 „სიმდიდრჲ თუ უჩუენის მათ, არად შეპრაცხიან“ (A 19, 240 v; Sin. 97, 177 v).
- როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, Sin. 97 კრებულს აქვს ნაკლები ადგილები; მაგ., თხზულებაში „მამათათჳს მძოვართა“ აკლია მთელი ფრაზა, რომელიც ყველა მრავალთავეშია:
- „წარვიდეთ და ვიხილნეთ სასუმელნი მათნი, ვითარ-იგი მარადის განიზავებიან მათითა მით ცრემლითა“. (A 19, 240 r).
- მაშასადამე, Sin. 97 არ არის ის კრებული, რომლითაც უშუალოდ სარგებლობს A 19, მაგრამ ორივეს ერთი დედანი აქვს და ეს უნდა იყოს Sin. 97-ის ტიპის კრებული. ხოლო A 95 და A 1109 სარგებლობენ განსხვავებული დედნით. ამ ვარაუდს მხარს უჭერს მონაცემები III თხზულებისა „სულთათჳს“. ეს პატარა ჰომილია, რომელიც ოთხი ხელნაწერით არის წარმოდგენილი (A 95, A 1109, Sin. 97 და Sin. 25), A 95 და A 1109 მრავალთავეების მიხედვით ორიოდ ფონეტიკურ სხვაობას გვიჩვენებს, მაგ.: ვარლუევ (A 95), ვარლუმე (A 1109); ღამშ (A 95), ღამე (A 1109).
- ასეთი სიახლოვე ამ ობი ნუსხისა (A 95, A 1109) მაშინ, როდესაც ამავე

პომილის მიხედვით Sin. 25 და განსაკუთრებით Sin. 97 კრებულები დიდ სვავობებს აჩვენებენ, იმას გვაფიქრებინებს, რომ A 95 და A 1109 მრავალთავეებს ერთი დედანი უნდა ჰქონდეთ.

მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს ამ ხელნაწერთა ურთიერთობის საილუსტრაციოდ:

„მე შიშულ ვარ“ (A 95, 171 v; A 1109, 38 v).

„შიშულ ვარი მე“ (Sin. 97, 185 v).

„მიემთხვენე ქებასა მისსა და მთავრობისა მას მათ ქალაქთასა“ (A 95, 171 v; A 1109, 38 v).

„მიემთხვენეს ქებასა და მთავრობასა ბრძენთა მათ ქალწულთასა“ (Sin. 97, 185 v).

„არას ვპოვებ, რამცა სიტყუაჲ მიუგე“ (A 95, 171 v; A 1109, 38 v).

„არარაჲ ვპოვე, რამცა სიტყუაჲ მიუგე მას“ (Sin. 97, 186 r).

„შემიწყალო მე, მხოლოო უცოდველო, და მაცხოვრე მე, მხოლოო კაცთმოყუარეო“ (A 95, 171 v; A 1109, 38 v).

„შემიწყალო მე, მხოლოო შეუცოდებელო, და მილხინე მე, სახიერო და კაცთმოყუარეო“ (Sin. 97, 186 r).

Sin. 97 ხელნაწერში ბევრია გამოტოვებული სიტყვა, წინადადება და მთელი ფრაზებიც კი:

„მიკვრს თავით თვისით, საყუარელნო, ვითარ ესე დღითი დღედ და ჟამითი ჟამად ვაშენებ“ (A 95, 171 r; A 1109, 38 v).

„მიკვრს თავით თვისით, საყუარელნო, ვითარ ესე ჟამად ჟამად ვაშენებ“ (Sin. 97, 185 v).

„ვეყდრებოდი უფალსა, რამათა მღვინებელ მეყოს ცოდვათა ჩემთა“ (A 95, 171 r; A 1109, 38 v).

„ვეყდრებოდი ღმერთსა ცოდვათა ჩემთათჳს“ (Sin. 97, 185 v). Sin. 97 ნუსხას აკლია საკმაოდ გრცელი მონაკვეთი:

„და აწ მომი ვსენე მე, უფალო, და განმიყვანე მე საპყრობილისა ამისგან უშეჯლოებათა ჩემთამას, რამეთუ შენი არს ორკერძოვე, უფალო, ოდესმე შემოყვანებაჲ სოფელსა ამას და ოდესმე განყვანებაჲ მისგან“ (A 95, 171 r).

სრულიად ნათელია, რომ A 95 და A 1109 მრავალთავეები ერთი დედნით სარგებლობენ. ცალკე დგას კრებული Sin. 97, მასთან ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს A 19. ყველა ამ კრებულის პირველწყარო უნდა იყოს Sin. 97 ტიპის კრებული.

ზემოთ განხილულ მრავალთავეებში წარმოდგენილი ეფრემ ასურის თხზულებები მ. ვან ესბროკის დებულებაზე დაყრდნობით უნდა მივიკუთვნოთ ქართული მრავალთავეის არქეტისს.

სინურ მრავალთავეში წარმოდგენილია ეფრემ ასურის ორი თხზულება სრულად და ერთი თხზულების ნაწილი. თხზულებები „მარხვისათჳს“ და „შესუენებულთათჳს“ სრული სახითაა. ეს უკანასკნელი არის Sin. 97 კრებულშიც; პირველი კი „მარხვისათჳს“, არცერთ სხვა ნუსხაში არ გვხვდება, მას ამ მრავალთავეში დაერთვის ძალიან მცირე ნაწილი სხვა თხზულებისა, რომელიც სრული სახით წარმოდგენილია Sin. 97 კრებულში — „მარხვისათჳს და სინაულისა“⁶.

⁶ ა. შ. ანძიძე, სინური მრავალთავეი 864 წლისა, თბ., 1959, გვ. 112—115, 263—266.

სინურ მრავალთავსა და Sin. 97 კრებულში წარმოდგენილი თხზულება „შესუენებულათთს“ ერთი რედაქციისაა. ორივე კრებული თხზულების უკვე არსებული თარგმანით სარგებლობს. სინურ მრავალთავში დატული ტექსტის ზოგიერთ მონაკვეთს მექანიკურად შემოკლებული სახე აქვს, მაგ.:

„განაწესა ყოველივე, ვითარცა მას უნდა“, (სინ. მრ., 255 r).

„განაწესა ყოველივე, ვითარცა მას უნდა და წერილ არს, ვითარმედ დაპაზადა სიკუდრი ყოველთა ზედა კორციელთა“ (Sin 97, 106 r).

რადგანაც ასეთ მოვლენას სისტემური ხასიათი არა აქვს, ამის გამო რედაქციულ სხვაობაზე ვერ ვილაპარაკებთ.

რიგ შემთხვევებში სინური მრავალთავი ცალკეულ მონაკვეთებს უფრო სრულად წარმოადგენს, ვიდრე Sin. 97 კრებული, რაც Sin. 97-ის გადამწერის შეცდომას უნდა მიეწეროს, მაგ.:

„და რომელნი მოელიან მერმესა ცხორებასა, არა გარდარეულად მწუხარე არიედ და რომელითა პრწამნ წმიდათა წიგნთაჲ, მუნვე სმენითა მათ წიგნთაჲთა ნუგეშინის-ცემულარიედ“ (სინ. მრ., 253 r).

„და რომელნი მოელიან მერმესა ცხორებასა, არა გარდარეულად მწუხარე არიედ“ (Sin. 97, 192 r).

„რომელ არსსუეტი და სიმტიცჳ, მოძღუარი კეთილი და წინამძღუარი ეკლესიათაჲ (სინ. მრ., 253 v).

„რომელ არსსუეტი და სიმტიცჳ, მოძღუარი ეკლესიათაჲ (Sin. 97, 193 r)

„უფროჲს აწ განკრწნილისაჲ მის უადვილშს არს განცხოველებაჲ და აღდგინებაჲ“ (სინ. მრ., 254 r).

„უფროჲს აწ განკრწნილისაჲ მის უადვილშს არს განცხოველებაჲ“ (Sin. 97, 194 r).

ზოგჯერ Sin. 97 ტექსტის ჩვენება უფრო მართებული ჩახს, ვიდრე მრავალთავისა, მაგ.:

„ცხონდენ მკუდარნი იგი მათნი და შესუენებულთა განისუენონ და აღდგენ და აკურთხევდენ ღმერთსა“ (სინ. მრ., 253 r).

„ცხონდენ მკუდარნი იგი მათნი და შესუენებულთა განილკონ და აღდგენ და აკურთხევდენ ღმერთსა“ (Sin. 97, 192 v).

„რომელმან არა თუ სიტყვსა ვისგან მოილო მეცნიერებაჲ“ (სინ. მრ. 254 r).

„რომელმან არა თუ სხვსა ვისგან მოილო მეცნიერებაჲ“ (Sin. 97, 194 r).

მრავალთავის ტექსტში სიტყვსა უადვილოდაა ნახმარი, ამ შემთხვევაში ხდათ ასობის გრაფიკულ აღრევათან გვაქვს საქმე.

„ჩუენ მეცნიერებით მოგუეცა მადლი მისა მიმართ მამისა მიერ“ (სინ. მრ., 254 r).

„ჩუენ მეცნიერებით მოგუეცა მადლი მამისა მიერ“ (Sin. 97, 194 r). ამ შემთხვევაშიც სწორია Sin. 97 კრებულის ჩვენება.

„ძალითა თვისთა შეაძრწუნა ყოველი გუამი ჩუენი“ (სინ. მრ. 254 r).

„ძალითა თვისთა შეაძრწუნა ყოველი გუამი ჩუენი“ (Sin. 97, 194v).

სინურ მრავალთავსა და Sin. 97 კრებულში წარმოდგენილ ტექსტებში გვაქვს

სინონიმური სხვაობანი, როგორცაა, მაგ.:

არა ჯერ-არს (სინ. მრ., 252 v); არა წე ს-ა რ ს (Sin. 97, 192 r)

ე ს ე ე ნ (სინ. მრ., 252 v);

ე ლ ი ა ნ (Sin. 97, 192 r).

განსხვავებაა ზმნათა მწკრივეებში:

ი ს მ ე ე ნ (სინ. მრ., 252 v); ჰ რ წ ა მ ს (სინ. მრ., 252 v),

ი ს მ ე ე ნ ე დ (Sin., 97, 192 r). ჰ რ წ ა მ ნ—(Sin. 97, 192 r).

მრავალთავის ტექსტში თ ვ ს ი, მ ი ს ი ნაცვალსახელების მიც. ბრუნვაში ყოველთვის ერთი ს გვაქვს, მაგ.:

„ახაროს მას სასუფეველსა მისა“ (სინ. მრ., 255 r).

„ახაროს მას სასუფეველსა მისსა“ (Sin. 97, 196 r).

„წარგყვანეს ჩუენ ამიერ საფლათ ეამსა თჳსა“ (სინ. მრ., 254 v).

„წარგყვანეს ჩუენ ამიერ საფლათ ეამსა თჳსსა“ (Sin. 97, 195 r).

ყოველივე ზემოთქმული იმას გვაჩვენებს, რომ ამ ორ უძველეს კრებულს, სინურ მრავალთავსა და Sin. 97 კრებულს, სხვადასხვა დედანი აქვთ.

სინურ მრავალთავში წარმოდგენილ ეფრემ ასურის არც ერთ თხზულებას დედანი არ ეძებნება. არსებობს მხოლოდ პარალელური ტექსტი სომხურ ენაზე იმ თხზულებისათვის, რომლის ნაწილია სინურ მრავალთავში, ხოლო მთლიანი სახით — Sin. 97 კრებულში. ეს არის თხზულება „მარხვისათჳს და სინანულისა“.

ბ. უტიე ვარაუდობს, რომ ქართული თარგმანი სომხურიდან მომდინარეობს⁷. სომხურ ენაზე არსებობს ამ თხზულების უფრო სრული ვერსია.⁸

ქართული და სომხური ტექსტების შედარებამ აჩვენა, რომ ქართული თარგმანი არ უნდა მომდინარეობდეს სომხურიდან. ამისი თქმის უფლებას გვაძლევს ის განსხვავებული იკითხვისები, რომლებიც არსებობენ მათ შორის:

„დაყენებაა ჳამადთა დაყენებითა კორცთაათა აღესრულის“ (სინ. მრ., 109 r).

„დაყენებაა ჳამადთა დაყენებითა ბოროტისათა და ენისათა აღესრულის“ (Sin. 97, 182 v).

„*მრ არცხოვ 'ხ სერსიციე, არცხმამე ჯარსაე ჳათარხნ*“ (179).

მრავალთავის იკითხვისი სხვაობას Sin. 97-ის იკითხვისისაგან, ორივე კი—სომხურისაგან, რომელიც ასე ითარგმნება: რომელი ჳამადის წინააღმდეგია, ბოროტის მიმართ წინააღმდეგობით აღესრულება.

„რომელთა ბოროტი განიშორიან, ღმერთსა მიეახლნიან, ეზიარნიან და მშკობით ამაღლდიან“ (სინ. მრ., 109 r).

„*მრე 'ხ მარხან რნქმანან, რნე ასათბიე ნაღირიქნ, ს ირე რნე ასათბიე ნაღირიქნ, ჳათიე ქერანან*“ (179).

სომხური წინადადება შინაარსით მსგავსია, მაგრამ სრულიად სხვაგვარად არის აგებული: რომელნიც კეთილს ემორჩილებიან, ღმერთს მიეახლებიან და რომელნიც ღმერთს მიეახლებიან, ღიღებით ამაღლდებიან.

მართებული იქნება, თუ გვივარაუდებთ, რომ ქართული თარგმანი ბერძნულთან მომდინარეობს. ამ აზრს ისიც უჭერს მხარს, რომ დასახელებული

⁷ B. Outtier, Les recueils géorgiens d'oeuvres attribués à s. Ephrem le Syrien, Bedi Kartlisa (Revue de Kartvélogie), vol. XXXII, Paris, 1974, გვ. 123.

⁸ Mechitharistae, Ephraem, opera armena, IV, Venetiis, 1836, გვ. 179—183.

თხზულება მიეკუთვნება Sin. 97 კრებულის თხზულებათა ანსამბლს, რომლის ბერძნული წარმომავლობა საეჭვო არ არის.

მესამე თხზულება „მარხვისათჳს“, რომლის არც დედანი მოიპოვება რომელიმე ენაზე და არც სხვა ქართულ ნუსხაში გვაქვს, დიდ ენობრივ ნათესაობას ამტკიცებს დანარჩენ ორ თხზულებასთან.

ი. იმნაიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სინური მრავალთავი „ძალიან ხშირად ხმარობს ნაწევარს, განსაკუთრებით ე. წ. განსაზღვრულ ნაწევარს“⁹.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ სინურ მრავალთავში წარმოდგენილ ეფრემ ასურის თხზულებებს, ისინი აშკარად ცალკე დადგებიან: სამივე თხზულება ხასიათდება ნაწევრის იშვიათი ხმარებით.

ი. იმნაიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ენა სინურ მრავალთავში შემავალი თხზულებებისა განსაკუთრებულია მისი სპეციფიკის გამო. ეს მრავალთავი ჰომილეტური შინაარსის ნაწარმოებთა კრებულია, რომელიც ეკლესიაში საკითხავად იყო გამიზნული, „ამიტომ საესეებით ბუნებრივია, თუ მას (ამ ხელნაწერის ენას) მხატვრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანდობლივი თავისებურება მოეპოვება, როგორც, მაგალითად, სიტყვათა რიგის შეცვლა წინადადებაში (მართული მსაზღვრელის წინ გადმოტანა), ზმნით გათიშული მსაზღვრელი, მიმართვის ფორმების სისშირე და სხე.“¹⁰.

ჩვენ მიერ განხილულ თხზულებებში, მართალია, გვაქვს მართული მსაზღვრელის საზღვრულის წინ დასმის ორიოდ შემთხვევა, მაგრამ ჩვეულებრივია პოსტპოზიციური წყობა: „სღვანი ფერქთანა“ (107 v), „ხატი სულიერთაჲ“ (108 r), „სასოებაჲ კაცთაჲ“ (253 r).

სინურ მრავალთავში წარმოდგენილი თხზულებები არ არის არც ერთ სხვა მრავალთავში, ამდენად, თუ მ. ვან ესბროკის დებულებას დავეყრდნობით, ისინი ახლად შესულია სინურ მრავალთავშიც და არ ივარაუდება ქართული მრავალთავის არქტივში.

ქართულ მრავალთავთა შორის ყველაზე სრული—ათონის მრავალთავი (Ath. 11) შეიცავს ეფრემ ასურის ორ თხზულებას: „ვნებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და ზვაჯაისათჳს“ და „პატოისნისა და ცხოველყოფელისა ჭუარისათჳს“. ეს თხზულებები არ არის არც ერთ სხვა ქართულ ხელნაწერში.

პირველ თხზულებას, „ვნებისათჳს უფლისა...“, არც ერთ სხვა ენაზე არ ეძებნება პარალელი.

ქართული თარგმანი ბერძნულიდან მომდინარე ჩანს. ამას გვაფიქრებინებს თხზულების ენის სინტაქსური ანალიზი. ხშირია მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა ფრაზის გრძელი მონაკვეთით:

„არავის კ ა ც თ ა გ ა ნ ს ა უხილავს პირი ჩემი ჯორციელსა“ (232 r).

„რ ო მ ე ლ მ ა ნ ყვის საკრველი მ ხ ო ლ ო მ ა ნ“ (233 r). ბერძნულის გავლენით უნდა აიხსნას მიცემითის ხმარება მასდართან¹¹: „კადნიერ იქ-

⁹ ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ., 1975, გვ. 96—37.

¹⁰ ი. იმნაიშვილი, დასახ. შრ., გვ. 100—101.

¹¹ ს. ყაუხჩიშვილი, გიორგი ამარტლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, ტფ., 1926, გვ. 21.

მენს ლვად გზას ამას განკრძალულად“ (231 v). „ვერვინ შემძლებელ არს მოახლებად ადგილსა ამას“ (231 v).

„ვერ შემძლებელ ხარ, ჭკაცო, ფერქთა დადგმად სავალსა ჩუენსა და ვერცა ტეებნად გზას ამას“ (231 v).

ბერძნულის გავლენას უნდა მიეწეროს პასიური კონსტრუქციების სიმრავლე თარგმანში, ვნებითი გვარის ზმნებით რომ გამოიხატება:

„დღეს სარწმუნოებითა ავაზაკისაჲთა განელო სამოთხე იგი საშუებლისაჲ“. (231 r).

„ამის ავაზაკისა მიერ განსრულდა სიტყუაჲ იგი წმიდისა წინაწარმეტყუელისაჲ“. (231 v).

„იგი ალტაცებულ-იქმნა“ (252 v).

პასიური კონსტრუქციები იქმნება ხშირად სტატიკური და აღწერითი ფორმებით:

„შეპყრობილ ხარ სამოთხისა ამისგან ბრწყინვალისა“. (232 v).

„მოსრულ არიან იობ მართალი და სამოელ წინაწარმეტყუელი და სამოთხესა ამას ბრწყინვალესა არაგინ მათგანი შემოსრულ არს დღესამომდე“. (232 r).

ამ თარგმანისათვის უმეტეს შემთხვევაში დამახასიათებელია ასეთი სინტაქსური წყობა: ზმნა თავიკიდური წევრია, რაც ქართულისათვის მაინცდამაინც არ არის ჩვეულებრივი, ზმნიზედა კი ხშირად ზმნას შორდება და წინადადების ბოლო ადგილს იჭერს:

„მოვედით ყოველნი სწრაფით“. (232 v).

„ვისმინოთ ყოველთა ერთბამად“. (232 v).

მოხუედ ჩუენდა უშიზად“ (232 v).

„ისწავლეთ მისგან ჭეშმარიტად“ (232 v).

დამახასიათებელია დანართის ხშირი ხმარება:

„მოვედით, რაჲ ესე ყო ნათესავმან ერისა ღმრთისამან, ნათესავმან პურითამან, ქედფიცხელმან“ (230 v).

„განვიდეს იგინი სამოთხისა ამისგან, ბრწყინვალისა და დიდებულისა“. (232 r).

„გამოვიდა ქუეყანით თქუენით, დიდებულით და მიუწოდომელით“. (232 v).

ასევე ხშირია ჩართული:

„ყოველი საშუებელი, წმიდათათუხს განმზადებული, ჩემ თანა დამარხულ არს“. (232 r).

„ქემან მიწისაგანისამან, უღირსმან, იკადრა“. (232 v).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზმნათა უნდაობითი ტიპის ფორმების სიმრავლე და ყოველთვის მომავლის მნიშვნელობით:

„რაჲ იგი ყოფად არს“. (232 r).

„განმრავლებად არიან მკვდრნი ამის ადგილისანი“. (233 r).

„ადგებად არიან სოყოფელნი უფლისანი მონათა მისთაგან კეთილთა“. (233 r).

„როჴლისა მიერ ყოველნი შესლვად არიან სიძისა მის თანა სასძლოსა მას“. (233 r).

ლექსიკიდან გამოვყოფთ ზმნიზედა აქა-ს ხშირ ხმარებას, რომელიც ზოგჯერ ბრუნვის ნიშანსაც დაირთავს:

„რასა უკუე იქმ აქა“. (231 v).

„შენ ვითარ იკადრე შემოსლვად აქა“. (231 v).

„აქა შინა საფასენი დაუნჯებულ არიან მეფისა დიდისანი“ (231 v).

„განივლინნეს აქათ“. (232 v).

„განივიდა აქათ“. (232 v).

მეორე თხზულება, რომელიც ათონის მრავალთავშია წარმოდგენილი, არის „პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჭუარისათუს“. არსებობს ამ თხზულების ბერძნული დედანი¹². ქართული ტექსტი წარმოადგენს ბერძნული ტექსტის მხოლოდ დასაწყისი ნაწილის თარგმანს (G. II, 247—250). შესაბამისად შეკვეცილია სათაურიც. თარგმანი თავდება იქ, სადაც დედანში მთავრდება ჯვრის შესხმა. ეს ნაწილი ბერძნულშიც ერთგვარად დასრულებული სახითაა, გამოყოფილია ტრაფარეტული დამამთავრებელი ფორმულით.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს თხზულება არც ერთ სხვა ქართულ ხელნაწერში არ არის. მისი ცალკეული ნაწილები კი სხვა თარგმანით წარმოდგენილია „მამათა სწავლათა“ ტიპის კრებულების ორ სხვადასხვა თხზულებაში „სიყვარულისათუს და სინანულისა“ და „სინანულისათუს, ჭუარისათუს და პარასკევისა და კურიაკისათუს“¹³.

ქართული ტექსტი ბერძნულის ძალიან ზუსტ თარგმანს წარმოადგენს. ამის გამო გვხვდება ფრაზეოლოგიური კალკები და ისეთი კომპოზიტები, რომლებიც ბუნებრივი არ არის ქართულისათვის:

„უფალი აქუს შორის მათსა და არარაჲ მათ მოაკლდეს“ (240 r) (G II, 247 F).

„რავდენნი კეთილნი მოგუახიქნა ჩუენ ჭუარისა მიერ ნათესავსა კაცთასა“ (240 v) (G. II, 250 B).

„თანა-დღესასწაულობს ქრისტე“. (240 r). (G. II, 247 F).

„ყოველნი, რომელნი აქუნდეს პირველქმნულთაგანნი, განუტყენა“ (240 v). (G. II, 249 F).

ამ თარგმანისათვის დამახასიათებელია მართული მსაზღვრელის საზღვრულის წინ დასმა. უმრავლეს შემთხვევაში მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში:

„ჭუარი — მდიდართაჲ აღკრი, ნავით მავალთაჲ მენავეთ მოძღუარი, კაცთაჲ თავი...“ (240 v).

როგორც ი. იმნაიშვილი აღნიშნავს, ასეთი ვითარება მიჩნეულია უფრო ძველად: „ასეთი მდგომარეობა შემდეგ თანდათან იცვლება. ეს წესი ირღვევა და მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან სავალდებულო ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის საზღვრულის შემდგევა მოქცეული (ისიც არა ყოველთვის), წინ დასმული მართული მსაზღვრელი კი კარგავს შეთანხმების ძალას“¹⁴.

ამ მხრივ ეს თარგმანი განსხვავდება ზემოთ განხილული თარგმანისაგან, რომელშიც ასეთი შეთანხმების არც ერთი მაგალითი არა გვაქვს.

ათონის მრავალთავში წარმოდგენილი ეფრემ ასურის პომილიები მრავალთავის იმ თხზულებათა ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელნიც უწყვილოდ რჩე-

¹² Assemani, G. II, 247—258.

¹³ ი. აბულაძე, მამათა სწავლანი, თბ., 1955, გვ. 206—214—219.

¹⁴ ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ., 1975, გვ. 102.

ბიან. ამდენად ისინი არ უნდა ვივარაუდოთ ქართული მრავალთავის არქეტიპში.

კლარჯულ მრავალთავშიც (A 144) ეფერემ ასურის ორი თხზულებაა წარმოდგენილი: ერთია „ელიაშისთვის წინაწარმეტყველისა და მიქაელ მთავარანგელოზისა“, რომელიც ადრეული ხელნაწერებიდან მხოლოდ ამ მრავალთავშია, მეორე — „სიკუდილისათვის და გამოსღვისათვის სულისა კორცთაგან“ არის „მამათა სწავლათა“ ტიპის კრებულებშიც¹⁵. მიუხედავად იმისა, რომ ამ თხზულებათა დედნები არ მოგვეპოვება, ქართული თარგმანების ენობრივი მონაცემების ანალიზი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მათი ბერძნული წარმომავლობა ვივარაუდოთ.

ორივე თარგმანში ბევრია ისეთი პასიური კონსტრუქციის წინადადებები, რომლებში მოქმედების რეალური ჩამდენი ან არ ჩანს საერთოდ, ან შეესაბამება სახელის -მეორ, -გან თანდებულებიანი ფორმები — ეს შესაძლებელია ბერძნულის გავლენას მივაწეროთ¹⁶.

„ეშმაკისაგან განცილი იქმნა და ძლეულ“. (70 v).

„კერპნი თაყუანის-იციებებიან კაცთაგან“. (82 v).

„აწ ისმინე მშობელისა შენისაჲ, რომლისაგან დაებადე“. (84 r).

„არა განკრძალულ იყოს ვიდრე წოდებადმდე მისა შენ მიერ“. (67 v).

„თხოვად შენი მოგემადლოს მის მიერ“. (91 r).

არის რიგი პასიური კონსტრუქციებისა, სადაც ობიექტი, პირდაპირი იქნება, თუ ირიბი, დაისმის ნათესაობითში და თანდებულებით ფორმდება:

„რაჲ-მე ვყო აქაბის მეფისათეს“ (83 r).

„განრისხნა ადამის ზედა“ (83 v).

ხშირია თ ა ნ ა თანდებულებით ნაწარმოები ფორმები, რაც ბერძნული ძნ-თანდებულებიან სიტყვების კალკირებას უნდა წარმოადგენდეს:

„რაჲ მტკივან არს და წუხილ თანა-ქცევაჲ შენი“ (67 r).

„თანა-წარგვალთ ბრძანებასა ღმრთისასა“. (68 r).

„მარადის თანა-აქუს წინაშე ღმრთისა“. (68 r).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თხზულება „ელიაშისთვის“ ერთადერთი ძველი ნუსხით (A 144) მოგვეპოვება. მაგრამ ეს ტექსტი შესულია X VII ს. ნუსხაში A 691. A 691 ხშირად უფრო სწორ იკითხვისებს გვიჩვენებს, ვიდრე კლარჯული მრავალთავი:

„განმწარდა გული მისი, რომელ აქუნდა გულსა მისსა“. (A 144, 83 r).

„განმწარდა სული მისი გულისწყრომისა მისგან, რომელ აქუნდა გულსა მისსა“ (A 691, 35 r).

„მოწყდეს მთავარი შიმშილი“ (A 144, 84 r).

„მოწყდეს მთავარი შიმშილითა“ (A 691, 37 v).

„მიუგო უფალმან ქუეყანასა და ჰრქუა:

ვითარმცა სათნო-მიჩნდა უმშჯავროდ გუემაჲ შენი“ (A 144, 85 r).

„მიუგო უფალმან ქუეყანასა და ჰრქუა: ნუ ჰვონებ, ვითარმცა სათნო-მიჩნდა უმშჯავროდ გუემაჲ შენი“ (A 691, 39 r).

„რაჲემს მომხედის მე გულისწყრომით“ (A 144, 83 v).

¹⁵ ი. ახობაძე, მამათა სწავლანი, თბ., 1955, გვ. 220—227.

¹⁶ С. И. Соболевский, Древнегреческий язык, Москва, 1948, გვ. 252—3, 281—2.

„რაჟამს მომხედნის მე ველისწყრომით“ (A 691, 36 r).

ეს გვაფიქრებინებს, რომ A 691 ხელნაწერის ვარიანტი მომდინარეობს უფრო ძველი, უფრო სწორი ვერსიიდან და რომ კლარჯული მრავალთავიც სხვა რომელიღაც, ჩვენამდე არ მოღწეული, ნუსხით სარგებლობს.

თხზულება „სიკუდილისათჳს“ კლარჯული მრავალთავის ვარდა წარმოდგენილია „მამათა სწავლათა“ ტიპის კრებულებში: A 1142 (A), S 1139 (B), H 1662 (E), Sin. 36 (F). მათი მონაცემები ბევრ შემთხვევაში სხვაობენ კლარჯული მრავალთავის მონაცემებისაგან. ხშირად მრავალთავის იკითხვისი მცდარია:

„მთავარი ხარ მღკპარჲ, რომელსა არა გრცხუენის“ (A 144, 67 r).

„მპარავი ხარ მღკპარჲ, რომელსა არა გრცხუენის“ (ABEF).

„ექმნეს მას სიკუდილი გამასულნელებელ ურვათავან ამის სოფლისათა“ (A 144, 67 v).

„ექმნეს მას სიკუდილი განმსუენებელ ურვათავან ამის სოფლისათა“ (ABEF).

ზოგჯერ პირიქით, მრავალთავის ჩვენება უფრო სწორია:

„არა მოელოდის ჟამსა მოსლევასა შენისასა“ (A 144, 67 v).

„არა მოელოდის ხმასა მოსლევასა შენისასა“. (ABEF).

გვაქვს მთელი რიგი განსხვავებული იკითხვისებებისა, რომლებიც თანაბრად სწორად შეიძლება იქნეს მიჩნეული, მაგრამ ყველა შემთხვევაში მრავალთავის ჩვენება უპირისპირდება „მამათა სწავლათა“ ტიპის კრებულების ჩვენებას:

„მსაჯული ხარ მძლჲ, რომელი მიიყვანებ მოსაგრესა საშჯელად საუკუნოდ“ (A 144, 67 r).

„მოსაჯული ხარ მძლჲ, რომელი მიითრევ (AE) (მიიძლეე BF) მოსაგრესა საშჯელად საუკუნოდ“.

„რამ ფიცხელ არს და ძნელ სრბაჲ გზისა შენისაჲ“ (A 144, 67 r).

„რამ ფიცხელ არს და ძიშე სრბაჲ გზისა შენისაჲ“ (ABEF).

„ჟამი ესე საშინელი“ (A 144, 68v)

„დღე იგი საშინელი“ (ABEF).

„მამათა სწავლათა“ ტიპის კრებულისა და კლარჯულ მრავალთავში წარმოდგენილ ეფრემ ასურის თხზულების მონაცემების საფუძველზე მრავალთავი ამ კრებულთაგან ცალკე დგება.

არის აზრი, რომ კლარჯული მრავალთავის გადამწერი ერთი პირია¹⁷. თუ ეს ასეა, მაშინ ორი რამ არის საეარაუდებელი: კლარჯული მრავალთავის დედანი უკვე შეიცავდა ეფრემ ასურის ორივე თხზულებას და მათი გადამწერი სხვადასხვა იყო, ან მრავალთავის გადამწერი ამ თხზულებათა შემცველი სხვადასხვა ნუსხებით სარგებლობდა. ამას ადასტურებენ ის ორთოგრაფიული თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებენ ერთ ტექსტს და სრულიად არა — მეორეს:

1. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თხზულებაში „ელიაჲსთჳს“ მ გრავემის სისტემური ხმარება ზმნის ფორმებში, წყვეტილსა და კავშირებითში. თხზულებაში „სიკუდილისათჳს“ კი ზმნაში მხოლოდ ერთხელ დასტურდება.

¹⁷ ლ. ათანელიშვილი, კლარჯული მრავალთავის ბერძნული და შიომღვიმის ტიპიკონის ქართული კრიპტოგრაფები, მრავალთავი, V, თბ., 1975, გვ. 102.

2. თხზულებაში „ელიაისტუს“ ხშირად გვაქვს ო-ს ნაცვლად უ და პირი-
ქით. მეორე თხზულების ტექსტში ასეთი რამ არ დასტურდება.

ეს ორი თხზულება განსხვავდება მთელი რიგი ენობრივი მონაცემ-
ებითაც:

1. თხზულებაში ელიაისტუს“ ხშირია ტმესის გამოყენების შემთხვევები.
ტმესის არც ერთი ნიმუში არ არის თხზულებაში „სიკუდილისათუს“.

2. ტექსტი თხზულებისა „ელიაისტუს გამოირჩევა ნაწილაკების ხმარების
სიხშირით. მეორე თხზულებაში კი ნაწილაკის ხმარების რამდენიმე ნიმუშია
მხოლოდ. საერთოდ არ დასტურდება ა რ ა-ვ ე ფორმა, რომელიც განსაკუთ-
რებული სიხშირით გვხვდება თხზულებაში „ელიაისტუს“.

3. ცნობილია, რომ ძველ ქართულში თანდებული ორ ან მეტ სახელს თუ
განეკუთვნება¹⁸, დისმის ერთ მთვანთან, ჩვეულებრივ, პირველთან. ეგვივე
შეიძლება ითქვას მეშველ ზმნაზეც. ეს წესი კანონი არ არის, მაგრამ ასეთი
ვითარება ჩვეულებრივია ძველი ქართულიათვის. ეს ორი თარგმანი ამ მხრი-
ვაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. თხზულება „სიკუდილისათუს“ ზუსტად
იციავს ძველი ქართულის ნორმას:

„იგი მის ყოვლისაგან ცუდი დარჩა და ცალიერი“. (69 v).

„ემმაკისაგან განცილ იქმნა და ძლეულ“. (70 r).

„განწესებულ არს და დაბეჭდულ“. (70 v).

„რამათუს უღებ ვართ და მცონარ“. (70 v).

„რად ფიცხელ არს და ძნელ სრბაა გზისა შენისა და რად მტკი-
ვან არს და წუხილ თანაქცევად შენი“ (67 r).

„ვიდრემდის ვიყვნეთ მედგრობასა ამას შინა და უღებით
ცხობრბასა“. (67 v).

„ქებისა წილ და დიდებისა“. (68 r).

მსაზღვრელიც ერთგვაროვან წვერთაგან პირველს დაერთვის:

„ყოველი იგი საფასე მისი და მონაგები“. (69 v).

თხზულებაში „ელიაისტუს“, ჯერ ერთი, შერწყმულ წინადადებათა ნა-
კლები რაოდენობაა, და როდესაც ასეთი სახის წინადადება გვაქვს:

ა. თანდებული ორივე წვერს ერთვის:

„დაებადა იგი ქუეყანისაგან და ზეცისა ნივთთაგან“. (88 v).

ბ. ერთნაირ წვერთაგან მსაზღვრელი ერთვის მეორეს:

„ლოცვად და მარხვად ჩუენი“. (82 v).

„მოწამე არიან ძალსა და მადლსა შენსა“. (91 r).

4. თხზულებას „სიკუდილისათუს“ ახასიათებს ჰენდიადისის სიხშირე,
მეორე თხზულებას — არა:

„ნაცილ და ტყუვილ გვგონის“. (68 r).

„ტყებითა და ტურილითა“ (68 v).

„მეფე იყო და განმგებელ“ (69 v).

„დაიქსნეს და დალპეს“ (70 v).

„უღებ ვართ და მცონარ“. (70 v).

ზემოთ განხილული ეჭვისი ქართული მრავალთავიდან მხოლოდ სვანურ მრავ-
ალთავში (A 19), პარზლის მრავალთავსა (A 95) და უღაბნოს მრავალთავში

¹⁸ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 165.

A(1109) წარმოდგენილი ეფრემ ასურის სამი თხზულება მიეკუთვნება ქართული მრავალთავის არქეტიპს; დანარჩენ სამ მრავალთავში (A 144, Ath. 11, Sin. 32—57—33) წარმოდგენილი თხზულებები კი უწყველოდ რჩებიან; ისინი სხვა მრავალთავებში არ შეორდებიან. მ. ვან ესბროკის მიხედვით, „ამ საკითხაუბით ზღვებოდა მრავალთავის ძირითადი ფენის თანდათან შეცვლა-გამდიდრება დროთა ვითარებაში“¹⁹.

Л. Т. АХОБАДЗЕ

ПРОИЗВЕДЕНИЯ ЕФРЕМА СИРИНА В ГРУЗИНСКИХ МНОГОГЛАВАХ

Резюме

Согласно утвердившемуся в последнее время мнению считается, что многоглавы вначале включали лишь гомилетические произведения. Выделен также древнейший слой многоглавов. На основе изучения произведений Ефрема Сирина нами сгруппированы многоглавы А 19, А 95, А 1109, использующие один и тот же материал. Этот материал принадлежит ансамблю произведений сборника Sin. 97 и восходит к архетипу грузинского многоглава.

В этом отношении А 19, А 95, А 1109 отличаются от других многоглавов, так, напр., одно из произведений Ефрема Сирина, входящих в Синайский многоглав (Sin. 32—57—33), представлено в сборнике Sin. 97, а остальные два не встречаются в каких-либо сборниках.

Произведения Ефрема Сирина, которые включает в себя Афонский многоглав (Ath. 11), представлены только одним списком.

Многоглав А 144 основывается на материале сборников типа «Почтения св. отцов».

Таким образом, произведения Ефрема Сирина, представленные в многоглавах Sin. 32—57—33, Ath. 11, А 144, не принадлежат архетипу грузинского многоглава.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის
ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინ-
სტიტუტმა

¹⁹ ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 4, გვ. 69.

5. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 3

მზია ივანოვილი

„ამირ არსლანის“ კომედიკის ზომი საკითხისათვის

სპარსული ხალხური პროზის კომპლექსურად კვლევის საკითხს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ირანისტიკაში. 60—70-იანი წლების მიჯნაზე ჯ. დორი მართებულად წერდა: სპეციალურად შემაჯამებელი გამოკვლევა, სადაც განხილული იქნებოდა თუნდაც ყველაზე საინტერესო ირანული ხალხური დასთანები, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. წინასწარ კი, ვიდრე დავწერდეთ ამგვარ ნაშრომს, საჭიროა შესწავლილ იქნეს თითოეული ხალხური რომანი ცალ-ცალკე¹.

„ადაბიათე ამიანეს“ ციკლის თხზულებებიდან საგანგებო ყურადღების ღირსია დასთანი „ამირ არსლანი“, რომელიც XIX ს. დაამუშავა ნასრ ედ-დინ შაჰის (1848—1896) კარის მეზღაპრემ მოჰამედ ალი ნაყიბ ოლ-მაჰალექმა. ნაწარმოების ძირითადი ფონია რუმის მბრძანებლის ამირ არსლანისა და ფრანკელი პეტროს შაჰის ასულის სამიჯნურო თავგადასავალი.

ირანელი მეცნიერის მ. მაჰჯუბის სიტყვით, დასახელებული დასთანი ისე ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში, რომ მან მრავალი მიბაძვაც კი გამოიწვია. ასე მაგალითად, მისი აშკარა გავლენით არის დაწერილი ხალხური რომანი „ბადი ოლ-მოლქ და ბადი ოზ-ზამან“. აქ გვხვდება იგივე გმირები (სანჯარი იბნ ყიზილ არსლანი, მოხუცი ნუმანი, შაჰბალი, შაჰროხი), რაც „ამირ არსლანში“. ზოგმა გამომცემელმა ამ უკანასკნელის დიდი პოპულარობის გამო, ერთ წიგნად გამოსცა ორივე ხალხური რომანი, ხოლო ბადი ოლ-მოლქს ამირ არსლანის შვილი თუ შვილიშვილი უწოდა².

სპარსული ხალხური რომანების ერთი ნაწილისაგან განსხვავებით („დარაბნამე“, „სამაჰე აიარი“, „ამირ ჰამზა საჰბეყრანი“, „ჰათემის შვიდი თავგადასავალი“, „ჰოსეინ ქორდი“), სადაც თითქმის მოხსნილია განთიადისა თუ დაღამების აღწერის მეტაფორიზაცია და მოკლე, მარტივი წინადადებით არის გამოხატული დროითი მონაცვლეობის შედეგი (ე. ი. სხვათაშორის აღინიშნება დღე-ღამის მორიგი ციკლური ცვლილება), „ამირ არსლანში“ თვალშისაცემად სტილიზებულია ეს მომენტი³. ავტორი საგულდაგულოდ მიმართავს მეტაფორიზაციას⁴.

Дж. Дорри, «Амир Арслан» и его место среди иранских народных дастанов сб. «Тесретицские прсблемы восточных литературы», М., 1969, гв. 62. თუმცაღა, უნდა ითქვას, რომ ხარვეზი რამდენაღმე შეავსო ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა ს საყურადღებო გამოკვლევამ სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან⁵, თბილისი, 1973.

² მოჰამედ ჯაფარ მაჰჯუბი, ბადი ოლ-მოლქ და ბადი ოზ-ზამან, „სოხანი“, 1340, № 4, გვ. 41.

³ შდრ. მზე ცის კიდღეზე იდგა, ფარამორზ ბენ ზოღადად ბენ აბდალამ აღ-ქათებ აღ-არჯანი, სამაჰე აიარი, ტ. I, 1343, გვ. 16; შდრ. ვამთენიასს ქვეყნის მანათობელმა მზემ თავი ცის სარკმელში გამოყო; ჰოსეინ ქორდი, თეირანი, 1344, გვ. 115; აღმოსავლეთის მოედნის მარტოხელა მხედარმა შეუღტია ვარსკვლავთა ლაშქარს და ზანზიბარის შამა პირი ვასაქცევედ იბრუნა; მოჰამედ ალი ნაყიბ ოლ-მაჰალექი, ამირ არსლან, თეირანი, 1345, გვ. 469 (შემდგენი: ამირ არსლანი).

⁴ მზის მეტაფორებია: განმარტობის მოყვარული პატარალი, ოქროსფრთიანი ფრინველი, აღმოსავლეთის მოედნის მარტოხელა მხედარი.

ერთსა და იმავე ფრაზაში შესაძლოა შეგვხვდეს მზის ორმაგი მეტაფორა, ან მზისა და ღამის მეტაფორა ერთდროულად⁵. ზმირად საქმე გვაქვს განთიადის (აგრეთვე დაღამების) დუბლირებულ აღწერასთან (ცალკეულ შემთხვევებში განთიადის პროზაულ აღწერას მოსდევს მთქმელის ან რომელიმე ცნობილი პოეტის ლექსითი სტრიქონები, შემდეგ კვლავ მოკლე პროზაულ აღწერაზე გადასვლა)⁶.

ხდება ისეც, რომ თუ პროზაული ნაწილი მსგავსია, სამაგიეროდ განსხვავებულია ლექსითი პარტიები⁷ ან შეცვლილია აღწერისას ზოგი კომპონენტი (შეტწილად განთიადის სურათები მოსდევს პერსონაჟთა ისეთ მოქმედებას, როგორცაა ძილი, მოგზაურობა, ლოცვა).

დასთანში განთიადის აღწერის დაახლოებით ათამდე ვარიანტია წარმოდგენილი (გაცილებით მრავალფეროვანია იგი დაღამების სურათების ასახვასთან შედარებით). საინტერესოა, რომ დილის მხატვრული აღწერის დეტალიზაცია კარგავს საფუძველს, მოხსნილია, როცა პროტაგონისტი განსაცდელში იმყოფება მიღმურ სამყაროში და, სიუჟეტის ლოგიკიდან გამომდინარე, რაც შეიძლება მალე უნდა გაცელოს იქაურობას.

არცთუ იშვიათად მთქმელი მიმართავს გაორმაგებულ შედარებას, რათა აამაღლოს ამა თუ იმ პერსონაჟის რაიმე თვისების ხარისხი⁸. როგორც ქრისტიანული (პეტროს შაჰი, ყამარ ვეზირი, ეკლესიის მსახური და სხვ.), ასევე ირეალური ქვეყნის (იფრითი, მაჰმონირი) წარმომადგენლებიც შედარების მიზნით მიმართავენ მუსლიმანურ სახეებს (როსტომი, ზურაბი, ესფანდიარი)⁹.

ტრადიციულად კლიშორებულია უარყოფითი პერსონაჟების გარეგნობა (შდრ. ერთ-ერთი ადრეული დასთანის „აბუ მუსლიმ-ნამე“¹⁰: სხელი — მინარეთი, ხელები — ჩინარის ტოტები, პირი — გამოქვაბული. „ამირ არსლანის“ ავტორი არ ცვლის შტამს, ოღონდ მას მიღმური სამყაროს უარყოფითი პერსონაჟებისათვის იყენებს მხოლოდ).

ზოგ სპარსულ დასთანში უფრო ფანტასტიკურია ავი სულების (ჯადოქრების)¹¹ დახასიათება (შდრ. „ყაჰრამან-ნამე“, „ჰათემის შეიდი თავგადასავალი“.

⁵ იხ. ამირ არსლანი, გვ. 389.

⁶ ამირ არსლანი, გვ. 179; შდრ. გვ. 390. ასევე ზმირია მზის სიღამის ორჯერადი აღწერის ნიმუშებიც. იქვე, გვ. 530.

⁷ იხ. გვ. 120, 398.

⁸ იხ. მრისხანე გამოუმეტყველებით არსლანი ჰვავს როსტომსა და აფრასიაბს; ამირ არსლანი, გვ. 57. დასთანის სტილური თავისებურების მაჩვენებელია შემდეგი ფრაზაც: სიღამისთი ეღარება იუსეფს, ეყკაცობით — ზაბულულ ფარაჰორს და თურანულ აფრასიაბს. იქვე, გვ. 17.

⁹ იხ. ამირ არსლანი, გვ. 57, 141, 151, 159. ფრანკები არსლანის მიმართ იყენებენ დამახასიათებელ შედარებას: აღმს ხანის თქმით. არსანი „შეკედარ ტურასაჟით“ იკატუნებს თავს, გვ. 165. შდრ. გვ. 214. ვახუშტის ჩვეულებრივი შტამები: აიარებს ახასიათებთ ისეთი სიძარკვე, რომ ღამის წყვილადში შეეშლოთ მოგპარათ ხალი ზანვის ლოყიდან, იქვე, გვ. 273. ჯალათი შიშისშვერულია ზულოვით, შეუღრეკელი — მარხივით. იქვე, გვ. 182. პარალელურად წარმოდგენილია საინტერესო შედარებანიც: ქალაქელს ხელში ცხვირსახოცები ჩაებლუჯათ და შეილზე მგლოვიარე ქალივით ქვითინებდნენ. გვ. 284. ფრანკთა სახელმწიფოსთან დაკავშირებული ეპიზოდების გაფორმებისას ავტორი უფრო ლიტერატურული პროზისკენ იხრება. აქ ნაკლებადაა ზღაპრული ელემენტები. მასალაში, რომელიც მალეჟ შაჰს ეხება, ჩანს ისტორიული პროზის ნამსხვრეები.

¹⁰ Н. С. Брагинский, Очерки из истории таджикской литературы, Сталинабад, 1956, გვ. 288.

¹¹ „ამირ არსლანის“ მიხედვით ჯადოსნურ ცხოველებს განეკუთვნებიან: ურჩხული, სპილო, ფარშავანი, მაიმუნი, ლომი, ხარი, ძილი.

ჯადოქარს რამდენიმე ფეხი, თავი და თვალი აქვს; ერთი თავი სპილოს უტყვს, მეორე — ლომს და ა. შ.).

„ამირ არსლანის“ მოქმელი ასე შორს არ მიდის ჯადოქრების დახასიათებისას. აქ წარმოდგენილი დევებიც რამდენადმე განსხვავდებიან „ყაპრამან-ნამეს“ დევებისაგან¹². ჩვენთვის საინტერესო დასათნის მიხედვით, დევი, როგორც წესი, უარყოფითი ტიპია. ეშმაკის თაყვანისმცემელი, არამუსლიმანი. დიდ ფიზიკურ ძალასთან ერთად ფლობს ჯადოქრობის უნარსაც.

სამოარ სიტუაციაში დევი ისევე იქცევა, როგორც მოცემულ შემთხვევაში მოიქცეოდა ადამიანი (ბრძოლის წინ არსლანი და ელვაქ დევი სიტყვიერად ამიხებენ ერთმეორეს; ელვაქ დევი მუქარის წერილს გაუგზავნის ევბალ შაჰსა და შაჰრობ შაჰს). როგორც აღვნიშნეთ, არსებითი განსხვავება, მოქმელის აზრით, დევსა და ადამიანს შორის მაინც ისაა, რომ ერთი დასახმარებლად ღმერთს უხმობს, მეორე — იბლისს.

„ამირ არსლანის“ იმ ნაწილში, სადაც არსლანის ფანტასტიკურ სამყაროში მოგზაურობაა აღწერილი, დიდი როლი ენიჭება გარდასახვას¹³.

გრძნეულის ან ჯადოსნური ცხოველის დამარცხებას ჩვეულებისამებრ მოჰყვება ჭეჭა-ჭეხილი, ქარიშხალი, ჩამოღამება. ამინდის ყოველი არევის მერე იცვლება ანტურაჟი, იკრება ახალი სიუჟეტური რგოლი, ვითარდება ახალი ამბავი, იწყება მორიგი ჯადოსნური სურათი¹⁴. (შდრ. ფანტასტიკურ სივრცეში შეღწევა ყოველთვის აღნიშნულია რომანში წყალდიდობით, ქუხილით, საერთოდ, რაღაც პარაქსიზმებით ბუნების ყოფაში. ფანტასტიკურ სივრცეს თავისი განსაკუთრებული თვისებების ძალით შეუძლია შეაკავოს, დააყოვნოს პროტაგონისტი გაურკვეველი ღროთ, დააბრუნოს უკან, საერთოდ, ააცილნოს იგი „ქეშმარიტების გზას“ — პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით)¹⁵.

ჯადოქრობისა თუ გრძნეულების მოსპობის მერე ჭრება მოჩვენებითი დეკორაცია, არსლანი სხვა გარემოში გამოფხიზლდება¹⁶. ხშირად ამ ხერხით ადგილი აქვს მოქმედების გადატანას¹⁷, იხსნება ჯადო¹⁸, ან ახალი ფანტასტიკური სურათების სერიას ეყრება საფუძველი¹⁹. აღსანიშნავია, რომ გრძნეული არსებების საბოლოოდ განადგურების შემდეგ მოქმელი საჭიროდ აღარ თვლის

¹² იხ. დევის ხატი „ამირ არსლანიდან“: დევს რქები ჰქვას, ცხვირი არც კი ამჩნევია, თვალები მშხალასავით უბრწყინავს, მხარზე უდევს დოლაბებამოცმული მარკილი. ამ უკანასკნელი დეტალთ (მხარზე ვადებული დოლაბებიანი მარკილი) ხშირად არის დევი წარმოდგენილი სპარსულ ფოლკლორში. შდრ. „ყაპრამან-ნამეში“ თითქოს კონტამინირებულია დევის გარეგნობაში რამდენიმე ცხოველი: თავი ღორს უგავს, ზურგი — თევზს, ფეხი — ლომს. პირი — გამეჩს, თორმეტი ხელი აქვს, პირიდან კი ცვეცხლს აფრქვევს და ა. შ.

¹³ გრძნეულების საშუალებით ყაპრ ევზირი ვადაიქცა ძალად, შამს ევზირი — ურჩხულად და ლალის ქალიქის მეწილედ, ჯადოქარი — მოლაპარაკე ლომად, ბოროტი ძაღვი მიიღებენ მწყემსის, მებაღის, დღის, სწული ჰაბუჯის სახეს და ა. შ. „ყაპრამან-ნამესაგან“ განსხვავებით გრძნეულებით შეკრული ძაღლი (აგრეთვე მაიმუნი, ურჩხული) არ კარგავს მეტყველების უნარს. დამახასიათებელია, რომ ყოველი ახლად გამოჩენილი მეტოქე წინამორბედზე გაცილებით ძლიერად და ბოროტად არის წარმოდგენილი. იხ. გვ. 301, 452.

¹⁴ იხ. ამირ არსლანი, გვ. 411—412.

¹⁵ А. Д. Михайлов. Французский рыцарский роман, М., 1976, გვ. 178—179.

¹⁶ იხ. ამირ არსლანი, გვ. 367.

¹⁷ იქვე, გვ. 246.

¹⁸ იქვე, გვ. 379.

¹⁹ იქვე, გვ. 412.

შეცვალოს მოქმედების ადგილი (იხ. რეიპანეს და სოპილ ვეზირის მოკვლის სცენა).

„გაცოცხლების“ მოტივი რამდენადმე სხვანაირად ისხამს ხორცს „ამირ არსლანში“. სპარსული ხალხური პროზის რიგი ნიმუშების საპირისპიროდ, მოჰამედ ალი ნაყიბ ოლ-მამალექი არ მიმართავს მოკლული გმირის „გაცოცხლებას“ ჯადოსნური საშუალებებით. სიუჟეტური დაძაბულობის გამოსაწვევად ავტორი, მართალია, ქმნის მკვლელობის ინსცენირებას, მაგრამ მალე ირკვევა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გმირის „პროტოტიპთან“, რომელიც გარეგნული ნიშნებით მისი მსგავსია, ე. ი. ორეულის გამოყვანის ხერხთან (მდრ. ერთ-ერთ სცენაში თავმოკვეთილი ქალი შეცდომით ჰგონიათ ფაროხ ლოყა, მეორე სცენაში — მაჰმონი, სინამდვილეში მათ გაიტაცებენ ბოროტი ძალები, ხოლო კვალის ასარეველ სხვათა მოკვეთილ თავებს დატოვებენ სარეცელზე). როგორც ჩანს, მთქმელს სურს უფრო რეალურ საფუძველზე გადაწყვიტოს ეს მომენტი.

დასთანში დიდი სიუჟეტური დატვირთვა აქვს გამოქვამულს. მასში გავლის მერე გმირი ხან სახიფათო ზონაში აღმოჩნდება ძნელად დასაძლევე დაბრკოლებებით (იხ. მწყემსები), ხან მიიღებს მოულოდნელ დახმარებას (მდრ. ცხენი ტყისპირას).

საინტერესოა დასთანში ფიქსირებული გრძელულების ერთ-ერთი ხერხი, კერძოდ, შავიური შელოცვით მტრის არაპირდაპირი გზით განადგურების მოტივი (მაგ., გოგრის ხუთ ყლორტს ჯადოქარი რეიპანე ადამიანის გარეგნობის ნაყოფს გამოასხამს, შემდეგ სოპილ ვეზირს ურჩევს, რომ გოგრის ადამიანებს შუბლზე დააწეროს ნებისმიერი პიროვნების სახელი. როგორც კი გოგრის კაცუნას წასტრიან თავს, ვისი სახელიც ეწერება მას შუბლზე, იმ ადამიანს მაშინვე თავი წაეცლება და მოკვდება)²⁰.

მ. მაჭუბის შენიშნავს, რომ ამ ჯადოსნური სცენის ანალოგი ჯერჯერობით არც ერთ ხალხურ დასთანში არ შეხვედრია, თუმცა იქვე დასძენს, მოჰამედ ალი ნაყიბ ოლ-მამალექი უშუალოდ არ ქმნის ამ მოტივს, მხოლოდ ახლებურად არის წარმოდგენილი აღნიშნული სცენა. მკვლევარი მიუთითებს ყაჯართა ეპოქის ცნობილ წიგნზე „ასრარე ყასემი“ („ყასემის საიდუმლო“, ბომბეი, 1352), რომელიც შეეხება მოლა ჰოსეინ ვაეზ ქაშეფის. წიგნში ნაჩვენებია დაუსწრებლად მტერზე გამარჯვების წესი, კერძოდ, შელოცვის წაყითხვა ცვილის ქანდაკებაზე, რაც საშუალებას იძლევა არაპირდაპირი გზით თავი მოკვეთო მტერს²¹. მ. მაჭუბის მიხედვით, იგივე მომენტია აღწერილი ერთ-ერთ თხზულებაში, რომელიც ფათალი შაჰის დროინდელ ამბებს ეძღვნება. (იხ. „ეშფეჰ-თორის თავის მოტანა“)²². (მდრ. „ყარამანიანში“ მტრის დამარცხება ამ სახის ჯადოქრობით: ოპყალი ჯადო ტყავზე დაწერს მეომართა სახელებს, შემდეგ შეულოცავს და ცეცხლში შეაგდება. მებრძოლებს თვალთ დაუბნელდებათ, პირაედება მარტორქაც, რომელზეც ერთ-ერთი მხედარი ზის)²³.

როგორც მოსალოდნელია, „ამირ არსლანი“ საკმაოდ მრავლად იძლევა რე-

²⁰ ამირ არსლანი, გვ. 490.

²¹ მოჰამედ ყაფარ მაჭუბი, ამირ არსლანის წინასიტყვაობა, თბილისი, 1345, გვ. 53—54.

²² იქვე, გვ. 55.

²³ ყარამანიანი, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და სარგის ცაიშვილმა, თბილისი, 1965, გვ. 323.

ტრადიციის ნიმუშებს (დრო ყოველდება ბიოგრაფიული მომენტების ხშირი ჩართვით თხრობაში, არსლანის ეპიზოდური თავგადასავლების მრავალჯნის გადმოცემით, განთიადისა თუ დაღამების სურათების ორჯერადი თუ სამჯერადი აღწერით).

არის იმის მაგალითიც, როცა მოჰამედ ალი ნაყიბ ოლ-მამალექი ამბის მსვლელობის გათვალისწინების გამო გაურბის თხრობის შეყოვნებას და უარს ამბობს იმ კომპონენტებზე, რაც საფუძველს შეუქმნის რეტარდაციას.

დასთანის მხატვრულ ქსოვილს თავისებურ ელფერს ანიჭებს ჩართული ლექსები.

ჯ. დორისა და ა. შოიტოვის მითითებით, ლექსებმა, მთხრობელის აზრით, უნდა შეამკონ დასთან. ისინი მოყვანილია ძირითადად იმ შემთხვევაში, როცა მას სურს მოგვეცეს გმირთა ვრცელი დახასიათება, ხატონად ასახოს მათი მდგომარეობა და გრძნობები, შექმნას ბუნების მხატვრული სურათები²⁴. ლექსითი პარტიები გამოიყენება ძირითადად მოქმედ პირთა მეტყველებაში და ატარებს უმთავრესად ლირიკულ ხასიათს (იგულისხმება განწყობილების, გრძნობების, განსაკუთრებით, სიყვარულის გამოხატვა)²⁵. ზემოთ ჩამოთვლილი მომენტების გარდა, მთქმელი ლექსს მიმართავს სხვა შემთხვევებშიც (მეომართა სამზადისის გაძლიერებული აღწერისას)²⁶. პროზისა და პოეზიის ამგვარი სინთეზი უფრო ვიზუალურს ხდის, „აცოცხლებს“ სცენას. ასევე მოხმობილია პოეტური სტრიქონები ღვინის თვისებების ასაწერად²⁷. არსლანის ცხენის აღწერას თან ახლავს ლექსითი დახასიათებაც²⁸. გალექსილ სტრიქონებს იყენებენ რჩევა-დარიგების დროს²⁹.

ლექსი მოქმედს სჭირდება სიტუაციების გასანეიტრალებლად, დაძაბული მომენტები, განწყობილებები გაშუალებულია გართიმული სტრიქონებით (ლექსი არის ერთგვარი ზიდი სასოწარკვეთილებიდან რწმენის დაბრუნებამდე)³⁰.

„ამირ არსლანის“ მიხედვით ჩართული ლექსების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია უმაღლესი ხელისუფლის (შაჰის) პოეტური შესხმაა. იგივე წესი ვრცელდება ნაწარმოების იმ ნაწილზე, სადაც მოქმედება ფანტასტიკურ სამყაროშია გადატანილი. ოღონდ მოცემულ შემთხვევაში მაგიური სამყაროს მეფეთა გვერდით ქების ობიექტია ამირ არსლანიც. იმისდა მიხედვით, თუ ვისი შექება სურთ, პერსონაჟები მცირე ვარიანტული სახეცვლილებით იმეორებენ ლექსებს (მაგ. ხოჯა ნუმანის მიერ მესრის მმართველის მისამართით ნათქვამ სტრიქონებს³¹ არსლანი გარკვეული კორექტივით უმეორებს ლალთა ქვეყნის მბრძანებელს³², სოჰალ ვეზირი იგივე ლექსს წარმოთქვამს ამირ არსლანის შესაქებად)³³.

²⁴ Дж. Дорри, А. М. Шойтов, Персидский дастан «Амир Арслан», в кн.: «Амир Арслан». М., 1978, გვ. 18.

²⁵ М. Н. Пархоменко, О традициях и новаторстве национального романа в Средней Азии, в кн.: «Роман и современность», М., 1971, გვ. 178.

²⁶ ამირ არსლანი, გვ. 316.

²⁷ იქვე, გვ. 488, 492.

²⁸ იქვე, გვ. 32, 391.

²⁹ იქვე, გვ. 291.

³⁰ იქვე, გვ. 5.

³¹ ამირ არსლანი, გვ. 7.

³² იქვე, გვ. 286.

³³ იქვე, გვ. 442.

დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ადრეული ასაკიდან (2 წ.) იწყებენ არსლანის აღზრდას³⁴. ყმაწვილი წინააღმდეგია ვაჭრობა დაიწყოს ბაზრის დუქანში. იგი მხედრული წესების დაუფლებსაქენ ისწრაფის. მთქმელი ხაზს უსვამს, რომ ყმაწვილი მეფის შთამომავალია და თავის ბუნებას პატარაობიდანვე აელენს³⁵ (შდრ. იგივე მომენტი „დარაბ-ნამედან“. პორმოზი დარაბს სამუშაოს შესრულებას ავალებს (სარეცხის რეცხვა). დარაბი საპასუხოდ არაბულ ცხენსა და სამხედრო აღჭურვილობას ითხოვს)³⁶.

ფანტასტიკურ სამყაროში, როცა იქმნება საშიშროება არსლანის ცდუნებისა, მოჰამედ ალი ნაყბ ოლ-მამალუქი ყოველნაირად ცდილობს მტკიცედ დააკვევიოს მას მონოგამია. ამ მხრივ საფუძველშივე ისპობა გართულებები, რამეთუ არსლანზე გამიჯნურებული მარჯანე ბანუ გარდა იმისა, რომ უღამაზოა, ანთროპოფაგიცაა.

არსლანის სახით მთქმელი ქმნის კეთილი და გაბედული გმირის მოდელს. იგი იმდენად მარჯვეა, რომ ადვილად ახერხებს მეველთა რაზმში გაღწევას, სასახლეში შეპარვას და აქ მალულად, ფარდას ამოფარებული ყურს უვადებს სამეფო თათბირს (იხ. არსლანის ფარულად შესვლა პეტროს შაჰის სასახლეში ან ლალთა სახელმწიფოს მეფესთან).

ორიოდ სიტყვით შევეხებით იმ მხატვრულ ხერხსაც, როცა ავტორი ცდილობს გადაიტანოს მოქმედება სივრცით დაშორებულ ადგილებში. ირეალურ სამყაროში ეპიზოდებიდან ეპიზოდზე გადასვლა მორიგი ჯადოქრობის გზით ხორციელდება (აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჭა, გამოქვაბული, უდაბნო). დასთანის რეალურ ნაწილში მთქმელი ხშირად მიმართავს დამაკავშირებელ ფრაზებს (შდრ. ტექსტისმიერი მონაკვეთების გადაბმა ამ ტიპის წინააღმდეგობით: ყაზალების კითხვით გართული თვალცრემლიანი არსლანი ბაღში დავტოვით, ახლა კი ორიოდ სიტყვა ყამარ ვეზირის შესახებაც მოისმინეთ)³⁷, დასთანში „პოსენ ქორდი“ გაცილებით სისტემატური ხასიათი აქვს გადაბმის ანალოგიურ ხერხს. მოკლე სცენების დაკავშირებაც აქ თითქმის ამ წესით ხდება³⁸.

აქვე შევნიშნავთ, რომ უზუსტობაა ჯ. დორისა და ა. შოიტოვის წერილში, როცა არსლანის ავის მოსურნეთა შორის (ყამარ ვეზირი, დევი ფულადზარეკი, გრძნეული დედაბერი — ფულადზარეპის დედა, მოლაპარაკე ლომი, ელჰაქ დევი, ჯადოქარი რეიჰანე, მარჯანე ბანუ) მოიხსენიება ასაფ ვეზირიც³⁹. იგი, როგორც შამს ვეზირისა და ყამარ ვეზირის ყოფილი მოძღვარი, ირეალურ სამყაროში არსლანის ერთ-ერთი აქტიური დამხმარეა, რომლის გარეშეც არსლანს გაუჭირდებოდა გამარჯვება (მის მაგივრად უნდა იყოს სოჰაილ ვეზირი).

„ამირ არსლანში“ მთქმელი ოსტატურად მიმართავს ჯადოსნური და რეალისტური სცენების მონაცვლეობას, ყურადღებას იქცევს გმირის სიტუაციური პორტრეტი (შდრ. უდაბნოში ხეტიალის დროს არსლანს ფრჩხილები ავაზასავით გაეზარდა, სახე მზეზე გაუშავდა. ბებერებით საესე დამსკდარ ფეხებზე კანი ისე გაუმკვრივდა — ხმლის პირზე რომ გაველო, ტკივილს ვერც კი იგრძნობდა)⁴⁰.

³⁴ შდრ. თოო ჩ ხ ე ი ძ ე, აღზრდის ინსტიტუტი სასაწერ ირანში, თბილისი, 1979.

³⁵ ამირ არსლანი, გვ 11—12.

³⁶ ტ ა რ ს ლ ი, დარაბ-ნამე; ტ. I, თეირანი, 1344, გვ. 15.

³⁷ ამირ არსლანი, გვ. 218.

³⁸ პოსენ ქორდი, თეირანი, 1344, გვ. 179.

³⁹ ჯ. დორი, ა. შოიტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

⁴⁰ ამირ არსლანი, გვ. 258.

„ამირ არსლანის“ სიუჟეტურ ჭრილში ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთ სიბრტყეზე წარმოდგენილი სინამდვილე და გამოგონილი ძალდაუტანებლად აესებს და ამთლიანებს სცენებს.

დასათანა მთქმელების შემოქმედებითს მეთოდს შეეფერება ტერმინი, რაც გამოიყენება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეების მიერ ახალი დროის ზოგიერთი შემოქმედის მიმართ (გ. მარკესი, მ. ბულგაკოვი და სხვ.) — „მაგიური რეალიზმი“⁴¹.

მ. მაჭუბი გამოყოფს საერთო სცენებს დასთანებში „ამირ არსლანი“ და „მალექ ჯამშიდი“. ასევე მიუთითებს ლექსითი ნაწყვეტების მსგავსებაზე (შდრ. ყითა, რომელიც ქალის სილამაზის აღწერას მოსდევს „ამირ არსლანშიც“ და „მელექ ჯამშიდშიც“ ერთი და იგივეა)⁴². მკვლევარს ასევე აქვს დაძებნილი საერთო მომენტები „ამირ არსლანსა“ და „რომუზე ჰამზასა“ შორის⁴³.

თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში კვლავ ცოცხლობს შამს ვეზირის სახე. მას ხშირად იყენებენ შედარების მიზნით (იხ. ჯამალ-ზადე).

საინტერესოა, რომ ადრეული დასთანების ერთი ნაწილისაგან განსხვავებით მოჰამედ ალი ნაყბ ოლ-მამალექის თხზულებაში ფანტასტიკურად არ არის გაზვიადებული არსლანის ზოგი ადამიანური შესაძლებლობები (შდრ. „ამირ ჰამზა საჰეზერანი“. ჰამზას ტარება წინასწარმეტყველის ცხენს შეუძლია მხოლოდ. იმ ცხენს კი, რომელსაც ამრუ შესთავაზებს, გმირის სიმძიმით ხერხემალი გადაუტყდება და უსულოდ დაეცემა მიწაზე⁴⁴. შდრ. ზურაბის მიერ ცხენის არჩევის სცენა პოემაში „შაჰ-ნამე“).

არსლანი მიდრეკილია თვითანალიზისაკენ, ბევრს მსჯელობს თუ ფიქრობს ხმამალა, ეჭვს უზიარებს როგორც მეგობრებს, ასევე საკუთარ თავსაც. ყოველივე ეს ადასტურებს სახის მხატვრული დამუშავების შედარებით მაღალ ხარისხს⁴⁵.

ამრიგად, „ამირ არსლანში“ (ადრეული დასთანებისაგან განსხვავებით) უფრო თვალსაჩინოა მთქმელის როლი ეპიზოდების შერჩევისა და გაფორმების, აგრეთვე ხასიათების გამოკვეთის თვალსაზრისით.

М. Н. ИВАНИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПОЭТИКИ ДАСТАНА «АМИР АРСЛАН»

В статье комплексно изучены некоторые вопросы поэтики народного дастана «Амир Арслан» (сказитель Мохаммад Али Накиб ол-Мамалек, XIX в.). Особо анализируются художественные приемы построения сюжета и композиции, образные средства, тропы, соотношение реального мира с фантастическим, стихотворные вставки и т. д. По возможности прослеживается связь с традиционными приемами народной прозы.

აკად. გ. წერეთლის სახელობის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჭიჭიამ

⁴¹ А. А. Дехтярь, Проблемы поэтики дастанов урду, М., 1979, гл. 107.

⁴² მოჰამედ ჯადარ მაჭუბი, ამირ არსლანის წინასიტყვაობა, გვ. 16—17.

⁴³ იქვე, გვ. 60—61.

⁴⁴ ამირ ჰამზა (საჰეზერანი), გვ. 25.

⁴⁵ იხ. ჯ. დორი, ა. შოტიოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

ზ უ რ ა ბ ს ა რ გ ვ ე ლ ა ძ ა მ

 ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა
 ქართველური ანთროპონიმისა და ტოპონიმისა
 შესწავლისათვის

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებს (წარწერებს, ხელნაწერებს, საისტორიო და იურიდიულ დოკუმენტებს...) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული (და ქართველური) ანთროპონიმისა და ტოპონიმის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლისათვის. აქ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე.

ძველ ქართულ წყაროებში დასტურდება რამდენიმე საკუთარი სახელი, რომლებიც ნაწარმოები არიან კნინობითობის - ა სუფიქსით (ძ ნ ე ლ - ა, გ უ ლ - ა, კ ა ხ - ა, კ უ პ რ - ა და სხვ.). ეს სახელები მრავალმხრივ იქცევენ ყურადღებას.

6. შოშიაშვილი ფიქრობს, რომ ბოლნისის სიონის აღმოსავლეთ კედელზე უნდა წავიკითხოთ ძ ნ ე ლ ა ა საკუთარი სახელი (ქართული წარწერების კორპუსი, I, 1980, გვ. 75).

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ V საუკუნის დასასრულს უკვე გეოგრაფია - ა კნინობითის მაწარმოებლიანი საკუთარი სახელი. არ არის ნათელი ამ ანთროპონიმის ძირის საკითხი. თითქოს იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძ ნ ე ლ ზედსართავ სახელს (მისი წარმომავლობის შესახებ იხ. ქვემოთ).

გ უ ლ ა გვხვდება წყისის წარწერაში (616—619 წწ.); მე, კონსტანტი, ძემან სტეფანესმან და გ უ ლ ა ს მ ა ნ .

გ უ ლ ა ქალის სახელია. იგი კონსტანტის დედა იყო. გ უ ლ ა სახელში უნდა გამოვეყოთ გ უ ლ - ძირი და - ა სუფიქსი (კნინობითისა). სახელი გ უ ლ ა დაედო საფუძვლად გვარებს: გ უ ლ ი - ა შ ვ ი ლ ი, გ უ ლ - ა ძ ე, გ უ ლ - ა ვ - ა ძ ე.

853 წლის ატენის წარწერაში მოიხსენიება კ ა ხ ა ა: „ზირაქ შეიპყრა კ ა ხ ა ა“. კ ა ხ ა საკუთარი სახელი ნაწარმოებია კ ა ხ - ეთნონიმისაგან - ა სუფიქსის დართვით. ეს არის უძველესი შემთხვევა, როცა ქართულ ადამიანის სახელს ეთნონიმი ედება საფუძვლად. კ ა ხ ა საკუთარი სახელისაგან იწარმოება გვარი კ ა ხ ა ძ ე.

ატენის 885 წლის წარწერაში მოიხსენიება ს უ ლ ა: წმიდაო ეკლესიაო, შეეწიე სულჟურთხელსა ს უ ლ ა ს ა .

ს უ ლ ა ანთროპონიმი ნაწარმოებია ს უ ლ - ძირისაგან ა-ს დართვით. ს უ ლ ა საკუთარი სახელი არის ამოსავალი გვარებისათვის: ს უ ლ ა ი ძ ე, ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, ს უ ლ ა ბ ე რ ი ძ ე, ს უ ლ ა ვ ა და სხვ.

Sin.-14 (X ს. იადგარი) ხელნაწერის მიწაწერებში იხსენიება კ რ ა ვ ა - ა: „ქრისტე, შეიწყალე კ რ ა ვ ა ა“ (30r; 50r). კ რ ა ვ ა წარმოქმნილია კ რ ა ვ - ძირისაგან - ა სუფიქსით. კ რ ა ვ ა ედება საფუძვლად გვარს კ რ ა ვ ე ი შ ვ ი ლ ი.

კ უ პ რ ა, წარმოებული კ უ პ რ - ძირისაგან, დასტურდება „გრიგოლ

ხანციელის ცხოვრებაში: „წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქვა კუპრა“ (ავთოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 298, 34).

კუპრა საკუთარი სახელისაგან არის ნაწარმოები გვარები: კუპრაძე, კუპრაძეა, კუპრაშვილი და სხვ.

ძველ ქართულ ენაში მორჩი აღნიშნავს იმას, რასაც ნორჩი თანამედროვე ქართულისა (ნორჩი < მორჩი). საყურადღებოა, რომ გვაქვს საკუთარი სახელი მორჩა (მორჩა-). -ა კნინობითის სუფიქსია. ეს საკუთარი სახელი დასტურდება იშხნის ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც 1032 წელსა ამოკვეთილი: „დაუაშენე ტელითა ი(ო)ვანე მორჩაჲს ძისაჲთა“.

1035 წელს არის გადაწერილი ბასილი ღიდის „ფსალმუნთა თარგმანების“ ერთ-ერთი ხელნაწერი A-135. გადაწერის ანდერძში ნათქვამია: „ამის წიგნისა ერთადი კატაჲს საფასოთა ვიყიდე“ (256r). ცხადია, კატა-ა საკუთარი სახელია. შესაძლოა, კატა სახელში ძირად კატ- გამოიყოს, ხოლო -ა სუფიქსად ჩაითვალოს.

ერთ-ერთი სინური ხელნაწერის (Sin. 79, 1074 წლისა) ანდერძში დასტურდება ანთროპონიმი კიტა: „ქრისტე, შეიწყალე მოძღუარა დავით და შიქაელ და კიტაჲ“.

კიტა, ფეჟრობთ, მეგრულ-ქანური საკუთარი სახელია. კიტა მეგრულად მცირეს, პატარას ნიშნავს. ქანურში ამავე შნიშვნელობით იხმარება ქუტა||კიტა. საფეჟრებელია, ბოლოკიდური -ა კნინობითის მაწარმოებელი იყოს.

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 20 ხელნაწერს (ნ. მარის აღწერილობით; რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, მისი ნომერია 8, ხოლო ა. ცაგარლის აღწერილობის მიხედვით — 128), რომელიც გადაწერილია XIII—XIV საუკუნეებში, დართული აქვს რამდენიმე გვიანდელი მინაწერი. ერთ-ერთ მათგანში (XVIII ს.) მოიხსენიებიან ბატონიშვილი დომენტი-ყოფილი, დამიანე და მისი დედა — გურიელის ქალი თუთა. აღსანიშნავია, რომ დომენტი-ყოფილი დამიანე იხსენიება აგრეთვე Jer. 1 (6r) და Jer. 51 (2v) ხელნაწერებში.

საკუთარი სახელი თუთა, წარმოშობით, მეგრულ-ქანურია. მეგრულ-ქანურად თუთა არის მთვარე. ამ ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ქართული თუთე და სვანური დოშდ-. თუთა, თუთი ადამიანის საკუთარ სახელად საკმაოდ გავრცელებული ჩანს საქართველოში. ეს სახელი შეიძლება ერქვას როგორც კაცს, ისე ქალს ([2], გვ. 86; გვ. 184).

პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული სვანეთის საისტორიო ძეგლების მიხედვით, მამაკაცის სახელია თუთია ([4], გვ. 128), ხოლო თუთაჲ ([2], გვ. 125) სახელი ვის ერქვა, კაცს, თუ ქალს, ძნელი დასადგენია (შდრ: [2], გვ. 66).

თ. კორდანიამ გამოაქვეყნა 1439 წლის სამების სულთა მატინე. მასში მოხსენიებულია თუთია ნადირაული ([4], გვ. 246). თუთია ფორმაში უუნდა იყოს დაწერილი ო-ს ნაცვლად და ეს საკუთარი სახელი უნდა მომდინარეობდეს თოთიასგან. ამრიგად, აქ სხვა სახელი გვაქვს და არა თუთა-ს ვარიანტი (შდრ.: [2], გვ. 246).

თუთა რქმევია ვახტანგ VII-ის ერთ-ერთ ასულს. გერგეტის მატინის XVII საუკუნის მიწურულის ჩანაწერში ვკითხულობთ:

„წმინდავ ნინო მოციქულს, შეიწყალე მეფე ქართლისა ვახტანგს(!) და

მეუღლესა რუსუდანსა და ძეთა მისთა: ბაქარს და ასულს თამარს და ანუკას და თუთას“ (I5, გვ. 244).

ბუნებრივია, რომ საკუთარი სახელი თუთა დასტურდებოდა გურიაში. გურიის ტოპონიმიში, ანთროპონიმიში, გურული დიალექტის ლექსიკაში მრავლად გვხვდება ზანიზმები.

ძველ ქართულ წარწერებში მოიხსენიებიან: გაბიტა (გაბ-იტა, შდრ., გაბიტაშვილი), თაფლა, (თაფლ-ა), კაცა (კაც-ა, შდრ.: კაცაძე), ლომა (ლომ-ა შდრ.: ლომაძე), მამალა (მამალა-ა, შდრ.: მამალაძე), მიქელა (მიქალა-ა, შდრ.: მიქელაძე), სსუისა (სსუ-ის-ა), მახარა (მახარა-ა, შდრ.: მახარაძე; მახარაშვილ) და სხვები (იხ. ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 1).

როგორც ვხედავთ, -ა მაწარმოებლიანი საკუთარი სახელები საკმაოდ ხშირია ძველ ქართულ ძეგლებში (ცხადია, ჩვენ მხოლოდ უმცირესი ნაწილი დავიმოწმეთ). აქვე შევნიშნავთ, რომ ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერებში მოხსენიებული არიან: გიორგი ირემიძე (XI—XII სს.), მამაქადაგა, ნაეროზა, ცხადა, არსენა (XIII—XIV სს.) და სხვ.

X საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ქალის სახელი ყოფილა თავუნა. ეს ჩანს 936 წელს გადაწერილი ჯრუჟის ოთხთავის ანდერძიდან: „ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ კელითა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისათა... მშობელთა ჩემთა მირდატისთვის, თავუნა და ს-თვის“. თავუნა ქალის სახელი წარმოქმნილია თავუ- ძირისაგან -უნ-ა კნინობითის სუფიქსთა საშუალებით. ეს საკუთარი სახელი იმითაცაა საყურადღებო, რომ იგი არის ამგვარი წარმოების უძველესი ნიმუში.

ცალკე უნდა შევეხოთ ნართაულ სახელებს (მათ ახლა თიკუ-ნებს უწოდებენ). პარხლის ოთხთავის (973 წ.) გადამწერია იოვანე ბერაი: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა“ (237r).

პარხლის მრავალთავის (A 95) ანდერძში დადასტურებულია ნართაული სახელები: პატარაი, ხორგაი, გაცუეთილი:

„სული გაბრიელ პატარაისა მოიკნენთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა. გაბრიელ ლასკაველი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა, — ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი, — ოდეს მიმჭირდის, მათ მივჰმართი, პურაი მციან. იოვანე გაცუეთილმან კუტალაითა ღვთა მომართა“ (590v—591r).

ქართული კულტურის ისტორიაში კარგადაა ცნობილი მიქაელ მოდრეკილი. მან შეადგინა საგალობელთა შესანიშნავი კრებული (S 425):

„მე, გლახაკმან და ფრიად უღვებებით ცხოვრებულმან, ღელათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისათა დაღონებულმან მიქალ მოდრეკილმან ვილუაწე“ (262v).

978 წელს საბაკუტმა გადაწერა H 1346 ხელნაწერი: „ღირს ვიქმენ მე, უღირსი და ცოდვილი საბაკუტი, დაწერად კელითა ჩემითა წმიდასა და ქემშარიტსა წიგნსა გამოცხადებისასა“ (208r).

XI საუკუნის შუა წლებში მოღვაწეობდა გაბრიელ კოტაია, ანუ კუტაია, რომელმაც გადაწერა რამდენიმე ხელნაწერი (ქუთ. 19, ქუთ. 20, ქუთ. 21...).

ცნობილია გადამწერი, რომლისთვისაც მეტსახელად ეტრატაი შეურქ-

მევიათ: „უცხად მწერალი გლახაკი ბასილი ეტრატაი ლოცვასა მომიკვენით“ (A 94, რჩულისკანონი, 1031 წ. 72v); „დაიწერა რჩულისკანონი ესე... კელითა გლახაკისა მწარედ ცოდვილისა ბასილი ეტრატაი მალეშის ძისათა“ (181v).

ძალზე საყურადღებოა ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერის (№ 3, X ს. დასასრულისა, პავთოგრაფიული კრებული, გადაწერილია ოშკში) გადაწერის თიკუნი ჩირაჲ: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშკს, საყოფელსა წმიდისა და დიდებულისა ნათლისმცემელისასა, წინამძღურობასა წმიდისა მამისა საბაჲსსა, — ღმერთმან აღიდენ და ცოდვანი შეუნდვენ, — ჯელითა ჩემ გლახაკისა საწყალობელისა იოვანე ჩირაჲსითა“. ჩირა სიტყვას ვერ გავიგებთ, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძველი ქართული მწერლები და გადაწერები თავიანთ თავს თავმდაბლობის გამო ხშირად უწოდებენ: მ ჩ ხ რ ე - კ ა ლ ს, მ ჩ ხ ი ბ ა ვ ს, მ ც ი რ ე ს, პ ა ტ ა რ ა ს და ა. შ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩირაჲ არის ქართული მ ც ი რ ე ზედსართავი სახელის კანონზომიერი ზანური ფონემური შესატყვისი. ჩირაჲ<მ ჩირა ფორმისაგან თავიკლდური მ-ს დაკარგვით, პროფ. ტოვო გუღეას მიერ დადგენილი წესის მიხედვით. სანტერესთა, რომ ო ჩ ა მ ჩ ი რ ე ტოვონიმის მეორე ნაწილში მ ჩ ი რ ე <მ ჩ ი რ ა პროფ. გ. როგავა სწორედ ქართული მ ც ი რ ე ზედსართავი სახელის კანონზომიერ ზანურ ფონემურ ეკვივალენტს გამოყოფს. ამდენად, სავარაუდოა, Ath. 3 ხელნაწერის გადაწერის თიკუნი ჩირა იყოს მეგრულ-ქანური ფორმა და ნიშნავდეს მ ც ი რ ე ს. თუ ეს დაშვება სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხელნაწერის გადაწერილი მეგრული ან ქანი ყოფილა.

Sin. 78 (კრებული) გადაწერის თიკუნია მჭლე: „ქრისტე, შეიწყალე საბა მჭლე“ (70v, 145v, 165v, 186v, 241) საბა მჭლეს იოანე გოლგოთელისათვის ეს წიგნი კვრიკე წუერდიდის ხელით გაუგზავნია: „ტკბილემ მამო, იოანე გოლგოთელო, ესე წიგნაჲ ქანქარის თარგმანი მომიკსენებია ქელითა კვრიკე წუერდიდისათა“ (278r).

Jer. 63 (პარაკლიტონი, 1167 წ.) ხელნაწერის ერთ-ერთი გადაწერია მარკოზი, ცონცორიკაჲს ქალის ვაჟი: „პირველი თუთ ჩემითა კელითა დაეწერე და მეორე სანატრელთა მამათა კვრიკეს მიერ პატიოსნისა მღვდლისა და მარკოზ ცონცორიკაჲს ასულისა წულიისა კელითა“ (161r). ცონცორიკაჲ დღესაც ცოცხალი სიტყვაა ქართული ენის დიალექტებში.

სკმეონ თავშიშუელი ყოფილა წიგნის მმოსელი: „ლოცვა-ყავით სკმეონ თავშიშუელისათჳს, რომელმან წმიდანი ესე წიგნი(ნი) შენოსნა“ (192v). Ath. 77 ხელნაწერის (1049 წ.) მინაწერში მოიხსენიება საბაჲჲ ქერქამუელი.

ცნობილია, რომ გვართა თავდაპირველი მნიშვნელობის დადგენა საკმაოდ რთული საქმეა. სიძნელე განპირობებს ის, რომ გვარებს საკმაოდ უცვლიათ ფორმა ფონეტიკურ მოვლენათა შედეგად. გვართა ამოსავალი სახისა და მნიშვნელობის დასადგენად უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია ძველ წერილობით წყაროებს.

ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 7 ხელნაწერში (XI ს.) დასტურდება რამდენიმე გვიანდელი მინაწერი. რ. ბლეიკი შენიშნავს, რომ ამ მინაწერებში იხსენიება გვარი და ჩი-

ონე შვილი (R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la
 Bibliothèque Patriarcale grecque a Jerusalem, Paris, 1924, გვ. 26).

ძნელი მისახვედრი არაა, რომ დაჩიონე შვილ გვარისათვის ამო-
 სავალია საკუთარი სახელი დაჩიონე. ცხადია ისიც, რომ დაჩიონე
 ორი საკუთარი სახელის — დაჩი და იოანე — შერწყმითაა მიღებული.
 კარგადაა ცნობილი, რომ ამგვარი სახელები სასულიერო პირებს ერქვათ ხოლ-
 მე და ხშირად ორივე სახელი (ერობისა და ბერობისა) ერთი და იმავე ბგერით
 იწყებოდა. ამის მაგალითია სულხან-საბა. მაგრამ ეს აუცილებელი არ
 იყო. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ცნობილ თორნიკე ერისთავს ბე-
 რობის სახელად იოანე ეწოდა.

დაჩიონე შერწყმული საკუთარი სახელის პირველი კომპონენტი და-
 ჩი საკმაოდ გავრცელებულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. დაჩი
 ერქვა საქართველოს ერთ-ერთ მეფეს (სულთა მატიანე, Q 964...). შატბერდის
 ცნობილ კრებულში, რომელიც გადაწერილია X საუკუნის 70-იან წლებში, შე-
 მონახულია მწერლისა და მთარგმნელის დაჩის მიერ თარგმნილი ნაწარმოე-
 ბები და მისი წერილი ანტონი ეპისკოპოსის მიმართ. დაჩიონე საკუთარი
 სახელის მეორე ნაწილი — იოანე — უაღრესად გავრცელებულია მთელს
 ქრისტიანულ სამყაროში.

დაჩიონე მიღებულია ი და ა ხმოვანთა დაკარგვის შედეგად (და-
 ჩიონე < დაჩი იოანე სწორედ ეს ვარიანტი დაედო საფუძვლად იერუ-
 სალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელ-
 ნაწერის მინაწერში დადასტურებულ გვარს დაჩიონე შვილი. საფიქრე-
 ბელია, რომ გვექონდა ამ გვარის სხვა ვარიანტიც, კერძოდ, დაჩიოანე-
 შვილი, რომლის ფონეტიკურმა ევოლუციამ მოგვცა დოჩანაშვილი.
 ეს პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: დაჩიოანე შვილი > დოჩო-
 ანე შვილი (ასიმილაციითა და ი-ს დაკარგვით), შემდგომში ო-ს დაკარგვითა
 და ე-ს ა-ით შენაცვლების გზით მივიღეთ: დოჩანაშვილი.

გვარების ისტორიისათვის საყურადღებო მასალებს შეიცავენ დასავლეთ
 საქართველოს წარწერები (დასავლეთ საქართველოს წარწერება, ნაკვ. I,
 (IX—XIII სს.), გამოსცა ვ. სილოგავამ, თბ., 1980). საქმე ისაა, რომ აქ შე-
 მონახულია რიგი საკუთარი სახელებისა, რომლებიც გვარებს დაედო საფუძ-
 ვლად. ეს საკუთარი სახელები კი ამჟამად აღარ, ან თითქმის აღარ იხმარება.

ხემო კრიხის (ამბროლაურის რაიონი) წარწერაში, რომელიც X საუკუნით
 არის დათარიღებული, მოიხსენიება კვიტაი:

„წმიდაო მთავარანგელოზო, კვიტაი შეიწყალე“ (დას. საქარ. წარწ.,
 23. 41).

საკუთარი სახელი კვიტაი არის ამოსავალი გვარისათვის კვიტაი-
 შვილი.

თუხის (თერჯოლის რაიონი) წარწერაში (XI ს.) დასტურდება ვაშაყმა
 ანთროპონიმი:

„გაუსუენეთ სულსა მამისა ვაშაყმა ისასა“ (დას. საქ. წარწ.,
 23. 87).

ვაშაყმა ანთროპონიმისაგან არის ნაწარმოები ვაშაყმაძე.

1 შესაძლოა, ო კი არ დაიკარგა უშუალოდ, არამედ ია კომპლექსმა მოგვცა უა, შემ-
 დგომში კი წინამდებელი ო-ს გავლენით დაიკარგა უმარცვლო უ, ან მისი ვარიანტი ვ.

კაცხის (ჭიათურის რაიონი) წარწერაში (XI ს.) გვხვდება სირა საკუთარი სახელი:

„წმიდაო სამებაო, შეიწყალე სული სირაჲსი და მისისა შეილისა ხუცისა“ (დას. საქ. წარწ., გვ. 90).

სირა საკუთარი სახელისაგან არის წარმოქმნილი გვარები: სირაძე, სირია...

ძველ საქართველოში ღვინო ანთროპონიმი გვხვდებოდა. ამას მოწმობს სიმონეთის ეკლესიის XI ს-ის წარწერა:

„წმიდაო გიორგი, შეიწყალე ღვინოჲსი გიორგი“ (დას. საქ. წარწ., გვ. 110).

ღვინო საკუთარი სახელი დაედო საფუძვლად ისეთ გვარებს, როგორცაა: ღვინაძე, ღვინიაშვილი...

ქორეთის ეკლესიის (XI ს.) წარწერაში დასტურდება საკუთარი სახელი ქორდაი:

„წმიდაო სამებაო, შეიწყალე მიქაელ მჭევრისი ძე ქორდაი“ (დას. საქ. წარწ., გვ. 121).

ქორდაი უნდა წავიკითხოთ, როგორც ქურდაი (აქ უ-სა და ო-ს გრაფიკული მონაცვლეობა გვაქვს). საინტერესოა, რომ საკუთარი სახელი ქურდაი დასტურდება ბასილი ზარზმელის თხზულებაში „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“:

„მონასტერი შუენიერი შენ არს, რომელსა-იგი იყენეს პირველნი აღმშენებელნი ამასპო და ქურდაი“ (აგიოგრ. ძეგლ., I, 339, 21—22).

ქურდაი! ქურდაი ანთროპონიმი არის ამოსავალი გვარებისათვის: ქურდაძე, ქურდიანი და სხვ.

ქორეთის ეკლესიის სხვა წარწერაში მოხსენიება ინასარაი:

„წმიდაო სამებაო, შეიწყალე ფერისა ინასარაი“ (დას. საქ. წარწ., გვ. 122).

ინასარა არის ამოსავალი ინასარიძე გვარისათვის.

საფიქრებელია, საკუთარი სახელი კოპა იხსენიებოდეს ხონის ეკლესიის წარწერაში (XI—XII სს.):

„წმიდაო გიორგი, შეიწყალე გიორგი, კოპა, ივანე“ (დას. საქ. წარწ., გვ. 137).

თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოპა სახელი ძველთაგანვე გვხვდებოდა ჩვენში. კოპა ანთროპონიმისაგან არის წარმოქმნილი გვარი კოპაძე.

ღარკვეთის (ჭიათურის რაიონი) ეკლესიის XII—XIII საუკუნეთა წარწერაში დასტურდება სიხა ანთროპონიმი:

„ქრისტე, შეიწყალე, ადიდე სიხაი“ (დას. საქ. წარწ., გვ. 156).

სიხა ანთროპონიმი, საფიქრებელია, იყოს ამოსავალი გვარისათვის შიხაშვილი (ასიმილაციით) < სიხაშვილი.

სხვაგვს (ამბროლაურის რაიონი) ეკლესიის (XIII ს.) წარწერაში დასტურდება გიონაი ანთროპონიმი:

„წმიდაო გაბრიელ, შეიწყალე ვარდან გიონაის ძე“.

ეს წარწერა აღმოაჩინა და გამოსცა გ. ბოჭორიძემ (რაქის ისტორიული ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, VIII, 1935, გვ. 290—291).

ვ. სილოვაკა თვლის, რომ გიონაის ნაცვლად შეიძლება წავიკითხოთ „გიორგი, ონაის ძე (ან უნაის ძე)“ (დას. საქ. წარწ., გვ. 172).

ჩვენი აზრით, უფრო მართებული უნდა იყოს გ. ბოჭორიძისეული წავითხვა: გიონა სახელის დაწერილობაში ო გვაქვს უ-ს ნაცვლად. გიონა უნდა წავიკითხოთ, როგორც გიუნა. ა. შანიძემ მიუთითა, რომ ვვარს გიუნა შვილი საფუძვლად გივი საკუთარი სახელის კნინობითის -უნა სუფიქსით ნაწარმოები გი(ვ)უნა ფორმა უდევს საფუძვლად ([7], გვ. 76). თუ იმასაც გავიხსენებთ, ჭრუჭის ოთხთავის ანდერაში გვხვდება თავუნა საკუთარი სახელი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ -უნა სუფიქსით ნაწარმოები საკუთარი სახელები X—XIII საუკუნეებში იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარებოდა.

ძველ ქართულ წყაროებში შემონახულია ზოგი ისეთი წარმომავლობის სახელი, რომლებიც უთუოდ გეოგრაფიულ სახელებს ემყარებიან, მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით გეოგრაფიული სახელები ამჟამად უცნობია.

ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ ადგილი პარხლის მრავალთავის (A—95) ანდერაძიდან. მასში მოხსენიებულია გაბრიელ ლასკაველი. ცხადია, ლასკაველი წარმომავლობის სახელია. მისთვის ამოსავალად უნდა ვივარაუდოთ: ლასკაქასი, ან ლასკაეთი.

ბიეთის სამების ეკლესიის X საუკუნის წარწერაში მოიხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოვანე, ძე ბაკურ ყანჩაელი სსა (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 193). ყანჩაელი წარმოქმნილი სახელია. მისთვის ძირეულია ყანჩაეთი, ან ყანჩაქასი.

ასევე, ტატანელი წარმოქმნილი სახელისათვის ამოსავალად უნდა ვივარაუდოთ ტატანეთი, ან ტატანისი.

ტატანელი გვაქვს ურბნისის სახარების (A 28, XI ს.) მინაწერებში:

„იესუ ქრისტმ, შეიწყალე იოვანე ტატანელი (3r), მოიქსენეთ სული იოვანე ტატანელისა“ (67v, 105v, 108v და მისთ.).

ზემოთ ჩვენ დავიმოწმეთ ძნელა ანთროპონიმი (ბოლნისის წარწერა, V ს.). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ძნელ არის წარმომავლობის სახელი: ძნელ-ი. მისთვის ამოსავალი უნდა იყოს ძნ-ისი, ან ძნ-ეთი. ამ გეოგრაფიული სახელის ძირია ძნა. ძნა-ძნეთი-ძნელ-ი. აქედან საკუთარი სახელი — ძნელა.

შეიძლებოდა თუ არა ძნეთ ყოფილიყო გეოგრაფიული სახელი? როგორც ჩანს, კი. ამგვარი ვარაუდის დაშვების საფუძველს გვაძლევს წერეთელ გვარის ანალიზი. დოც. მ. რეხვიაშვილმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ წერეთელ გეოგრაფიულ სახელის წერ ძირი უნდა ნიშნავდეს პურის ჩალის (ნამჯის) ზეინს (შდრ.: [1], გვ. 125). წერეთელი კი ასე უნდა ვავიგოთ: „ნამჯის ზეინიანი“. წერ-სიტყვა ამ მნიშვნელობით შემონახულია რაჭულ დიალექტში.

წერეთელი გვაქვს მცხეთის ბიბლიაში (A 51): „და ჰამა ზოოზ და სუა და განმზიარულდა გული მისი და დაწვა იგი ზუნსა მას წერეთლისა მისისასა“ (რუთ. 3,7) ოშკის ბიბლიაში ამ ადგილას იკითხება წერ-ეთლი.

წერეთლიწერულ აქნიშნავს ნამჯას, ნამჯეთლს. ვფიქრობთ, რომ წერ-ძირისაგან იყო ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი წერეთი, რომლისაგანაც შემდგომში ნაწარმოებია წარმომავლობის სახელი წერეთელი (შდრ.: ძნეთი, ძნელ-ი). ის, რომ -ეთ სუფიქსი გადაჰყავ

წარმომავლობის სახელს, ამ ვარაუდისათვის დაბრკოლებას ვერ ქმნის (შეიძლება კახეთელი იქნეს). არც ის უნდა იყოს გადაულახავი დაბრკოლება, რომ წერეთი (ისე როგორც ძნეთი) გეოგრაფიული სახელი დღეს აღარ არსებობს.

XV საუკუნეში რამდენიმე ზელნაწერი გადაუწერია კოჭობას ძეს ზოსიმეს. კერძოდ, მისი გადაწერილია A 1562 (პარაკლიტონი): „ამის მწერალსა კოჭობას ძესა ზოსიმეს შეუნდენეს ლმერთმან“ (365v), აგრეთვე ოთხთავი (ქუთ. 362): „კოჭობას ძესა ზოსიმეს შეუნდევს ლმერთმან“ (281r).

როგორც ჩანს, კოჭობა, ზოსიმეს მამის სახელი, თავდაპირველად ნართაული, თიკუნი ყოფილა (კოჭობი „მცირე ქოთანია“ საბა), იგი საკუთარ სახელად შემდგომ ქცეულა. ეს სახელი, როგორც ჩანს, გვეხმარება ერთი პიდრონიმის ახსნაში. ლანჩხუთის რაიონის სოფლებს ჯუნ-ეწერსა და ზიბაოს ერთმანეთისაგან ყოფს პატარა მდინარე, რომელსაც კოჭოპაის ღელე ჰქვია. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ადგილი, სადაც ეს მდინარე იღებს სათავეს, გარკვეულ დროს ვინმე კოჭობას კუთვნილება ყოფილა.

ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
2. ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1967.
3. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.
4. თ. ქორდანიია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტფილისი, 1897.
5. ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 30, თბ., 1950.
6. R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la lavre d'Jviron au Mont Athos, Paris, 1932.
7. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, თბ., 1965.

З. А. САРДЖВЕЛАДЗЕ

ЗНАЧЕНИЕ ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ИСТОЧНИКОВ ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ КАРТВЕЛЬСКОЙ АНТРОПОНИМИИ И ТОПОНИМИИ

Резюме

Данные древнегрузинских письменных памятников имеют большое значение для изучения грузинской (resp. картвельской) антропонимии и топонимии. В древних памятниках засвидетельствованы антропонимы, легшие в основу некоторых фамилий (напр. гუდა guda, სულა sula, კახა kaха, დაჩონე dačione и др.).

В статье специально рассматриваются т. н. нарицательные сахელები — «прозвища», которые часты в древнегрузинском. Дан анализ и некоторых топонимов.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ

ქ ა თ ე ვ ა ნ ლ ო მ ა თ ი ა

ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ის ა კ ა დ ე მ ი ო ს

ი ო და ბ ო ლ ო ე ბ ი ა ნ ი ს ო კ ო ს სა ხ ე ლ ე ბ ი ქ ა რ თ უ ლ შ ი

ვ. თოფურია გამოკვლევაში „მცენარეთა სახეწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში“, რომელიც წინასწარი მოხსენების სახით 1958 წ. იქნა წაკითხული და რომელიც მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა, გამოყო მთელი რიგი სიტყვათწარმოების სუფიქსები, მათ შორის რთული შედგენილობის -ი-ო სუფიქსიც იმის მითითებით, რომ ზოგ სხვა სუფიქსთან ერთად (როგორიცაა -იტა, -უტა, -იჭა, -უჭა) იგი არაა პროდუქტიული. საგანგებოდ აღინიშნა, რომ: „ყურადღებას იქცევს მხოლოდ წითლიო და მტრედლიო (ე. ი. სოკოს აღმნიშვნელი სიტყვები! — ქ. ლ.), სადაც -ი-ო გამოიყოფა და ანალოგიური შემთხვევები დასაძებნია (ხაზი ჩვენია! — ქ. ლ.). ილია ჭყონიას მიხედვით თითქოს მარტო უნდა იყოს“ -ო¹.

იმერული ლექსიკონის მასალების შეკრებასთან დაკავშირებით ივ. ქავთარაძემ აღნიშნა -იო სუფიქსის ერთი ტიპის სახელებში არსებობა: მიქლიო, ჭადლიო, გზავრიო, ცხავრიო, ტრედლიო (სოკოების სახელები) და გამოთქვა მოსაზრება -იო მომდინარეა იონ-ისაგან, ოღონდ სხვაგვარი მნიშვნელობითო².

შემდეგში მანვე საგანგებო გამოკვლევა უძღვნა -იო (—-ი-ო) ბოლოსართს ქართულში³.

აქ ავტორი მიმოიხილავს ქართულში მრავალი სახის -იო დაბოლოების მქონე სახელებს, როგორიცაა, მაგალითად, ტყვიო, შვრიო, ჩხოტიო, კორიო; ღრუბლიო, ღვინიო; ნორიო, ოქიო (ტოპონიმები); მკაფიო, მდაბიო, მსოფლიო და სხვ. და სამართლიანად მიუთითებს, რომ „-იო დაბოლოების წარმოშობა-გამოყენება და გავრცელება აღნიშნული ტიპის სახელებში ერთნაირი არ უნდა იყოს“⁴.

სოკოთა სახელებში მოფუნქციე -იო ბოლოსართიან სახელებს ავტორი განიხილავს სხვა მაწარმოებლებთან (-ა, -ია) შეპირისპირებით, აღნიშნავს მათ დიალექტურ ვარიანტებს (ჭადო, ჭადონა, ჭადილო; ტრედო, ტრედონა, ტრედილო) და ასკვნის: „...რამდენადაც ძველ ტექსტებში და ძველი ქართულის სალექსიკონო მასალებში დვინიო, მიქლიო ტიპის სახელები მეტად მცირეა, ამას გარდა ჭირს ამ სახელთა იმგვარი ანალიზი, როგორც მსოფლიო

¹ ვარლამ თოფურია, შრომები, III, თბ., 1979, გვ. 261. თეზისები მოხსენებისა გამოქვეყნებული იყო 1958 წ.

² ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, კრებ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, თბ., 1963.

³ ივ. ქავთარაძე, ერთი სიტყვაწარმოებელი სუფიქსისათვის ქართულში, საიუბილეო კრებული არნოლდ ჩიქობავას, თბ., 1979.

⁴ იქვე, გვ. 142.

⁵ ოღონდ ავტორს არა აქვს მითითებული—მაინც რომელი მათგანი გვხვდება ძველ ქართულში.

და მისთ. სიტყვებში და ტოპონიმებში იგულისხმება, ამდენად საფიქრებელსაა, რომ -იო ბოლოსართი აქ ახალი დანართი იყოს, როცა ის დამოუკიდებელ საწარმოებლად იქცა და ახალი ფუნქცია შეიძინა — ფერის, ფორმა-მოყვანილობის, სუნისა და გემოს მიხედვით მსგავსება გამოხატა და ოდნავ დაშორდა შესაბამის -ია ბოლოსართიან სახელებს, რომლებშიც, მსგავსებასთან ერთად, გარკვეულ შემთხვევებში მკაფიოდ ჩანს აგრეთვე კნინობითი თუ საალურსო შინაარსი⁶. პარალელურ სახეობებთან შედარების საფუძველზე ავტორი ამავე დროს განოთქვამს ჩვენთვის საყურადღებო მოსაზრებას, „რომ ევების გვქონოდა -ილო-სუფიქსიანი სახელები *ღვინილო, *მიქლილო, და ინტეროკალურ პოზიციამი ლ-ს ჩავარდნით დამკვიდრდა ღვინიო, მიქლიო...“-ო⁷.

საბოლოოდ კი დაასკვნის: „რაც შეეხება მიქლიო, ღვინიო ტიპის სახელებს, აქ -იო გამოხატავს ფერისა და ფორმის მიხედვით მსგავსებას, ამ ფუნქციით ის შედარებით ახალი ჩანს და შესაძლოა წარმოშობით იყოს -ია სუფიქსის დიალექტური ვარიანტი (შდრ. ღვინია||ღვინიო) ან სუფიქსის ნაწილი (ჭადილო—ჭადიო). ხელახალი გააზრების შემდეგ იო დამოუკიდებელ სუფიქსად იქცა“⁸.

მიუხედავად აქ წარმოდგენილი ზოგი საყურადღებო მოსაზრებისა, -იო-ზე დაბოლოებულ სოკოთა სახელების საკითხი კვლავ მოითხოვს დაზუსტება-გარკვევას.

ამ საკითხის, ერთი მხრივ, ისტორიული და, მეორე მხრივ, დიალექტური ასპექტით შესწავლამ საყურადღებო სურათი გადაგვიშალა.

რამდენადაც ჩვენ ხელი მიგვიწვდება ძველი ქართლის მასალებზე, იქ სოკოს სახელების მხრივ ბევრს ვერაფერს ვპოულობთ, მაგრამ საგულისხმოა ის გარემოება, რომ სულხან-საბა ორბელიანს- თავის ლექსიკონში ერთადერთი „ნ ო შ ი ო“-ს გარდა არც ერთი სხვი -იო დაბოლოებიანი სოკოს სახელწოდება არა აქვს, მაშინ როდესაც სოკოთა სახელები საკმაოდ გვხვდება აქ. მაგ.: გარყა, მკადა, ტრედა, მანჭვალა, ნიყვი|კვერცხის გულა, ფქვილა, ქვაშია, მერცხლის სოკო, სოკოფიჩხა, ქამა, ქვეყნის-გული, ყურა, წეროს-წვივა და სხვ.⁹

ასეთივე სურათია ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიაც. აქაც გვაქვს ტრედა, ქამა, ფქვლა, ყურა, წეროს წვივა, სოკოფიჩხა... (აქაც გამონაკლისია ნ ო შ ი ო).

მსგავსივე ვითარება გვაქვს დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში. ერთი „ნოშიო“-ს გარდა (რომელიც сыроега-ს და рыжик-ის ერთ-ერთ თარგმანდ მოჰყავს მას) სოკოების სახელებად გვაქვს: რძიანა სოკო (фелянка), სოკო ფიჩხა, ხის სოკო, მანჭკვლი (гриб древесный), სადმოწყვიტა, გიყი სოკო (гриб ядовитый, навозный), არყა სოკო, ხრაშუნა (берёзовка), მგლის სოკო (волвянка, волнуха), პილპილა, ღარიღონა, ბებერი სოკო, მანჭკოლა, ბაბუსა-გზალი (груздь). წიროს წვივა (дубинник, дубовик), გულაფშოტა სოკო (дождевик), მანჭკორა (опёнок березовый), შხამიანი რძიანი (молочай ядовитый),

⁶ იქვე, გვ. 143—144.

⁷ იქვე, გვ. 144.

⁸ იქვე.

⁹ „ნოშიო“-ს საკითხი თავისებურია. აქ თვით ამოსავალი ნ ო შ ი ო / ნ ო შ ი ო ფუძეა თავისებური და საძიებელი.

ქამა სოკო (печерица, шампиньон), ნიავი, წითელი სოკო (рыжик) და სხვ., მაგრამ — არც ერთი -იო დაბოლოების მქონე სოკოს სახელი.

არც ბაგრატიონების ლექსიკონები იძლევა ამ მხრივ რაიმე სხვაობას.

და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, არც რ. ერისთავს, რომელმაც საგანგებოდ პირველად შეკრიბა და გამოაქვეყნა სოკოს ქართული სახელები, იმავე ნო შ ი ო / ნ ო შ ო -ს გარდა არ მოჰყავს სოკოს არც ერთი -იო დაბოლოებიანი სახელი, მაშინ როდესაც მას ვრცელი ნომენკლატურა აქვს სოკოებისა (ზოგჯერ კუთხური მეტყველების მითითებით), მაგალითად:

აბელი (მეგრ. ობელი)	სილის-სოკო (იმერ. გურ.)
არყა	სოკო-პიშპილა (გურ.)
ბარზაქი	სოკო-ფიხხა
ბებრის-სოკო	<u>ტრედა (გურ.)</u>
გორნიქელა (რაჭ.)	სოკო-კოშშისა
გულაფშუტა (მეგრ. ლურიშ-გულა)	ტყურბელა
ვარყა	ფიხხა (გურ.)
თირკმელა	ქამა
თხილის-სოკო	ქვეშ-ნიღვზისა
ირმის-ბაწარა	ქვეყნის-გული
<u>ირმის-ტუჩი</u>	ლარილონა
კალმახი, წიფლის-სოკო	ყურა-სოკო
ლებანი	ყურბუტა (გურ.)
მანჯანიკი	შხამა-სოკო
მანჭკეალა...	ჩობაყო
ნიყვა (იმერ. გურ.) მარჭვალის გური (მეგრ.)	ცადამიყვინა (მეგრ.)
მიჩალო	<u>ცხენის-კბილა</u>
<u>მკლის-სოკო</u>	<u>წეროს-სოკო</u>
მეფის-სოკო	<u>წეროს-წვივა</u>
მინდერის სოკო	წითელ-კაბა
მჭაღა (იმერ.)	წიფლის-სოკო
ნაფეტვარა	წოვანა
სოკო-კერცხა	ჭკადუ-სოკო
რივა	ჭყუბილა (რაჭ.)
რძიანა	<u>ხარის-ფაშვა</u>
<u>საღმომწყვიტე</u>	<u>ზბოს-შუბლა (რაჭ.)</u>
სავარცხელა	ჯიშლა
სანელბელა	ჯონჯოლა

შემდგომში კი, მაგალითად, უკვე ილ. ჭყონიას სიტყვის-კონაში ჩნდება სოკოს სახელები როგორც -ო-ზე დაბოლოებული (მტრედო, მჭაღო, ფქვილო), ისე -იო-ზე დაბოლოებული — მიქლიო.

ილ. ჭყონიას ხშირად სიტყვასთან მიწერილი აქვს მთქმელიც. საყურადღებოა, რომ მიქლი-ს კერძოდ იმერელი ნიკო აბდუშელიშვილი უწერია წყაროდ.

თანდათან ფეხს იკიდებს სოკოს სახელთა ამ ტიპის წარმოება მწერალთა ენაში (მხედველობაშია პირველ რიგში აკაკი წერეთელი) სათანადო დიალექტური და სხვა ლექსიკონების წყალობით. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა ალ. მიაყვილის „ბოტანიკურმა ლექსიკონმა“. და ბუნებრივია, რომ მათი გზით იგი აღმოჩნდა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგრამ, როგორც ირკვევა, -იო დაბოლოებიანი (ან პარალელური -ო დაბოლოებიანი)



სოკოს სახელწოდებები დამახასიათებელია მხოლოდ იმერული დიალექტისათვის.

დღეს ჩვენ ხელთ არსებული დიალექტური ლექსიკონების მასალის შედარებითი შესწავლის საფუძველზე უდავო ხდება აღნიშნული დასკვნის გამოყვანა. ამ მხრივ ძვირფას მასალას გვაწოდის ქ. ძოწენიძის „ზემოიშრული ლექსიკონი“ (1974) და პ. გაჩეჩილაძის „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“ (1976).

არც ერთ სხვა დიალექტში სოკოს სახელთა წარმოების -იო (ან -ო) დაბოლოებით გამოხატვის სისტემა არაა გატარებული.

ჩვეულებრივ შესაბამის ფუძეს ერთვის სოკოს სახელთა წარმოებისას -ა სუფიქსი (მჭადა, სავარცხელა, ღვინა (ღვინია), ხრაშუნა, ტრედა, თირკმელა, შხამა..., ან არადა ახლავს მსაზღვრელი (ხან წინ, ხან მომდევნოდ), ან მარტივად და ნათესაობით ბრუნვაში დასმული ან ისევე -ა სუფიქსდართული (მაგ.: ქამა-სოკო, წიფლის-სოკო, შავჩოხა-სოკო, წეროს-წიფეა, კვარცხიგულა, სოკო-წითელა, ქათამბარკალა...) და სხვ.

სრული ნომენკლატურა სოკოებისა -იო/-ო დაბოლოების შემცველი მხოლოდ დამახასიათებელი იმერულ დიალექტში დასტურდება.

აქ არის ფიქსირებული ყველა მათგანი, მაგ.:

მარტოი	ფქვილიო (ქფილიო)
მარწყვიო	ღვინო
(მ)გზავრიო	ღრუბლიო
მიქლიო, ნიქლიო	ჩოხიო
მტრედლიო/ტრედლიო (ტრედო)	წითლიო
მწყერიო	წიფლიო
მქადლიო (მქადო)	ცხვარიო...
სილიო	

თითო-ორლა მათგანმა ეგების სხვა დიალექტთა მეტყველებაშიაც იჩინოს თავი, მაგრამ ეს ისევ იმერულთან კონტაქტით უნდა აიხსნებოდეს და იმერეთის მიმდებარე, მის მომიჯნავე ქართლურ-ლეჩხუმურ-რაჭულ დიალექტებში უფროა მოსალოდნელი. ამის გამოძახილი გვეგონია, მაგალითად, ის, რომ იმერულისთვის დამახასიათებელი ღრუბლიო ქართლშიაც დადასტურდა (იხ. ქველ: ტ. VII).

სოკოთა სახელების (ყერძოდ კი აქ აღნიშნული წარმოების) საგანგებო დიალექტური ატლასი რომ შედგეს, ალბათ იგი ამ მხრივ ფრიად საინტერესო სურათს წარმოაჩენდა.

ახლა რაკი მოხერხდა სოკოს სახელწოდებათა აღნიშნული წარმოების ლოკალიზაცია (იმერული დიალექტის გავრცელების არეალი — უფრო კი, ალბათ, შუა და ზემო იმერეთი), დგება საკითხი თვით ფორმის ანალიზისა.

-იო დაბოლოება მითითებულ ფუძეებში, როგორც ეს უკვე ვ. თოფურიაშვილმა აღნიშნა, რთული მონაცემია. იგი იშლება „-იო“-დ. -ო ცალკე ვებდებება ზოგ ამ სახელის პარალელურ ვარიანტში, როგორცაა, მაგალითად, ტრედ-ო, ჭად-ო და მისთ. და უნდა წარმოადგენდეს მიმართვის ფორმის გამოხატველს.

-იო რთულ დაბოლოებას შორის უნდა იყოს ჩავარდნილი თანხმოვანი (ასეთი შეიძლება ყოფილიყო ვ, კნინობითობის -იკ სუფიქსის კ თანხმოვნითი ნაწილი ან რომელიმე სხვა თანხმოვანი), მაგრამ საფიქრებელია, როგორც

კიდევ აღუნიშნავთ (ივ. ჭავჭავაძე), აქ ი-ო-ს შორის ჩავარდნილი იყოს ლ თანხმოვანი, რომელიც -ილ- ალერსობით სუფიქსს უნდა განკუთვნიებულია.

ამას მხარს უჭერს რამდენიმე გარემოება.

1. სოკოს სახელებს სწორედ იმერეთში საერთოდ ახასიათებს კნინობით-საალერსო სუფიქსაცია. იქვე ვაქვს სოკოს სახელად: ტრედუა, წითლუა, ჭადუა... ტრედონა, ჭადონა და მისთ.

2. ფაქტობრივად, რომ სახელობრ ლ არის ჩავარდნილი, რამდენადაც ცალკეულ შემთხვევაში პარალელურ სახეობად ეს ამოსავალი ფორმაც აქვს დაცული იმავე იმერულს, როგორც უკვე იყო აღნიშნული. ესაა, მაგალითად, ტრედ-ილ-ო (>ტრედიო), ჭად-ილ-ო (>ჭადიო)...¹⁰

სოკოს ერთ-ერთი სრულიად გამჭვირვალე სახელწოდება კი მხოლოდ -ილ-ო დაბოლოებიანი სახეობითაა დაცული იმერულში. ესაა ხახვ-ილ-ო||ხახვ-ილ-ო („ხახვილო მტრედის გავს, ივანობისთეში მწიფდება“)¹¹.

-ილ სუფიქსის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ: „ეს მაწარმოებელი მარტოოდენ ორი სახელისაგან აწარმოებს კნინობითის ფორმებს, რომელთაც ალერსობიანი მნიშვნელობა აქვს, თანაც დართული აქვს ო (ილ-ო): მამ-ილ-ო, დედ-ილ-ო. შეიძლება ამათ მთელი მარცვალი შოეკეციოს ბოლოში და მივიღოთ: მამი, დედი“¹².

როგორც ჩანს, დიალექტებში -ილ (-ილ-ო) სუფიქსს უფრო ფართო გამოყენება აქვს. კერძოდ, ბებ-ილ-ო ბებიას საალერსო სიტყვად აქვს თ. რაზიკა-შვილს. და, როგორც იმერულ დიალექტში სოკოთა სახელების შესწავლამ გვიჩვენა, იგი აქ ფართოდ გამოიყენება კერძოდ აღნიშნულ სფეროში.

3. რომ ალერსობითი მიმართვის -ილ-ო სუფიქსი ფონეტიკური გამარტივების საფუძველზე იმერულ დიალექტში -ი-ო-ს იძლევა, ამის დამადასტურებელი ფაქტი ჩვენ თვით შეგვიინიშნავს. ერთ-ერთი ჩვენი ნაცნობი ზემოიმერლის ოჯახში (ქ. თბილისში) დედ-მამა და შვილები ერთმანეთს დედილო, მამილო-ს ნაცვლად მიმართავდნენ ასე: დედიო, მამიო (საყურადღებოა, რომ იმ თაობის მეზობელმა ბავშვებმაც კი გადაიღეს ასეთი მიმართვა დედ-მამისადმი).

თქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, ცხადია, რომ იმერულში გავრცელებული -ი-ო დაბოლოებიანი სოკოს სახელები მომდინარეობს -ილ-ო დაბოლოებიდან და ისინი წარმოადგენენ საალერსო მიმართვის ფორმას.

დგება კითხვა, რამ განსაზღვრა სწორედ იმერეთში მათი ასეთი საალერსო „სახელწოდება“?

აქ ყურადღებას იქცევს ზოგი მომენტი.

ყველა ზემოთ განხილული -ილ-ო >-ი-ო დაბოლოებიანი სახელის მქონე სოკოები საჭმელ-სოკოებია და ასეთი დაბოლოებები სწორედ ასეთი სოკოებისათვისაა დამახასიათებელი.

იქვე მწარე და შხამიან სოკოებს (ან საერთოდ სოკოებს, რომლებიც არ იჭმება) არა აქვთ ხოლმე ასეთი დაბოლოება, მაგ.: დედაბერა¹³, ბლა-

¹⁰ ყველა ზემოთ მოხსენებული სახეობა დადასტურებულია იმერულის დიალექტურ ლექსიკონებში და აქ სათითაოდ აღარ ვუთითებთ.

¹¹ ჭავჭავაძე ძოწენიძე, ზემო იმერული ლექსიკონი, თბ., 1976 გვ. 505.

¹² აკაიე შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973, გვ. 121.

¹³ ბ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

ვანა¹⁴, ჟღავანა სოკო¹⁵, თავჭედილა¹⁶, ქვეყნისგულა¹⁷ და მისთ. საგულისხმოა, მაგალითად, რომ იმავე ქვეყნისგულა-სქვეყნისგულა-ს სხვა კუთხეებში (მაგ. მესხეთში) „სადამწყვიტე“, „სადამგლიჯე“-ს უწოდებენ¹⁸, რითაც აისახება მისადმი საწყევარი დამოკიდებულება.

ბუნებრივია, რომ სიკვდილა, სიკვდილია სოკოს იმავე იმერეთში არ ექნება შესაბამისი საალერსო დაბოლოება -იო.

შენიშვნა. აღნიშნულ სოკოსთან დაკავშირებით ინფორმატორი მიუთითებს მას „წყერიო“-საც ეძახიან¹⁹. ეს თითქოს გამოირჩეხავს ზემოთ მოყვანილ დებულებას, თუ მართლაც ეს სახელწოდებები ერთსა და იმავეს მიუთითებს და მოქმელს არ ერევა. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ერთსა და იმავე სოკოს (მაგალითად, მწარე სოკოს) ზოგი შეიძლება ჰამდეს და ზოგი არა.

ასევე მარწყვიო ქ. ძოწენიძეს შხამიანი სოკოსათვის აქვს დადასტურებული, მაგრამ მის დახასიათებას — „მიწის ფერი“-ო (იხ. იქვე, გვ. 231) — ეს სახელწოდება არ უდგება.

შეიძლება ან მოქმელმა რამე აურია, ან ეს დაბოლოება განზოგადების ან ამოსავალი ფუნქციის დაბნელების საფუძველზე მოგვიანებით სხვა სოკოებზედაც გაავრცელეს.

ხაზგასამელია ერთი არსებითი გარემოებაც. იმერეთშივე იმავე -ილა>-იო (||-ო) დაბოლოების მქონე სოკოებს ჩვეულებრივ საერთო ქართული წარმოების სახელიც აქვთ. მაგალითად, „სილიო“-სთვის არსებობს სახელწოდება „სილის სოკო“²⁰, „მგზავერიო“-სთვის არსებობს მგზავრა²¹, ჩოხ-ო-სთვის — შავჩოხა²², ჩოხაშავა²³ და ა. შ.

ამის გამო უნდა დავასკვნათ, რომ სოკოთა სახელების წარმოებისას არსებითად არავითარი განსხვავება იმერულსა და სხვა ქართულ დიალექტებს შორის არ არსებობს. სოკოებს აქაც საერთო ქართული სახელები აქვს, ოღონდ იმერულში წარმოქმნილა დამატებით ამ სოკოთა სახელების ალერსობით-მიმართვის ფორმა (შდრ. ერთი მხრივ, დედა და, მეორე მხრივ, დედილო), რომელიც ზოგჯერ სახელადაც განზოგადებულა (და მხოლოდ ამ სახით შემორჩენილა). საალერსო-მიმართვის ფორმა კი გამოიწვია სოკოს დანიშნულებამ ხალხის ცხოვრებაში და მოპოვების „თავისებურმა“ წესმა.

უნდა ვიფიქროთ, რომ იმერეთში (ტყით მდიდარ მხარეში) წარსული ძნელებლობის დროს სოკოს საყვები დანიშნულება საგრძნობი უნდა ყოფილიყო.

ამ უწყინარ „ობიექტზე“, ასე ვთქვათ, „უიარაღო ნადირობისთვის“ გასუ-

¹⁴ ქ. ძოწენიძე, დასახ. ლექსიკონი, გვ. 636.

¹⁵ იქვე, გვ. 308.

¹⁶ ბ. ვაჩეჩილაძე, დასახ. ლექსიკონი, გვ. 73.

¹⁷ ქ. ძოწენიძე, დასახ. ლექსიკონი, გვ. 404.

¹⁸ ალ. მაყაშვილი, ზოტანიკური ლექსიკონი.

¹⁹ ქ. ძოწენიძე, დასახ. ლექსიკონი.

²⁰ ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი.

²¹ ბ. ვაჩეჩილაძე, დასახ. ლექსიკონი.

²² ქ. ძოწენიძე, დასახ. ლექსიკონი.

²³ ალ. მაყაშვილი, დასახ. ლექსიკონი.

ლი ადამიანი მას გაფაციცებით დაეძებდა. კარგად აქვს დ. თურდოსპირელს ეს გამოხატული: „ბავშვები შეცვივდნენ [ტყეში] და აქეთ-იქით გაიფანტნენ. მე ხრამუნა ვიპოვე, მე შაჩოხა, მე ბაბილო“-ო.

სოკოს ძებნისას (ისე, როგორც რაიმე დაკარგული მცირე ნივთის ძებნისას ჭია-ჭიას ან ეშმა-ეშმას რომ მიმართავენ „შაპოვინეო“) ადამიანი სოკოს მოსაფერებელი-სააღერსო მოწოდებით მიმართავდა, რომ მძებნელს იგი გამოსჩენოდა. და ასე მიმართავდა სწორედ პირველ რიგში კარგსა და საჭმელ სოკოს.

ამრიგად, იმერულში დადასტურებული სოკოთა საალერსო-მიმართვის ფორმაში ასახულია მოსახლეობის სოკოსადმი სათქუთი დამოკიდებულება და თავის მხრივ წარსულში ამ კუთხის სამეურნეო-ეკონომიკური ვითარებაც.

К. В. ЛОМТАТИДЗЕ

НАЗВАНИЕ ГРИБОВ С ОКОНЧАНИЕМ -io В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В статье устанавливается, что с окончанием -io названия грибов (maṭṭio, maṭṭqviio, gzanvio, ṭredio, ṡviniio...) характерны только для имеретинского диалекта грузинского языка (оттуда они могли проникнуть в отдельных случаях и в некоторые смежные диалекты).

В имеретинском диалекте обычны и общегрузинские формы названий этих же грибов.

Название грибов с окончанием -io выражает ласкательное обращение и восходит к сложному суффиксу -il-o (с дальнейшим выпадением сонанта l).

Такая форма названий грибов связана со спецификой их добычи.

მ ა ზ უ ლ ი მ ა რ გ ვ ი ლ ა შ ვ ი ლ ი

მონაცვლე ზმნები მებრულში

მეგრულში, ისევე როგორც ქართულში, გამოიყოფა მონაცვლე ზმნათა ჯგუფი, რომელიც მყოფადს აწმყოსაგან ფუძის მონაცვლეობით განასხვავებს. ამგვარ ზმნათა რაოდენობა მეგრულში, ქართულთან შედარებით, მცირეა და ზოგი მათგანი გაანალიზებულია ი. ყიფშიძის მიერ¹.

მეგრულში მოიპოვება გარკვეული წყება ზმნებისა, რომლებიც რიცხვის თუ მწკრივთა დანაკლისი ფორმების შესავსებად იყენებენ სხვა ფუძის ზმნებს, რითაც ისინი განსხვავდებიან საშუალო გვარის ზმნებისაგან, სადაც შენაცვლება ერთისა და იმავე ძირის ფორმათა ფარგლებში ხდება.

ზმნის მწკრივთა გარჩევა ფუძის მონაცვლეობით საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და სხვა ენებშიც დასტურდება. ხშირად ამგვარ მონაცვლეობას, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, შორეულ წარსულში აქვს ფესვები. საფიქრებელია, რომ აწმყოსა და მყოფადის ფუძეთა მონაცვლეობა ორგანულად დაკავშირებულია მწკრივებში შენაცვლების ძველისძველ მოვლენასთან. აწმყოსა და მყოფადის ფუძეთა მონაცვლეობას მაშინ აქვს ადგილი, როცა ამგვარივე ცვალებადობა სხვა მწკრივებს ძველთაგანვე მოსდევდა. ამიტომ, რომ მწკრივებში ზოგჯერ სამ-სამი ფუძე ენაცვლება ერთმანეთს: აწმყოსი, წყვეტილისა და მყოფადისა. მაგ.: ვარ-ვიქნები-ვიყავ...

მეორე მხრივ, ერთსა და იმავე მწკრივში შეიძლება ორი ან მეტი ფუძე იყოს შემუშავებული ისტორიულად². ასე, მაგ.: ვიქუნქ 'ვიქმ', ვლოლანქ 'ვი-ზამ', ვთქუნქ 'ვიტყვი', ვუწინქ 'ვეტყვი'...

მიუხედავად ზემოთქმულისა, ზოგი ზმნა მაინც ვერ აწარმოებს ყველა მწკრივს. ამ წინააღმდეგობამ მყოფადის წრის მწკრივებში იჩინა თავი და მწკრივებში ფუძემონაცვლე ზმნებმა მყოფადის საწარმოებლად სხვადასხვა საშუალებას მიმართეს: ზოგმა ზმნამ, რომელიც ძველად აწმყოში იხმარებოდა, ახალ ქართულში მყოფადის გაგება შეიძინა და, ამდენად, დანაკლისი შესავსები აღმოჩნდა აწმყოში და არა მყოფადში. მიზეზი ასეთი დროის გადაწყვეისა იმით აიხსნება, რომ სათანადო ფორმებმა II სერიაში სრული ასპექტის გაგება უპრევერბოდაც შეინახეს და I სერიის ფორმები იძულებული გახდნენ მათთვის არებათ მხარი, გაპერფექტივდნენ და მივიღეთ სრული გათანაბრება: ნახა—ნახავს, იყიდა—იყიდის და სხვ.³

ანალოგიური ვითარებაა სავარაუდებელი მეგრულშიც, სადაც შენაცვლე-

¹ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914, გვ. 096—0105. ჩვენ შევეცადეთ შედარებით უფრო სრულად წარმოვედგინა მონაცვლე ზმნათა რაოდენობა მეგრულში.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 505.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 274—275.

ბა ხდება არა მარტო ზმნის პირიან ფორმებში, არამედ უპირობებშიც, ქართულის მსგავსად.

I. შენაცვლება რიცხვში. რიცხვი ზმნაში პირს მოეპოვება: სუბიექტურსა და ობიექტურს. ამიტომ, როცა რიცხვში შენაცვლებაზეა ლაპარაკი, ცხადია, იგი ან სუბიექტურ პირს ეხება, ან ობიექტურს. ობიექტურ პირთაგან შენაცვლება მხოლოდ პირდაპირმა იცის. ამას გარდა, რადგანაც რიცხვი ორია, ამიტომ ფუძეც ორია; ერთი მხოლოდობითი იხმარება, მეორე — მრავლობითში. ამასთანავე, მრავლობითის ფუძე, თუ სუბიექტური პირის ფორმა ან პირდაპირ ობიექტურისა კრებითი საგნის მიმართაა ნახმარი, შეიძლება მხოლოდობითი მე-3 პირშიც იხმარებოდეს⁴.

ა) შენაცვლება სუბიექტურ პირთა მიხედვით.

შენაცვლება სუბიექტური პირების რიცხვში მაშინ ხდება, თუ ზმნა ენებითა ან საშუალი გვარისა.

ლაფა 'ვარდა'—**ციმა**⁵ 'ცვენა' **ლაფა** ფუძე მხოლოდობითის ფორმებს აწარმოებს, **ციმა** კი — მრავლობითისას, სულ ერთია, ზმნისწინი აქვს თუ არა; და თუ აქვს, სულ ერთია, რომელიც უნდა იყოს:

მხ. ქუაჲ პოლს ჭვლოლუნ 'ქვა იატაკზე დავარდა'; ბურთიჲ ქას ჭენოლუ 'ბურთი ჭაში ჩავარდა'.

მრ. არაჲ პოლს ჭვლოცენს (ხუბ. 36, 3) 'ყველა იატაკზე დაცვივა'; ირო ოქრო აშაცენს (ხუბ. 144, 35—36) 'ყოველთვის ოქრო ამოცივივა'.

ბ) შენაცვლება ობიექტურ პირთა მიხედვით. ზემოთ აღნიშნა, რომ, როცა შენაცვლებაა რიცხვში, ობიექტურ პირთაგან ყოველთვის პირდაპირია.

ცვილუა 'კვლა' — **შირუა** 'ხოცვა'. **ცვილუა** ერთზე ითქმის, **შირუა**—მრავალზე; ქოთომი დოპილი 'ქათამი დავკალი'⁶ — ქოთომეფი დოვშგრი 'ქათმები დავხოცე'.

მეგრული **შირ** ქართული **სრ-ვა** სიტყვის **სრ** ძირის კანონზომიერ შესატყვისად აქვს მიჩნეული არნ. ჩიქობავას. „ძირეული აქ **სარ** უნდა იყოს (მოსარ!). ჭანურში ამას უნდა მოეცა **შორ**; ეს არც ჭანურში გვაქვს, არც მეგრულში, მაგრამ ერთშიც და მეორეშიც მრავლადაა შემთხვევები, როცა **ო—, უ—ი**, ამრი-

⁴ იქვე, გვ. 501.

⁵ ცემა ჩრდილო-დასავლურში გვხვდება. ა. შანიძის წინადადების თანახმად, ძველად ხმარებული „სენაკურის“ ნაცვლად ვხმარობთ „სამხრეთ-აღმოსავლურს“ (შემოკლებით ს.-ა.), „სუფიდილო-სამურზაყანულს“ ნაცვლად კი „ჩრდილო-დასავლურს“ (შემოკლებით ჩ.-დ.)

⁶ დაუმოწყებელი მავალითებე ყველგან ჩვენ მიერაა აღებული ცოცხალი მტყუველებიდან.

⁷ **შირ**//**შგრ** ფუძე ი. ყიფშიძის ლექსიკონში ორი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი: 1. ცრეცა, ცრეცა; 2. ქულტა; **И. Кишидзе**, **Грамматика...** გვ. 357. ხოცვის მნიშვნელობით აღნიშნული ფუძის გამოყენება შეიძლება უფრო გვიანდელი იყოს.

⁸ 'კვლა' ზმნის და-ზმნისწინით ქართულში ერთი მნიშვნელობა აქვს („ქათ-ში დავკალი...“), მოთი ოდნავ სხვა („კაცი მოვკალი“), მეგრამ ორსავე შემთხვევაში „ხოცა“ ზმნა ენაცვლება, ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 504.

მეგრულში ითქმის როგორც ქოთომი დოპილი 'ქათამი დავკალი', ისე კოჩი დოპილი 'ქაცი მოვკალი' (დავკალი).



გად: შირ—*შურ—*შორ... მეგრულში ამ ძირს მოსრვის მნიშვნელობა დღემდის აქვს შერჩენილი [ეკოშირუ 'ამოხოცა']⁹.

II. შენაცვლება მწკრივებში. მწკრივებში შენაცვლება მეგრულში უფრო ფართო ხასიათისაა, ვიდრე რიცხვში შენაცვლება, მსგავსად ქართულისა. აქ ზოგჯერ ერთმანეთს სამი ფუძე ენაცვლება.

1. რინა, რინი 'ყოფნა': ვორექ¹⁰ | *ვრექ¹¹ | *ვექ¹¹ | ვიუფუქ¹² იბუ-
-აფუქ¹³ | ვიციქ¹² | იბიქ | იპიქ¹³. I სერიაში ორი ფუძეა გამოყენებული: რ და
ყოფ \angle ცვ \angle ც¹⁴. პირველი მხოლოდ აწმყოს¹⁵, უწყვეტელს, აწმყოს კავშირებით-
სა და აწმყოს პირობითს აწარმოებს, ქართულისაგან განსხვავებით, დანარჩენი
მწკრივები კი ცოყ \angle ცვ \angle ც ძირზეა დამყარებული.

აწმყო: მალერუუ ვორექია (ყიფ. 45, 29) 'მომაკვდავი ვარ'; სი ჩქიბი ექ (ყიფ. 39,
32) 'შენ ჩემი ხარ'.

მყოფ. სქანი იბუაფუქია (ხუბ. 269, 2—3) 'შენი ვიქნებო'; თიში წამალი ქო-
ყანას მუთუნი ვე ვეაფუ¹⁶ (ყიფ. 6, 13—14) 'იმისი წამალი ქვეყანაზე არაფე-
რი იქნება'.

წყვეტ. დიდი მორხენაქ იფუ (ყიფ. 3, 18) 'დიდი მოლხენა იქნა'; იფუ¹⁷ ამბექ-
(ხუბ. 6, 7—8) 'იქნა ამბავი'.

რ ფუძეს გოფ \angle გფ \angle ფ ფუძის ორპირიანი ფორმაც ენაცვლება:

მყოფ. ვა ხაქილა, ვა გაყინია (ყიფ. 182,4) 'თუ არ გათონნი, არ გექნებაო'; სი ხაზენს
საჭირო აციქია¹⁸ (ხუბ. 201,7) 'შენს უფროსს („ხაზენს“) საჭირო ეყოლებიო';
მადლობერი გაყიით (ხუბ. 212,19) 'მადლობელი გეყოლებიო'.

წყვეტ. ...ვა ქვეულო¹⁸ გურქ თე ოსურიშა (ხუბ. 75,24) 'არ მოუნდა ეს ქალი', (ექნა გუ-
ლი ამ ქალზე').

რადგანაც რინა ზმნა ქართულისაგან განსხვავებულ უღლებას გვიჩვენებს,
წარმოვადგენთ უღლების ნიმუშს ქართული თარგმანითურთ:

ა წ მ ყ ო

ვორექ ¹⁰ // *ვრექ ¹¹ // ვექ ¹¹	ვარ
ორექ ¹⁰ / რექ ¹¹ / ექ	ხარ
ორენ(6) / რენ(6) / ე(6)	არის
ვორეთ ¹⁰ / *ვრეთ ¹¹ / ვეთ ¹¹	ვართ
ორეთ ¹⁰ / რეთ ¹¹ / ეთ	ხართ
ორენან ¹⁰ / რენან ¹¹ / ენან	არიან

⁹ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1936, გვ. 366 (შემდგენი შემოკლებით — შედარ. ლექსიკ.) სხვაგვარი ახსნა იხ. თ. გამყრელიძე, ზ. მამუკაიანი, სონანტოასის ტემბა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 235—238.

¹⁰ მეგრული ო-რ-ე-(6) ქართ. ა-რ-ი-ბ ზმნის კანონზომიერი შესატყვისია. არიო / ორე ფუძეა ძირითადი იყოს. ამას გვეყარა უღლებინებს მეგრულში, ასევე ქანურში, რ-ინ ფუძის არსებობა. რ-ინი, რ-ინა 'ყოფნა': არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 307.

¹¹ შეკვეცილი ფორმები *ვრექ, *ვექ დამოუცილებლად არ იხმარება.

¹² აღნიშნული ფორმა სამხრეთ-აღმოსავლურში დასტურდება.

¹³ იბუაფუქ (<ივ-უფუფუქ) უფრო ჩრდილო-დასავლურში იხმარება.

¹⁴ მეგრულში ფვ \angle ფვ ძირითადი ფუძეა ქართული ფავ \angle ფვ ერთად იგივე ოდენობაა. ავ, ვვ აფიქსების არსებობა ქართულში სახელებში არნ. ჩიქობავას ავარაუღლებინებს მეგრულ-ში ფ \angle ფ ძირების არსებობას: არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 351—353.

¹⁵ აწმყოს მწკრივს რ ფუძე ქართულშიაც აწარმოებს.

¹⁶ ვე ვეაფუ \angle კე იფუაფუ.

¹⁷ მ. ხუბუას მიერ გამოცემულ ტექსტებში გრძელი ხმოვნები აქ ორი ასოთია გადმოცემული ჩვენ მიერ.

¹⁸ შეკვეცილი ფორმები *ვრექ, *ვექ, *ვრეთ, *ვეთ დამოუცილებლად არ იხმარება.

უწყვეტელი

ვორდი//*ვრღ¹⁹//*ვღი¹⁹
 ორდი//რდი//დი
 ორდუ//რდუ//დუ// ორდჷ//რდჷ//დჷ [აკლია]
 ვორღითი//*ვრღითი//¹⁹*ვღითი¹⁹
 ორღითი//რღითი//ღითი
 ორდესს//რდესს//დესს

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

ვორდა//ვორდე
 ორდა//ორდე
 ორდას
 ვორდათ
 ორდათ [აკლია]
 ორდან

ა წ მ ყ ო ს პ ი რ ო ბ ი თ ი
 ვორდიკო (ნ)
 ვორდიკო (ნ)
 ორდუკო (ნ)//ორდუკო (ნ)
 ორღითკო (ნ)//ვორღითკო (ნ) [აკლია]
 ორღითკო (ნ)//ორღითგკო (ნ)
 ორდესკო (ნ)//ორდესგკო (ნ)

1-პირიანი მყოფადი

ს.-ა.	ჩ.-დ.	ს.-ა.
ვეუაფუქ	იბუაფუქ (<ივეუაფუქ)	ან ვიციიქ იბიიქ იბეიქ ვიქნები
ოუფუ(ნ)	ოუიქ	ოუეიქ იქნები
ვეუაფუთ	იბუაფუთ	ვეციით იბიით იბეთი ვიქნებით
ოუაფუთ	ოუიით	ოუეით იქნებით
ოუაფუნა (ნ)	ოუინა(ნ)	ოუეინა (ნ) იქნებინ

ბ ო ლ შ ე ო ბ ი თ ი: ვეუაფუდი (ს.-ა), იბუაფუდი (ჩ.-დ.) ან ვეციირიდი (ს.-ა.), იბი 'ირ'-
 დი (ჩ.-დ.), იბეირიდი 'ვიქნებოდი'; მ ყ ო ფ ა დ ი ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: ვეუაფუდე (ს.-ა.) იბუ-
 აფუდე (ჩ.-დ.), ვეციირ'დე (ს.-ა.) იბეირ'დე (ჩ.-დ.), იბეირ'დე 'ვიქნებოდე' და ა. შ.
 II ს ე რ ი ა

წყვეტილი

ს.-ა.	ჩ.-დ.	
ვიტი	იბი ან იბეი	ვიყავი
	იბეი	ოყავი
	იბოუ	ოყო
ვიტი [ი] თ	იბი [ი] თ	ვიყენით
ს იბი [ი] თ	იბუეს	ვიყენით
იბი [ი] ფ	იბუეს	ვიყენენ

II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

ს.-ა.	ჩ.-დ.	
ვიბუა ვიბუე	იბუა იბუე	ვიყო
	იბუა იბუე	ოყო
	იბუას	+ოყოს
ვიბუათ	ვიბუათ	ვიყენეთ
	იბუათ	ვიყენეთ
	იბუან	ვიყენენ

II პ ი რ ო ბ ი თ ი

ს.-ა.	ჩ.-დ.
ვიტიიკო(ნ) იბი[ი] კო(ნ)	იბეიკო(ნ)

¹⁹ შეკვეცილი ფორმები *ვრღი, *ვღი, *ვრღით, *ვღით დამოუკიდებლად არ იხმარება.



იზი[ი] კო(ნ) იზეიკო(ნ)
იზუ[უ] კო(ნ) იზუკო(ნ)

ვიციითყო(ნ) იბი [ი] თყო(ნ)||იპეითყო(ნ)||ვიციითგყო(ნ)||იბიითგყო(ნ) [აკლია]
იცი[ი]თყო(ნ) იზეითყო(ნ)||იციითგყო(ნ)
*იზი[ი]სყო(ნ) იზუესყო(ნ)||იზეისყო(ნ)||იზიისგყო(ნ)

III ს ე რ ი ა

I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

პოფერტქ/ < ვსოფერტქ/	ვეოფილვარ
სოფერტქ	ყოფილხარ
სოფერტე(ნ)	ყოფილა
პოფერეთ/ < ვსოფერეთ/	ვეოფილვართ
სოფერეთ	ყოფილხართ
სოფერენა(ნ)	ყოფილან

II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

პოფერედი/ < ვსოფერედი/ პოფერდი	ვეოფილიყავ
სოფერედი სოფერდი	ყოფილიყავ
სოფერედუ სოფერედღ სოფერედუ სოფერედღ	ყოფილიყო
პოფერედით/ < ვსოფერედით/ პოფერდით	ვეოფილიყავით
სოფერედით სოფერდით	ყოფილიყავით
სოფერედეს სოფერედეს	ყოფილიყვენ

III კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

პოფერელა/ < ვსოფერელა/ პოფერელა	ვეოფილიყო
სოფერელა სოფერელა	ყოფილიყო
სოფერელას სოფერელას	ყოფილიყოს
პოფერელათ/ < ვსოფერელათ პოფერელათ	ვეოფილიყოთ
სოფერელათ სოფერელათ	ყოფილიყოთ
სოფერელან სოფერელან	ყოფილიყონ

III პ ი რ ო ბ ი თ ი

პოფერედითყო(ნ)/ < ვსოფერედითყო(ნ)/||პოფერედითყო(ნ)
 სოფერედითყო(ნ)||სოფერედითყო(ნ) [აკლია]
 სოფერედუყო(ნ)||სოფერედღყო(ნ)||სოფერედუყო(ნ)||სოფერედღყო(ნ)
 პოფერედითყო(ნ)/ < ვსოფერედითყო(ნ)/||პოფერედითყო(ნ)||პოფერედითყო(ნ)||პოფერედითყო(ნ)
 სოფერედითყო(ნ)||სოფერედითყო(ნ)||სოფერედითყო(ნ)||სოფერედითყო(ნ)
 სოფერედესყო(ნ)||სოფერედესყო(ნ)||სოფერედესყო(ნ)||სოფერედესყო(ნ)

III თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: ნოპოფუქვ 'ვეოფილვარ თურმე', IV თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: ნოპოფუქვი 'ვეოფილიყავ თურმე', IV კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: ნოპოფუქვი 'ვეოფილიყო თურმე', IV პ ი რ ო ბ ი თ ი: ნოპოფუქვი 'ვეოფილიყოთ თურმე'.

2. პ ი რ ო ბ ი თ ი მ ყ ო ფ ა დ ი:

მასუაფუ(ნ) ან მასი(ნ)	მექნება
გასუაფუ(ნ) ვასი(ნ)	გექნება
აბუაფუ(ნ) აბი(ნ)	ექნება
მასუაფუნა(ნ) მასინა(ნ)	გვექნება
გასუაფუნა(ნ) ვასინა(ნ)	ვექნება(თ)
აბუაფუნა(ნ) აბინა(ნ)	ექნება(თ)

ხოლმეობითი: მაესუაფუდუ ან მაყი 'ირ' დუ 'მექნებოლა' მყოფადის კავშირებითი: მაესუაფუდას ან მაყი 'ირ'დას 'მექნებოდეს' და ა. შ.

2. **ღ < ღვენა** 'ქონება': მიღუ²⁰||მაღვენუ||—აფუ. აწმყოს წრეში ღვენა ფუძის ფორმები იხმარება. ითქმის უსულუო საგნების მიმართ; თუ სულიერზეა საუბარი, მაშინ პუნს (<მყუნს) 'მყავს' იხმარება.

²⁰ ღ ძირის შესახებ იხილე ღალა ფუძისთან; აღნიშნული ძირის ზნებთან (ასევე ფუნ// ფონ ძირის ზნასთან) მონაცემობა ერთისა და იმავე ძირის ფორმათა ფარგლებში ხდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მყოფადში ფუძის სხვაგვარი გაფორმების გამო ისინი მონაცემ ზნებში გვაქვს გაერთიანებულნი.

ფორმათა წარმოება: მოეპოვება აწმყოს წრისა და IV სერიის მწკრივები: მილუ 'მაქეს', მილულუ 'მქონდა'; მილუდას 'მქონდეს'; ნობლევ(ნ) 'მქონია', ნობლევდუ 'მქონოდა'; ნობლევდას 'მქონოდეს' და სხვა.

უზმნისწინოდ ხმარებისას ერთი მნიშვნელობა აქვს, ზმნისწინით — სხვა, ქართულის მსგავსად.

ა) უზმნისწინო „მილუ“ მწკრივებში მონაცვლე ზმნა: მყოფადის წრეში ენაცვლება თავისივე ფუძის ორპირიანი ვნებითის ფორმები. აკლია II და III ს.-ის მწკრივები და არც შენაცვლება ხდება:

აწმყო: კუდელი ამარი მილუნია (ხუბ. 67,35) 'კუდი აქა მაქესო'; დაჩხირი ვოულგ (ხუბ. 113,27) 'ცეცხლი არა აქეს'.

მყოფ: ქოჩო²¹, თი დროს გალვენულ ოფიქრებელი (ყიფ. 137,11) 'ქოჩო, იმ დროს გექნება საფიქრებელი'; ათეს აღვენულ (ყიფ. 4,14) 'ამას ექნება'.

ბ) ზმნისწინით ხმარებისას მონაცვლე ხდება მწკრივებში **ღალა** 'ღება, ტანა' ზმნისა: მემილუ—მიღებლანქ 'მიმაქეს—წავიღებ'; მომილუ—ქიმიბლანქ 'მომაქეს—მოვიტან' და სხვა.

3. **ხუნა, ხუნა, 'ჯლომა': ხუნ||ხვენ** ფუძე იხმარება აწმყომში²², უწყვეტელსა, აწმყოს კავშირებითსა და აწმყოს პირობითში, დანარჩენ მწკრივებში კი **ხოდ||ხედ** > **ხ** ფუძე ენაცვლება:

აწმყო: ქითოხე თაქ (ხუბ. 68,5) '(რალაციის ქევში) ზის აქ; თი ცირა აღუხენია თის (ხუბ. 71,18) 'ის გოგო უზისო (გვერდით) მას'.

მყოფ: თიწყემა მოსამართეთ ქვდობდოხოლუქია (ყიფ. 43,17) 'მაშინ მოსამართლედ დავჯდებო'; ჟას ქომადოხოლუნე, გაიწულია ვეზირეფს ქარნეჩი (ხუბ. 67,36) 'ხეზე რომ ჩამოჯდებო, გამოართვიო ვეზირებს ორმოცი'.

უწყვეტელი: ბ/ვხერლი ან ვოხერლი 'ვიჯექი'. აწმყოს კავშირებითი: ბ/ვხერლი ან ვოხერლი 'ვიჯდე', **ხოლმეობითი:** ქვდობდოხოლუდი 'დავჯდებოდი', **მყოფადის კავშირებითი:** ქვდობდოხოლუდა 'დავჯდებოდე' და ა. შ.

4. **ულა** 'სელა': **ლ<ულ** (<ვულ) || **ა**, ან **რ<ურ** || **იდ** (<ვიდ) ან **შ** ფუძეთა ზმნები სელოსა და არსობის გამომხატველია.

მეგრული (ვ)ულ და (ვ)იდ ქართული ვალ და ვედ||ვიდ ფუძეთა კანონზომიერი შესატყვისია. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ვალ||ვიდ ზმნა 1-ლი სუბ. პირის ნიშანს ვ-ს კარგავს, მაგრამ 1-ლი პირი მაინც გარჩეულია მე-2 და მე-3 პირის ფორმებისაგან (მივალ, მი-ხ-ვალ, მი-ვა[ლს]... მი-ხ-ვედ-ი...). მეგრულსა და ჰანურში კი ფუძისეული თავიიდური ვ დაკარგული აქვს ამ ზმნას ყველა პირში²³.

ვალ ფუძე ძველად უზმნისწინოდაც იხმარებოდა (ვიდრე ხუალ, უფალო 'სად მიდიხარ, ბატონო', მაგრამ ახალ ქართულში მას მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები აქვს: მოვალ, მივალ, შევალ, წავალ და სხვა²⁴).

მეგრულში შესაბამისი ზმნა გვხვდება უზმნისწინოდაც ზმნისწინიანი ფორმების გვერდით:

²¹ ქოჩო, ქოჩორა—ვისაც ხუქუქი თმა აქვს (მოფერებით შერქმეული სახელი).

²² შესაბამისი ზმნა ქართულში მხოლოდ აწმყომში იხმარება.

²³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექსიკ., გვ. 274.

²⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, საფუძვლები, გვ. 506.

მყოფ.: მა ხოლო ვურქია (ყიფ. 94,8) 'მეც წავალო'.

აწმყო: ასე მიოდგნაფუშა მეურქია (ყიფ. 42,26) 'ახლა დასაკარგავად მივალო'.

ლ აწმყოში რ-სთან მონაცვლეობს და ზოგიერთ პირში რ-ს პარალელურ წარმოებას გვიჩვენებს:

ასე მა მეურქე ყულეშა (ხუბ. 64,17) 'ახლა მე მივდივარ შინ'; თქვა სიდე მეურთგნ, თქე მეურქე მა ხოლო (ხუბ. 65,20) 'თქვენ სადაც მიდიხართ, იქ მივდივარ მეც'.

შღრ.: სო ულია, ბაბა-სქუავა (ხუბ. 283,14) 'სად მიდიხარ, მამა-შვილო'; სუმი ოსური ქგმულან, ქოძირე (ხუბ. 144, 11—12) 'სამი ქალი რომ მოდის, ნახა'.

მეგრულში ზემოთ მოყვანილი ზმნის ფორმები სხვა შემთხვევაში მყოფადშიც გამოიყენება. ასე რომ, აწმყო და მყოფადი (ასევე მისი წრის მწკრივები) საზიაროა ამ ტიპის ზმნებისათვის. გარჩევა ხერხდება კონტექსტის საშუალებით:

მაგა ასე მიღვლია ფულეშა (ხუბ. 215,5) 'მე ახლო წავალო შინ'; ვითი წინა ამარი ურს(უ) (ყიფ. 150,30) 'ათი წელი აგერ ავა'; მუქანს მუაჩქიმი ქიმურს ყულეშანი (ხუბ. 62, 10—11) 'როცა მამაჩემი მივა შინ'.

უწყვეტელში ულა ზმნას ორი ფუძე ენაცვლება: ერთია ურ, მეორე კი — შ.

„В сложных с предложениями формах в прош. несоверш. и желательном рядом с **რ** появляется и **შ**“²⁵.

ურ:

სო მეურდი? (ხუბ. 235,1) 'სად მიდიოდი?'

შ: სუმი თუთას ქიმიშიგ (ყიფ. 31,28) 'სამ თვეს მიდიოდა'.

აწმყოს კავშირებითში რ||ლ ძირისაგან გვექნება მე უ რ დ ა ს 'მიდიოდეს',

შ ძირისაგან კი — მი ი შ ა ს 'მიდიოდეს'.

II სერიის ფორმები **ლ**, **რთ**²⁶ ფუძეზეა დაყრდნობილი, მაგრამ III სერიის მწკრივები უმეტესად **რთუმგ**²⁶ (<**რთუმუნ**>), ზოგჯერ **ლებუ** (<**ლებუნ**>) ფორმებს ეყრდნობა. რომ უფრო ნათელი იყოს საქმის ვითარება, მოვიყვანთ უღლების ნიმუშებს:

აწმყო

მე-ღე ურქ//მე-ღე ულუგ²⁷

მივდივარ

მე-ურქ//მე-ულუგ

მიდიხარ

მე-ურს/ც

მიდის

მე-ღე ურთ

მივდივართ

მე-ურთ

მიდიხართ

მე-ულან

მიდიან

უწყვეტელი

მე-ღე ურდი//მი-იგში²⁸

მივდიოდი

მე-ურდი//მი-იში

მიდიოდი

მე-ურდუგ//მი-იშუგ

მიდიოდა

მე-ღე ურდი//მი-იგშით

მივდიოდით

მე-ურდი//მი-იშით

მიდიოდით

მე-ურდეს//მი-იშეს

მიდიოდნენ

²⁵ И. Ки п ш и д з е, Грамматика... გვ. 0102.

²⁶ რთ (<კთ<ვლ): მე-რთ-უ, შღრ. მე-ხთ-უ („წარ-ვლა“). რთუმ (<კთომ<ვლმ): წარ-ვლმ-ა.

²⁷ მყოფადი ამ ზმნებს საზიარო აქვთ აწმყოსთან და ნიმუშებს არ ვაჩვენებთ.

²⁸ 1-ლი სუბ. პირის ნიშნის სახესხვაობებს არ წარმოვადგენთ.

ა წ მ ყ ო ს კ ა ე შ ი რ ბ ი თ ი

მე-ქე უ რ და ე / მ ი - ი ვ შ ა ე	მივდიოდე
მე-ურ და ე / მ ი - ი შ ა ე	მიდიოდე
მე-ურ და ს / მ ი - ი შ ა ს	მიდიოდეს
მე-ქე უ რ და თ / მ ი - ი ვ ა თ	მივდიოდეთ
მე-ურ და თ / მ ი - ი შ ა თ	მიდიოდეთ
მე-ურ და (ნ) / მ ი - ი შ ა (ნ)	მიდიოდნენ

ა წ მ ყ ო ს პ ი რ ო ბ ო თ ი

მე-ქე უ რ დ ი კ ო (ნ) / მ ი - ი ვ შ ი კ ო (ნ)	
მე-ურ დ ი კ ო (ნ) / მ ი - ი შ ი კ ო (ნ)	[აკლია]
მე-ურ დ ე კ ო (ნ) / მ ი - ი შ ე კ ო (ნ) / მე-ურ დ ე კ ო (ნ) / მ ი - ი შ ე კ ო (ნ)	
მე-ქე უ რ დ ი თ კ ო (ნ) / მ ი - ი ვ შ ი თ კ ო (ნ) / მე-ქე უ რ დ ი თ კ ო (ნ) / მ ი - ი ვ შ ი თ კ ო (ნ)	
მე-ურ დ ი თ კ ო (ნ) / მ ი - ი შ ი თ კ ო (ნ) / მე-ურ დ ი თ გ კ ო (ნ) / მ ი - ი შ ი თ გ კ ო (ნ)	
მე-ურ დ ე ს კ ო (ნ) / მ ი - ი შ ე ს კ ო (ნ) / მე-ურ დ ე ს გ კ ო (ნ) / მ ი - ი შ ე ს გ კ ო (ნ)	

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგრულში მყოფადი (ასევე მისი წრის მწკრივები) საზიაროა ამ ტიპის ზმნებისათვის. განსხვავებას გვიჩვენებს შ ძირი, რომელიც უღა ზმნას ენაცვლება უწყვეტულში ზმნისწინიანი ფორმით და გამოხატავს უსრულ ასპექტს. აღნიშნული ძირი ამავე ზმნას ენაცვლება მყოფადის წრის მწკრივებში, თვით მყოფადის გარდა, უზმნისწინოდ და გამოხატავს სრულ ასპექტს:

ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

ვიში ²⁰	წავილოდი
იში	წახვილოდი
იშუ/ჯ	წავილოდა
ვიშით	წავილოდით
იშით	წახვილოდით
იშეს	წავილოდნენ

მ ყ ო ფ ა დ ი ს კ ა ე შ ი რ ბ ი თ ი

ვიშა/ე	წავილოდე
იშა/ე	წახვილოდე
იშას	წავილოდეს
ვიშათ	წავილოდეთ
იშათ	წახვილოდეთ
იშან	წავილოდნენ

მ ყ ო ფ ა დ ი ს პ ი რ ო ბ ი თ ი

ვიშიკო(ნ)	
იშიკო(ნ)	
იშუკო(ნ) / იშგკო(ნ)	
ვიშითკო(ნ) / ვიშითგკო(ნ)	[აკლია]
იშითკო(ნ) / იშითგკო(ნ)	
იშესკო(ნ) / იშესგკო(ნ)	

II ს ე რ ი ა

წყვეტილი

ს.-ა.	ჩ.-ლ.	ს.-ა.	ჩ.-ლ.	
ვილი ²⁰	ვილი ან მეერთი	ვილი	ვილი	მიველი
	ილი	ილი		მიხველი
	ილუ/ილგ	ილუ/ილგ		მივიდა

²⁰ ქართულში შესაბამისი ზმნა მხოლოდ და მხოლოდ ზმნისწინიანია.

²⁰ საყურადღებოა, რომ რედუქციის საფეხური, რომელიც თავდაპირველად ერთი თავისებური უღლები გამოგარდაუვალი ზმნის წყვეტილის მე-3 პირში უნდა გვექონოდა, მეგრულ-პანურმა 1-ლ და მე-2 პირზედაც განავრცო. ამ შემთხვევაშიც აქ აქვარაა, რომ წყვეტილის 1-ლისა და



ვილით ივლით ილით ილეს	მევრთით მერთით მერთუს	ვილით ივლით ილით ილეს	მიველით მიხველით მივიდნენ
II კავშირები			
ვიდა/ე ივდა/ე ილა/ე ილას	ან მევრთა/ე მერთა/ე მერთას	ან ვილა/ე ივლა/ე ილა/ე ილას	მივიდე მიხვიდე მივიდეს
ვიდათ ივდათ იდათ იდან	მევრთათ მერთათ მერთან	ვილათ ილათ ილან	მივიდეთ მიხვიდეთ მივიდნენ
III პირობითი			
ვილიყო(ნ) ილიყო(ნ) ილუ/ჯყო(ნ)	ან მევრთიყო(ნ) მერთიყო(ნ) მერთუ/ჯყო(ნ)	ან ვილიყო(ნ) ილიყო(ნ) ილუ/ჯყო(ნ)	ივლიყო(ნ) ილიყო(ნ) ილუ/ჯყო(ნ)
ვილითყო(ნ) ილითყო(ნ) ილესყო(ნ)	მევრთითყო(ნ) მერთითყო(ნ) მერთესყო(ნ)	ვილითყო(ნ) ილითყო(ნ) ილესყო(ნ)	ივლითყო(ნ) ილითყო(ნ) ილესყო(ნ)

III სერია

I თურმეობითი

მე/მო-მირთუმუ/გ(ნ) // მიშა-მილებუ/ჯ(ნ)	შეესულეარ
მე/მო-გირთუმუ/გ(ნ) // მიშა-ჯილებუ/ჯ(ნ)	შესულხარ
მე/მო-ურთუმუ/გ(ნ) // მიშა-ულებუ/ჯ(ნ)	შესულა
მე/მო-მირთუმუნა(ნ) // მიშა-მილებუნა(ნ)	შეესულეართ
მე/მო-გირთუმუნა(ნ) // მიშა-ჯილებუნა (ნ)	შესულხართ
მე/მო-ურთუმუნა (ნ) // მიშა-ულებუნა (ნ)	შესულან

II თურმეობითი

მე/მო-მირთუმუ/ჯდუ // მიშა-მილებუ/ჯდუ	შეესულეიყავ
მე/მო-გირთუმუ/ჯდუ // მიშა-ჯილებუ/ჯდუ	შესულეიყავ
მე/მო-ურთუმუ/ჯდუ // მიშა-ულებუ/ჯდუ	შესულიყო
მე/მო-მირთუმუ/ჯდეს // მიშა-მილებუ/ჯდეს	შეესულიყავით
მე/მო-გირთუმუ/ჯდეს // მიშა-ჯილებუ/ჯდეს	შესულიყავით
მე/მო-ურთუმუ/ჯდეს // მიშა-ულებუ/ჯდეს	შესულიყენენ

III კავშირები

მე/მო-მირთუმუ/ჯდას // მიშა-მილებუ/ჯდას	შეესულიყო
მე/მო-გირთუმუ/ჯდას // მიშა-ჯილებუ/ჯდას	შესულიყო
მე/მო-ურთუმუ/ჯდას // მიშა-ულებუ/ჯდას	შესულიყოს
მე/მო-მირთუმუ/ჯდან // მიშა-მილებუ/ჯდან	შეესულიყოთ
მე/მო-გირთუმუ/ჯდან // მიშა-ჯილებუ/ჯდან	შესულიყოთ
მე/მო-ურთუმუ/ჯდან // მიშა-ულებუ/ჯდან	შესულიყენენ

III პირობითი

მე/მო-მირთუმუ/ჯ დუყო (ნ) // მიშა-მილებუ/ჯ დუყო(ნ)	[აკლია]
მე/მო-გირთუმუ/ჯ დუყო // მიშა-ჯილებუ/ჯ დუყო(ნ)	
მე/მო-ურთუმუ/ჯ დუყო(ნ) // მიშა-ულებუ/ჯ დუყო(ნ)	
მე/მო-მირთუმუ/ჯ დესჯყო (ნ) // მიშა-მილებუ/ჯ დესჯყო(ნ)	
მე/მო-გირთუმუ/ჯ დესჯყო(ნ) // მიშა-ჯილებუ/ჯ დესჯყო(ნ)	
მე/მო-ურთუმუ/ჯ დესჯყო(ნ) // მიშა-ულებუ/ჯ დესჯყო(ნ)	

ლ ძირისაგან III სერიის ფორმები ასევეა ნაწარმოები: I თურმ. მილუპ³¹, II თურმ. მილუღუ³², III კავშ. მილუღას³³ და ა. შ.

მე-2 პირის ფორმათა ჩამოყალიბება მე-3 პირის ფორმათა გავლენით უნდა იხსნას: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა... გვ. 223.

³¹ მილუ-მილგ ჩ.-დ.
³² მილუღუ ჩ.-დ.;
³³ მილგდას ჩ.-დ.

რითი უნდა აიხსნას ურ-თან შ-ს მონაცვლეობა უწყვეტელსა და აწყყოს კავშირებითში, ასევე ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითში?

შ ძირი II სერიიდან უნდა იყოს გადმოსული უწყვეტელსა და აწყყოს კავშირებითში, ასევე ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითში, რომელსაც არ დაურთავს სავრცობი ელემენტები. შ ძირის შემცველი ფორმები I სერიაში ფორმით წყვეტილი და II კავშირებითია. განსხვავებას I სერიის ამ მწყრივებს შორის ზმნისწინი ამყარებს. ზმნისწინიანი ფორმა აწყყოს წრეს განეკუთვნება და უსრული ასპექტისაა, უზმნისწინი ფორმა კი მყოფადის წრეს განეკუთვნება და სრული ასპექტისაა.

4. რთუმა||ქიმიწუა||ლოლამა³⁴ 'ქმნა, შრომა': რთუმა, ლოლამა ფუძის შესატყვისი ქართულში არ ჩანს. რაც შეეხება ქიმ ძირს, მას ქართულში ქმ ძირი შესატყვისება. მითუღურში ახლაც ხმარებული იქამ ფორმა (რას იქამ) ქართულში სწორედ ქამ ფუძეს აღგვადგენინებს. ახალ ქართულში ეს ზმნა კარგავს მ-ს. „რა ქნა?“, მაგრამ ქმ ძველ ქართულში მანის გარეშე არც აწყყოში იხმარებოდა და არც წყვეტილში, მეგრული ქიმ და სვანურში ლი-ჩჷმ-ე ფუძეების არსებობა ქართულში მ-ს ძირეულობას მოწმობს³⁵. აწყყოს წრეში რთუმა ზმნა იხმარება (ორთუ 'შერება', ორთულუ 'შერებოდა', ორთულდას 'შერებოდეს' და ა. შ.), მყოფადში კი ორი ფუძე ენაცვლება:

აწყყო: თიშენ ვორთქია (ხუბ. 304, 15—16) 'იშისთვის ეშვებო'; ირფელს ახალი პოვერი ორთუჲნ (ხუბ. 38,17) 'ყველაფერს ახალი მზარეული შერება'.

მყოფ.: ა) მა ქიიფუქუქია (ყიფ. 48,28) 'შე ვიზამო'; ის შხვა ვეჲუნს მიითნი (ხუბ. 312,1) 'ინა სხვა არ იზამს არავინ'.

ბ) ინა მუსუ ბოლონს? (ყიფ. 41,12—13) 'ის რას მიზამს?'; თის ქობლონჲ ეშჲაკურსია (ხუბ. 57,30) 'იმას ვუზამ ეშჲაკურსო'.

II და III სერიის ფორმები ქიმიწუა და ლოლამა ფუძეებისგანვეა გაკეთებული: ექიმიწი, ელოლი 'ექმნი', ექიმიწა. ელოლა 'ექნა', მიქიმიწუ, მილოლაჲუ 'მიქნია', მიქიმიწულუ, მილოლაჲულუ 'მექნა' და ა. შ.

5. რაგადი 'მბობა' — თქულა 'თქმა': რაგადაანს — იტყუ — თქულანს — უწყინს. რაგად-ი და წვ<წუ ფუძე უცხოა ქართულისათვის. რაც შეეხება ტყუ ძირს, მას ქართულში ტყვ შეესაბამება. ამ ზმნის ბოლოკიდური ვ მე-3 სუბ. პირის ნიშნის უ-ს წინ იკარგება (იტყუ<იტყუვ). ეგვე შეიძლება ითქვას თქვ ძირის შესახებაც, რომელსაც ქართულში თქვ შეესატყვისება³⁶.

აწყყოს წრეში „რაგად-ი“ იხმარება (რაგადაანს 'ლაპარაკობს', რაგადაანდუ 'ლაპარაკობდა', რაგადაანდას 'ლაპარაკობდეს'), მყოფადის წრეში კი — ტყვ||ტყვ, თქვ||თქმ, წვ<წუ.

I სერიის მწყრივებში ასპექტს სხვადასხვა ფუძე განასხვავებს (რაგადაანს — თქულანს||უწყინს||, იტყუ, რაგადაანდუ — თქულანდუ||უწყინდუ||იტყულუ, რაგადაანდას — თქულანდას||უწყინდას||იტყულდას:

³⁴ აღნიშნული ზმნები უღლებიას განსაკუთრებულ თავისებურებას არ გვიჩვენებენ, ამიტომ უღლების ნიშნის არ წარმოვადგენთ. უღლების ნიშნის იმ ზმნებთან წარმოვადგენთ, სადაც მეგრული ზმნა ქართულისაგან განსხვავებულ უღლებას გვიჩვენებს.

³⁵ ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ე ა , შედარ. ლექსიკ., გვ. 337.

³⁶ ძირი ზმნისა იგივეა, ოლონდ I თურმეობითი, ასევე მასზე დაყრდნობილი მწყრივებიც, საწყისის იყენებენ ფორმათა საწარმოებლად.

³⁷ ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ე ა , შედარ. ლექსიკ., გვ. 282.

7. მ ა ც ნ ე , ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 3

ურს.: თეშ ვარის რაგადანქო? (ხუბ. 357,18) 'ამის უარს ამბობ?'; დღდა სქუას ვა ურაგადუ (ხუბ. 117,27) 'დღდა შვილს არ ელაპარაკება'.

სრ.: სი მუს იტყუთია? (ყიფ. 44,15) 'შენ რას იტყვი?'; თქვა მუს იტყუთ? (ყიფ. 2,29) 'თქვენ რას იტყვი?'; ძღაბი ვარის იტყუნდა... (ხუბ. 358, 25) 'გოგო თუ უარს იტყვის და...'

ბ) ლექსიშენი ლექსის ვთქუნქ (ყიფ. 114,3) 'ლექსისთვის ლექსს ვიტყვი'; გაპირება ჩქიმსგ ფთქუნქ (ხუბ. 323,12) 'გაპირებას ჩემსას ვიტყვი'.

გ) ასე ჩქიმ ქომონს ქუწინქ (ხუბ. 259,9) 'ახლა ჩემს ქმარს ვეტყვი'; გიწინთ ართ საქმესია (ხუბ. 271,34) 'გეტყვი ერთ საქმესო'.

საილუსტრაციო მავალითებში რაგად ფუძეს ტანქტყვ და თქქთქმ ძირე-ბი შეესატყვისება, ხოლო ურაგად 'ელაპარაკება' ფორმას კი — წვ<წუ. პირველ შემთხვევაში ზმნური ფორმები ორპირიანია, მეორე შემთხვევაში კი — სამპირიანი, ირიბ-ობიექტური პირის გაგება ემატება.

II სერიაში თქქთქმ, წვ<წუ ფუძეებია გამოყენებული: ვთქვი 'ვთქვი' ვუწი 'ვუთხარი', ვთქუა 'ვთქვა', ვუწუა 'ვუთხრა' და ა. შ. III სერიაში კი მხოლოდ თქქთქმ ფუძეა გამოყენებული: მითქულუმ³⁹ 'მითქვამს', მითქულულ-დუ 'მეთქვა' და ა. შ.

6. რწყება — ძირაფა: აწმყოს წრეში რწყე იხმარება (ვორწყექ 'ვხედავ', ვორწყელი 'ვხედავდი', ვორწყელა 'ვხედავდე'), სხვაგან მას ყველაგან ძირ ენაცვლება:

ვორწყექ გური მიგორდუნი (ხუბ. 323,5) 'ვხედავ, გული რომ მიღება'; ტყურათ ორწყექ ხარჯისია (ხუბ. 334,8) 'ტყულად ხედავ ხარჯსო'.

მყოფ. ა)... ვიშო მალე ბრელი ბძირია (ყიფ. 32,10) 'იქით წამსვლელი ბევრი ვნახეო'; ...სი შორიშე ქემოძირი (ყიფ. 18,31) 'შენ შორიდან დამანახე'.

ბ) ეჯგურა საარკო ვოუძირე თე კოს (ხუბ. 66,6) 'ამისთანა საზღაბრო არ უნახავს ამ კაცს'; ზღვა დღას ვოუძირუ თე კოს (ხუბ. 24,15) 'ზღვა არასოდეს არ უნახავს ამ კაცს'.

7. ღალა: მემილუშიდებღანქ. მეგრული ღ ქართული ღ ძირის კანონ-ზომიერი შესატყვისია⁴⁰, ოღონდ მეგრულში აწმყოს ფუძე ღ ძირისაგან იწარმოება, მაშინ როცა ქართული აღნიშნულ ძირს აწმყოს წრეში საერთოდ არ იყენებს და ზოგჯერ ასევე სხვა ფუძეებს მიმართავს (მოიტანა...).

ღ ძირისაგან ნაწარმოები ზმნა აწმყოს წრეში იხმარება: მემილუ 'მიმაქვს', მემილულუ 'მიმქონდა', მემილულას 'მიმქონდეს'. მყოფადში კი აღნიშნულ ძირს ან თემის ნიშანი ემატება: მიდეღლანქ 'წავიღებ', მიდეღლანდი 'წავიღებდი', მიდეღლანდა 'წავიღებდე'.

აწმყო: მეულგ მუშ(ი) ფარა (ხუბ. 263,5) 'მაიქვს მისი ფული'; წყარი მულუნა(ნ) (ხუბ. 135,17) 'წყალი მოაქვთ'.

მყოფ.: მა ქიმიბღანქ დაჩხირსია (ხუბ. 47,18) 'მე მოვიტან ცეცხლსო'; მა მიღლუქ დო ქიმიბღანქია (ხუბ. 21,34) 'მე წავალ და მოვიტანო'.

³⁹ I ტურმ., ასევე მასზე დაყრდნობილი მწერებები, ამავე ზმნის საწყისს იყენებს ფორმათა საწარმოებლად.

⁴⁰ ვხვდებით ძირია გამოყენებული უ-ღ-ღ-ნ ზმნაში, ასევე გილა-ღ-ღალა ფუძეში: ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შეღარ. ლექსიკ, გვ. 344—345.

II და III სერიაში ეგვეც დ ძირია გამოყენებული:

ა) ლევანს ქემულუ საჩუქარო (ხუბ. 13,28) 'ლევანს მოუტანა საჩუქარად';
 ცუდეშა მოლეღვ (ყიფ. 25,23) 'შინ წამოიღო'.

ბ) სი ლინი მოგიღალე ნი... (ყიფ. 41,12) 'შენ რომ ლინო მოგიტანია...';
 ხოჯი ცუდეშა ქემულალუდე (ყიფ. 12,15—16) 'ხარი შინ მიეტანა'.

შენიშვნა. გილა-ღ-ალა ზმნას შენაცვლება არ ეწყობა: გილამილე 'დამაქვს', გილამილედე 'დამქონდა', გილამილედას 'დამქონდეს'. სხვა მწკრივები, თურმეობითებს გარდა, არ ეწარმოება:

I სერია: გილაილუნა კონტრაპატი საქონელია (ხუბ. 201,34—35) 'დაგაქეთ კონტრაბანდული საქონელიო'; სქანი წიგნი ირ დღას გილამილედე 'შენი წიგნი ყოველდე დამქონდა'.

III სერია: გილამილალე 'დამქონებია', გილამილალედე 'დამქონებოდა', გილამილალედას 'დამქონებოდეს' და ა. შ.

8. **ცუწ|ცონ||ცენ.** **ცუწ|ცენ** და **ცონ** ძირი ქართული ყვან ფუძის შესაბამისია, მაგრამ ყავ-ის მაგივრობასაც ასრულებს; სახელდობრ, პირველი ორი ყავ-ს ენაცვლება, უკანასკნელი ყონ-ყვან-ს... ქართულში ყვან ფუძეს ყავ უძეგს საფუძელად. შდრ.: ძმა ჰყავს, მაგრამ ძმანი ჰყვანან...⁴⁰

ცუნაფა⁴¹ 'წყავანა' უზმნისწინოდ ნაკლებად იხმარება და ითქმის ცოცხალ არსებაზე. თუ უსულო საგანზეა საუბარი, მაშინ ლალა 'ღება, ტანა' ენაცვლება. ქიმიზონი 'მოვიყვანე' — ქიმივილი 'მოვიტანე' (ძვ. ქართულით 'მოვიღე').

ცონაფა მწკრივში ენაცვლება თავისავე ფუძის პუნს (<მცუნს) 'მყავს' ზმნას სათანადო ზმნისწინით და ან თემის ნიშნის წამატებით:

აწმყო: ათე კოს ოსური მოპუნსია (ხუბ. 106, 11) 'ამ კაცს ცოლი მომყავსო'; მინი რე თექ მერცუნსენ? (ხუბ. 200,26) 'ვინაა, რომ იქ მიგყავს?'

მყოფ: მა ჩიტენს ქემიზონანქია (ხუბ. 133,21) 'მე ჩიტებს მოვიყვანო'. მა კათას მიპუნანქია (ხუბ. 266,7) 'მე ხალხს მოვიყვანო'.

წყვეტი: გვერითი გეიღონგ (ყიფ. 24,1) 'გველიც აიყვანა'; ჩილითი ქიმიცონგ (ყიფ. 24,3) 'ცოლიც მოვიყვანა'.

I თურმ. ცირა ცუწია ქუმუცონაფუ 'გოგო შინ მოუყვანია'; ბაღანა რობუმე გეგმუცონაფუ 'ბავშვი ორმოდან ამოუყვანია'.

III. შენაცვლება ასპექტში. ასპექტში მონაცვლე ზმნებს I სერიის ფორმები განაწილებული აქვს: უსრულასპექტიანებს აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვება, სრულასპექტიანებს კი — მყოფადისა. II და III სერიების ფორმები ამათაც აქვთ და იმათაც.

რძ/რზ (—ძლ-ევ-ა)||ჩამ (—ცემ). ეს ძირი წყვეტილში გამოიყენება. მყოფადის ფუძეში კი დაირთავს ან სუფიქსს. **რძ/რზ** აწმყოს წრეში იხმარება და უსრულ ასპექტს აწარმოებს, ჩამ კი — მყოფადისაში და სრულ ასპექტს აწარმოებს.

უსრული: უკულაშის ვარზენქ მა თეს (ხუბ. 66,12) 'უმცროსს ვაძლევე მე ამას'; ვართ თავრობა არზენს ნებას (ხუბ. 34,9) 'არც მთავრობა აძლევეს ნებას'.

სრული: მა ქიმებჩანქ შარას სქანი სარხოს (ყიფ. 71,1) 'მე მოგცემ გზაში შენს სარხოს'; ჩქინ ნაშრომუს ვა მუჩანან (ყიფ. 166,16) 'ჩვენს ნაშრომს არ გვაძლევენ'.

⁴⁰ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექსიკ., გვ. 357.

⁴¹ ცუნაფა ჩრდილო-დასავლურში იხმარება, ცონაფა—სამხრეთ-აღმოსავლურში.



რძირს ძირის ზმნას, ქართულის მსგავსად, სხვა მნიშვნელობაც აქვს (=რუს. предлагать)⁴². ამ შემთხვევაში მას შე ზმნისწინით ნაწარმოები ზმნა უდგას პირისპირ: ვარზენქ — შევარზენქ 'შევაძლეე', ვარზიი — შევარზიი 'შევაძლიე'...

IV. შენაცვლება პირში. ძველად, ფეოდალური წყობილების დროს, შემუშავებული იყო გარკვეული „ზნეობანი“ ანუ საყოფაცხოვრებო წესები, ეთიკეტი, რომლის სისწორით დაცვა აუცილებელი იყო⁴³. ზრდილობიანი საუბარისას დღესაც პირებში ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა ფუძე:

1. ორე(ნ) 'არის' — გოხოლე(ნ) 'გახლავს'; ორექ 'ხარ' — ზოჯუნქ 'ბრძანდები';

ა) დიდი მადლობერი ვორექ (ყიფ. 2,4) 'დიდი მადლობელი ვარ'; იშენთი გოჯოგერი ვორექ (ყიფ. 5,28) 'მაინც მოძულეული ვარ'.

ბ) მა გოხოლექია ვერია (ყიფ. 33,33) 'მე გახლავართ ვერია'⁴⁴; მა გოხოლექ უჩა ბოში (ხუბ. 332,29) 'მე გახლავარ შავი ბიჭი'.

გ) სისქვამაშე ჯგირი ზოჯუნქ (ხუბ. 338,3) 'სილამაზით კარგი ბრძანდები'; მი ზოჯუნქია, პატონია (ხუბ. 107,25) 'ვინ ბრძანდებით' ბატონოო...'

დადასტურებული მაგალითებიდან ჩანს, რომ მეგრულში, ქართულის მსგავსად, არა მარტო ზმნები ენაცვლებიან ერთმანეთს, არამედ ზმნების მიხედვით პირთა მონაცვლეობაცაა.

2. თქუალა 'თქმა' — ზოჯუა 'ბრძანება'. ზოჯუა მოქმედებითი გვარისაა და სასხვისო ქცევის ფორმით ახლაც იხმარება სწორად ზრდილობიან საუბარში თქუ|თქმ 'თქმის' ნაცვლად მე-2 პირში, იშვიათად მე-3-შიც:

მაგა მუს მიზოჯუნქ, მორჩილი გაყიქია (ხუბ. 43,20—21) 'მეო რასაც მიბრძანებ, მორჩილი გეყოლებით'; მუს მიზოჯუნქია? (ხუბ. 45,21) 'რას მიბრძანებო?'

3. მულა 'მოსვლა' — მოზოჯუა 'მობრძანება', ულა 'წასვლა' — მიდაზოჯუა 'წაბრძანება'. ზოჯუა 'ბრძანება' ზმნას, აღნიშნულს გარდა, სხვა მნიშვნელობაც აქვს: მიდაზოჯინეს 'წააბრძანეს', ქვამაზოჯინეს 'მოაბრძანეს' და სხვა. ზმნისწინიანი ფორმები ყველა სრულასპექტიანია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დართული აქვს მე და მო (აგრეთვე გილა, დო) და აწმყოს წრეშია ნახმარი.

მორიდებულ საუბარში აღნიშნული ზმნა ენაცვლება ლ<ვლ, რ<ურ ფუძეთაგან ნაწარმოებ ზმნებს: მეურქ 'მიდიხარ' — მეზოჯუნქ 'მიბრძანდები', მიდართი 'წახედი' — მიდაზოჯი 'წაბრძანდი' და სხვა.

სო მეზოჯუნქ? 'სად მიბრძანდები?'; სო ვილაზოჯუნქ? 'სად დაბრძანდები?'

4. მულა 'მოსვლა' — ხოლაფა 'ხლება'. ხოლაფა ზმნა წარმოშობით ორპირიანია, ხოლო პატივისცემის საგანი მეორე პირია, რომელიც ირიბ ობიექტადაა მოცემული 1-ლ და მე-3 სუბ. პირთან, ამიტომ ზმნას მე-2 სუბ. პირის ფორმები აკლია. ამ მხრივ ამ ზმნის უღლება ანალოგიურია საშუალო გვარის „გახლავს“ ზმნისა: უკული გახოლექია (ყიფ. 65,28) 'მერე გეახლებით'; მაგა მუჟანს ჩქიმი დალენს ქუვასოლექია ... (ხუბ. 50,27)⁴⁵ 'მე როცა ჩემს დებს ეეახლებით'.

⁴² ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 511.

⁴³ იქვე, გვ. 513.

⁴⁴ ეტიმოლოგიურად მგელა (მდრ. ქართ. გელა<მგელა).

⁴⁵ საინალიზოდ გამოყენებულია: ხუბ.—მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937 და ყიფ.—И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914.

М. МАРГВЕЛАШВИЛИ

СУППЛЕТИВНЫЕ ГЛАГОЛЫ В МЕГРЕЛЬСКОМ

Резюме

В работе рассматриваются мегрельские супплетивные глаголы (глаголы с чередующимися основами), которые с целью заполнения недостающих форм спряжения используют глагольные формы иной основы. Этим они отличаются от глаголов среднего залога, в которых чередование происходит в пределах форм одного и того же корня.

I. Чередование по числам.

а) Относительно субъектного лица: დითმალუ(ნ) ditəmolu(n) 'падает' (он, она)—დიტმაცენს ditməcəns 'падают' (они).

б) Относительно объектного лица: ევილუნს 'iviluns 'убивает' (ego, ee)—შირუნს širuns 'убивает' (их).

II. Чередование по рядам. Это явление встречается чаще, причем иногда наблюдается чередование трех основ: ორე(ნ) ore(n) 'есть'—იგუაფუ(ნ)|| ოგოი(ნ) i'uaru(n)||i'ii(n) 'будет'; ხე(ნ) xe(n) 'сидит'—დოხოდუ(ნ) dɔxodu(n) 'сядет'; ორთუ(ნ) ortu(n) 'делает'—ქიმინუნს||ლოლანს kiminuns||ɔolans 'сделает'; რაგადანს ragadans 'гворит'—თქუანს tkuans 'скажет'; ორწყე(ნ) orqɛ(n) 'видит'—ძირუნს žiruns 'увидит'.

III. Чередование по видам: არზენს arzens 'дает'—მეჩანს mečans 'даст'.

IV. Чередование по лицам: ორე(ნ) ore(n) 'есть'—გოხოლუ(ნ) gɔxolu(n) 'есть' (в вежливой речи); ორე(ნ) ore(n) 'есть'—ზოჯუნს zɔjuns 'есть' (в вежливой речи); თქუანს tkuans 'скажет'—ზოჯუნს zɔjuns 'изволит сказать'; მუტრს muɔrs 'идет сюда'—მოზოჯუნს mozɔjuns 'изволит идти сюда'; ურს urs 'уйдет'—მიდაზოჯუნს midazɔjuns 'изволит уйти'.

По-иному обстоит дело в глаголах რიბა rɪpa 'быть'; ხუნა xupa 'сидеть' и ულა ula 'ходить'. Глаголы რიბა rɪpa 'быть' и ხუნა xupa 'сидеть', в отличие от соответствующих глаголов грузинского языка, имеют рядовые формы настоящего времени, а глагол ულა ula 'ходить' имеет одну и ту же форму и для настоящего и для будущего времени. В прошедшем несовершенном этот корень чередуется с корнем შ ჯ с приставкой и выражает несовершенный вид, а в будущем времени—без приставки и выражает совершенный вид. Корень შ ჯ, перейдя, вероятно, из рядов II серии, не присоединил к себе элемент расширения.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა
 წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა

ა. შანიძემ

О. Г. ЗЕДГЕНИДЗЕ

О ТАК НАЗЫВАЕМОМ ЛИЧНОМ СКЛОНЕНИИ В БАСКСКОМ
 ЯЗЫКЕ В СОПОСТАВЛЕНИИ С ГРУЗИНСКИМ

В системе баскского склонения имена собственные, отличаясь от определенного и неопределенного типов склонения рядом признаков, создают особую подгруппу. Ср.:

	Неопр. ед.	Спр. ед.	Имя собств.
Имен.	etxe „дом“	etxe-a	Edurne
Эргатив	etxe-k	etxe-ak	Edurne-k
Дательн.	etxe-ri	etxe-ari	Edurne-ri
I родит.	etxe-ren	etxe-aren	Edurne-ren
Совместн.	etxe-rekin	etxe-arekin	Edurne-rekin
II род.	etxe-tako	etxe-ko	
Инструм.	etxe-z	etxe-az	Edurne-z
Инессив.	etxe-tan	etxe-an	Edurne-regan
Латив. (Направ.)	etxe-tara	etxe-ra	Edurne-regana/ reganat
Аблатив (Отправ.)	etxe-tarik	etxe-tik	Edurne-reganik ¹
Партитив (Частичный)	etxe-rik		Edurne-rik

Местные или пространственные падежи (инессив, латив и аблатив) у имен собственных (а также у нарицательных, личных и местоимений, которые обозначают лицо) передаются посредством послелогов *gana/ganat* «к (кому-либо)», «по направлению к (кому-либо)», *ganik* «от (имени), от (лица)», «со стороны (кого-либо)», «из-за (кого-либо)», *gatik* «из-за», *gan* «у кого-то», *gandik* «начиная с, от», *gaz* «с» (только в бискайском); *amagandik aitagana joanen da aurra* «ребенок пойдет от матери к отцу», *letera bat ikhen dit aitagantik* «я получил письмо от моего отца», *atzo anai-regan nintzan* «вчера я была у брата», *Ion adiskidegana doa* «Ион идет к товарищу» и т. д. Во французских диалектах того же языка инессиву на *gan* соответствует *tan* «у кого-то». Существуют также формы на *tara* (t) «к (кому-либо)», *tarik* «из-за (кого-либо)» и инструменталь на *taz* «с».

Указанные послелогии прибавляются или к первому родительному, или к именительному падежу: *gizonagan* «у человека, в человеке» (от *gizon-a* «человек»), *aitarengana(t)* или *aitagana(t)* «к отцу» (*aita-ren* род. падеж. от *aita* «отец»), *zugatik* «из-за вас» (от *zu* «вы»), *niregan* «во мне» (*nire* род.

пад. от *pi* «я»), *semeganik* «от сына, со стороны сына» (*seme* «сын») и т. д.

Таким образом, послелогои, образованные с помощью *gan(ga)/tan* можно представить как:

В баскских диалектах

Испани
gan
gana/ganat
ganik
gatic
gandik
gaz

В баскских диалектах

Франци
tan
tara (t)
tarik

taz

где *-a(t)* окончание направительного падежа, *-ik* — окончание партитива, *-tik* — окончание отпривительного падежа, а *-z* — показатель инструменталя.

Относительно элементов *gan/tan* в баскологической научной литературе высказаны различные соображения. Одни ученые объясняют послелогои на *-gan* на баскской почве², считая их падежными формами исконного существительного **ga*, другие считают соответствующий элемент по происхождению романским, как и *tan*³. В отличие от ряда исследователей Р. Лафон указал, что корни послелогов на *gan* восходят к картвело-кавказскому лингвистическому миру. Он разыскал интересные аналогии не только в грузинском и мегрельском (послелог *gan*, существительное *gani* «ширина»), а также в чеченском (*ge*, *gu*, который образует падеж, имеющий пространственное значение), в ингушском (аллатив на *ga*, аблатив на *gaga*, директив на *gaha*, отделительный на *gahaga*), в абхазском (аблатив, образующийся с помощью /*g*/, за которым следует краткий гласный /*o*/). Р. Лафон также обратил внимание на абхазское *gan* «ширина» и на абхазские *goge* «от» (аблатив), *goh* «у, вблизи», *gohi* «к, по направлению», хотя в то же время этот ученый, не сделав окончательный вывод, оставил проблему для дальнейшего изучения⁴. В романском происхождении *gan* вовсе не уверен и К. К. Уленбек⁵.

Все эти колебания, однако, не относятся к элементу *tan*, который по общему мнению заимствован из латинского (и по происхождению связан с суффиксом *etn*, который имеет собирательное значение), как и элемент баскского склонения *eta* и его сокращенная форма *ta*⁶.

Следуя за Р. Лафоном в области баскско-грузинского *gan*, мы приведем некоторые факты, которые послужили бы дополнительно для решения этого вопроса.

Как уже было отмечено, баскское *gan* с различными окончаниями служит для выражения пространственных отношений, в частности, указывает на исходную точку, на направление к кому-либо.

Как предполагает Р. Лафон, в этом элементе мы имеем, видимо, бывшее существительное, которое больше уже не встречается самостоятельно и которое обозначало предмет или понятие пространственного характера: Может быть, это существительное значило что-то вроде «сторона», «бок».

gapa(t) тогда означало «в сторону (кого-то)», ganik, gandik и gatik «со стороны кого-то», gaz «возле, рядом с», букв. «при стороне, стороной (кого-то)».

Интересные функциональные аналогии находит с этой точки зрения баскское gap в грузинском, где оно, выступая в роли послелого, служит для маркирования исходной точки в пространственном, временном и др. смысле⁷: abraham kueqalisa misgan... ganašora umerťman (102, 16) «Бог увел (отстранил) Абраама от этой страны», vervin ganmašoros me kristeigan «Никто не сможет отстранить меня от Христа», samarisagan gamovida vaxiguli (51, 27) «Вышел из могилы веселый» и т. д.⁸

Грузинское gap, выступая в роли преверба, тоже маркирует отделение, уход, или совершенный вид. В таком случае конечное -n часто падает: ga-grinda «улетел», ga-vida «вышел», ga-aketa «сделал», ga-agřavna «отправил» и т. д. Послелог gap в виде ga представлен и в баскском языке.

Как уже было показано выше, баскское gap присоединяется в основном к родительному, а иногда к именительному падежам. Грузинский послелог gap, указывая на пространственные отношения, также прибавляется к родительному (или творительному) падежам⁹, но как свидетельствуют древнегрузинские памятники, основной функцией творительного падежа с gap было указание на время, а выражение места — явление позднего характера. gap по этой функции (выраж. места) в древности выступало только с родительным падежом¹⁰.

О таком функциональном состоянии родительного падежа с gap свидетельствуют и данные хевсурского диалекта, одного из горских диалектов грузинского, где gap выступает только с родительным падежом¹¹.

Как уже было отмечено, gap в баскском языке встречается лишь с собственными или нарицательными личными именами и служит для обозначения особого типа склонения — т. н. типа личного склонения.

Интересную картину дает склонение личных имен в древнегрузинском языке, где оно, отличаясь от типа имен нарицательных, носило своеобразный характер. Оно создавало так называемую неопределенную конструкцию и склонение этого типа имен было представлено только неоформленным (в виде чистой основы), дательным и родительным падежами.

Таким образом, родительный является одним из древнейших падежей для личных имен, и все морфологические явления, связанные с ним, по отношению к личным именам являются предметом большого интереса для разъяснения архаичных слоев склонения.

В древнегрузинском языке родительный падеж личных имен часто был представлен с разными послелогам, в том числе и gap. Сравнительный анализ родительного падежа на gap с творительным падежом с тем же — gap показывает интересную дистрибуцию, о чем говорится ниже.

Личные имена с послелогом gap встречаются только в родительном падеже и никогда — в творительном¹²: semer-is-gap «от Семеры» (semer-is родительный падеж от semer), saul-is-gap «от Саула» (saul-is род. пад. от saul), samoel-is-gap «от Самуила» (samoel-is род. пад. от samoel), abiner-is-

gan «от Абинера» (abiner-is род. пад. от abiner)· В творительном падеже на gan представлены лишь географические названия, т. е. **неодушевленные предметы**¹³: gesur-it-gan «из Гесури» (gesur-it твор. пад. от gesur), evilat-it-gan «из Эвилата» (evilat-it- твор. пад. от evilat), askalon-it-gan «из Аскалона» (askalon-it твор. пад. от askalon) и т. д. Однако, если в творительном падеже все-таки встречаются личные имена на gan, то они обязательно отгнетивные¹⁴: moise-is-it-gan «Моисея», «начиная с Моисея», davit-is-it-gan «с Давида», «начиная с Давида» и т. д.

Интересно отметить и тот факт, что в древнегрузинском языке одной из основных функций родительного падежа на gan было указание на **автора действия**, т. е. на **лицо**¹⁵: igi išva mariamiš-gan «он (который) родился у Мариам», sulieri samoseli mamisagan moiksovebis «духовная одежда отцом создается».

Если при нынешнем уровне наших знаний было бы возможно утверждать, что грузинские gan/tan с одной стороны, и баскские gan/tan — с другой основываются на одном и том же элементе, тогда та (нижеследующая) дистрибуция, которая выясняется в древнегрузинском в отношении послелога tan тоже говорила бы в пользу этого (уже двойного) морфологического соответствия между баскским и грузинским языками¹⁶: zelo в том, что если предмет был неодушевленным, то с его обозначением предлог tan употреблялся в дательном падеже, а если речь шла о лице, то в родительном¹⁷: saxl-s-a tana «у дома», saqdar-s-a tana «у собора», (-s показатель дательного падежа), но: mam-is-a tana «у отца» abraham-is tana «у Абраама» kmr-is-a tvisisà tana «у своего мужа» (-is показатель родительного падежа).

По общепринятому мнению и, как уже говорилось, баскские послелоги на gan происходят от существительного, которое само по себе уже не существует.

Еще Л. Л. Бонапарт выдвинул гипотезу о романском происхождении -gan, опираясь в основном на то, что в итальянском латинское по происхождению слово casa бывает сокращено до sa и это sa превращается в послелоги при именах, обозначающих лица¹⁸: en sa di Р букв. «в доме Р», т. е. «у Р» (откуда теоретически возможно и «в самом Р»). В баскском подобное sa, пришедшее в данный язык из той или иной разновидности романской речи, могло сначала (по этой теории) употребляться в значении «у» (кого-либо), без всяких предлогов и с озвонченным начальным согласным, а потом получить форму местного падежа, что и дало бы gan. Конечно, поскольку баскский с итальянскими диалектами непосредственно не контактирует, то романской разновидности, давшей ему такое sa, должен был явиться не итальянский, а какой-либо южно-французский или испанский диалект, и в этой связи указывается уже на французское chez «у» с именами лиц, из латинского casa «дом» (без всяких предлогов).

Позднее изложенное предположение Бонапарта было развернуто в гипотезу Г. Шухардтом, который в частности дополнил список баскских послелогов, основанных предположительно на латинском casa «дом» еще и бискайским gaz «из-за (кого либо)»¹⁹.

В пользу этой теории указывают и на тот факт, что существует ана-

логия между баскскими послелогоми, образованными при помощи *gan*, и послелогоми, образованными при помощи существительного *baitha*, которое существует в лабурдинском и означает «дом»: *anaia baithara doha* «он идет к своему брату» (букв. «в дом брата», так же, как *anaia gaha doa*).

Против теории романского происхождения *gan* выступили многие исследователи, которые попытались объяснить значение этого элемента на баскской почве.

Р. Лафон после долгих разысканий пришел к выводу, что «послелог *gan*, возможно, был инессивом (местным падежом) существительного **ga* «сторона», «бок», от которого форма *gatik* была бы отпавительным (исходным) падежом, а *gaz* — инструментальным: *gana(t)*, *ganik*, *gandik* в этом случае должны быть получены от инессива *gan* так же, как *(h)ortga(t)* и *(h)ortik* получены от наречия *(h)org* (ср. груз. *eg*) «там, где ты (есть)» (старый инессив указательного местоимения 2-го лица с нулевым окончанием)²⁰. Однако Р. Лафон вслед за А. Гавелем и Р. М. Аскуэ допускал при этом и ту возможность, что форма именительного падежа, может быть, тоже была *gan*.

Такое толкование значений и структуры баск. *gan* направляет наше внимание на множество грузинских послелогов, провербов и наречий, выражающих пространственные отношения.

Элемент *gan*, *ga* который, начиная с самых старых грузинских текстов, употребляется как послелог, наречие или префикс, связан по происхождению с существительным *gan-i* «ширина», которое имеет также значение «сторона». Ср.: *ganze vtovel* «оставляю в стороне», *calgnit* «с одной стороны», *orgnit* «с обеих сторон». Является ли (*n*) в *gan-i* исконным элементом, или *gan* < **ga*, в котором предполагаемый показатель инессива -*n* с течением времени так слился с основой, что она потеряла первичное значение и послужила основой для другой лексической единицы.

Как выясняется, в грузинском послелогое и провербе *gan*—*ga* исконный элемент²¹. Ср.: *ga*-то «из-за», *ga-re*, *ga-re-še* «без», *ga-rda*, «кроме», *ga-r-še* то «вокруг», *ga-r-na* «но», «кроме», *ge*²². Систематическая однородность исходной основы при ее варьировании в этом ряде грузинских слов позволяет выделить здесь и окончание -*n*. Ср. то же в *ze-na* > *ze* «верхний», «на», *ši-na* > *ši* (древняя форма *šin* послелога *ši* в современном грузинском языке получила значение «в доме», «дома»). В этом отношении особый интерес представляет разъяснение структуры *mena* «место жительства». *ta-na* > *ta-n* «к», «с», *qe-n/qz-n qe* «к», *ci-na* > *ci-n* «перед», *uqa-na* > *uqa-n* «сзади», *ku-e-na* «нижний» *mi-na* > *mi-n* «там», *ga-g-na* «кроме».

Несмотря на все вышеуказанное, все-таки трудно быть до конца уверенным, что баскское *gan* (< **ga*) и грузинское *gan* (< **ga*) — элементы одного и того же происхождения, но сам факт их наличия и те многочисленные аналогии, которые намечаются в их функциях и употреблении в обоих языках, послужат в дальнейшем для окончательного решения вопроса.

ПРИМЕЧАНИЯ

1. Формы *Edurne-n* «у Едурне», *Edurne-ga* «к Едурне», *Edurne-lik* «от Едурне» существуют только теоретически.
2. Н. Gavel, *Grammaire basque*, Vol. I. Bayonne, 1929, с. 20—21; Azkue, R. M. de. *Morfología vasca*, t. I, Bilbao, 1969, с. 96.
3. Н. Schuchardt, *Primitiae Linguae Vasconum. Einführung ins Baskische*. Tübingen, 1968, р. II, № 26, с. 22, § 89.
4. R. Lafon, *Basque et langues kartveles*, RIEV, XXIV, 1933.
5. С. С. Uhlenbeck, *Recensión de Primitiae Linguae Vasconum*, RIEV, XVI, 1925, с. 365.
6. Мы думаем, что, возможно, и этот элемент не является, однако, романским и что окончательное решение вопроса — дело будущего.
7. *gan* в грузинском языке, кроме послелога, выступает и в качестве преверба. Такое функциональное сходство объясняется генетической связью. Подр. об этом см.: Н. Вешапидзе, К взаимоотношению глагольной приставки, послелога и наречия. Труды ТГУ, т. 96, 1963, с. 108 (на груз. яз.).
8. Примеры взяты из «Хрестоматии по древнегрузинской литературе», I, составил С. И. Кубанейшвили, Тб., 1946.
9. Эти падежи одного происхождения и в древнегрузинском часто сами маркируют исходную точку. См.: В. Топуриа, К системе склонения сванского языка в сравнении со склонением других картвельских языков, «Сообщения Академии наук Грузинской ССР», т. 5, 1944, № 3; И. Импайшвили, Склонение имен и функций падежей в древнегрузинском. Тб., 1957, с. 711—712 (на груз. яз.).
10. К. Дзоценидзе, К вопросу о функции творительного падежа с послелогом *gan* в древнегрузинском языке. ИКЯ, I, 1946, стр. 196—202.
11. А. Чиччараули, Особенности хевсурского диалекта грузинского языка с текстами и индексом. Тб., 1960, с. 54—57 (на груз. яз.).
12. С. Чхенкели, Склонение собственных имен в «Книгах Царств» Ошкской рукописи 978 г. в сборнике «К истории склонения имен в картвельских языках», кн. I, Тб., 1956 с. 91—92 (на груз. яз.).
13. С. Чхенкели, указ. раб., с. 120.
14. Т. Шарадзендзе, Образование и функции творительного и направительного падежей в древнегрузинском языке, «К истории склонения имен в картвельских языках», кн. I, 1956, с. 414 (на груз. яз.).
15. А. Мартиросов, Образование и функции дательного и родительного падежей в древнегрузинском языке, в цит. сб. «К истории склонения...», с. 391 (на груз. яз.).
16. Пространственное значение грузинского послелога *tan* направляет наше внимание на элемент баскского склонения *-ta* (который присоединяется к окончаниям локативных падежей) и заставляет критично отнестись к теории о романском происхождении этого элемента.
17. К. Кекелидзе, О синтаксической функции послелогов «*çinaše*», «*tana*» и «*zeda*». Сообщ. Ак. наук Грузинской ССР, т. 3, № 3, с. 283; (на груз. яз.); А. Шанидзе, Грамматика древнегрузинского языка, Тб., 1976, с. 113 (на груз. яз.).
18. Цитировано по Arturo Campión, «Gramática de los cuatro dialectos literarios de la linguae euskara». Tolosa, 1884, с. 208.
19. Н. Schuchardt, «Primitiae Linguae Vasconum. Einführung ins Baskische». Tübingen, 1968, р. II, § 26, с. 22, § 89.
20. R. Lafon, указ. раб., с. 23.
21. И. Вешапидзе, указ. раб., с. 96.
22. А. Мартиросов, Послелоги в грузинском языке, ИКЯ, I, 1946, с. 228 (на груз. яз.).

Кафедра новогрузинского языка Тбилисского государственного университета
Представил академик Академии наук Грузинской ССР Ш. В. Дзидзигури

ნ უ ბ ლ ი კ ა ტ ი ა

აკაკი შანიძის წერილები ნიკო მარს

(პუბლიკაცია და ბოლოს დართული შენიშვნები ი. შვედრელიძისა)

I

ფასანაური
15/VI 913

ღრმად პატივცემულო მოძღვარო,
ბატონო ნიკო!

მოჩქარეს დაუგვიანდო. ჯერ იყო და თბილისს შევრჩი 10-მდი. მერე თვალში (დღეშეთიდან 20 ვერსის მოშორებით) დავჰყავ ოთხი დღე ბიძაშვილთან. გუშინ მოვედი ფასანაურს და დღეს მივდივარ გულამაყარს, სადაც ერთ კვირემდე დავრჩები. ჯერ ვიქმნები სოფ. დუმაცხოში, შემდეგ შევეუხვევ სოფ. ბაკურ-ჭევს, სადაც გულამაყარელებს გარდა ოცდაათიოდე კომლი ჰქვსურია. შემდეგ ვიქმნები მთიულეთში (არჩეული მაქვს სამი სოფელი). მთიულეთიდან გადავალ ჰევს (სადგ. ყაზბეგთან) და იქიდან პირიქით ჰევსურეთს ვეწვევი.

თბილისში Открытый лист-ი ავიღე, არვინ შემიწუხებია, მე თვითონ ვითხოვე მეფის ნაცვლის კანცელარიაში და მომცეს. აქ ფასანაურში ბოქაულს მოველაპარაკე და დავმარება აღმოთქვა. თან მიმეყუდა ერთი დარაჯი, რომელიც იქ სოფელში ეტყვის, ცხენები მიშოვონ, როცა დამპირდება, და სხვადასხვა მერე უკანვე გამობრუნდება. ენახოთ, როგორ წავა საქმე.

თქვენი ვეფხვები როგორ არიან (გიორგი და ესიკო), თუ მუშაობენ, ნეტავი, კარვად?

გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

მარად თქვენი პატივისმცემელი მოწაფე აკაკი

2

26/VI 913
ფასანაური

Его превосходительству
Николаю Яковлевичу Марру
Ст. Ани (Эриван. губ.).

დიდად პატივცემულო მოძღვარო,
ბატონო ნიკო!

გულამაყარში ვიყავ, შევეპირებე ხალხური სიმღერები, გადავწინჯე ჩემი ლექსიკონი. ვიყავი ჰევსურთ სოფელშიაც. მათი საუბარი არაფრით არ განირჩევა პირიქითელი კილოსაგან. გულამაყარული კილო ზემო მთიულურისაგან ძა-



ლიან განირჩევა. ამ უკანასკნელში, როგორც გუშინ აქ, ფასანაურში, მთიულეთში, თან საუბრის დროს გამოირკვა, გრძელი კმოვნები არსებობს. უფრო დაწვრილებით შემდეგ.

თქვენი აკაკი შანიძე

3

8/VII 913

სადგ. მლეთე

ღრმად პატივცემულო მოძღვარო,
ბატონო ნიკო!

პირველ ყოვლისა გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

მთიულეთის საქმეს „ვათავებ“ და ზეგ მივიღივარ მოკვევებში. რამდენადაც ვატყობ, მთების საქმეს ენკენისთვემდე ვერ მოვრჩები.

გულდამაყრიდან რომ გამოვედი, სამი დღე ქვემო მთიულეთში დავჰყავ და ზემო მთიულეთისაკენ ვავეშურე. ჯერ ვესტუმრე ვადის ჯეობას, სადაც ერთი კვირა დავჰყავი და ახლა (დღეს მესამე დღეა) ქვემო მლეთეში ვარ. ჩავსწერე ლექსები, სიმღერები, ცოტაოდენი პროზაც და ხვალ დავამთავრებ ლექსიკონის გადასინჯვას. ლექსიკონის გადასინჯვა მეტად ბევრ დროს თხოულობს. რაიმე სიტყვის მნიშვნელობა რომ გინდა გაიგო, ერთი საათი უნდა ელაპარაკო, ასეც დაუსვა კითხვა და ისეც. მეტად ფრთხილად ვეკიდები აქაურების პასუხს იმის შესახებ, იკმარება თუ არა ესა თუ ის სიტყვა აქაც იმ მნიშვნელობით, როგორც, მაგალ., ფშავსა და ჯევესურეთში.

მე გწერდით, გულდამაყრული მეტად განსხვავდება მთიულურისაგან. ახლა ცოტაოდენი შესწორება უნდა შევიტანო: გულდამაყრულიც მთიულურს ეკუთვნის, მაგრამ მასში არ არის გრძელი კმოვნები, როგორც საკუთრად მთიულურში. საკუთრად მთიულურიც შეიძლება ორ კილოკავად გაგვეყო, ზემო (ჯადა) და ქვემო (ცხავატი) მთიულეთისად, მაგრამ განსხვავება მეტად მცირეა და ასეთ დაყოფას თავს ვანებებ. ამგვარად, მთიულურ კილოს ორ უმთავრეს კილოკავად ვჰყოფ: საკუთრად მთიულური და გულდამაყრული.

სხვა წვრილ რამეებს რომ არ გამოვეუდგეთ, უმთავრესი დამახასიათებელი თვისებუნი მთიულურისა არის შემდეგი:

ვა>ო: ჯორი, ღორი, თოლი და სხვ.

მამრობითი სიტყვას თუ მდედრობითის დაბოლოება მიეცა, მივიღებთ დამცირებითსა (და თანაც საალერსო?) ფორმას: კაცია, ქობია, საყტარაი, დუქანია და სხვ. დამცირებითი ფორმა ეძლევა რიცხვით სახელსაც: ოცანი ცხორანი (20 каки-х-ни. жалких овец), ერთია და სხვ.

საკუთრად მთიულურში სიტყვის მეორე მარცვალი (ბოლოდან) გრძელია: გაკეთდება, ჭრისტიანი, შენი კენესაშე, კაცუბი და სხვ. (ინი და უნი ძვირად არის გრძელი). ჯშირად გაისმის ...ე (-ხოლმე).

კილოს დასახასიათებლად მაქვს ჩაწერილი ცოტაოდენი პროზაც. მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ჩემ მიერ ჩაწერილი ოდნავაც ვერ გამოჰხატავს ნამდვილ სახეს მთიულურისას. ნამდვილი ენა თუ გნებათ, უნდა უსმენდეთ, როცა ისინი ერთ-ერთს ელაპარაკებიან. როცა ჩემთან საუბრობენ, — ამათ მომიკლა გული! — ცდილობენ „კარგად“ სთქვან და ჩაურთვენ და ჩაურთვენ საუბარში ბარულს. რა მეშველება და რა ჩემი წამალი, რომ არ ვიცი! მე იმას ხომ არ ვჩივი, რომ

ვარი (ხარი, არის³) ჯორ (ხარ, ას etc.).
 ვივანშმათ ვივოვშმათ და სხვ.
 მიღმა-კველები ფშაგის მახლობლად არიან და დიდი გავლენა დასტყობით.
 მოლი (მ.ღმ.-გ.) = მეღ (კვეს.).
 სხედან (მ.-გ.) = სხენ (გ.).

გინდ რა (ძ.-გ.) = რა გინდ (გ.) ЧТО НЫ ТО НИ НЫЛО,
 გავლენა მიღმა-გვეს. უფრო ლექსიკაში დასტყობია.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ წყვილობითი რიცხვი კვესურულში საზოგადოდ შენახული არის: -ნი (თა, ნო) უმთავრესად წყვილობითის დაბოლოვებაა, ეს ეჭვს გარეშეა.

ზმნების უღვლილებაც გამოირკვა ჩემთვის.

1. ვ- ვლევ = „ვაფუშებ“, ღლევ, ღლევს; ვლევთ, ღლევთ, ღლევენ.
 2. ხ(ღ)- ვლევდი, ღლევდი, ღლევდ; ვლევდით, ღლევდით, ღლევდეს.
 3. ს დავლიე, დაღლიე, დაღლიე(ა); დავლიეთ, დაღლიეთ, დაღლიეს.
- I. ვ— დავლივიდი, დაღლივიდი, დაღლივის; დავლივიდით, დაღლივიდით, დაღლივიან.
- II. ხ(ღ)—თ დავლია, დაღლია, დაღლიას; დავლიათ, დაღლიათ, დაღლიან.
- III. ან, ენ, ეს. დაღლიე (ბრძან.).

მყობადი კი: დავლევ, დაღლევ, დაღლევს; დავლევთ, დაღლევთ, დაღლევენ.

ეს ალბათ იმიტომ, რომ აწმყო და მყობადი ერთი და იგივე უორნაა და გასარჩევად დანი (ან ხანი) ყოველ პირს ჩაესმის.

აგრევე სწარმოებს სხვა ზმნების უღვლილებაც (რომელთაც წინ უზის: ტ, დ, თ; წ, ბ, ც; ქ, ჯ, ჩ; რ, ზ, შ. ქ); იმ განსხვავებით, რომ აქ მეორე პირის მაჩვენებელი სანი იქმნება:

ვთიბ, სთიბ, თიბს; ვთიბთ, სთიბთ, თიბენ.

ვთიბდი, სთიბდი, თიბდ etc.

ვთიბე, სთიბე, თიბე(ა) etc.

ვთიბდი, სთიბდი, თიბის და სხვ.

ვთიბა, სთიბა, თიბას...

თიბე, თიბეთ (ბრძან.).

მყობ. მოვსთიბ, მოსთიბ, მოსთიბს; მოვსთიბთ, მოსთიბთ, მოსთიბენ⁴.

ობიექტ. ზმნები:

მტკივის, გტკივის, სტკივის; სწყინს, ღვალავ, ღმართებს და სხვ.

მკიდავ (я дилажен), გკიდავ, ზკიდავ...

ლექსიკონმა საქმე გამიჭიერა. იმდენ დროს მართმევს მისი გადასინჯვა, რომ ვეღარ ვასწრებ ტექსტების ჩაწერას. სამაგიეროდ ხანდახან ისეთი სიტყვა გამოვარდება, რომ გავგზარდება: ფოლორცა (ყ)⁵ —ორღობე, შუჟა. ტარიგი (გ)⁶,

³ მინდარის, გინდარის, უნდარის etc.

⁴ ზოგიერთ ზმნას ხანი და ხანი (დანი) ზედ მიჰკერია და ყველა პირში აქვს და ყველა დროში (აგრეთვე ბრძანებითშიაც). ეს ზმნებია: ვსწერ, ვხკითხვ, ვხკიდებ, ვღმართავ და ალბათ ზოგი სხვაც.

⁵ მოკუტრად.

⁶ კვესურულად.



შიშაქი (დედალი ცხვარი, ერთი ან ორი წლისა, სანამ მოიგებდეს), კაცვი (კ.), ჯირკო (კ.)=კურკო (ფშ.)⁷ რკო, ჩვიჩვილი (კ.).

ჩვილი, აღვსება (კ.) აღდგომა და სხვ.

კარგა საკმაოდ შევკრიბე ხალხური ლექსები და სიმღერები⁸. ლ, ნ და რ რითმაში ერთნაირად მიდის. რითმა ერთია თავიდან ბოლომდე. ხალხური სიმღერები აქ. მთებში, უმაღლეს განვითარებამდე მისულა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ პოეზიის სამეფოა. აი ერთი ფშაური კაფია (тенциона) საუბრემდ, სასადილო ჭერს კი პეტერბურგში თვითონ ვაახლებთ:

ნადირა: ჩემ ცხვრებ ხვარ ვინდა კოჯაო, უცხვრო მე ვაგაცხვრიანო.

კოჯა: შენ ცხვრებ რად მინდა, ნადირაჲ, შენაც თვალებსა ვთხრიანო⁹.

ნ. მე კი არ-ოთ რას მამპარაჲ, კოჯაო თავისიანო.

კ. ჩემ-ფერ ბოზებმა და ქურღებმა თავისა არ იციანო.

ნ. გზა კი არსად რა შამიკრა, თოფ არსა ვაქმიანო.

კ. შენ თოფს არ გესერი, ნადირაჲ, დღემით ყელს გამოგვკრიანო.

ნ. რახან მე დღემით ყელს მამჭრი, ეს ხალხიც გამოგვკრიანო.

ნადირაჲ ვარ, ხომ იცი, ქუმსაიშვილი მქვიანო.

თუ შენფერს მუეკვლევიანო, მიწანიმე ჩამაშლიანო!

მარად თქვენი პატივისცემელი მოწაფე
აკაკი შანიძე

3/IX 913

ს. ფარსმა (თუშეთი)

ღრმად პატივცემულო მოძღვარო,
ბატონო ნიკო!

გუშინ გადმოვედი „მთას-იქით“ კეკესურეთიდან თუშეთს. როგორც წინათ გწერდით [შატილიდან], მთები ჩამოთოვილია სულ-ერთიანად. 'კაწუნტის გადმოსავალ უღელ-ტეხილზე მჭრით გადმოვატანე ბარგი, რადგანაც მეშინოდა, ჯორს ფეკი არ დასხლტომოდა და ჩემი ავლა-დიდება, — რომელიც ძალიან დიდიც არ არის, — კლდე-ღრეებისათვის არ მიეცა. თუშეთში მეტად დიდი თოვლი ყოფილა მოსული. კეკესურეთში სოფლებში არც კი მოსულა სრულებით. აქ, თუშეთში, სოფლებში მტკაველზე მეტი დაუდვია. მაგრამ ახლა სოფლებში ამდნარია და მთებზე კი, გულის გასახეთქად, ისევ არის. გზა არ შეიკვრება ამ თვის გასვლამდით: თუ შეიკრა, ორი სამი დღის შემდეგ ისევ გაიკვნებაო. ასე რომ თუშეთში საზამთროდ მომწვედვეის შიში არა მაქვს, ორს კვირეს აქ მოვრჩები საქმეს და ფშავს გადავალ.

აქ სულ ექვსი საზოგადოება ყოფილა თუშებისა. რაც შეეხება წოვა-თუშებს, მათ წინად საცხოვრებელი აქ ჰქონიათ, აქ მათ სამი სოფელი ჰქონებოთ: ინდურთა, საგირთა და წარო (=წოვათა?).

⁷ ფშაურად.

⁸ „სიმღერე“ და „ლექსი“ კეკესურეთში სხვადასხვაა. სიმღერე — ცდის (გმირობის) შესახებ; ლექსი ს შინაარსი კი უფრო ქალ-ეაყის სიყვარულია. ფანდურზე მათ სხვადასხვანაირად უკრავენ.

⁹ კოჯა და ნადირა ნათესავებია. კოჯა ნაციმბირალია.

¹⁰ ნადირაჲ თურმე ცხვარს კრემდა. ცხვარმა ფეკი გაიჭინა და ცხვრის გასაყრველ მოღრებულ მყარატელი თვალში მოხვდა თურმე და თვალი გაუფუჭა. ეს ამბავი ვაუტყენა სწორედ კოჯამ კაფიობაში.

რ. ერისთვის დროსაც (Тушино-пшаво-хевსურский округ), რამდენადაც მაქსოვს, ისინი აქ ცხოვრობდნენ. შემდეგ კი აქ სოფლები მიუტოვებით და სამოსახლოდ ალვანს ჩასულან, კახეთში. აქ მხოლოდ ზაფხულობით მოდიან ცხვრით. წოვა-თუშების მაგალითისათვის ჩაღმა-თუშებსაც მიუბაძავთ და ისინიც ჩასულან ალვანში, ასე რომ ალვანში ახლა წოვანიც ყოფილან და ჩაღმანიც. უკედ დროს კი მომიკვდა თუშეთს მოსვლა: ბევრი წასულა ბარად, ცხვრითა და ცოლ-შვილით.

თუშური კილოს შესახებ ჯერ ვერას მოგწერთ, რადგანაც მე ოვითონ არ ვიცი მისი არც ავი, არც კაი: წუხელ საღამოს მოვედი, დაღლილი ვიყავ და მალე დავიძინე და ეხლა, დღით, ჩემი თანამგზავრები ბრუნდებიან უკან და ამ წერილს იმათ ვატან.

ამ თვის შემდეგ პასპორტი აღარ მექნება და თუ მომიკერკებთ, დროებით კელი არ მახლონ და ჯარში არ გამიყვანონ, მადლობელი ვიქნები. წინად მოგწერეთ და თუ წერილი მიიღეთ, გეცოდინებათ, რომ ჩემი კეთილსაიმედობის ნოწმობა ქალაქეტის კანცელარიიდან უნივერსიტეტში გაუგზავნიათ.

წერილს კიდევ მაშინ გამოგიგზავნით, როცა თუშეთიდან პირ-იქით გადავალ, ივრისაკენ.

მომიკითხეთ თქვენი ძვირფასი ცოლ-შვილი.

გიუსურვებთ, როგორც ყოველთვის, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

მარად თქვენი პატივისმცემელი მოწაფე

აკაკი

6

17/IX 1913

ალვანი (კახეთი)

ორმად პატივცემულო მოძღვარო,
 ბატონო ნიკო!

წინანდელი აზრი შემიცვალა თუშეთში ყოფნამ. (მო)კვეურს წინად კვესურულის კილოკავად ვთვლიდი; ეხლა კი, თუშურის შესწავლის შემდეგ, სურათი გამოიცვალა:

კვესურული, მოგვეური და თუშური ერთ ჯგუფს შეადგენს, რომელსაც უნდა ეწოდოს ფხოვეური (Пховское наречие) „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის მიხედვით, სადაც მთიელები საზოგადოთ ფხოველებად იწოდებიან. ეს წოდება შეგვიძლია მივაკუთვნოთ ზემოტყენებულ ჯგუფს მით უფრო, რომ დღესაც ფხნ-ები არიან კვესურები ქისტურ ენაზე. ფხოველები წინად, რასაკვირველია, უფრო სამხრეთითაც იქმნებოდნენ (ფშავი; შუაფხო სოფელია ფშავეში). დღევანდელ ფხოველებს მხოლოდ კალთები უჭირაეთ მთავარი ქედისა: მოკვეენი (წინად სამი საზოგადოება ეხლა ერთ საზოგადოებას შეადგენს და ორი სოფელი ოსიბის საზოგადოებაზეა მიწერილი; იქნება 700-800 კვამლი) პირ-იქით ცხოვრობენ; კვესურეთის შვიდ საზოგადოებათაგან მხოლოდ ოთხი მდებარეობს პირ-აქათ, სამი პირ-იქით არის; თუშების ექვსივე საზოგადოება პირ-იქით მდებარეობს (ეხლანდელი მოსახლეობა ალვანში მისაღები არ არის). თექვსმეტი საზოგადოება—ამ მთელი ფხოვე დღეს, დიდი-დიდი 20.000 იყოს ყველანი ერთად.

თუშურზე როცა ვსაუბრობ, სახეში მაქვს მხოლოდ დედაკაცების ენა. თუშეთში დღეს ორი ენაა (წოვეურს ხომ არ ვთვლი) მამა-კაცებისა და დედა-კაცებისა. პო, სწორედ ორი ენაა! მამაკაცებს ხანდახან თუ წამოცდებოდათ თუშური, თორემ ჩვეულებრივ კახურად უქცევენ; თუშური ენა მხოლოდ დედაკაცებს შერჩენიათ. ამის გამო ტექსტების ჩასაწერად დედაკაცები მოვიწვიე. მამაკაცები მხოლოდ ლექსიკონის გადაშინჯვის დროს მშველან.

თუშურის დამახასიათებელია: ა, რომელიც ძალიან გშირად გაისმის¹¹ (hiatus-ის ასაშორებლად): რაჟი, უდერაჟი („ბეგრი“)¹²; აი>ნი: ნკიდ (აიკიდა), მინ (მოიტანა) და სხვ. ხ (ღ) ან მისი ნაცვლი ხანი ზნნის პირველ დროებში ყველგან დაუქდება, მეორე დროებში კი—მხოლოდ მეორე პირს:

ესთიბ, სთიბ, სთიბს და სხვ.

ესთიბდე, სთიბდე, სთიბდ(ა).

გავსთიბავ და სხვ.

გავთიბე, გასთიბე, გათიბ(ა),

გათიბე (ბრძან.)

ვლესავ, ღლესავ, ღლესავს;

ვლესდე, ღლესდე, ღლესდ(ა);

გავლესე, გალლესე, გალლესა;

გალლესე (ბრძან.).

თუშები ზაფხულში მთაში ცხოვრობენ, ზამთარში კი კახეთში ჩამოდიან და ალვანში ცხოვრობენ. საზამთროდ იქ, მთაში, მეოთხედიც კი არ რჩება. სახლები იქაც აქვთ და აქაც, ალვანში. ალვანი ორია: ზემო და ქვემო. ქვემო ალვანში ქართულად მოუბნე თუშები არიან. ზემო ალვანში უმეტესობა წოვა-თუშები არიან, უმცირესობა — ჩალმა-თუშები¹².

წოვანიც მხოლოდ ზამთარში არიან ალვანში, ზაფხულში ისინიც მთაში აღიან (უმთავრესად ტბათანას, — ილტოსა და კახეთის ალაზნის თავს), ზოგნიც კიდეც ძველ სადგომ ადგილებში: წოვათას, თუშეთში, როგორც ზემო ალვანში, ისე ქვემოშიც ზაფხულში ვერავის ნახავ, ყარაულებს გარდაო.

ამ ბოლო დროს ძალიან აპრელებულია კახეთის თავი ეთნოგრაფიულად. ბევრი ოსი ჩამოსულა და სოფლები აუშენებიათ. მთელი პანკისის ქეობა თითქმის ქისტებს უჭირავთ (ზოგნი მონათლულან). აქა-იქ ფშავლებისა და ქვესურების ახალშენებიც არის.

ამ დღეებში მე მოვრჩები ლექსიკონის გადაშინჯვას (ძალიან გაიზარდა და მისი გადათვლიერება საქმეს მიჭირებს), თიანეთზე გავივლი და ფშავს მივუბრუნდები. უმთავრესი საქმე იქ, ფშავში, ლექსიკონის გადაშინჯვაა. ორხელ თუ გადავიშინჯე, ზომ კარგი, თორემ ერთხელ ხომ აუცილებელია.

თანაც ორიოდ ფშაური ზღაპარი ჩაეწერო, საქმარისია. ფშაური ლექსები საქმაოდ მაქვს შარშანწინ შეკრებილი.

არ გნებათ ერთი ფშაური კაფია (ყიჭ?) კიდეც?

აი ინებეთ:

თათარი: აკი გითხარი, იმედავ,

მაღლდავ გატეხს თათარი.

¹¹ უმთავრესად ანთ დაბოლოებულ სიტყვას დაუქდება.

¹² ადგილობრივ, თუშეთში, მხოლოდ ერთ საზოგადოების მეტოვრებთ ეძიან ჩალმებს (=ქვემოურებს), სახელდობრ ომალოს საზოგადოებისას. სხვანი კი ჩალმებს ჰქვიენებენ ყველა ქართულად მოლაპარაკე თუშებს (წოვეებს გარდა).

იმედა: მე რო გამტეხო, კაცი ვარ, —
 ჭეტიკირ ვერ ვიძლებს საუდარი:
 მღვდელ საწირავად შავიდა,
 ოქრო და ვერცხლი სად არი?
 ჰელ-შეკრულ ჩამოგაჩინეს,
 უკვენ მოგდევდა ჩაფარი.
 ბუსნოს ჭალამდე არ ჩავევა
 დედის ჩაღებულ საფარი.

კარგია, ხომ? იმ ერთ სიტყვაზე დაიჭირეს საწყალი თათარი და კმა გააწყვეტინეს პირში.

გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას
 მარად თქვენი აკაკი

7

25/IX 913

თიანეთი

ღრმად პატივცემულო მოძღვარო,
 ბატონო ნიკო!

გუშინ საღამოს მოვედი ალვანიდან და დღეს მივემგზავრები ივრის ფშავში. იორზე მხოლოდ ტექსტებს ჩავსწერ, ლექსიკონს კი არავგზე გადავშინჯავ. არავეის კეობაში ხუთი თუ ექვსი დღის შემდეგ ვიქმნები.

თუშურის შესახებ უკვე გწერდით ალვანიდან და აქ არას განვიმეორებ. თქვენ რომ წოვა-თუში გდომებოდათ, რალა შორს მიბრძანდებით: მანდვე, პეტერბურგში, ყოფილან წოვანი, ორი ძმა: გიგო და დავითი¹³ ლევანის ძე აბაშიძენი (დავითი უნივერსიტეტში სწავლობს და მეორე ძმა პოლიტენიკუმში), თუ რაიმე ცნობა გნებაეთ წოვურის შესახებ, მოიწვიეთ ისინი.

გაზეთებს გადავავლე თვალი და წავაწყდი წერილებს „კონფლიქტის“ შესახებ. არ მომეწონა გაზეთის თქვენდამი შეკითხვა. არ მომეწონა იმიტომ, რომ შეკითხვის ავტორს სულ სხვა რამ აწუხებს და სულ სხვა ნაირად უყურებს საქმეს. მაგრამ მე აბა რა მოგწეროთ: თქვენ თვითონ კარგად იცით საქმის ვითარება.

ნუ დამემღურებით წერილის სიმოკლისათვის.

გისურვებთ დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას.

მარად თქვენი პატივისცემელი მოწაფე
 ა. შ ა ნ ი ძ ე

8

7/X 1913

ოვალივი (ფშავი)

ღრმად პატივცემულო მოძღვარო!

გავათავე მთაში ხეტიალი. ვფიქრობდი, ორ თვეს დავრჩები-მეთქი და ავერ თითქმის ოთხი თვე სრულდება, გვარიანი მასალები შევპკრიბე, მაგრამ რომ ვუკვირდები ჩემს მუშაობას ამ მთებში, ვამჩნევ, რომ მხოლოდ ნალები.

¹³ გიგო და დავითი, ძველებურად რომ ვთქვა.

მომიგდია; კაცი რომ ვინმე იყოს ან დრო იყოს, კიდევ კარგი ყველის ამოწურვა შეიძლებოდა. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შარშან არაფერი დავბეჭდე. ფშავ-ჭვესურთში მეორედ ყოფნას არსებითად არაფერი მოუცია ჩემთვის, მაგრამ მთიულეთ-გულდამაყრისა, კევისა და თუშეთის მოვლამ დიდა სარგებლობა მომიტანა.

არ ვიცი, როგორ არი ჩემი საქმე მანდ. დღეუთიდან წერილებს მიგზავნიდენ მთებში, ხან ვის გამოატანდნენ და ხან ვისა და ალბათ დაიკარგებოდა, თორემ აგვისტოს აქეთ ცნობა არ მიმიღია. აქ ჩამოვედი გუშინ და იოსების წერილი (28.VIII-ს გამოგზ.) დამხვდა. მწერს, დოკუმენტები გამომიგზავნეთ. მე უნივერსიტეტიდან არავითარი დოკუმენტი არ გამომიტანია, გარდა დროებითი მოწმობისა უნივერსიტეტის გათავების შესახებ. ჩემი დოკუმენტები ყველა (მეტრიკა, სამკედრო ბეგრის მოკლის შესახებ თუ სხვა) მანდვე იქმნება ან უნივერსიტეტში და ან მზრუნველის კანცელარიაში. დღეს კიდევ დეპეშა მივიღე იოსებისაგან (4 ამ თვეს გამოუგზავნია), დაუყოვნებლივ არის საჭირო შენი დოკუმენტებიო. საქმე რომ დაჩქარდეს, დეპეშითვე ვაცნობებ იოსებს, რომ გამოიტანოს ჩემი დოკუმენტები მზრუნველის კანცელარიადან, დეპეშას კელს მოაწერს თიანეთის მაზრის უფროსი და ფოსტა-ტელეგრაფის გამგე და მე მგონია, ვეჭილობის ბართად გამოადგეს იოსებს. ამასთანავე ვუგზავნი დროებით მოწმობას.

არ ვიცი იქამდე არაფერი, თორემ მოვაკერებდი რასმე. ვეჭილობას მაინც გამოგზავნიდი.

ზეგ სალამოს თბილისში ვიქმნები. იქიდან მიინდა გურიაში წავედე რამდენიმე ხნით.

მომიკითხეთ თქვენი ცოლ-შვილი.

დიდის პატივისცემით.

მარად თქვენი პატივისცემული მოწაფე
აკაკი შანიძე

P. S. გთხოვთ მაპატიოთ: სიჩქარის გამო წერილი ურიგოდ არის დაწერილი

ა. შ.

9

1 მაისი [1917]

ბატონო ჩემო ნიკო!

ტერს (ვ)უახლოვდები. ვაგონში ტევა არ არის ხალხისა. წუხელი როგორღაც ორი საათით თვალის მოტყუება მოვაკერებ და კარგ გამოიძინებად ვთვლი.

გუშინ რომ კავკასიის ინსტიტუტის შესახებ საუბარი გვქონდა, სრულუბრით არ მომაგონდა მეტევა, რომ შატბერდის სახარების ენის შესწავლა რომ მაქვს დაწყებული, დაახლოვებით იანვრისათვის მექნება დამთავრებული. გამოკვლევას მიინდა თვით ტექსტიც დაურთო.

მარად თქვენი აკაკი შანიძე

12/XI 921

ტფილისს

ბატონო ჩემო ნიკო!

როგორც ჩანს, ჩემი წიგნი თქვენ არ მიგიღიათ. გიგზავნით კელ-მეორედ. გიგზავნით აგრეთვე უნივერსიტეტის სხვა გამოცემებს, რომლებიც თქვენთვის შესაძლებელია საინტერესო იყოს (ყველა გამოცემა ეგზავნება აკადემიას და პეტერბ. უნივერსიტეტს).

თქვენი იური ამჟამად გურიაში უნდა იყოს. (მე სენათიდან დავბრუნდი და არ მინახავს ახლა. მითხრეს გურიაშიაო). პეტერბურგში წამოსვლას აპირებდა და არ ვიცი, ახლა რას ჰფიქრობს.

თქვენ მოწვეული იყავით ჩვენს უნივერსიტეტში, მაგრამ არ გინებებიათ ჩამობრძანება, რაიცა შეტად სამწუხაროა.

დიდად დამაღონა თქვენი ვალოდიას გარდაცვალების ამბავმა. გთხოვთ თქვენ და თქვენ მეუღლეს მიიღოთ ჩემგან გულწრფელი თანაგრძნობა აუნახ-ლაურებელი დანაკლისის გამო.

ა. შანიძე

ამასთანავე ერთათ ეგზავნი ჩემს თხზულებას სამს ცალად და გთხოვთ გადასცეთ პროფესორებს: ვ. ბართოლდს, ე. კრაჩკოვსკისა და ი. ორბელს.

ა. შ.

ძველად გაგზავნილი მიუვიდეს, გადასცენ სხვას, ვისაც აინტერესებს ქართული ენა.

12/V 10

Königsberg i/Pr.

Глубокоуважаемый учитель!

Получил Ваше письмо, за которое я Вам весьма благодарен.

Я многим обязан Вам, глубокоуважаемый Николай Яковлевич, и теперь еще беспокоить Вас не хватает смелости у меня; тем более, что я хорошо знаю, кто тот человек, от имени которого Вы мне передали деньги перед моим выездом из Петербурга.

Признаюсь, я не знаю, как ответить на доброе желание многоуважаемых Александры и Марии Алексеевных¹⁴, желание помочь мне, вовсе не заслужившему такого внимания. Конечно, глубокой благодарностью прежде всего, а потом, насколько сил хватит, честной и трудолюбивой работой.

Спасибо, спасибо, еще спасибо!

¹⁴ Жена Н. Я. Марра и ее сестра — жена академика В. В. Бартольда. Ред.

Я живу здесь ничего, даже могу сказать хорошо (ჩვენს შორის: უპე-
როდ სადილობასაც მივწვივებ კარგად). Хороший, в сравнении с Петер-
бургом, даже благодатный климат Кёнигсберга и прекрасная погода
как бы идут мне навстречу, желая мне помочь во всех отношениях.

Читаю пока Шиллера. Сперва хочу одолеть слог беллетристов, а
потом приняться за научные труды. Читаю некоторые статьи из „Köpn.
Allgem. Zeit“.

Нужно послушать, как я на моем ломанном языке объясняюсь со
знакомыми. Думаю, что, так или иначе, дело наладится.

Не совсем обычным показалось мне, как 1-го мая развезжали
здесь студенты и развезали знамена.

Глубокая благодарность и сердечная признательность Алексан-
дре Алексеевне и Марии Алексеевне.

Желаю Вам, дорогой учитель, здоровья и долголетия!

Весь преданный Вам и глубоко Вас уважающий

Акакий Шанидзе

P. S. Уже собирался запечатать письмо и отослать на почту, как
почтальон принес мне Ваше исследование о «Барсовой коже».

Рад неопишимо. Большое спасибо!

А. Ш.

12

16/V 10
Königsberg i/P.

Глубокоуважаемый учитель!

С большим удовольствием прочитал я Ваше исследование о
«Б. К.» и, конечно, не раз еще буду я его читать. Жаль только, здесь
нет никого, кто бы мог интересоваться им, как следует. Но даже если
бы и были интересующиеся, то при всем моем желании, пока я не в
состоянии ясно и свободно высказать все то, что у меня на душе (ко-
му охотно слушать такого «немца» оратора, каким являюсь я!), а кто
из не в России живущих немцев владеет русским языком, чтобы Ваш
труд прочесть в оригинале?

Однако, нашелся один студент-еврей из России, который, мне ка-
жется, лишь после того заинтересовался Вашим исследованием, ког-
да, перелистывая его, бросил свои глаза на встречающиеся там ев-
рейские слова.

Я склонен думать и надеяться, что у нас, в Грузии, Ваш ценный
труд встретит радушный прием.

Получил деньги (44 м.) от Вас, за что приношу мою искреннюю
глубокую благодарность.

Поклон мой Александре Алексеевне и Марии Алексеевне.
 Желаю Вам счастливого пути!
 Остаюсь глубоко Вас уважающий

Ак. Шанидзе

13

12/VI 10

Königsberg i/P.

Глубокоуважаемый Николай Яковлевич!

Вот уже полтора месяца, как я нахожусь в Königsberg-е. Оглядываясь назад, вижу большую разницу между тем, что было раньше и что теперь есть. Но чтобы так овладеть нем. языком, как следует, придется работать много, не одно лето и не 3—4 месяца.

С тем студентом, о котором я раньше писал, перестал заниматься. Работаю сам.

В университет не хожу, так как ходить, не записавшись в число действительных студентов, и неудобно и нельзя. Сперва думал было записаться на отделение восточных языков филологического факультета, тогда пришлось бы слушать лекции по еврейскому яз., т. к. подходящего курса по араб. яз. нет, но ввиду того, что определить одно неизвестное (евр. яз.) через другое (нем. яз.) не совсем легкое дело, то раздумал. Правда, теперь кое-что знаю по нем. яз. (только кое-что), так что сумел бы переводить и т. п., но занятие новым языком отняло бы много времени, что плохо отозвалось бы на немецком языке. Быть может, упражнения по переводу, объяснения профессора и т. п. и помогли бы мне в деле изучения самого немецкого языка, но стоило ли беспокоить профессора только два месяца (других начинающих по еврейскому яз. не оказалось), так как остаться здесь долее августа не могу, хотя, пожалуй, не дурно было бы остаться в Германии на один год в каком-либо университетском городе, в Страсбурге скажем, или где-либо в другом, где хорошо поставлено дело изучения семитич. языков. Но, что я говорю? А персидский, грузинский, армянский? Где, как в Петербурге можно их лучше изучить? А потому смысл вышенаписанных строк таков: вообще хорошо жить среди немцев, ну хотя бы для того, чтобы „fließend sprechen“.

Как и следовало ожидать, в Кенигсбергском университете нет и речи о грузинском яз., но почему армянский или персидский отсутствуют, не совсем понятно. Из других вост. яз. проходятся арабский, еврейский, сирийский, ассирийский, арамейский, эфиопский, санскрит. Brockelmann-а уже нет в Königsberg-е, он уже переведен отсюда с прошлого семестра.

Живу хорошо, чувствую себя бодро...

Поклон Александре Алексеевне.

Глубоко Вас уважающий

А. Шанидзе

8. VII. 10

Königsberg i. P.

ГРИММ

Кабинет Н. Я. ГРА

3 авг. 1911 г.

Глубокоуважаемый
Учитель!

Я не предполагал, что немецкий язык нужно брать с бою, нужно завоевать его. Я, думаю, прочитаю, усиленно немец. язык и сделаюсь немцем. Книга, выражение Цезаря (veni, vidi, vici) не применимо ^{ко мне} ~~для меня~~ в данном случае.

Немецкой немец. язык одолеть в достаточной степени. Там и силе сопротивляющейся неизвестная

8/VII 10

Königsberg i/P.

Глубокоуважаемый учитель!

Я не предполагал, что немецкий язык нужно брать с бою, нужно завоевать его. Я думал приехать, услышать немец. речь и сделаться немцем. Нет, выражение Цезаря (*veni, vidi, vici*) не применимо ко мне в данном случае.

Книжный немец. язык одолел в достаточной степени. Там и сям встречающиеся неизвестные слова не мешают пониманию прочитанного. Но что касается разговорной речи, то очень слаб. Во-первых, говорю медленно, что убийственно действует на немца, а во-вторых, делаю такие ошибки, что ой-ой!

Хотя один приват-доцент выразился обо мне, что я великолепно (*grossartig*) говорю, но я сам хорошо вижу, в чем состоит это «великолепие». Большею частью сижу я дома и читаю. Разговаривать приходится мало. Этим нужно, я думаю, объяснить, почему я еще не все улавливаю, когда быстро говорят. Досадно страшно, но приходится мириться с фактом.

Приват-доцент, который такой хороший «отзыв» дал обо мне, читает лекции по коптскому яз. Специальность его — Египтология. Фамилия его *Wreszinsky*. Узнав от своего слушателя, что я с Кавказа, пригласил меня к себе и передал следующее:

К нему обратился заменяющий должность (*Vertreter*) *Regierungspräsident*-а (Восточной Пруссии), состоящий в то же время куратором при университете, и спросил, не знает ли он, *Wreszinsky*, кавказ. языков и не может ли оказать ему помощь. *Wg.*, конечно, ответил «нет»-ом.

— Может быть, вы поможете ему, интересующемуся Кавказом? — спросил он меня.

— Если только могу, готов... — был мой ответ.

— В таком случае я напишу ему о Вашем пребывании здесь и весьма вероятно, Вы получите приглашение. Таким образом, откроется Вам возможность кое-что заработать.

— Я рад, что в Европе интересуются Кавказом. Что же касается заработка, то это второстепенная вещь...

— *Das ist keine Nebensache!* — вдруг прервал он меня. Тогда предстал передо мною образ немца, который не любит никогда себя забывать и кто бы он не был, материальную сторону дела всегда выставит вперед.

С тех пор прошла неделя, другая, а ответа все нет, да и не будет, кажется, никогда.

Сегодня я получил от Марии Алексеевны Бартольд 15 руб. В письме сообщает, что посылает эти деньги по Вашей просьбе. Очень я благодарен, многоуважаемый Николай Яковлевич, как Вам, так и

Марию Алексеевну. Но прошу, убедительно прошу, не беспокоиться обо мне, как потому, что не заслуживаю такого внимания, так и потому, что у меня есть, чем жить.

На эти деньги я приобрету некоторые необходимые учебники.

Не могу не сообщить Вам радостного для меня известия. Товарищ по Дух. училищу, потом и по гимназии, Дав. Кипшидзе (брат хорошо известного Вам Иосифа) пишет мне: „ყოველ-მხრივ აწონ-დაწონის შემდეგ გადაწყვიტე აღმ. ენათა ფაქულტეტზე შესვლა-ო“. Весьма и весьма рад этому сообщению. Давида К. (или просто დათიკო, как я его называю) я знаю, как нельзя лучше: он скромн, далек от самохвальства и высокомерия, способен и, главное, трудолюбив. К сожалению, не совсем здоров.

Насколько мне известно, ввиду этого обстоятельства, старший брат советовал ему поступить в Одессу, Киев или Харьков, — Петербургский климат-де не тебе перенести, — «მაგრამ აბა ვინ დაუჭერებსო»? замечает по этому поводу დათიკო.

К прискорбию, приходится замечать, что наше отделение Восточн. фак. не особенно тянет к себе здоровых телом, но если кто «по недоразумению» поступает, то бежит, не оглядываясь назад. Кому, как не Вам, знать лучше об этом?!

Я жив, здоров, занимаюсь. С прежней квартиры съехал...

[Drummstrasse, 17, III Tr., bei Eggert].

Поклон Александре Алексеевне!

Желаю Вам, дорогой Учитель, здоровья и долгих дней!

Преданный Вам

Ак. Шанидзе

Р. С. Перечитывая письмо, нахожу его небрежно написанным, за что прошу прощения; во-вторых, не ясно, чем именно интересовался куратор и чего собственно он хотел. Как передал Wг., он желал изучить «кавказские», в особенности же груз. яз.

Было бы недурно с ним лично поговорить, но...

А. Ш.

Глубокоуважаемый учитель!

Сердечное спасибо за письмо! Сообщить Вам о себе ничего особенного не могу. Живу себе по-прежнему: жив, здоров, занимаюсь. Еще месяц, и придется в Петербург возвращаться. Но не хотелось с пустыми руками туда ехать, хотелось заpastись двумя-тремя необходимыми книгами. К сожалению, не могу найти на европейском книжном рынке, насколько каталоги позволяют, четверостиший Хаяма, которого будем читать в будущем семестре, для продажи. Переводов сколько угодно, но мне ва-

жен оригинальный текст, вот что. Не беда, если отцы довольствовались гектографич. изданием, не мешало бы и сыновьям вкушать сладости занятий, когда читать и искать слова приходится наугад. Затем искал я также в каталогах антикв. книжн. магазинов Грузино-рус. словарь Чубинова (иногда находишь вещь, где ее не ожидаешь совсем), но напрасно. Зато наткнулся на книжечку-тетрадь, имеющуюся в продаже в одном антикв. кн. маг. во Франкфурте на-М., в которой, повидимому, трактуется кой-о-чем из Чанской грамматики; по крайней мере, так стоит в каталоге: Meyer Gust., Lazisch. Nomina (alpabet). Она любопытна, быть может, в том отношении, чтобы еще раз видеть, как в европейском ухе два и более родственных звуков сходятся в один. Не говоря о Вашем труде, она, думаюется мне, ничего нового не вносит в изучение Чанского после работы Rosen-a (видите, как я смело рассуждаю, не будучи знакомым ни с Rosen-ом, ни с Meyer-ом!). Впрочем, это одна из национальных черт, тем более, что она всего в 32 стр¹⁵. Принимая во внимание, что здесь научные издания страшно дороги, и что, с другой стороны, упомянутая вещь представляет собой рукопись да еще самого автора, то цена ее (20 м.) не высокая, но вряд-ли кто-либо найдет нужным приобрести ее после Вашего труда. О другой рукописи того же автора, касающейся грузинского, и меньшей по объему (19 стр.), и менее ценной во всех отношениях, нечего и упоминать. Странно только, почему автору не удалось напечатать ее.

Поклон Вашей семье.

Желаю Вам львиного здоровья и долгих дней
 Весь преданный Вам

А. Шанидзе

16

15/VIII 910
 Königsberg i/Pr.

Глубокоуважаемый Учитель!

Сейчас же по получении Вашего письма, написал я в Leipzig Вашему миссионеру и сообщил, где можно достать брошюру Meyer-a. Думаю, что по приезде Вашем в Петербург, Вы найдете желаемую рукопись уже в кабинете на письменном столе. Жаль только, что тогда же не написал я Вам самим точнее. А ведь это было так легко! Стоило лишь приписать: Joseph Waeg, Frank. a. M. Hochstr 6.

Большое спасибо за память и за добрые советы!
 Эдешний Prussia-Museum производит хорошее впечатление. Больше даже: в нем не мало вещей, достойных не только двухчасового осмотра, но даже изучения. Насколько он беден иностранными древностями, настолько он богат местными, прусскими.

¹⁵ Хотя вообще на количество не нужно обращать внимания, но в данном случае не думаю, чтобы качество ее было особенно высокой пробы.

Чего не могу я простить кенигсбергцам, это то, что памятник „Königsberg-скому Отшельнику“, I. Kant-у стоит не на должном месте. Я смело перенес бы его туда, где перед Университетом, на Parade-Platz величественно поднимается памятник королю Friedrich Wilhelm IV; перед храмом науки больше прав имеет философ, нежели венценосная особа. Вообще, не мешало бы им перемениться местами. Но захотят ли этого немцы? Вряд ли. Они такие монархисты, что сохрани бог! В ближайшем будущем ожидается прибытие Wilhelm'-а II. Ассигновано 30 тыс. марок для украшения города и должного приема Императора. Все с радостью ожидают его. Буквально все, от мала до велика.

Посмотрим, что будет.

Я сперва думал было возвратиться в Россию к [31-му?] августа по нов. стилю. Но к чему спешить? Можно немного попозже, так, чтобы к 1-му сентября (по стар. ст.) быть в столице.

Желаю Вам, дорогой Учитель, здоровья и долгих дней!

Глубокий поклон Александре Алексеевне!

Счастливого пути!

Весь преданный Вам

А. Шанидзе

შენიშვნები

ნიკო მარის პირადი არქივი მეცნიერის ქვრივმა და ამ სტრუქტურების ავტორმა სახელმწიფო დაწესებულებას გადაეცით 1936—1937 წლებში ზოგადი სიით, შემდეგ ეს სია იქნა კლასიფიცირებული და საარქივო წესებით აღრიცხული. ბარათები გამოიყო II (ა — ნ. მარის წერილები) და III (B — წერილები ნ. მარისადმი) ჯგუფებად (იხ. საარქივო მასალების კრებული: ნიკო მარი რუსთაველის შემოქმედების სათავეებისა და პოემის შესახებ, რუსულ ენაზე, ჩვენი გამოცემა, თბ., 1964, გვ. 240—241).

შემდგომ პროფ. კ. დონდუას, ჩვენი პირადი და სხვა კერძო არქივებიდანაც შეემატეთ ნ. მარის არქივს მასალები. არქივში ამჟამად 2600-მდე ბარათია დაცული.

არქივის მე-800 ფონდში აკავი შანიძის მიერ ნიკო მარისადმი გაგზავნილი ბარათების შიფრებია: B № 1605 (ქართულ ენაზე იხ. ზემოთ — 1—10) და B № 1051 (რუსულ ენაზე, ზემოთ — 11—16).

1. ბარათს აწერია მისამართი:

«Его превосходительству

Николаю Яковлевичу Марру,

Петербург, В. О.

Четвертая линия, Д. 7, кв. 14».

ბარათის თავზე ნ. მარის ხელით მინაწერია: Отв. 13.7.7, ე. ი. Ответ. ეს ეხება ფასანაურთან 15.VI. 1913-ს. გაგზავნილ ბარათს. ასევეა შეცემეტქ ბარათზე: Ответ), 4 июля. ამრიგად, აღრესატს ბარათის მიღებისთანავე გაუგზავნია საპასუხო წერილი ავტორისათვის.

„თქვენი ვეფხეები როგორ არიან (გიორგი და ესეკო)“ — ესენი იყენენ: ნ. მარის ვაჟები გიორგი, ივიე იური (1893—1935; ზოგი მას ფრიდონსაც უწოდებდა) და ესე — ოფიციალური სახელით ვლადიმერი (ვალდია. დაიღუპა წითელი კერისანტი — უკრაინაში 1921 წელს).

2. ბარათი გაგზავნილია მაშინდელი ერევნის გუბერნიის სადგურ ანისში. მაშინ ნ. მარი ანისის არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა.

3. ეს და სხვა ბარათები პეტერბურგ-პეტროგრადშია გაგზავნილი. მე-3 ბარათი არქივის ფონდში არ ჩანს. იგი ჩვენ სხვა ფონდში ვიპოვეთ აღრევე (მას დასასრული აკლია) და სათაუ-



რით „ზარათი შიდან“ გამოვაქვეყნეთ გაზ. „თბილისში“ (1977 წ. 20 მაისი, № 116, გვ. 3) დასრულებული
 დღე ბარათის ტექსტი ფოტობირითურთ, ჩვენი შესავლითა და შენიშვნებით, მოვითავსეთ
 კრებულში „აკაკი შანიძეს“ (თბ., 1981 წ., გვ. 70—72+4 გვ. ჩაკრული სურათი).

4. გვერდების თანმიმდევრობა არქივის ნუმერაციაში არეულია; ჩვენ მათ ღედნის გვერ-
 დებისა და შინაარსის მიხედვით ვადგენთ.

5. ქალაქ პეტრი სომხური სიტყვაა, градоначальник-ის ნიშნავს.

8. იოსებ — იოსებ ყიფშიძე (1882—1919).

9. წელი არ აწერია, მაგრამ აშკარაა, რომ მე-10 ბარათზე აღრეა დაწერილი. კავკასიის
 ინსტიტუტი — ნ. შარის მიერ 1917 წელს თბილისში დაარსებული რუსეთის მეცნიერებათა აკა-
 დემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტია (შემოკლებით: КИАИ).

ზარათთა ღედნები ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის განყოფილებაში—
 ფონდი 800, № 1051.

წერილები გაეცანით აკად. აკაკი შანიძეს და ვაქვეყნებთ მისი ნებართვით.

ПИСЬМА А. Г. ШАНИДЗЕ Н. Я. МАРРУ

Публикуются 16 писем А. Г. Шанидзе (10 на грузинском языке, 6 на русском), написанных молодым ученым в 1913 году, когда он находился в научной командировке для изучения горских говоров грузинского языка, а также в 1910 году, когда он, будучи студентом Петербургского университета, проводил лето в Кенигсберге с целью усовершенствования знаний немецкого языка.

Подлинники писем хранятся в Ленинградском отделении Архива Академии наук СССР, (Университетская набережная, 1), фонд 800, В № 1005 и В № 1951.

Они публикуются с разрешения автора.

Письма подготовлены к печати и снабжены примечаниями И. В. Мегрелидзе.

მ ე ც ნ ი ე რ ი ს ი უ ბ ი ლ ე

ალექსანდრე ბარამიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მარი ბროსე — ქართული მწიფეობის მკვლევარი

ამან მთელი არსებით შეიყვარა საქართვე-
ლო.

ლორან ბროსე

მარი ბროსე აკადემიური ქართველოლოგიის ფუძემდებელია და მისი პირველი შესანიშნავი წარმომადგენელი. ბროსე იყო ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა დარგის ნაყოფიერი მკვლევარი, ფართო მასშტაბის ისტორიკოსი და ფილოლოგოსი, უწინარეს ყოვლისა ისტორიკოსი, რომელმაც ფილოლოგიის სფეროშიც დატოვა წარუშლელი ნათელი კვალი. ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერება ბროსეს დროს და შემდეგაც კარგა ხანს არ იყო დანაწევრებული ცალკეულ დისციპლინებად, მით უფრო ცალკეულ ვიწრო სპეციალობებად. როგორც ფილოლოგოსი, ბროსე იყო ფართო პროფილის ლინგვისტი (ქართული ენის მკვლევარი) და ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი. ქართულთან ერთად ბროსე წარმატებით სწავლობდა სომხურს და, როგორც ნიკო მარი სამართლიანად ამბობს, მან დაღუპო სათავე ქართულ-სომხურ ფილოლოგიას.

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის კომპლექსური შესწავლის მხრივ ბროსეს მოუხდა პირველი ხნული ვაგლეხა და ნამდვილი ყამირის გატეხა. ამიტომაც ბუნებრივად განსაკუთრებით მის აღზრდილ ნაშრომებში შეიმჩნევა ცალკეული ნაიუფი მოსაზრებანი და აშკარა შეცდომები. მაგრამ განმსვციფრებულია და აღტაცების გამოწვევი ის დიდი შრომა და საარაკო ენერჯია, რაც ბროსემ მოახმარა ქართული კულტურის შესწავლის საქმეს. ბროსეს შრომების მოკლე ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც მისმა შვილმა ლორანმა (ლავრენტომ) გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე პეტერბურგში 1887 წელს, ერთ დიდ ტომს მოიცავს.

ბროსე ეძიებდა, კრებდა, აგროვებდა, აწესრიგებდა და ერთგვარად ასისტემებდა სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ-ფილოლოგიურ მასალებს¹, აქვეყნებდა ამ მასალების აღწერილობებსა და ინდექსებს, ზოგჯერ მთელ ძეგლებსაც ბეჭდვად და დედნის ენაზე და ფრანგული თარგმანებით. ბროსე იყო მკვლევარი-შემკრებელიც, ანალიტიკოსიც, სისტემატიზატორიც და სინთეტიკოსიც.

ქართული მასალების შესწავლა და მისი შედეგების პუბლიკაცია ბროსემ საფრანგეთში დაიწყო 1828—1830 წლებში. იგი თანდათანობით იფართოვებდა და იღრმავებდა ქართულის ცოდნას. საგულისხმოსა, რომ ვეფხისტყაოსნის ბროსეული გამოცემისათვის შეთხზულ ლექსის ბოლოსტყევაში თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა ბროსეს შესახებ „მეოცნე ქართველთ ენის“, რაც აღერსატს თავდაბლობით ასე შეუცვლია „მზრუნველ ქართველთ ენის“.

პეტერბურგში გადმოსვლამდე ბროსეს შესწავლის ობიექტი იყო პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთი პირველი ქართული ძეგლი, რომელიც ბროსემ 1835—1836 წლებში

¹ მაგალითად, პეტერბურგის ყოფილი სააზიო მუზეუმის (აწ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა განყოფილება) ქართულ ხელნაწერთა ფონდის უდიდესი ნაწილი შექმნილია და თავმოყრილია ბროსეს დროს და ბროსეს წყალობით.



შეისწავლა, განიხილა და ფრანგულ ენაზედაც გამოცა, იყო „შირანი“ (ნაწყვეტები უმცირესი დაბეჭდვა ინგლისურადაც ლონდონში 1836 წელს). ბროსე სისტემატურად და ბეჯითად იკვლევდა პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ორ ხელნაწერს, რომელთაც იგი იხსენიებს ხოლმე ლიტარებით E და F და რომლებიც შეიცავენ ვეფხისტყაოსნის ტექსტს, ერთი—ტყველ რედაქციას, მეორე—მოკლეს (ვახტანგისეულ რედაქციას). ბროსე იმთავითვე დაუკავშირდა პეტერბურგში მცხოვრებ სწავლულ ბატონიშვილ თეიმურაზს (1782—1846) და იმისგან ლებულობდა რჩევადარიგებას მისთვის საინტერესო მრავალრიცხოვან საკითხზე მუშაობისას ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა და მწერლობის სფეროში. 1830—1836 წლებში ბროსეს კონტაქტი თეიმურაზთან მიმდინარეობდა წერილობით, 1837 წლიდან (ბროსეს პეტერბურგში დამკვიდრების პერიოდთან) ეს კონტაქტი მჭიდრო, ცოცხალ ურთიერთობასა და მეგობრობაში გადაიზარდა. სიერთოდ, ფრანგი და ქართველი სწავლულების განუყრელი მეგობრობა, სულიერი მშობა და საქმიანი თანამშრომლობა ჩვენი კულტურის ისტორიის დამამშვენიებელი ფურცლებია.

თეიმურაზის „წერილი-სტატიები“ (რუსულად ორბელის სიტყვებით) ზოგჯერ ფრაგმენტული, ზოგჯერაც დასრულებული ნაკვეთებია, რომლებიც მიმართულუბას აძლევდა ბროსეს მუშაობას, საფუძვლად ედებოდა ფრანგი სწავლულის კვლევა-ძიებას, ხშირ შემთხვევაში კი ისინი თეიმურაზისავე სახელით ქვეყნდებოდა „ნუეი ეურნალ აზიატიკში“.

1837 წელს ბროსე აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ამ დროიდან იგი დასასხლდა პეტერბურგში და ფართოდ გაშალა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა. გარდა თეიმურაზ ბატონიშვილისა, მან მჭიდრო კავშირი დაამყარა პეტერბურგელ და მოსკოველ ქართველებთან. საქართველოში მგზავრობის დროს (1847) კი ბროსეს ნაცნობთა და პატივისცემულთა წრე გაიზარდა (პლაცონ იოსელიანი, რაფელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი შედენიძე-უცესიშვილი...). ბროსეს კონტაქტები ჰქონდა ბევრ რუს და უცხოელ ორიენტალისტთან. მისი ახლო მეცნიერი მეგობარი და თანამშრომელი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩუბინიშვილი (ჩუბინოვი). ბროსეს მუდმივი დამხმარე თანამშრომლები იყვნენ სიმონ (სიმონიანი) ტაბიძე (მწიგნობარი და მბეჭდავი), იოსებ ნახაროვი და პეტრე ქებაძე (მწიგნობარ-გადამწერლები).

მიმოხილეთი ხასიათის ამ ნარკვევში ჩვენ ვეხებით ბროსეს მოღვაწეობას მხოლოდ ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ფრანგი სწავლული ნაყლებ ყუარადლებას აქცევდა ქართულ სასულიერო მწერლობას, სამაგიეროდ მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე შეუნდებელ ინტერესს იჩენდა საერო მწერლობის მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოღვაწეობის პირველ (საფრანგეთის) პერიოდში ბროსესთვის ძირითად ბაზას წარმოადგენდა პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა და მისი ქართული ხელნაწერები². ეს იყო პრაქტიკულად ხელმისაწვდომი მასალა. ბროსეს იმთავითვე მეცნიერული ცნობისმოყვარეობა აღუძრა ვეფხისტყაოსნის ცნობილმა სტროფმა:

აშირან დარეჯანის-ქე მოსეს უქია ზონელსა,
აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ სარგის თმაგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლმუშურომელსა.

ბროსეს თეიმურაზ ბატონიშვილისათვის უთხოვია განმარტება ამ შაირში დასახელებული ძეგლებისა და მათი ავტორების შესახებ³. თეიმურაზსაც არ დაუყოვნებია და 1833 წლის თარიღით შესაფერისი პასუხი გაუცია (წერილები, გვ. 32—38). პეტერბურგში დამკვიდრების შემდეგ, ეტყობა, თეიმურაზს ბროსესათვის გადაუცია დამოწმებული ბიბლიოგრაფიული შიარის უფრო დაწვრილებული ანალოგი. 1841 წლის საერაუდებელი თარიღით თეიმურაზს ბროსესათვის მიუწერია: „გთხოვ, რომ ვეფხისტყაოსნის განმარტება, რომელიც მე განმარტებ, თქვენა გქონდეთ, თქვენთან შეინახეთ და, როცა მოიცილიდეთ,

² ეს ხელნაწერები ახლა საწადოდ აღწერილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი) პარიზი, 1933.

³ თეიმურაზ ბავარტიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. „ტექსტი გამოცემვად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილიმა, თბ., 1964, 108 გვ. (ქვემოთ მას წყარო აღინიშნება შემოკლებით — წერილები).



ფრანციულად სთარგმნეთ, სხვას სურავის მისცემთ; ჩემი ნება არ არის, რომ სხვას უფრო მისცეთ, და ნახევარსაც განმარტებისას, რას წამს შევასრულებ, იმასაც თქვენ მოგართმევთ სთარგმნულად" (წერილები, გვ. 86). „წერილების“ გამოშვებული ს. ყუბანეიშვილი ამის გამო სავანგებოდ შენიშნავს: „აქ უნდა იგულისხმებოდეს თეიმურაზის წერილი ბროსესადმი მიწერილი, რომელიც ჩვენს გამოცემაში მე-10 ნომრით არის დაბეჭდილი“ (გვ. 118). შენიშვნა სწორი არ არის. დამოწმებულ შემთხვევაში თეიმურაზი გლისსმომბს თვის ვრცელ ნაშრომს — „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“, რომელიც გამოთავა 1843 წელს. თეიმურაზს „განმარტების“ პირველი ნაწილი (პირველი ნახევარი) ბროსესათვის გაუგზავნია დაახლოებით 1841 წელს, „ნახევარსაც, რას წამს შევასრულებ, იმასაც თქვენ მოგართმევთ“. „განმარტების“ მთელი ტექსტი 1960 წელს გამოაქვეყნა ვაიოხ იმედაშვილმა.

თავის ნარკვევებში ბროსე ჩვეულებრივ ავითარებს ბატონიშვილის ნაფიქრ-ხაზრევს ქართული შწერლობის საკითხებზე. მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელოვანი კორექციები შეჭმონდა მიწოდებულ ახსნა-განმარტებებში და თავის საინტერესო თვალსაზრისსაც გამოხატავდა. ამ მხრზე საყურადღებოა ბროსეს სპეციალური გამოკვლევა, რომელიც მან მიუძღვნა ამირანდარეჯანიანისა და დილარიანის პრობლემას („ქართული ამირანდარეჯანიანის ერთ ხელნაწერს, რომლის ძირითადი ნაწილი გადაწერილი იყო 1808 წელს ბერ-მონაზონ დიმიტრის მიერ, ორი თვის კი ამ ნუსხაში დამატებით შეუტანია და თავისი ხელით ჩაუწერია ბაგრატ ბატონიშვილს 1814 წელს. ეს ორი კარი შეიცავს ე. წ. ჟიმშერიანს, ანუ ჟიმშერ დილარის შვილისა და ჟიმშერის შვილის არ-მოკლა კნაბუკის ამბებს. თეიმურაზის განმარტების თანხმად, ამირანდარეჯანიანი „ოთხმეტე ზღაპარი არის, თითო ზღაპარს თითო კარი აქვს“ (წერილები, გვ. 33; განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, 1960, გვ. 289). მაშასადამე, თეიმურაზი ჟიმშერიანსაც თვლიდა ამირანდარეჯანიანის ორგანულ ნაწილად. ცხადია, ამავე აზრისა იყო ბაგრატ ბატონიშვილიც, რომელსაც სავანგებოდ დაუშვებია მის ხელში მყოფი ტექსტისათვის ჟიმშერიანის ამბავი. მსგავსი თვალსაზრისის ავითარებდა შემდეგ ქართული შწერლობის ზოგი ავტორიტეტული მკვლევარი (მაგალითად, 1924 წ. კ. კეკელიძე). ბროსემ განმაცვიფრებული მეცნიერული ალღო გამოიჩინა, ტექსტის თეიმურაზ-სტრუქტურებიც და იდეურ-შინაარსობრივი ანალიზის შედეგად დაასაბუთა, რომ ჟიმშერიანი არ არის ამირანდარეჯანიანის ნაწილი. იგი ამ თხზულების ვაგრძელებს, ინტერპოლაციას ან წაბაძვას წარმოადგენსო (და არც დილარიანია). ბროსეს ეს მოსაზრება შემდგომში გაღრმავებულმა კვლევამ-ძიებამ უპილობელი გახადა და დღეს იგი საყოველთაოდ არის აღიარებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში (აღ. ბარამიძე, ნარკვევები, I, თბილისი, 1945, გვ. 33—52).

თვითონ ამირანდარეჯანიანს ბროსე თვლიდა სარაინდო ქანრის რომანად. თხზულებაში ასახული ფალავნობა და ვიპრობა მან შეუპირისპირა დასავლეთეოპოპული შუა საუკუნეების რაინდობას (chevalerie) და მათ შორის ბევრი მსგავსება დაინახა. ბროსეს დაკვირვებით, ამირანდარეჯანიანში, ისე როგორც დასავლეთ ევროპის სარაინდო რომანებში, გამოხატულია მფვის (სიუზერენის) ერთგულების და თავდადებული სამსახურის იდეა; აგრეთვე ქალის კულტი. ამირანდარეჯანიანის სიუეტური წარმოშობის თაობაზე ბროსე გადაჭრითი პასუხს ვერ იძლეოდა, თუცა, მისი ფიქრით, საგმირო-სათავდასავლო ფანტასტიკური მოთხრობების კვალობაზე ამირანდარეჯანიანი ასახავდა ქართველი სპარსიკაო რაინდული საზოგადოების სულსკვეთებას.

ბროსე მოკლედ შეეხო ქართული კლასიკური პერიოდის (მისი ტერმინოლოგიით „ოქროს საუკუნის“) დანარჩენ ეპიკებსაც. შავთელის აბღულმესიანზე თეიმურაზისეული შეხედულების მიმდევარია. უცხოელი მეცნიერი დიდად აფასებდა თამარიანის პოეტურ ღირსებებს. ამ სახობო ძეგლის ავტორად, წინააღმდეგ ტრადიციას, ბროსე თვლიდა შოთა რუსთველს, ე. ო. რუსთველი მასმანდა როგორც ვეფხისტყაოსნის, ისე თამარიანის ავტორად. საკულისხმოა, რომ ბროსეს ეს მოსაზრება, მართალია, ფრთხილად გაიმეორა ნიკო მარამ (Древнерузинские описания, 1902).

ვისრამიანის თაობაზე ბროსე ხელმძღვანელობდა თეიმურაზ ბატონიშვილის მითითებებით (წერილები, 35). ამ რომანს მეცნიერი თვლიდა ძლიერი ეროტყული სიყვარულის გამოხატვეულ ნაწარმოებად. ავტორობას მიაწერდა სარგის თორგველს. საინტერესო ისაა, რომ ბროსეს განზრახული ჰქონია ვისრამიანის ფრანგულად თარგმნა. ამისათვის სავანგებოდ გადაუწერიათ მთელი თხზულების ტექსტი, ბროსე შედგომია კიდევაც თარგმნას 1851 წელს. მაგრამ

9. მა ი ე ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 3



ხელნაწერის მე-11 გვერდზე შეუწყვეტია მუშაობა და შემდეგ, როგორც ჩანს, მოუღებლობის გამო მას აღარ დაბრუნებია⁴.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ბროსე დიდი სიყვარულითა და გატაცებით დასტრიალებდა თავს შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს: სწავლობდა, იყვლევდა, თარგმნიდა, ზრუნავდა მის მეცნიერულ გამოცემაზე.

ბროსე პირველი უცხოელია, რომელმაც ევროპას გააცნო ჩვენი სახელოვანი წარსული და ჩვენი აწყო, ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურა, ამ კულტურის დღეობა და მშვენიერება ჩვენი ვეფხისტყაოსანი. ისტორიული სამართიანობა მოითხოვს ისე აღინიშნოს, რომ ბროსეს წინ უსწრებდა ევგენი ბოლხოვიტინოვი, რომლის წიგნი «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии». დაიბეჭდა ბეტერბურგში 1802 წ. 1804 წელს გამოქვეყნდა გერმანული თარგმანი. ბოლხოვიტინოვის წიგნი რიგ უხეშ შეფასებებშია, მაგრამ საყურადღებო და სასარგებლო ინფორმაციას აწვდის მეთხველს ქართული კულტურის შესახებ, ამ წიგნმა გაუღვია ბროსეს ინტერესი ქართულისადმი და მიძე მისცა მის შემდგომ მოღვაწეობას.

ბროსემ ჭერ კიდევ 1828 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი «ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა» (JA), რომელშიც ჩართულია ვეფხისტყაოსნის შინაარსი (გრძელი რედაქციის მიხედვით). იმავე 1828 წელს ბექდაეს პოემის დასაწყისი ამბის პროზაულ თარგმანს (NJ, II)⁵, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბროსე სასარგებლოდა ვეფხისტყაოსნის იმ ორი ხელნაწერით, რომლებიც დატულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ერთი ხელნაწერი, ბროსეს ლიტერით F, გადაწერილია 1702 წ. შემახაში ყაზანთ ბეგოას ქალის მიერ. ხ.ლნაწერი შეიცავს პოემის ვრცელ რედაქციას. ტექსტი ძალზე წარყენილია. მეორე ხელნაწერი, ბროსეს ლიტერით F, გადაწერილია 1811 წელს იოანე იალღუხისძის მიერ. მომდინარეობს პოემის ვახტანგისეული გამოცემიდან. 1811 წელს იოანე იალღუხისძის ხელნაწერის მიხედვით. ვეფხისტყაოსნის ბროსესეული ხელნაწერი ამჟამად ბილიონე იალღუხისძის ხელნაწერის მიხედვით. ვეფხისტყაოსნის განყოფილების ხელნაწერთა ფონდებშია — K²; ჩვენი განკარგულებაშია ყაზანთ ბეგოას ქალის ხელნაწერის მიკროფილმი და ფოტოპირი. ვეფხისტყაოსნის თავისი სამუშაო ხელნაწერის გვერდებზე ბროსეს მიწერილი აქვს შესაფერისი ქართული შარბების ფრანგული (პროზაული) თარგმანი. 1831 წელს ბროსე ბექდაეს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილების თარგმანს და მთელი პოემის შინაარსს (NJ, VII, 1831). თვითონ ბროსესეულ ხელნაწერს თავში მიწერილი აქვს: «ვეფხისტყაოსანი. ტარეილისა და ნესტანდარეჯანის მიჯნურობა, რუსთველისაგან. ფრანციულად გარდმოთარგმანებული ბროსეტისაგან, ჩლბ (1832), პარიზი»⁶.

აღრე ბროსე ვეფხისტყაოსანს ჩვეულებრივ უწოდებდა «ტარილს». 1828 წლის თარგმანით რუსთველის პოემა სწორად აქვს დასათარგმნული — «L'homme à la peau de tigre». მით უფრო საკვირველია, რომ ვეფხისტყაოსნის 1841 წლის ბროსესეული გამოცემა რუსულად დასათარგმნულია, როგორც «Барсова кожа». ეტყობა, ამ მხრივ თავისი როლი შეასრულა ბოლხოვიტინოვის წიგნმა იქ პოემას სწორედ «Барсова кожа» უწოდებდა. ტერმინ ეეფხისტყაოსნის ვეფხისტყაოსანს ბროსე ბარსის, პანთერის, ლეოპარდის სასარგებლოდ იხრება. ფრანგი მეცნიერი წერს: «ვეფხისტყაოსანი ამბავია კაცისა, რომელსაც აცვია ვეფხვის, ავაზისა თუ ლეოპარდის ტყავი (რმლ., I, 65).

ბროსე ბეგის ცდილობდა ვეფხისტყაოსანი ფრანგულ ენაზე გადაეთარგმნა ლირებისამებრ. მას შეუმუშავებია თარგმანის გარკვეული მეთოდი. ბროსეს თანხმად, თარგმანი ზუსტად უნდა გადმოცემდეს დედნის შინაარსსაც და მისეულ სტილსაც, მაგრამ არ უნდა იყოს არც სიტყვასიტყვითი და არც მეტად თავისუფალი (რ. დოდაშვილი, გვ. 70). ყველაფრიდან ჩანს, რომ თავისი თარგმანი ბროსეს არ აკმაყოფილებდა. ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემის წინასტყვაში ბროსე ეთხოვლ კიდევ აღნიშნავდა, «ფრანციულად ვაშხადებ» ამ პოემის თარგ-

⁴ რუსულად დოდაშვილი, მარი ბროსე—ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962, გვ. 81.

⁵ ორივე დამოწმებული ტექსტის თარგმანის ნაწყვეტები გამოქვეყნებულია კრებულში — «რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში» (I, თბ., 1976, გვ. 37—43; კვებით ეს კრებული აღინიშნება შემოკლებით — რმლ.). ნაწყვეტები ფრანგულიდან გადმოთარგმნა ნუნუ ქაღვიშვილმა.

⁶ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები..., პარიზი, 1933, გვ. 43—45; რ. დოდაშვილი, მარი ბროსე, თბ., 1962, გვ. 69, 72; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, თბ., 1970, გვ. 74—77; ლ. მენაბდე, შენიშვნები (რმლ., I, გვ. 410—411).

მანსო და იმედს გამოთქვამდა, რომ ევროპაში მოუწონებდნენ ნამუშევარს. სამწუხაროდ კი ეს კეთილშობილური განზრახვა ბროსემ ვერ განახორციელა. მას მხოლოდ აღრიხდელი, შავად შესრულებული თარგმანის ტექსტი დარჩა, გაუჩაღხავი და გაურანდავი (ინახება ლენინგრადში, მის არქივში). ბროსეს აღრიხდელ, ნაწილობრივ გამოქვეყნებულ თარგმანს მადლიერი ქართველი საზოგადოება, ფრანგულის რიგიანად მცოდნე თეიმურაზ ბატონიშვილის სახით დიდი კმაყოფილებით შეგვადა (წერილები, გვ. 12).

ვეფხისტყაოსნის თარგმნის პარალელურად ბროსე სერიოზულად ფიქრობდა ქართული დედნის გამოცემაზე. ამისათვის თადარიგს იქერდა. როგორც ვიცით, საკუთარი ხელით გადმოწერა პარიზის ვრცელი რედაქციის ხელნაწირი და შეუდგინა მას იქაური მეორე ნუსხის ვარიანტები. 1833 წლის 9 ოქტომბრის თარიღით თეიმურაზს წერდა ბროსე: „ვეფხისტყაოსანზე თქვენ მიერი შრომა მოგვეწერათ და აღბეჭვდა... დიდად კმაყოფილება იქნებოდა ჩვენის ქართველებისათვის, რომ ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდოს ერთს წიგნათ“ (წერილები, გვ. 26). ეს განზრახვა მანამ ვერ განხორციელდა, თუმცა ბროსეს ვაჟშაღდგია ლითოგრაფიული გამოცემისთვის მასიჩი ერთი ფურცელი და უმაღლეს თეიმურაზისათვის უახლესობა. თეიმურაზს იგი არ მოსწონებდა და მორიდებით უცნობებით: „ვეფხისტყაოსანის დაბეჭდვას ლიტოგრაფიით ამ ხელზედ არ გირჩევ, ამისათვის, რომ ვისაც ვაჩვენე თქვენგან გამოგზავნილი ფურცელი, დაიწუნეს. ჯერ ხანად იყოს დაყენებული, მანამ თქვენ აქ მიხვალთ, და მაინც ვიფიქროთ, როგორც სჯობდეს, ისე აღვასრულოთ“⁷.

პეტერბურგში გადმოსვლის შემდეგ ბროსესათვის ერთი უმოაგესი საზრუნავი საქმე ვახდა ვეფხისტყაოსნის გამოცემა. ეს გამოცემა განხორციელდა კიდეც 1841 წელს. გამოცემის თავფურცელს აწერია: „ვეფხისტყაოსანი“, რუსულად «Барсова кожа». პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდილი შეერთებულთა ღვაწლითა უფლთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტ პეტერბურგის სტანბაში საკლმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა, 1841“. გამოცემა ეძღვნება თეიმურაზ ბატონიშვილს: „მათს უფანათლებულსობას ბატონიშვილს თეიმურაზს, საქართველოს მეფის გიორგის ძეს. უმდაბლესის პატივისცემისა, გულითადას მადლობისა, სამარადისო ერთგულებისა ნიშნად შევსწირეთ: დაბეჭდველნი ბროსეტ, ზაქ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინოვი“.

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა ჩვეულებრივ ბროსეს გამოცემად ითვლება. არსებითად ასეცაა. გამოცემა მომზადდა ბროსეს მოთავეობით, მან გაიღო წინასწარი ხარჯები, მის სახელზეა გაკეცილი ბეჭდვის ნებართვა, ბროსე იყო „ზედამხედველი აღბეჭდვისა“, ე. ი. ფაქტობრივი რედაქტორი. სხვა საქმეა, რომ 1841 წლის გამოცემაზე იღვწა საქაოლ დიდი კოლექტორმა, დიდი წინასწარი სამუშაო იქნა ჩატარებული. ჯერ იყო და შეადგინეს „პროგრამა“. პროგრამის ამოსავალი ძირითადი პრინციპი ასეა გამოთქმული: „მიზენი ესე აღგვჭურენ ჩვენ, რათა ახლად აღბეჭდოთ ვეფხისტყაოსანი, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილი, გარნა მეორედ გამართული ძველთა კელწირითა თანა, რაოდენთაც შევიძლებთ პოენასა საქართველოსა, ანუ რუსეთისა შინა და მით მივახლებთ ნამდელს“⁸. ვახტანგის გამოცემით ხელმძღვანელობას თეიმურაზი აღრეც ურჩევდა ბროსეს. საერთოდ თეიმურაზი უნდა ყოფილიყო პოეის ახალი გამოცემის ნამდვილი სულისჩამდგმელი და, ასე

⁷ გ უ რ ი შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონის ერთი გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ნაშრომი (შოთა რუსთველს, საიუბილო კრებული, თბ., 1966, გვ. 408). 1841 წლის გამოცემის საყურადღებო ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა ს. ყუბანეიშვილს. ერთგან ის სქოლიოში შენიშნავს: „ა. კობახიძის ცნობით, ვეფხისტყაოსნის გამოცემა ლითოგრაფიულად ბროსეს ჯერ კიდევ 1834 წელს განუზრახავს, პარიზში ყოფნის დროს, და სანიმუშო ფურცელი თეიმურაზ ბაგრატიონისათვისაც გამოუზრახავს, მაგრამ უკანასკნელს არ ურჩევია ასეთი გამოცემა“ (გაზ. „კომუნისტი“, 1937, № 234, გვ. 4). არ ვიცით, რა საბუთზეა დამყარებული აღნიშნული ცნობა“ (ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან (XVIII—XIX სს.), თბ., 1966, გვ. 45, შენ 84). ახლა ცხადია, თუ რა საბუთს ეყარებოდა ალ. კობახიძე. უნდა ვიცოდეთ, რომ ალ. კობახიძე თავის დროზე იყო ყოფილი სააზოი მუზეუმის ხელნაწერთა ფონდების მეცნიერი მკვლე და მისთვის აღვილად ხელმისაწვდომი იყო, კერძოდ, ბროსეს კოლექციის მასალები.

⁸ ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, გ. ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი (წიგნში: საიუბილო კრებული, კორნელი კეკელიძეს, დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად, თბ., 1959, გვ. 249); ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, გიორგი ავალიშვილი (წიგნში: რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 73—76).



ეთქვათ, მთავარი კონსულტანტი⁹. საყურადღებო ისაა, რომ თეიმურაზს შეუღღენია 1841 წელს გამოცემის ბოლოსიტყვაობის ტექსტი ლექსად ბროსეს სახელით¹⁰:

მე გვარ-ტომობით ფრანცუცი ბროსეტი, მზრუნველი
 ქართველთ ენის, ეს წიგნი დაწერილი ჩემით აწ მორღელ დაიბეჭდა,
 პირველ ვახტანგ მეფის ფასა, აწ პეტერბურლს კვლავ ვყავ მე ცდა, ზოგნი ახლად
 ძველ კელ-წერილთ ვბოვე, იგიც ზედ დამეჭტა, მსახურება ქართველთა მსურს,
 ამას ზედა ეინა შექვედა. კვლავ ფალავანდოვი ჩემთან და ჩუბინოვიც მღვწელია.

ყველაფრიდან ჩანს, რომ თეიმურაზის შთაგონებითა დაწერილი გამოცემის ბროსესული წინასიტყვა, თუმცა ავტორი საგანგებოდ შენიშნავს: „ამ წიგნის დაბეჭდვაზე და საყოლად წინასიტყვაობის დაწერაზე უფ. ჩუბინოვიცა გულთითად შემწეობა მანგებოა“. ალბათ, ასეც იყო. წინასიტყვა გვაგრძობინებს დაეთ ჩუბინაშვილის იმ იდეების ანარეკლს, რაც ვეფხისტყაოსნის შესაბამის, 1846 წლის (ჩუბინაშვილისეული) გამოცემის შესავალ წერილშია გაშლილი. მაგრამ ბროსეს წინასიტყვაობას მკაფიოდ აქვს აღბეჭდილი თეიმურაზის „განმარტების“ ნაკვალევი.

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის რედაქციას საფუძვლად კი აუღია ვახტანგისეული ტექსტი, მაგრამ მას ბრძალ არ მიჰყოლია. რედაქციას შეუკრებია და შეუსწავლია პოემის სხვადასხვა ხელნაწერი, შეუკრებია ეს მისაღია ვახტანგის გამოცემისათვის და შეუღღენია ვარიანტები (მოუხედავად ბროსეს ბეჭითი ცდისა ვარიანტების დაბეჭდვა არ მოხერხდა). თვითონ ვახტანგის ტექსტი რედაქციას კრიტიკულად განუხილავს. წინასიტყვაობაში ბროსე ამბობს: „ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდვის ვეფხისტყაოსანში მრავალი ტპოლოგოფიული ცთომილებანი იპოვებოდნენ, ჩვენ გავასწორეთ“. ისიც უნდა ითქვას, რომ რედაქციის განკარგულებაში იყო ვახტანგისეული ნაბეჭდი ტექსტის გიორგი ავალიშვილისეული გასწორებული ცალი. ბროსეს რედაქციამ მკაცრად გააკრიტიკა ვახტანგისეული „თარგმანი“, „რომელიც ფრიალ უშესაბამო და უხამსიაო“, ამიტომაც ეს „თარგმანი“ თავის გამოცემაში არ შეიტანა. 1841 წლის გამოცემის ტექსტს ახლავს დაეთ ჩუბინაშვილის მიერ შეღღენილი „მეორე ლექსიკონი“. ახალი გამოცემისათვის თეიმურაზის მიერ დაწერილი „ანდერძის“ ტექსტიც ბროსეს მისი გუნდის-გვარად შეუსწორებია ასე. როგორც ცნობილია, თეიმურაზის კონცეფციის თანახმად, შოთა რუსთველი უნდა ყოფილიყო პერეტის ერისთავი და შესაფერისად პერეტის რუსთავის ანუ ბოსტანქალაქის მფლობელი. ეს თვალსაზრისი გაუტარებია მას „ანდერძში“.

შოთა იშვა რუსთავისა ქალაქსა შინა ქებული,

მას ბოსტან-ქალაქს უწოდენ, ძველთაგან იყო გებული.

ბროსე ამ ტექსტს ასწორებს მისი შეხედულების შესაბამისად:

შოთა იშვა სამეხსეთოს დაბასა შინა ქებული,

მას რუსთავად უწოდებდნენ, ძველთაგან იყო გებული.

სხვაგანაც (იხ. რმლ. I, 65) ბროსე გარკვევით ამბობს, რომ რუსთველი იყო წარმოსობით „ახალიცხის ახლო“ მდებარე რუსთავიდანო.

ბროსე სრულიად უმართებულოდ თვლიდა ანტონ კათალიკოსისა და ტიმოთე გაბაშვილის დამოკიდებულებას ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორისადმი. 1841 წ. გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „სასტიკი კრიტიკა რუსთველზე ანტონი კათალიკოსის მიერ სრულიად უსაფუძვლოა... და ვგრეთვე ტიმოთე მიტროპოლიტის მიერ, რომელიც თვის მიმოხილვაში ზრახავს რუსთველს“.

1841 წლის გამოცემის რედაქციისათვის ერთი მთავარი საკითხი ყოფილა საკითხი პოემის სტროფული შეღვენილობის შესახებ. ამის თაობაზე თეიმურაზ-ბატონიშვილი ჭერ კიდევ 1834 წლის 17 ოქტომბერს სწერდა ბროსეს პეტერბურგიდან პარიზში: „სრული ვეფხისტყაოსანი არის

⁹ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა (შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, თბ., 1966, 270—276; შტრ. ოთარ ურიდია, ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემისათვის დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დახუსტებისათვის (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 4, გვ. 23—40, სპ. გვ. 39).

¹⁰ ლილი ქუთათელიაძე, ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაზე დართული „ანდერძისათვის“ (მაცნე, 1970, № 5, გვ. 131—136).

რიცხვით ათას ხუთას ოთხმოცდაცხრა სტინი¹¹, როგორათც ვახანგ მეფისა დაბეჭდულსა ვეფხისტყაოსანში იხილება... ვეფხისტყაოსნისა ამთს გარდა კიდევ რაოდენნიმე სტინნი ჩემის ოსტატის დავით ალექსის-შვილისაგან გაგვიგონია და ჩემს ვეფხისტყაოსანზედაც აწერია ვითომ ეს შემდგომი ლექსი ვეფხისტყაოსანისა შოთა რუსთაველისა ნათქოში იყოს, დაბეჭდვაში დარჩომოდეს და ვეღარ ჩაეტანებინოს. ეს ლექსნი... დიახ ძალიან გვანან ვეფხისტყაოსანის სტილებს [მოყვანილია ტექსტი]. ეს ზემო ლექსები ძალიან მსგავსი არის რუსთაველის სტილებსა და იმ ადვალტებზეც ეტყობა, საცა უნდა ჩაიწეროს; რომ ავლია ეს სტილები¹².

ამავე წერილში თეიმურაზი ეზება ვეფხისტყაოსნის გაგრძელებების საკითხსაც და შენიშნავს: „ციციშვილი ყოფილა ერთი, ქართლის თავდათავანი. იმას მეტი სახელი ნანუჩა რქვენი... იმას მოუგონია და თითონ გაუკეთებია ვგ ლექსები და ვეფხისტყაოსანისათვის შეუერთავს... ნანუჩა ციციშვილი, დიახ, კარგი კაცი ვინმე იყო, დემურთმა აცხობხოს, შარამი, დიახ, ცუდი პოიტოკოსი ბრძანებულა. და რაც რუსთაველს დაუწერია, ვეფხისტყაოსანისად ისი კმარა, იმას სხვა დამატებული არა ექირება რა. ომინიანი ზღაპარც იმიგანვე არის მოგონებულ“ (იქვე, გვ. 408).

მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის ყველა ინტერპოლაციას (და მათ შორის ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გაგრძელებას — ომინიანს) თეიმურაზი ხელადებით ნანუჩას მიაწერს, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ბროსეს კომისიის გაუხიარებია თეიმურაზის მითითებანი, პოემასი შეუტანია დავით რექტორის მიერ რუსთაველისეულად მიჩნეული ოთხი სტროფი (აქედან სამი — სტროფები 111, 554, 1514 — მიღებულია თანამედროვე ყველა კრიტიკულ გამოცემაში). ასევე უარუყვია კომისიის ნანუჩასეულად მიჩნეული დამატებანი. ბროსე წერს წინასიტყვაში: „ციციშვილი ყოფილა, ნანუჩად ზედწოდებული... რომელსაც მოუგონია და თითონ გაუკეთებია სხვარივად ვეფხისტყაოსნის ბოლო... ამ ახალ დაბეჭდვით არ ეგებოდა მათი დაბეჭდვა“. ოღონდ მაინც შეუტანია თავის გამოცემაში დამოწმებულ ოთხ სტროფს გარდა კიდევ 46 სტროფი, რომლებიც ამოკრებულია პოემის ხელნაწერული მეგვიდრეობიდან (კომისიისათვის ეს ტექსტები მიუწოდებია პეტრე ქებაძეს¹³). ბროსეს სიტყვით—„მრავალს ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და ვეფხისტყაოსანსაც ეთანხმება. თუმცა სწორეთ არ ვიცი, ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყენენ, რომ ჩაგვიბეჭდა და იმტომაც ჩავუმატეთ“. ბროსე იმასაც შენიშნავს, რომ ეს შაირები პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკის ვეფხისტყაოსნის ძველ ხელნაწერშიც მოიპოვება. დასასრულ რედაქტორი შემდეგ არგუმენტსაც იმეფულთა: „ზემოსხენე-ბულინი მომატებანი პირველი ჩვენ დაბეჭდვით იმტომ, რომ მრავალთა სწავლულთა ქართულთა მოეწონებოდათ, ძველ ხელნაწერებშია იპოვებოდნენ, და ამის გარდა რაოდენნიმე მომწერნი ამ წიგნზე ვეთხოვეს არ დატევენება მათი“. ბროსე ერთ პრინციპულად საინტერესო და მართებულ მოსაზრებასაც გამოთქვამს ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემის თაობაზე: „თუ კიდევ როდისმე დაიბეჭდება ვეფხისტყაოსანი, ნანუჩას მომატებაც და სხვა რა გეთენიან ამ წიგნს, თუ ვინდ რუსთაველსა არ იყოს, განხილვით უნდა დაიბეჭდოსო“. ბროსეს ეს ანდერძი განუახორციელეთ ჩვენ, როდესაც 1956 წელს გამოვაქვეყნეთ ვეფხისტყაოსნის სრული, ჩანართებიან-დამატებიანი ხელნაწერი ტექსტი¹⁴.

ჩვეთვის დიდად ფასეულია ის მოსაზრებანი, რაც ბროსეს გამოთქმული აქვს ვეფხისტყაოსნის იდეურ-შინაარსობრივი მხარის შესახებ ამ პოემის დავიკრებულთა ანალიზის შედეგად. ბროსე დიდად განათლებული და ერუდირებული ევროპელი სწავლული იყო, რომელიც კარგად იცნობდა ანტიკურ, შუასაუკუნეობრივ და ახალი დროის მსოფლიო მწერლობას. იგი ვეფხისტყაოსანს იხილავდა სწორედ მასშტაბურად, მსოფლიო მწერლობის პოზიციიდან. ბროსეს ხიბლავდა ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრული ღირსებანი და ავტორიტეტულად აცხადებდა

¹¹ ნამდვილად ვახტანგის გამოცემაში 1587 შაირია, მაგრამ სათვალავში დაშვებულშიქანო-კური შეტეომის გამო ნაჩვენებია 1589.

¹² გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონის ერთი გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი (გვ. 407).

¹³ რმლ, I, გვ. 66.

¹⁴ ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით. ტექსტი გამოისცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და საძებლები დურთო სოლ. ყუბანეიშვილმა, რედაქტორი ილ. ბარამიძე, თბ., 1956. აღრე, 1913 წელს ანალიგური, ოღონდ არასრული, გამოცემა განახორციელა ს. კაკაბაძემ.

პოემის თავისივე გამოცემის წინასიტყვის პირველ აბზაცში (ეს წინასიტყვა წარმოადგენს ვეფხისტყაოსანზე ფრანგი მეცნიერის ხანგრძლივი კვლევამდებობით მუშაობის შემაჯამებელ შედეგს): „რამთორჯერაც ზედხედავ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს, იმითნი უფრო და უფრო მოგეწონება, მიზეზი ამის არის, — პირველად, ზღაპრის (ე. ი. ამბის, სიუჟეტის, — ა. ბ.) ტურფათხელეობა, შიარტიის კეთილ-ხმინობა, სიტყვა-აღრვეითი ან-შეკერება, პატივის მშვენიერად დაწმასნა და კემშარტების მაღალი ფილოსოფიური მხატვრობა. მეორედ, კმა-საყოფელი აღწერა რუსთველის მიერ ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართულთა. ამით ვაძტიკებ, რომ წიგნი ესე ქართულს ენაზე უებრო და უამხანაგოა, და თვით ევროპაშიაც მისი უმჯობესი მრავალი არ იპოვება“.

ბროსე თავის პირველ (1828 წლის) წერილშივე აღნიშნავდა, რომ ვეფხისტყაოსანი „დიდ ინტერესს იწვევს მდიდარი და მრავალფეროვანი სტილით, რაინდული თავდასაყვლებით, და, რაც მთავარია, მიმოხილული სახლით“ (რმლ, I, 38). 1830—1837 წლებში ბროსემ გამოაქვეყნა იმ დროის კვალობაზე შესანიშნავი ვრცელი ნარკვევი სამ ნაწილად — „გამოკვეყნანი ქართული პოეზიის შესახებ“ (NJA, V, VI, VII; რმლ, I, 43—58). აქ ბროსე ამბობს, რომ ვეფხისტყაოსანის ავტორი „ყოველ აზრს ბრწყინვალე სიტყვებითა და სახეებით ვაღმოსცემს“, „ეს მშვენიერი ნაწარმოები (ე. ი. ვეფხისტყაოსანი, — ა. ბ.) მეტწილად სტილით ბრწყინებს და მკითხველსაც სწორედ ამით ანიჭებს სიამოვნებას“. ბროსე ახასიათებს პოემის პერსონაჟებს, თვლის, რომ უმთავრესი გმირები არიან ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, რომ პოემა გამოხატავს ამ გმირების წმინდა სიყვარულს, თუმცა ასკენის, რომ „პოემის მიზანია დახატოს სამი კეთილშობილი რაინდის მეგობრობა“.

ბროსემ ვადაჭრით შენიშნა, რომ „ესე ამბავი სპარსული“ რუსთველმა ერთგვარი ეგზოტიკური მოსაზრებით შემოიტანა პოემაში, „ამით სურდა მეტი ფასი მიეცა თავისი წიგნისათვის“. თორემ არსებითაც ვეფხისტყაოსანი ასახავსო ქართველთა ზნეობრივი ცხოვრების სინამდვილესო. ბროსეს ფიქრით, ვეფხისტყაოსანი (ტარიელის ამბავი) მხოლოდ „გაერგნულად“ არის ინდური ამბავი, სახელების მიხედვით — სპარსული, ხოლო სხვა დანარჩენი ნიშნებით ქართულიაო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბროსეს თანახმად, ვეფხისტყაოსანი ალგორითული ხასიათის ნაწარმოებია, ფაბულური ამბავი უცხოეთშია გადატანილი და ზოგიერთ პერსონაჟს შესაფერისად უცხოური სახელი აქვს შერქმეული, „სხვა დანარჩენი ნიშნებით“ კი, ე. ი. შინაარსით, იდეებით, ზნეობრივ-ეთიკური მრწამსით, ყოფა-ცხოვრებით, ანუ მთელი თავისი ხულით (თუ სლესიკვეთებით) უაღრესად ორიგინალური ქართული ნაწარმოებია. ეს შესანიშნავი დასკვნები ბროსემ პოემაზე დაკვირვებით გამოიტანა მანამ, სანამ ის კონტაქტებს დაამყარებდა თეიმურაზ ბატონიშვილთან თუ სხვა რომელიმე ქართველ სწავლულთან. სწორედ ბროსემ დაუღო სათავე ვეფხისტყაოსანის სიუჟეტის ალგორითული გავერცელებული კონცეფციის. ეს მისი საყოფარო ორიგინალური სიტყვაა რუსთველოლოგიურ მცენარევაში.

ვეფხისტყაოსანის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაში ბროსე ძირითადად ავითარებს და აღრმავებს თავისავე აღრინდელ კონცეფციას რუსთველოლოგიურ საკითხებზე, აკონკრეტებს და აზუსტებს ამ კონცეფციის ზოგიერთ მომენტს აუ უკვე პეტერბურგელი ქართველი სწავლულების (თეიმურაზ ბატონიშვილის, დავით ჩუბინაშვილის, გიორგი ავალიშვილის...) დახმარებითა და ხელისშეწყობით. წინასიტყვაში ბროსეს უწერია: „თუმცა მოახსენებს რუსთველი, რომ ვეფხისტყაოსანი პირველ იყო სპარსულად... მაგრამ ნათლად ქაჩანს, რომ თვით შეუთხზავს ზღაპარი (ე. ი. ამბავი, — ა. ბ.) ესე... შეთანხმებითა საქართველოს მოთრობისათა... ხვარაზმშაპის ძის ნესტან-დარეჯანზე გამეჩურების ამბავი — ეინ არ მივხვდებო მოსლვასა ზორაზმშაპისა ტვილისს და თხოვან თამარ მეფისა ცოლად... და უსაცილოდ სხვანიცა მოქმედნი პირნი ვეფხისტყაოსანისა თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მთავანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდარია“. რუსთველის პერსონაჟების ხასიათის თაობაზე ბროსე აქაც იმეორებს: „გარანა გმირების ზნობა, ყოფა-ქცევა, გულგონობა, ძმური მეგობრობა, — უთოდ ქართველთ ეულს, ზნობას, ერთის სიტყვით ვსთქვათ, სრულს მათს ზარაკტერს გამოგვიხატავენ“.

გ. მაიერი ფართო განათლების მქონე ენათმეცნიერია. იგი პოლიგლოტია, რაც ენათმეცნიერთა შორის არცთუ ხშირ მოვლენას წარმოადგენს. მრავალ აღმოსავლურ ენას ფლობს როგორც სპეციალისტი. ამასთანავე ფრიად ერუდირებულია ზოგად ენათმეცნიერებაში. ZPSK-ში ხშირად იბეჭდება მისი საუკუთაღებო გამოკვლევები ენის თეორიის საკითხებზე, აგრეთვე რეცენზიები სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა ჭკეყანაში ახლად გამოქვეყნებულ ნაშრომებზე.

სხვა ენებთან ერთად გ. მაიერის მეცნიერული ინტერესების სფეროში შენაღის იბერიულ-კავკასიური, პირველ რიგში — ქართველური ენებიც. გერმანელი ლინგვისტი საკმაოდ კარგად არის დაუფლებული ქართულ ენას, სწავლობს სვანურს, რომელიც ბასკურთან მიმართების თვალსაზრისით იქცევა მის ყურადღებას. სვანურის შესწავლის მიზნით მან გასული ზაფხული მესტიის რაიონში გაატარა. გ. მაიერი სისტემატურად ადევნებს თვალს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას, ხშირად ათავსებს რეცენზიებს ამ ლიტერატურის შესახებ თავის ჟურნალში. როგორც ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, გ. მაიერი ახლო კონტაქტს ამყარებს იქ მოსწავლე ქართველ სტუდენტებთან, ხელმძღვანელობს მათ საღიბლოშო შრომებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, შეპირისპირებითი ხასიათისაა (ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია ქართველურსა და გერმანულ ენებში).

გ. მაიერის და ბ. მაიერის საიუცენიო „ცნობარი“ ჩაფიქრებულია როგორც ექვსტომიანი ნაშრომი. პირველი ტომის ქვესათურია: „ენა, ენის წარმოშობა, ენები“. სანამ ამ ტომის შინაარსს ვავეცნობოდეთ, ვნახოთ, თუ რა საკითხები იქნება განხილული და როგორი თანმიმდევრობით მომდევნო ტომებში:

ტ. II: ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაცია. დამწერლობა-დამწერლობები-გრაფემიკა. ფონეტიკა-ფონემიკა. პროსოდიკა-პროსოდიემიკა.

ტ. III: ენა და შემეცნების პროცესი. ფსიქოლინგვისტიკა. ენტრალური ენობრივი დარღვევები. ენის ინტოგენეზი. სემიოტიკა და ნიშანთა თეორია. სემანტიკა-მნიშვნელობა-ფუნქცია. სემანტიკური ანალიზი-მონოსემირება-ნოემატიკა. ლექსიკოლოგია. ლექსიკოგრაფია. სტილისტიკა.

ტ. IV: გრამატიკის თეორია. გრამატიკის ერთეულები და დონეები. გრამატიკული კატეგორიები. გრამატიკული ანალიზი და სინთეზი. მოძღვრება სიტყვაწარმოების შესახებ. ტექსტის თეორია. ენის განვითარების კანონზომიერებანი.

ტ. V: სოციოლინგვისტიკა. ინტერფერენციის ლინგვისტიკა. კომუნიკაციის პროცესი. თარგმნის თეორია. კომპარატივისტიკა. კონფონტატიკის ლინგვისტიკა. სპეციალური ენები. ენობრივი დათარიღება (გამოთვითული ლინგვისტიკა). ენის სტატისტიკა. ინტერლინგვისტიკა.

ტ. VI: კრებობითი ბიბლიოგრაფია.

საკითხების უზარალო ჩამოთვლიდანაც ჩანს, რომ ჩაფიქრებულია უზარმაზარი სამუშაო, რომელიც თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების ძირითად პრობლემებს მოიცავს. თუ ტომების რაოდენობისა და პირველი ტომის მოცულობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს საკითხები განხილული იქნება დეტალურად, სხვადასხვა თეორიათა ფართოდ გათვალისწინებით.

ყურადღებას იქცევს საკითხთა განლაგება. ვაერცლებული ტრადიციის საპირისპიროდ ავტორები იწყებენ კონკრეტული ენობრივი მასალით, რაც პირველ და მეორე ტომებშია გა-

ნაწილებული, და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიან ზოგად პრობლემებზე. ასეთი თანმიმდევრობა ორიგინალურია და, ფიქრობთ, გამართლებულიც. მის სასარგებლოდ არსებით მოსახრების გარდა ლაპარაკობს ავტორების მიერ მართებული შენიშვნები ფაქტი, მთი ბოლო ხანებში ბევრი თეორია იქმნება ენობრივი მასალის სათანადო გათვალისწინების გარეშე. ამ ხარვეზის შევსება სარეცენზო ნაშრომის ერთ-ერთ ამოცანად არის დასახული.

პირველი ტომის ძირითად ნაწილს შეადგენს მსოფლიოს ენათა მიმოხილვა (თ. III, გვ. 37—437). მას წინ უდგის თეორიული საკითხებისადმი მიძღვნილი მცირე მოცულობის ორი თავი: თ. I — ენა (გვ. 1—16), თ. II — ენის წარმოშობა (გვ. 17—36). ამ თავებში ძალიან მოკლედ, სათანადო არგუმენტაციის, აგრეთვე სხვა კონკრეტულებთან დისკუსიის გარეშე მოცემულია ენის თეორიული საკითხების ის გაგება, რომელიც მომდევნო ტომებში სპირო სისრულეთ იქნება დასაბუთებული. ასეთი შესავალი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მკითხველს იმათივე სწორი წარმოდგენა შექმნოდა ავტორთა ზოგადი თვალსაზრისის, მათ მიერ გამოყენებულ ცნებათა შინაარსის, დასმულ პრობლემათა ხედვრითი წონისა და ურთიერთმიმართების შესახებ.

გ. მაიერი და ბ. მაიერი შესავალშივე აღნიშნავენ, რომ თავიანთს საცნობარო ხასიათის ნაშრომში მათ სრულიად არ ჰქონიათ განზრახული გაემარჯვებინათ ისედაც მრავალრიცხოვანი თეორიები და ჰიპოთეზები, რომლებიც ენათმეცნიერებაში, უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ასე კარბად შეიქმნა. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქმის მათ არ ჰქონდეთ საკუთარი თვალსაზრისი. გარკვეული, სრულიად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი იგაბობა ნაშრომის პირველვე შეკრდებდან. ამ თვალსაზრისიდან ამოსვლით და ენობრივ მასალაზე დამყარებით ავტორები გვიპრდებინან მოგვაწოდონ სხვადასხვა თეორიის თუ ჰიპოთეზის სასარგებლო ან საწინააღმდეგო მოსაზრებანი. მათი თვალსაზრისის თეორიულ საფუძველს ქმნის მატერიალისტური შემეცნების თეორია და ენობრივ მიმართებათა დიალექტიკურ-მატერიალისტური, აგრეთვე ენის საზოგადოებასთან დამოკიდებულების ისტორიულ-მატერიალისტური განხილვა.

ავტორების მიერ აღიარებული ენის თეორიის ძირითადი დებულებები შემდეგია: ენა წარმოადგენს ადამიანურ მოქმედებას, ისტორიულად წარმოშობილ ერთეულ ნიშანთა სისტემას, რომელიც გამოიყენება კომუნიკაციისა და აზროვნებითი ოპერაციებისათვის. ძირითადია ენის საკომუნიკაციო ფუნქცია. ნაშრომში მოცემულია ადამიანური კომუნიკაციის სქემა. ავტორები განახავენ, რომ ენა დაბადებულანვე არ დაქყება ადამიანს, იგი შესწავლილ უნდა იქნეს. ენა საზოგადოებრივი მოვლენაა. ენის განვითარება საზოგადოების განვითარებას უკავშირდება. ამასთან მიმართება საზოგადოებრივ ცვლილებებსა და ენობრივ ცვლილებებს შორის უარესად რთულია და არაერთარ შემთხვევაში არ არის უშულო.

მეტად დასუღია გ. მაიერისა და ბ. მაიერის მიერ გამოთქმული შეხედულება, რომ ენა არ არის ლოგიურად ან ფსიქოლოგიურად სტრუქტურირებული. იგი შედგევა ხშირად ძალიან არათანაბარი ისტორიული განვითარებისა, რომელშიაც უცხო ენობრივი სისტემის გავლენაც დიდ როლს თამაშობს.

ავტორების მიხედვით, ენობრივი საზოგადოება განისაზღვრება ერთი და იმავე ენის მოხმარებით და არა ერთი და იმავე სახელმწიფოსადმი, ერისადმი, რასისადმი, ეთნიკური ჯგუფისადმი სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებით. ნაშრომში ამ დებულების სისწორე სხვადასხვა კონკრეტულ მაგალითზე ნაჩვენები.

თვალსაზრისი ნიმუშებითაა ილუსტრირებული აგრეთვე ენის არსებობის სხვადასხვა ფორმები: ყოველდღიური სალაპარაკო ენა, სალიტერატურო ენა, დიალექტები. მოცემულია ენის კლასიფიკაციის ნ. მარისეული თეორიის კრიტიკული ანალიზი.

საყურადღებო შეხედულებებია წამოყენებული ენის განვითარების, ენის სისტემისა და სტრუქტურის, ენობრივი ნიშნის ბუნების შესახებ. აღიარებულია ნიშნის ბილატერალური თეორია. განხილულია მნიშვნელობის ცნება, მნიშვნელობის მიმართება ობიექტური სინამდვილის ასახვასთან, ერთი მხრივ, და ბევრითს ფორმასთან, მეორე მხრივ.

არსებულ ზემოთ იყო აღნიშნული, ყველა ჩამოთვლილი პრობლემა მომდევნო ტომებში საგანგებოდ იქნება დამუშავებული. მაგრამ დებულებები, რომლებიც მოცემულია პირველი ტომის შესავალ ნაწილში, სრულ უფლებას გააძლევს ვივარაუდოთ, რომ ისინი დამუშავდება სპირო სისრულითა და სწორი მიმართულებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სარეცენზო ტომში საქმაოდ დაწერილებით არის განხილული ენის წარმოშობის საკითხი. ავტორებს მშვენიერად ესმით, რომ პირდაპირი მონაცემები ამ პრობლემის გადასაწყვეტად მეცნიერებას არ მოეპოვება. ისინი ღვართოდ იყენებენ ყველა დამ-

ზმარე საშუალებას, რომლებმაც ენის წარმოშობის საკითხს შეიძლება მოჰდინოს შუქი: უახლეს არქეოლოგიურ მონაცემებს პრიმატების განვითარების სხვადასხვა საფეხურის შესახებ, შედარებით ანატომიურ მასალას. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ცხოველებს, მათ შორის მაიმუნებს, ენა არ მოუპოვებთ, ცხოველთა სიგნალური სისტემა ბიოლოგიურია, მაგრამ ცხოველური აკუსტიკური სიგნალები ადამიანური ბგერითი მეტყველების წინა საფეხურს წარმოვიდგინე. თვით ადამიანური ენის წარმოშობა კი დაკავშირებულია იარაღის მოხმარებასთან, რაც ორგანიზებულ კომუნიკაციას მოითხოვდა. შრომა, ენა და აზროვნება ერთმანეთს გვერდით, ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში ჩაისახა, როგორც ეს ჯერ კიდევ 1876 წ. განეკრატა ფ. ენგელსმა.

მსოფლიოს ენები გ. მაიერისა და ბ. მაიერის ნაშრომში მათი ნათესაობის მიხედვით არის დაჯგუფებული. გათვალისწინებულია 4200-ზე მეტი ენა, რომლებიც გენეალოგიურ ოჯახებად არის დალაგებული. ავტორები ითვალისწინებენ იმ ვარაუზებას, რომ ყველა ენა თანაბრად არის შესწავლილი, რის შედეგადაც თვით ენათა ნათესაობაც სხვადასხვა ალბათობით არის დასაბუთებული. ისინი განასხვავებენ შემდეგ შემთხვევებს: ნათესაობა აშკარაა; ნათესაობა აშკარაა, მაგრამ გვეხდება ნარევი ელემენტები; ნათესაობა სააღბათოა; ნათესაობა არ არის დადასტურებული, მაგრამ ივარაუდება; ნათესაობა არ არსებობს, ე. ი. იზოლირებული ენა გაეპეს; ნათესაობა შესაძლებელია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ნაცვლვევი; ერთ რეგიონში გვეხდება არამონათესავე ჯგუფები ანუ ოჯახები. ეს შემთხვევები განსხვავებული ნიშნებით გადმოიკვება მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციაში. გარდა ამისა მითითებულია აგრეთვე ცალკეულ ენათა გავრცელების არეალები, რასაც დიდად უწყობს ხელს ნაშრომს დართული რვა რუკა. აღნიშნულია აგრეთვე თითოეულ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა და ენის განვითარების საფეხურები.

აშკარაა, რომ ამგვარად მოწოდებული ცნობები მსოფლიოს ენათა შესახებ დიდ სამსახურს გაუწევს სპეციალისტებს. ნაშრომის მნიშვნელობას ზრდის კარგად დამუშავებული ტექნიკური მხარე (ენები დეციმალური კლასიფიკაციის მიხედვით არის მოწესრიგებული) და დამზარე მეცნიერული აპარატი. განსაკუთრებით ფასეულია ბოლოს დართული ენათა ანბანური საძიებელი, რაც უშუალოდ საჭიროა ამა თუ იმ ოჯახის რომელიმე კონკრეტული ენის მოსაძებნად.

ყოველივე ზემოთქმულიდან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ გ. მაიერისა და ბ. მაიერის ნაშრომის სახით სასარგებლო საცნობარო წიგნი მივიღეთ მსოფლიოს ენათა განლაგების შესახებ. მაგრამ თუ გაითვალისწინებთ ნაშრომის შესავალ თეორიულ ნაწილს და იმას, რასაც მომდევნო ტომებში გვიპირდებიან ავტორები, სრული იმედით შეიძლება ვიქონიოთ, რომ ამ ექვსტომიანი ნაშრომის მნიშვნელობა გასცილდება ცნობარის ფარგლებს. ეს იქნება ანგარიშგასაწევი გამოკვლევა თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიის ძირითადი საკითხების შესახებ.

თინათინ შარაძენიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი

ბნელი წიგნები

გამომცემლობა „მცნიერიბა“

კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი მეორე რედაქტორი ალ. ბარამიძე

კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი (XII—XVIII ს.) არის 1958 წ. გამოსული „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის ფოტოტიპური გამოცემა (შეტანილია მხოლოდ მცირეოდენი აუცილებელი შესწორებები).

752 გვ., ფასი 5 მან. 20 კაპ., ტირაჟი 20 000.

შოთა ძიძიგური, ბასკურ-ქავკასიური პრობლემა

რედაქტორი ბ. ჯორბენაძე

საიდუმლოებით მოცული ბასკების ისტორია საბუთო და საზღვარგარეთის მეცნიერთა შეუნელებელ ინტერესს იწვევს. ოც საუკუნეზე მეტია კაცობრიობას იზიდავს იბერიულ-ქავკასიური მოღვმის ხალხებთან ბასკების ნათესაობის იდეა. ნაშრომში განხილულია ამ საკითხის

ირგვლივ გამოქმეული მოსაზრებანი. იგი „ბასკურ-კავკასიური“ (Euscuro—Caucasique) ჰიპოთეზის თანმიმდევრული განხილვის პირველი ცდაა.

84 გვ., ფასი 55 კაპ., ტირაჟი 10 000.

აკაკი ხინთიბიძე, პოეტური ძიებანი

რედაქტორი თ. დოიაშვილი

წიგნში განხილული თეორიული საკითხებიდან ყურადღების ცენტრშია რითმა, ხოლო შემოქმედებითი პრაქტიკიდან — ვაჟა-ფშაველას პოეტიკა.

ნარკვევები, რომელთა უმრავლესობა ადრევეა გამოქვეყნებული, იბეჭდება დაწერის თარიღის ჩვენებით.

„პოეტური ძიებანი“ ავტორი აგრძელებს მუშაობას ქართული ევრისტიკაციის პრობლემებზე, რამაც კარგახანია ჩვენი ფილოლოგიური ახროვნების პერიფერიიდან ცენტრისაკენ გადმოინაცვლა.

196 გვ., ფასი 1 მან. 25 კაპ., ტირაჟი 2000.

გურამ შარაძე, მასალები ბელა ვიკარის არქივიდან

რედაქტორი სარგის ცაიშვილი

ამ ნაშრომში განხილულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის არქივებში მოძიებული მასალები და მოცემულია მათი მეცნიერული ანალიზი. ზოგიერთი ახლად მიკვლეული მასალის საფუძველზე იგი შექს ჰვენს ეფფხისტყაოსნის პირველი უნგრული თარგმანის ისტორიას, რომელიც შეასრულა გამოჩენილმა უნგრელმა მეცნიერმა და მთარგმნელმა ბელა ვიკარმა (გამოცა ბუდაპეშტში 1917 წელს).

128 გვ., ფასი 80 კაპ., ტირაჟი 2000.

თამარ ნუცუბიძე, ქართული რომანტიზმის ტიპოლოგიის საკითხები

რედაქტორი დ. ლაშქარაძე

ნაშრომში მოცემულია ქართული რომანტიზმის ძირითად თავისებურებათა ტიპოლოგიის ცდა, რაც ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, კვაჟავაძისა და ინგლისური რომანტიზმის უმაჯავრეს წარმომადგენელთა შემოქმედების სტილისტურ, თანრობრივ პროსოდულ და საღვესო ფორმათა შედარებით ანალიზს ემყარება. ნაჩვენებია ქართულ რომანტიკოსთა პოეტური ქმნილებების როგორც ზოგადრომანტიკული, ასევე ეროვნული და ინდივიდუალური ნიშან-თვისებანი.

72 გვ., ფასი 45 კაპ., ტირაჟი 2000.

რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა. II

შეადგინა, გამოასცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო იოსებ მეგრელიძემ

რედაქტორი სარგის ცაიშვილი

კრებული შეიცავს „ეფფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის კომისიის წინასწარ განცხადებას, სხდომათა ოქმებსა და აღ. ხახანაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აღ. სარაჯიშვილის, დ. კარიკაშვილისა და სიმონ ქვარიაშის მიერ 1880—1913 წლებში გამოქვეყნებულ რუსთველოლოგიურ რჩეულ ნაშრომებს. მასალა შერჩეულია იმავე პრინციპებით, როგორც სერიის I წიგნი. წიგნი გამოადგებათ ფილოლოგებსა და ისტორიკოსებს, დაინტერესებთ მკითხველთა ფართო წრეებსაც.

180 გვ., ფასი 1 მან. 15 კაპ., ტირაჟი 2000.

ეფფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე

რედაქტორები: დ. ლაშქარაძე, ს. ცაიშვილი

კრებულში მოთავსებული სტატიები ეძღვნება რუსთაველის პოემის 70-იანი წლების თარგმანებს. მოცემულია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ ენებზე ეფფხისტყაოსნის თარგმანების ანალიზი, ასევე განხილულია 1945 წელს იტალიურ ენაზე ნათარგმნი ეფფხისტყაოსანი.

წიგნი განუთვნილია რუსთველოლოგთა, ლიტერატურათმცოდნეთა და, აგრეთვე, მკითხველთა ფართო წრისათვის.

98 გვ., ფასი 65 კაპ., ტირაჟი 1300.

ქ რ ო ნ ი კ ა და ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

გი ფ ხ ის ტ უ ა ო ს ნ ის ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ტ ი მ ს ტ ის დ ა მ დ ბ ე ნ კ ო მ ის ი ა შ ი *

1979 წ. 30 მარტი

სტომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ციციშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1124; 1125; 1125,1 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კინაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 1126; 1126,1; 1127; 1128 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

1124 მაშორვიდა, ვერად ვიციან; მომეახლა, იყო ნავი;
ორთა კაცთა, ტანად შავთა, თუით პირიცა ედგა შავი;
იქით-აქით მოსდგომოდეს, ახლოს უჩნდა ოდენ თავი,
და გამოვიდეს, გამოიჭირდა იგი უცხო სანახავი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1117) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ჩემგან შორს იყო, ვერაფერს მივამსგავსე; მომეახლოვდა, (აღმოჩნდა, რომ) ნავი იყო; ორ კაცს, ტანად შავს, პირისახეც შავი ჰქონდა; (ისინი) იქით-აქით ამოსდგომოდნენ (ნავს), ახლოს მხოლოდ თავი უჩანდათ, გამოვიდნენ, გამოიჭირდა უცნაური სანახაობა.

1125 გამოზიდეს იგი ნავი, გამოიღეს ბალსა წინა,
მიიხედნეს, მოიხედნეს, ვინ გუიჭურეტსო, სადა ვინა,
ვერა ნახეს სულეერი, ვერცა რამან შეაშინა;
და მე იღუმალ ვიხედვიდი, სულღებელი ვიყავ შინა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1118) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: გამოათრის ის ნავი, გამოითანეს ბალის წინ, მიიხედ-მოიხედეს, ვინ გვიყურებს, სად ვინ არისო (საღმე ვინმე არ იყოსო), სულეერი ვერაინ ნახეს, ვერც რამიმე შეაშინა (ისინი); მე ფარულად ვიყურებოდი, სულგანაბული ვიყავი შინ.

1125,1 უსენ წასულა ქალაქად თვალ-მარგალიტის მნახველად;
ვაჭარი ვინმე ენახა, მივიდა მისად მსახველად;
მას ეუბნების: „რა გაქო?“ — თვალი აქუს არად მფახველად.
და მან ვერ სცნა ეს ამბავი, ფატმან მივიდა რა ველად.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 1315) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: უსენი ქალაქში წასულა თვალ-მარგალიტის სანახავად; ვილაე ვაჭარი ენახა, მივიდა მის მსახველად; მას ეუბნება: „რა გაქვსო?“ — თვალს არ აფხებულებს. მან ვერ გაიგო ეს ამბავი, ფატმანი რომ მივიდა ველად.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცენ, ენისა და ლიტერატურის სერია“, 1974, №№ 3, 4; 1975, №№ 1, 3, 4; 1976, №№ 1, 3, 4; 1977, №№ 3, 4; 1978, №№ 1, 2, 3, 4; 1979, №№ 1, 2, 3, 4; 1980, № 4; 1981, №№ 3, 4; 1982, №№ 1, 2.

1126 მით ნავილაძე მათ რომე გარდმოსტეს კილოზანთა,
 აჰადეს, ქალი გარდმოჰდა უცხოთა რათმე ტანითა,
 თავსა რიღითა შავითა, ქუეშეთ მოსილი მწუანთა,
 და მზესა სიტურფედ ეყოფის, იყოს მისითა გვანთა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1119) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:
 აჰადეს (ახადეს).

ს. ცაიშვილის წინადადებით პირველ ტაპში მიღებულ იქნა წაკითხვა: მით ნავილაძე მათ
 რამე გარდმოსტეს კილოზანთა.

რედაქციას შესაძლებლად მიაჩნია კონიექტურის მიღება, მით უმეტეს, რომ, როგორც
 ც. კიკვიძემ აღნიშნა, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში არც ისე იშვიათია რომე და რამეს-
 აღრევა.

სტროფის შინაარსი: იმ ნავიდან მათ რალაც გადმოსტეს კილოზანთ, (თავი) ახადეს, გად-
 მოვიდა უცხო რამ ტანის ქალი, თავზე შავი რიღით, ქვემოთ მწუანით შემოსილი, მზეს,
 სილამაზედ ეყოფა, მისი მსგავსი (რომ) იყოს.

1126,1 აეთანდილს გული შეეძრა ამა სიტყუისა სმენითა,
 ენიშნა ფერი რიღისა ტარიელისგან თქმენითა;
 მაგრამ იგმარა სიწყნარე, იყო ღიღითა თმენითა,
 და სხვა არა უთხრა, ასტირდა ცრემლით ტბადასადგმენითა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 1316¹) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:
 ტბადასადგმენითა (ტბა დასადგმენითა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აეთანდილს გული აღუძგერდა ამ სიტყვების მოსმენით, რიღის ფერი
 ენიშნა ტარიელისაგან ნათქვამით; მაგრამ სიმშვიდე იჩინა, ღიღი მოთმინებით იყო, სხვა არა-
 ფერი უთხრა, (მხოლოდ) ატირდა ტბის დაყენებული ცრემლით.

1127 რა მოზრუნდა ქალი ჩემკენ, შემოადგეს სხიენი კლდესა,
 ლაწითა მისთა ეღვარება ეღვარება კმელთ და ზესა,
 დაეიწუხენ თტალნი, ყოლა ვერ შეეადგენ, ვითა მზესა,
 და უკმოვიკეშ კარი, ჩემგან მათი ჭტრეცა ვერა ცნესა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1120) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: მეორე ტაპში უკეთესია წაკითხვა: ეღვარებდა კმელთა, ზესა.

შ. ძიძიგური: გასარკვევია, ზესა აქ ზმნიზელდა თუ თანდებული. უფრო თანდებული ჩანს.
 ამიტომ უფრო მართებულია წაკითხვა კმელთა ზესა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ეღვარებდა კმელთა ზესა.

სტროფის შინაარსი: ქალი რომ ჩემკენ მოზრუნდა, კლდეს სხივები მოეფინა, მისი ლაწ-
 ვების ეღვარება ეღვარებდა მთელს ხმელეთზე; დაეხუტე თვალები, სრულიად ვერ გავესწო-
 რე, როგორც მზეს, გამოვიკეტე კარი, მე რომ მათ ვუყურებდი, ვერ გაიგეს.

1128 მოვიკემენ ოთხნი მონანი, ჩემსა წინაშე მდგომელნი,
 უჩტენე: ახედავთ, ინდოთა ტყუედ ჰყვანან შუქნი რომელნი?
 ჩაეპარეთ, ჩაედით წყნარად, ნუ ჩქარად მხლტომელნი,
 და მოგყიდონ, ფასი მიეცით, რასაცა იყენენ მნდომელნი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1121) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:
 უჩტენე (უჩტენე). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოვიხმე ოთხი მონა, ჩემთან მყოფნი, ეუჩტენე: „ახედავთ, ზანგებს-
 რომ ტყუედ ჰყავთ, იმ შუქს (=ჰალს)? ჩაეპარეთ, ჩემად ჩადით, ჩქარა ნუ ჩახტებით, (თუ)-
 მოგყიდონ, მიეცით, რა ფასაც მოგთხოვენ.“

1979 წ. 6 აპრილი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტ-
 რეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1128,1; 1129; 1130; 1130,1; 1131; 1132; 1132,1; 1132,2;

1133; 1134 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. ლიშვილმა, ნ. კობეტიშვილმა, ნ. ციტიშვილმა).

1128,1 კულავცა დავედრე სიფთხილ: „ქაჩნია იგი გრძნეულნი; არ მოიშორვით გულითა სწავლანი აწ ჩემეულნი; ზღვითავენ გზანი მოსტაცეთ, მუნ არ შეცურდენ წყეულნი. და ადრე მოგელი, მოჰფინოთ ჩემთვის სინათლე მზეულნი“.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 13181) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სიფთხილ: „ქაჩნია (სიფთხილ, ქაჩნია); მეორე ტაგის ბოლოს ორწერტილია წერტილ-მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: კიდევ დაეპარე, ფრთხილად ყოფილიყვენ: „ისინი გრძნეული ქაჩები არიან; არ დაიფრუთ ჩემი ნასწავლები (რაც დაგარიგეთ): ზღვისკენ გზა გადაუტაცეთ, იქ არ შეცურდენ წყეულები. მალე მოგელით, მზის სინათლე მომაფინეთ. (=უცხო ქალი მომიყვანეთ)!“

1129 თუ არ მოგვენ, ნულარ მისცემთ, წაბჭარეთ და დაჯოცენით, მოიყვანეთ ისი მთუარე, კმენით კარგად, ეცადენით! ჩემნი ყმანი ზედაღამა ჩაეპარნეს, ვითა ფრენით, და დაეპარნეს, არ მოჰყიდეს, შეინი ვნახენ მეტად წყენით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1122) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თუ არ მოგვენ (ქალი), ნულარ გაატანთ, წაართვით და დახოცეთ, მოიყვანეთ ის მთვარე, კარგად გაისარჯეთ, ეცადეთ! ჩემი ყმები ზევიდან ჩაეპარნენ, გეგონებოდათ, ჩაფრინდნენ, შეეპარნენ, არ მოჰყიდეს, ვნახე, რომ ზანგები მეტად გაჭარბდნენ.

1130 მე სარკმელთა გარდავადგე. რა შევიგენ, არ მოჰყიდეს, შეუზახენ: «დაჯოცენით!», დაიპყრნეს და თავსა სჭირდეს; იგი ზღუასა შესარჩენეს, შემოადგეს ქალსა, სცვიდეს; და ჩაევებე, გამოვგებუარე, ზღუის პირს ხანსა არ დაზმიდეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1123) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: შეუზახენ (შევეზახენ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე სარკმელს გადავადექი. რაჟი მივხვდი, არ მოჰყიდეს, შევეტე (მონებში): „დახოცეთ!“ დაიპყრეს და თავები დასჭრეს; ისინი ზღვაში გადაყარეს, ქალს აქეთ-იქით ამოუდგნენ, შემოარტყნენ; ჩაევებე, (ქალი) გამოვართვი, ზღვის პირას არ დაყოვნებულან.

1130,1 წაართვის ნესტან-ღარჯანი, აქამღის ზღვაში ტყუელ არი; ფატმან რა ნახა, ჩაგზანა იგ ორნი ვინმე მენედ არი; ქაჩნი დაჯოცენეს, ზღვას მისცეს; არ იყო მათთვის ცხედარი; და მოეგება და ეხვევის; ეინ ნახოს ეგრე მზედარი!

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 13201) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მეორე და მესამე ტაგები ადგილწუნაცვლებულია, სტროფის ბოლოს წერტილის ნაცვლად დასმულა ძახილის ნიშანი. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: წაართვის ნესტან-ღარჯანი, აქამდე ზღვაში ტყუელ იყო; ფატმანმა რომ დაინახა, ჩაგზანა ორი მხნე (მსახური); ქაჩები დახოცეს, ზღვას მისცეს, არ იყო მათთვის საწოლი; (ფატმანი) მიეგება და ეხვევა (ნესტანს); ეინ ნახოს ისეთი მზის დარი!

1131 რა ვიამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა! ვფიცავ, რომე იგი მზეა, არა მართებს მზესა მზობა! ეინ ვაიცდის შუქთა მისთა, ეინშეცა ვით ქმნა ნახაზობა! და მე თუ დამწუაეს, აპა, მზა ვარ, აღარ უნდა ამის მზობა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1124) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მეოთხე ტაგში, აპა-ს შემდეგ, დასმულია მძიმე პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მისი რა ქება გითხრა, რა სილამაზე, რა სინაზე! ვფიცავ, რომ ის

მზეა, (თვითონ) მზეს არ შეეფერება მზეობა! ვინ გაუსწორებს (თვალბს) მის შუქს, ვინ რო-
ვარ დახატავს (მას)! მე თუ დამწვევს, აპა, მზად ვარ, აღარ უნდა (ამას) მზაობა.

1132 ესე სიტყუა დასრულა, ფატმან იყრნა პირსა კვლნი;
ავთანდილსცა აეტირნეს, გარდმოყარნა ცრემლი ცხელინი;
ერთმანერთი დაავიწყდა, მისთვის გაკლეს ვითა ზელინი,
და ლუარმან, ზედათ მონადენმან, გააწყალნა ფიფქნი თხელინი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1125) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ეს სიტყუა დაამთავრა, ფატმანმა სახეზე ზელები წაიშინა; ავთანდილ-
საც ტირილი მოერია, ცხელი ცრემლები გადმოყარა, ერთმანეთი დაავიწყდათ, მისთვის (ნეს-
ტანისთვის) გახდნენ (გახდნენ როგორც შმაგები), (ცრემლის) ღვარამა, ზემოდან მონა-
დენმა, გააღწო თხელი ფიფქი (სახეებისა) (=ცრემლებმა დაუფარა სახეები).

1132,1 ფატმან რა ნახა ავთანდილ ტირილით შემვიდრებელი,
გულსა ეტყუის, თუ: „ეს არის მის მზისა ძებნად რებული;
ნეტარ, ვითმც ვიყო სამისოდ თავის თავს დამტერებელი!
და ეს მას წაუღვეს, მე დავრჩე უმისოდ გამწარებელი“.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 13221) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გულსა
(გულს), ეს (ესე) [შეორე ტავში], თავს (თავ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფატმანმა რომ ნახა ტირილით შევირებული (შევიწროებული) ავ-
თანდილი, გულში თქვა: „ეს არის იმ მზის (ნესტანის) საძებნელად მოსული; ნეტავ მისი (ნეს-
ტანის) გულისთვის ჩემს თავს როგორ დაემტერო! ეს მას მიჰყვეს (მის გზას დაადგეს), მე
უმისოდ (უავთანდილოდ) დავრჩები გამწარებელი“.

1132,2 ჰკითხავს: „გინახავს იგი მზე, ანუ გაქვს შეცნეირობა?
შენ ეგერე შეგვირის, გეტყობის, გწაღს მისთა მტერთა მტერობა“.
ავთანდილ უთხრა: „შენ სრულქმენ ჯერ ეგე სიტყუიერობა,
და მერმე შენცა ჰქენ ჩემენისა თქმულისა დანაჯერობა“.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 13222) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: შეორე
ტავის ბოლოს წერტილია შიშის ნაცვალად. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვკითხვბა: „გინახავს ის მზე (ნესტანი), ან იცნობ? შენ ისე წუხხარ
(მის ამბავს), გეტყობა, გსურს მისი მტრების მტრობა“. ავთანდილმა უთხრა: „ჯერ დაასრუ-
ლე ეს თბრობა, მერმე შენც დაიჯერე ჩემი ნათქვამი“.

1133 მოიტირეს, ყმამან უთხრა: „ნულარ გასწყუდე, გაასრულე“.
ფატმან იტყუის: „მივეგებე, გული მისთვის ვერთგული,
გარდუკონე ყოელი ასო, თავი ამაღ მოვაძულე,
და ზედა დავსუი ტახტსა ჩემსა, შევეკეთე, გავესულე“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1126) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:
გარდუკონე (გარდუდუკონე). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოიტირეს, მოყმემ უთხრა: „ნულარ გაწყუტ (თბრობას), დაამთა-
ერე“. ფატმანი ამბობს: „მივეგებე, გავუერთგულდი, გადაუდუკონე ყოელი ნაკეთი, თავი ამი-
ტომ მოვაძულე, ჩემს ტახტზე დავსვი, მივესიყვარულე, შევეტყუე“.

1134 ვჰკადრე: «მითხარ, ვინ ხარ, მზეო, ანუ შეილი ვისთა ტომთა?
იმა ზანგთა სით მოჰყვანდი შენ, პატრონი ცისა კომთა?»
მან პასუხი არა მითხრა მე სიტყუათა ესეზომთა,
და ასნაკეცი წყარო ენახე ცრემლთა, მისთა მონაწიომთა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1127) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვკითხვ: „მითხარი, ვინ ხარ, მზეო, ან რომელი ტომის შეილი? იმ
ზანგებს საიდან მოჰყავდი შენ, ვარსკვლავთ კრებულის პატრონი?“ მან არაფერი მიპასუხა ამ-
დენ კითხვაზე, მის ჩამონადენ ცრემლთა ასეცი წყარო ენახე.

1979 წ. 18 აპრილი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგენიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. შებრე-ველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1135; 1136; 1137 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალი-შვილმა, ლ. გულაშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 1138; 1139; 1140 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გერიტიშვილმა, ლ. კიანაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1135 რა მივაჭირვე კითხვითა, მეტითა საუბარითა,

გულამოკუთნიჩვით ატირდა მით რამე კმითა წყნარითა;
ბროლ-ლალსა ღჭარი ნარგისთათ მოსდის გიშრისა ღარითა;
და მისი მჭტრეტელი დავიწუი, გაჰკე გულითა მჭტდარითა.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 1128) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რომ შევაწუხე კითხვებით, მეტისმეტრ საუბრით, გულამოსკენით ატირდა წყნარი ხმით; ბროლ-ლალს (=ლაწუებს) ცრემლების ღვარი ნარგისებებიდან (=თვალუბიდან) ეღინება გიშრის ღარით (=წამწამებით); მისი მჭერეტი დავიწუი, გული მომიცდა.

1136 მიოხრა: «შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა,

რას აწენე ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ყბედისა!
ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა;
და თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა!»

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 1129) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მიოხრა: «დედავ, შენ ჩემთვის დედაზე უმჯობესი ხარ, რას დავებე ჩემს ამბავს, ყბედის (მონაჩმახი) ზღაპარია! ვინმე ვადმოხვეწილი. უბედო ბედის შემსწრე ვარ; თუ რაიმე მკითხო, არსთა მხედის (=ღვთის) ძალის მგმობელი იყო!»

1137 ვთქუი: «უბამოდ არ წესია მოყვანა და მზისა კმობა:

მომყვანელი გაშმაგდების და წაუეა ერთობ ცნობა;
კმობა უნდა ეამიერად, სააფოსა ყოელსა თხრობა.
და რად არ ვიცი ამა მზისა საუბრისა უეამობა?»

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 1130) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვთქვი: «წესი არ არის დრომდე მზის ამოყვანა და ხმობა: ვინც ამას შეეცლება, გაშმაგდება და ერთობ წაერთმევა გონება; როგორც მოხმობა, ისე ყოველი სათხოვრის თქმავი დროულად უნდა. რით ვერ გამიგია ამ მზესთან (ნესტანთან) საუბრის უღრობა?»

1138 ავიყვანე იგი პირმზე, ნაქები და ვერ ვთქუი უქი:

სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დავმალე მისი შუქი,
ჩამოვბურღე მრავალკეცი სტავრა მძიმე, არსებუქი;
და ცრემლსა სეტყუნს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოჭრის ბუქი.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 1131) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პირმზე, ნაქები (პირ-მზე ნაქები). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ავიყვანე ის პირმზე, ნაქები და ვერ ვიტყვი. შეუქებელი-მეთქი; ვფიცავ მის სიყვარულსა და მზეს, ძლივს დავფარე მისი შუქი, ჩამოვბურღე (მას) მრავალკეცი მძიმე, არამსუბუქი ძვირფასი ქსოვილი; ცრემლებს სეტყვასავით ყრის, და ვარდს (=პირი-მახეს) ზრავს, წამწამებიდან ქარბუქი ქრის.

1139 მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირმზე ტანით ალით,

მოუკასმე სახლი ერთი, შიგან დ-ესუი მეტად მალვით;
არვის უთხარ სუღიერსა, შევიწახე ფარვით, კრძალვით,
და ერთი ზანგი ვამსახურე. მე შევიდი, ენახი ხალვით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1132) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება მოუკახმე (მოუკახმე), უთხარ (უთხარ). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეოთხე ტაეპში (შეგნით) წერტილი შეიცვალა წერტილ-შიმით.

სტროფის შინაარსი: მოვიყვანე შინ ის ალვისტანა პირშე, მოუკახმე ერთი დარბაზი, შიგ დავსვი მალულად: სულიერს არავის ეუთხარი, დავიკავი ფარულად, სიფრთხილით, ერთი ზანგი (შინა) მივიჩინე მსახურად; მე შევდიოდი, ენახულობდი მარტო (სხვათა დაუსწრებლად).

1140 ვით ვიამბო საჟივრველი მე, გლახ, მისი ყოფა-ჟიკევა,
 დღე და ღამე გაუწყველად ტირილი და ცრემლთა ფრქვევა!
 შევეხუეწი: „დადუმდიო“, წამ ერთ ჰქონდის ჩემი თნევა.
 და აჲ უმისოდ ვით ცოცხალ ვარ, ჰაჰაჰა ჩემთვის, ვაგლახ მე, ვა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1133) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა ჰაჰაჰა (ჰაი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როგორ ვიამბო მისი საკვირველი ყოფა-ჟიკევა, დღედაღამ განუწყვეტლად ტირილი და ცრემლების ფრქვევა! ვეხვეწებოდი: დადუმდი-მეთქი, ერთი წამით ჰქონდა ზოლმე ჩემი ხათრი. ახლა უმისოდ როგორა ვარ ცოცხალი, ვაი მე, ვაგლახ!

1979 წ. 20 აპრილი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ციშვილი. განიხილეს სტროფები: 1141; 1142; 1143; 1144; 1145; 1146 (პროექტი მოაზიანდეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გერიტოშვილმა, ლ. კინაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ).

1141 შინა შევიდი, მას წინა ეღვის ცრემლისა ვუბები,
 შიგან სისხლისა მორევსა ეყრდნის გიშრისა შუბები,
 მელნისა ტბათათ ილტურების სავეს სათისა რუბები,
 და შუა ძოწსა და აყიყსა სჟუტირს-მარგალიტი ტყუბები.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1134) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. რედაქცია იზიარებს მესამე ტაეპის შინაარსის გ. წერეთლისეულ ვაგებას (იხ. მაკე, 1966, № 5, გვ. 193).

სტროფის შინაარსი: შინ შევიდოდი, მას წინ ეღვა ცრემლის ვუბებები, სისხლის მორევში (=სისხლიანი ცრემლით სავეს თვალეებში) ეყრდნო (ჩასობილი იყო) გიშრის შუბები (=წამწამები), მელნის ტბებიდან (=თვალეებიდან) იღურებოდა სავეს სათის (მარჯნის) წვენი (=სისხლიანი ცრემლი). ძოწსა (მარჯანსა) და აყიყს (ძვირფასი ქვა, წითელი ფერისა) შუა გამოსჟივივოდა ტყუბი მარგალიტები (=ბაგეებს შორის კბილები უჩანდა).

ა. ბარამიძისა და გ. კარტოზიას აზრით, ტყუბი მარგალიტი ნიშნავს ტყუბ-ტყუბ მარგალიტს; ს. ციშვილის, ე. მეტრეველის, ც. კიკვიძის აზრით, — თანასწორ, მსგავს მარგალიტებს.

მომდევნო სხდომაზე (1979.27.IV) ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ ამ კონტექსტში რუბი არ უნდა ნიშნავდეს წვეს. მისი აზრით, რუბი აქ იგივეა, რაც რუბმი, ჭურჭელი.

1142 ვამი ვერ ეპოვე კითხვისა ნიღავ ცრემლთა ღტრისაგან,
 თუმცა შეკითხვა: «ვინ ხარ და ეგრე გასრული — რისაგან?»
 მჩქეფრად სისხლისა ნაყალი მოსდის ალვისა ხისაგან,
 და მას კორციელი რა გასძლემს სხუა, კიდევანი ქვისაგან!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1135) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ნიღავ ცრემლის ღერის გამო შეკითხვის დრო ვერ ვიპოვე, რომ შეკითხვა: „ვინ ხარ და რისგან ხარ ამ დღეში ჩაეარდნილი?“ სისხლის ნაყალი ჩქეფით მოსდის ალვისხისტანიანს (ნესტანს), მას (=იმ ტანყავს) ხორციელი ვინ გაუძლემს, ქვის ვარდა სხუა!

1143 არად უნდის საბურავი, არცა წოლა საგებლითა,
 მიწყვი იყვის რიდიტა და მით ერთითა ყაბაჩითა,

მკლავი მისი სასთაულად მიიღვის და მიწვის მითა,
და ძლიე ვაჟამი ცოტა რამე ათასითა შეხუწეთა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1136) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: არაფრად უნდოდა დასახურავი (საბანი), არც საგებელზე წოლა, მუდამ იყო იმ ერთი რიდიითა და ყაბაჩით, თავის მკლავს სასთუმლად მიიღებდა და ისე მიწვებოდა, ძლიეს შევაჰმევედი ცოტა რამეს ათასი შეხუწეთ.

1144 სხუა გიამბო საყტიოველი რიღისა და ყაბაჩისა;
ვარ მნახავი ყოვლისავე უცხოთა და ძტირფასისა,
მაგრა მისი არა ვიცი, ქმნილი იყო რაგუტარ რისა:
და სიღბო ჰქონდა ნაქოვისა და სიმტკიცე — ნაჭედისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1137) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: სხვა რამ საყვირველს გიამბობ რიღისა და ყაბაჩის შესახებ; ყოველივე საუბროსა და ძვირფასის მნახველი ვარ, მაგრამ მისი (=ქსოვილის) არაფერი ვიცი, თუ რისგან და როგორ იყო ნაქეთები: სიღბო (სირბილე) ქსოვილისა ჰქონდა, სიმტკიცე — ნაჭედისა.

1145 მან ტურფამან სახლსა ჩემსა ვეგრე დაყო ხანი დიდი;
ვერ გავანდექე ქმარსა ჩემსა შესმენისა მქონდა რიდი;
ვთქუ: „თუ უთხრობ, ვიცი, დარბაზს გამამკლავნებს ისი ფლიდი“.
და ესე მეყო საგონებლად, კჳლა შევიდი, კჳლა გავიდი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1138) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხრობ (უფთხრობ).

რედაქციამ იმსჯელა ბოლო ნახევარტაეზე, რომელიც რიგ ხელნაწერში სხვა ვარიანტით არის წარმოდგენილი: შევიდი თუ გამოვიდი.

ა. ბარამიძე: წაკითხვა კჳლა შევიდი, კჳლა გავიდი იმ ხელნაწერთა წაკითხვა, რომლებიდანაც არის აღებული შესამე ტაეპის რედაქცია. ამდენად მისი მიღებაც ექვს არ უნდა იწვევდეს.

ს. ცაიშვილისა და ც. კიკვიძის აზრით, არ არის აუცილებელი, რომ სტროფის ყველა წაკითხვა ერთი და იმავე ხელნაწერებიდან ავიღოთ. მათ უკეთეს წაკითხვად მიაჩნიათ შევიდი თუ გამოვიდი.

ე. მეტრეველიც მხარს უჭერს ამ უკანასკნელ წაკითხვას. მისი აზრით, ტაეპის შინაარსია: ეს მეყო საგონებლად, შევიდილი თუ გამოვიდილი.

გ. კარტოზია: კჳლა შევიდი, კჳლა გავიდი > შევიდი თუ გამოვიდი უფრო საგულეებელია, ვიდრე პირიქით. ტაეპის აზრი ასე უნდა გაიგოთ: ეს გადამეჭვა სადებრებლად, ამიტომ ვყოყმანობდი: შევიდილი (უსენთან) და გამოვიდილი.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ მწვენიერმა ჩემს სახლში ასე დაყო დიდი ხანი; ვერ გავანდე ჩემს ქმარს, დასმენის შიში მქონდა; ვთქვი: „თუ ეტყვი, ვიცი, დარბაზში (სამეფო კარზე) გამამკლავნებს ის ფლიდი“. ეს გამიხდა საფიქრებლად, (ყოყმანობდი) შევიდილი და გამოვიდილი.

1146 ვთქუ: „თუ არ უთხრა, რა უყო, ჩემგან რა მოეგუარების?
არცა რა ვიცი, რა უნდა, რა ვისგან მოეკმარების:
ქმარი რა მიგრძობს, მოცა-მკლავს, ველარა მომეუარების;
და ვითა დავმალო ნათელი, ვინ მზესა დავდარების?!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1139) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხრა (უფთხრა), უყო (უფყო). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვთქვი: „თუ არ უთხარი, რა ვუყო, რა მოუხუბრო (ნესტანს)? არც არაფერი ვიცი, რა უნდა, ვისგან რა ეწველება; ქმარი რა გამოიგებს, მომკლავს, ველარაფერი დამიდარავს; როგორ დავმალო ნათელი, რომელიც მზეს ედარება?!

1979 წ. 27 აპრილი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1147; 1148; 1149 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. ვერიტიშვილმა, ლ. კინცაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ); 1150; 1151 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმანიშვილმა, ნ. კობერიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

1147 მე, გლახ, მარტომან რა უყო, მიმატებს ცეცხლთა დებასა!
 მო და გაეანდო, ნუ შევალ უსენის შეცოდებასა;
 არ გამამჟღავნოს, ვაფიცო, თუ მომცემს იმედებასა,
 და სულსა ვერ წაიწყებდს, ვერა იქს ფიცისა გაეუღებასა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1140) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უყო (ვეყო), იქს (იქმს). პროექტი მიღებულ იქნა.
 რედაქციამ იმჯელა მეორე ტაგის შინაარსზე.
 ა. ბარამიძის აზრით, ნუ შევალ უსენის შეცოდებასა ნიშნავს: ნუ ჩაავდენინებ უსენს ცოდვას (იმით, რომ მომკლავს, როდესაც გაიგებს ჩემს საიდუმლოს — უცხო ქალის ყოლას).

ე. მეტრეველი, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე იზიარებენ ამ აზრს. გ. კარტოზიას და ს. ცაიშვილს მიანიხილთ, რომ ნუ შევალ უსენის შეცოდებასა = ნუ შევეცოდებ უსენს.
 სტროფის შინაარსი: მე მარტომ რა ვუყო, ცეცხლის დებას მიმატებს! მოდი და გაეანდობ (ღსენს), ცოდვას ნუ ჩაავდენინებ უსენს (რომ მომკლას); ვაფიცებ, რომ არ გამამჟღავნოს, იმედს თუ მომცემს, სულს ვერ წაიწყებდს, ვერ გატებს ფიცს (ფიცის გატებას ვერ იზამს).

1148 მივე მარტო, ქმარსა ჩემსა ველაღობე, ველაციე,
 მერმე უთხრა: «გითხრობ რასმე, მაგრა პირველ შემომფიცე,
 არვის უთხრა სულეირსა, საფიცარი მომცე მტკიცე».
 და ფიცე ფიცა საშინელი: «თავიცაო კლდეთა ვიცე!»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1141) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხარ (უთხარა). პროექტი მიღებულ იქნა.
 სტროფის შინაარსი: მიველი მარტოა, ჩემს ქმარს მოვესიყვარულე, მივეფერე, მერმე ვუთხარი: «რაღაცას გეტყვი, მაგრამ ჯერ შემომფიცე, რომ სულიერს არავის ეტყვი, მტკიცე ფიცე მომცე!». საშინელი (ძლიერ დიდი) ფიცე მომცა: «თავი კლდეს ეხალოო (თუ ფიცე გაეტეხოო)!»

1149 რაცა შიხრა, სიყტილაძის არვის უთხრა სულეირსა,
 არა ბერსა, არა ყმასა, მოყურესა, არცა მტერსა».
 მერმე უთხარ ყუელაკაი უსენს, კაცსა ლობიერსა:
 და ამოდი, მომყვე აქა სადმე, მო, გიჩვენებ შხისა ფერსა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1142) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხრა (უთხარა), უთხარ (უთხარა). პროექტი მიღებულ იქნა.
 სტროფის შინაარსი: რასაც მტყვი, სიყვლილამდე სულიერს არავის გაუფელავებ, არც მოხუცს, არც ახალგაზრდას, არც მოყვარეს, არც მტერს». მერმე უთხარი ყველაფერი უსენს, ლობიერი კაცს: «მოდი, მომყვე აქ, გიჩვენებ შხის დარს».

1150 ადგა, აყვეა და წაველით, შეველენით კარნი სრისანი.
 უსენ გაკუტირდა, გაეაკრთა, რა შეუქნი ნახსა შხისანი;
 თქვა: «რა მიჩვენე, რა ენახე, რანია, ნეტარ, რისანი?!
 და თუ კორციელი არისმცა, თქალნიმცა მრისხევენ ღმრთისანი!»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1143) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.
 სტროფის შინაარსი: ადგა, წამომყვე და წაველით, გავიართ ღარბაზის კარები, უსენი გაკუტირდა, შეკრთა კიდეც, შხის (=ნესტანის) შეუქნი რომ დანიხა; თქვა: «რა მიჩვენე, რა ენახე».

რა არის, ნეტავ, რისა?! თუ ხორციელი იყოს, ღმერთმა შეპრისხოს (ღეთის თვალგზა ხონი)!”

1151 ვიქტი, თუ: «არცა რა მე ვიცი ამისი კორციელობა,
 რაცა არ გითხარ, მის მეტი არა მიქტს მეცნიერობა:
 მე და შენ ვკითხვით, ვინ არის, ვისგან სჭირს ისი ხელობა,
 და ნათუ რა გუითხრას, ევაწუთ, ქმნის დიდი ღმობიერობა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1144) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვიქტი: «არც მე ვიცი რამე იმისა, ხორციელია თუ არა, რაც გითხარი, მის მეტი არაფერი ვიცი. მე და შენ ვკითხვით, ვინ არის და ვის გამო არის ასე გაშმაგებული. ეგებ რამე გვითხრას, შევხვეწოთ, ღმობიერება გამოიჩინოს (მოღბეს)».

1979 წ. 4 მაისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1152; 1153; 1154; 1155; 1156; 1157 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტოშვილმა).

1152 მივედით, გუქონდა ორთავე კრძალვა მისისა კრძალისა;
 ეკადრეთ, თუ: «მზეო, საჭმოლი გუქვლების შენგან აღისა,
 გუითხარ, რა არის წამალი მოტარისა შექნამართალისა?
 და რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი ლალისა?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1145) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მივედით, ორივეს მისი დიდი რიდი გუქონდა; შეებდეთ: «მზეო, შენგან ცეცხლის ალი გვედება, გვითხარი, რა არის შექმართალი მოვარის (=შენი მწუხარებრს) წამალი? რას გადაუქცევიხარ ზაფრანად (=რას გაუყვიოლებიხარ) შენ, ფერად ლალის მსგავსი?»

1153 რაცა ვკითხვით, არა ვიცი, ესმა ანუ არ ისმენდა:
 ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა;
 გუელნი მოშლით მოეკეცნეს, ბალი შეღმა შე-რა-შენდა,
 და მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რადმცა გაგუითენდა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1146) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეში უკეთესია ზოგ ხელნაწერში დაცული შე-რ-ე-შენ და (ოღნაობითი რე ნაწილაკით რა კავშირის ნაცვლად). ტაეში თანწყობილ წინადადებას წარმოადგენს და არა ქვეწყობილს.

დადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ბალი შეღმა შე-რ-ე-შენ და. წინააღმდეგნი: ც. კიკვიძე, გ. კარტოზია. მათი აზრით, ტაეში ქვეწყობილ წინადადება გვაქვს: გველები (=ნაწნავები) უწესრიგოდ მოეკეცა, ბალი (=სახე) რომ ასწია.

მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-ამქივე.
 სტროფის შინაარსი: რაც ვკითხვით, არ ვიცი, ვაივონა თუ არ ისმენდა: ვარდი (=ბაგვები) ერთად შეეწებებინა, მარგალიტს (=ბილებს) არ აჩენდა; გველები (=ნაწნავები) უწესრიგოდ მოეკეცა, ბალი (=სახე) ოღნავ აიწია; მზე ვაშაპს დაებნელებინა, რად გაგუითენდებოდა!

1154 ვერა დაეპყარეთ პასუხი ჩუენ საუბრითა ჩტენითა:
 ვეფხი-აეაზა პირქუშად ზის, წყრომა ვერ უგრძენითა.
 კულაცა ვაწყინეთ, ატირდა მჩქეფრად ცრემლისა დენითა,
 და «არა ვიციო, მიმიშუითის», ეს ოღენ გუითხრა ენითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1147) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა უგრძენითა (ვეგრძენითა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ჩვენი საუბრით პასუხი ვერ დავაცდენინეთ: ვეფხი-ავაზა პირქუშად იჭდა, წყრომა ვერ შევატყვეთ. კიდე შევაწყინეთ (კითხვით), ატირდა, ცრემლი მჭექვარულად გადმოლუარა, „არაფერი ვიცი, თავი დამანებეთო“, მხოლოდ ეს გვითხრა.

1155 დაესხედით და მას თანვე ვიტყრეთ და ცრემლი ვლამეთ, რაცა გუქუქტა, შევიანეთ, სხუამცა რალა შევიწამეთ! ძლივ ვიაცეთ დადუმება, დავადუმეთ, დავაამეთ, და ჩვენ მივართვით ხილი რამე, მაგრა ვერა ვერ ვაქამეთ.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 1148) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. სტროფის შინაარსი: დაესხედით და მასთან ერთად ვიტყრეთ და ცრემლი ვღვარეთ, რაც გვეთქვა, (ისიც) ვინანეთ, სხვა რა უნდა გვექნა! მუღარით ძლივს შევიძელით დადუმება, გავაჩუმეთ, დავამშვიდეთ, ჩვენ ხილი მივართვით, მაგრამ ვერაფერი ვერ ვაქამეთ.

1156 უსენ იტყუის: „ბევრათსანი ჳირნი ამან ამიჯოცნეს; ესე ლაწუნი მზისად კმანან, კაცთაგანმცა ვით გჳოცნეს! უმართლეა, ვერმჳურტელმან თუ პატიენი იასოცნეს, და მე თუ შვილინი მიჩვენინან, ღმერთმან იგო დამიჯოცნეს!“

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 1149) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: უსენი ამბობს: „მრავალ ჳირს ეს მომაშორებს; ეს ლაწუები მზის შესაფერისია, აღამიანთაგან როგორ დიჯოცნოს! სავსებით მართალი იქნება, თუ მისი ვერ-შემხედველი ტანჯვას გაიმრავლებს, მე თუ შვილები მიჩვენინა, ღმერთმა დამიხოცოს ისინი!“

1157 მას უპტრიტეთ დიდი ზანი, წამოვედით სულთქმით, ახით. შეყრა გუიჩინდის სიხარულად, გაყრა დიდად ვივაგლახით. ვაჳრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი ვნახით, და გულნი ჩუენნი გაუშუებლად დაეტყუენეს მისით მახით.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 1150) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უპტრიტეთ (ვეუტრიტეთ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მას დიდხანს ვეუტრეთ, წამოვედიო ოხვრით, „ახის“ თქმით. მასთან შეხვედრა (ყოფნა) სიხარულად მიგვიანდა, მოშორება დიდად გვაშუებრებდა. ვაჳრობის საქმისაგან რომ ვიცილიდით, მას ვნახულობდით, ჩვენი გულები სამუდამოდ დაეტყუებინა თავისი მახით.

ფასი 13ან. 20 კაბ.

659/183

ინდექსი 76198

